ფოკუსირებული დაკვირვება

მეორე გამოცემა

როგორ დავაკვირდეთ ადრეული ასაკის ბავშვებს შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის

გეი გრონლუნდი

მერლინ ჯეიმსი

Redleaf Press

გამოიცა Redleaf Press-ის მიერ
10 Yorkton Court
St. Paul, MN 55117
www.redleafpress.org
©2005, 2013 გეი გრონლუნდისა და მერლინ ჯეიმსის ავტორობით.

ყველა უფლება დაცულია. გარდა რეცენზენტისა, რომელსაც აქვს უფლება გამოცემის მცირე ფრაგმენტების ციტირებისა ჟურნალში ან გაზეთში გამოსაქვეყნებელ კრიტიკულ სტატიებსა თუ მიმოხილვაში, რადიოში, ტელევიზიასა ან ინტერნეტში ელექტონულად მიწოდებისა, სხვა ნებისმიერ პირს ეკრძალება ამ გამოცემის გამრავლება ან რაიმე ფორმითა თუ საშუალებით სხვისთვის გადაცემა, რაც გულისხმობს ფოტოკოპირებას, ელექტრონულად გადაგზავნას, ჩაწერას ან სხვა ალტერნატიული გზით გამრავლებას გამომცემლობისა და ავტორების წერილობითი თანხმობის გარეშე.

31-ე გვერდზე მოყვანილი ამონარიდები აღებულია NAEYC-ის (ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია) ანგარიშიდან „ადრეული ასაკის ბავშვების პროგრამების განვითარების შესაბამისი პრაქტიკა“ და ეხება ბავშვებს დაბადებიდან 8 წლის ჩათვლით. საავტორო უფლება © 2009 NAEYC

www.naeyc.org/files/naeyc/file/positions/PSDAP.pdf.

ხელმეორედ გამოიცა ნებართვის საფუძველზე.

84, 89-ე გვერდების ამონარიდები წიგნიდან „თამაში: ბავშვთა კონტექსტი განვითარებისთვის“ - *ადრეული ასაკის ბავშვები*“ 58 (3): 38-45, ტოვა პ. კლეინი, დანიელ ვირტი და კერი ლინასი. საავტორო უფლება © 2003 NAEYC, ხელმეორედ გამოიცა ნებართვის საფუძველზე.

ამონარიდები 151-ე გვერდზე წიგნიდან „რთული ქცევის განსხვავებულად დანახვა“, *ადრეული ასაკის ბავშვები* 60 (2): 94-99, კატერინ ლუმისი და ჯეინ ვაგნერი. საავტორო უფლება © 2005 NAEYC, ხელმეორედ გამოიცა ნებართვის საფუძველზე.

ამონარიდები 213-214-ე გვერდებზე (გარდა აღნიშნული ადგილებისა) არის წიგნიდან *„ადრეული ასაკის ბავშვების კურიკულუმი“, შეფასება და პროგრამის შეფასება: დაბადებიდან 8 წლის ჩათვლით ბავშვების პროგრამებისთვის ეფექტური, ანგარიშვალდებული სისტემის შექმნა,* ანგარიში NAEYC-საგან. საავტორო უფლება © 2009 NAEYC, www.naeyc.org/files/naeyc/file/positions/CAPEexpands.pdf. ხელახლა გამოიცა ნებართვის საფუძველზე.

პირველი გამოცემა - 2005 წელი,
მეორე გამოცემა - 2013.
ყდის დიზაინი - ჯიმ ჰენდრიგანი
ყდის ფოტო - © Andresr/Veer
წიგნის დიზაინი - რაიან შეიფი, მეიფლაი დიზაინი და typeset in Membo
დაიბეჭდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.
20 19 18 17 16 15 14 13 1 2 3 4 5 6 7 8
Library of Congress Cataloging-in-publication Data
გეი გრონლუნდი, 1952 – „ფოკუსირებული დაკვირვება“.
- როგორ დავაკვირდეთ ადრეული ასაკის ბავშვებს შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის
გეი გრონლუნდი და მერლინ ჯეიმსი. მეორე გამოცემა.

გამომცემელი წიგნის შესახებ: საერთაშორისო სწავლება იწყება ფოკუსირებული დაკვირვებითა და ბავშვთა სწავლისა და განვითარების პროცესების ირგვლივ გაკეთებული ჩანაწერების სისტემატური დოკუმენტირებით. წიგნის „ფოკუსირებული დაკვირვება“ მეორე გამოცემა შეიცავს ინსტრუმენტებსა და დამატებით რესურსებს ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებისთვის, რაც დაეხმარება მათ დაკვირვების პროცესის სწორად წარმართვაში, საჭირო დოკუმენტაციის შემცველი პორტფოლიოების წარმოებასა და ბავშვზე ორიენტირებული და მორგებული კურიკულუმის დაგეგმვაში.

წიგნი შეიცავს ბიბლიოგრაფიულ წყაროებსა და ტერმინოლოგიურ ინდექსებს (index).

ISBN 978-1-60554-106-8
ISBN 978-1-60554-251-5 (e-book)
1. დაკვირვება (საგანმანათლებლო მეთოდი)
2. საგანმანათლებლო ტესტები და საზომები
3. ადრეული ასაკის ბავშვების განათლება
4. კურიკულუმის დაგეგმვა

I. ჯეიმსი, მერლინი. 2 სათაურიLB1027.28.G76 2013
371.39-dc23
201203233

გეი: გულწრფელი სიყვარულით *ბრუსს*

მერილინი: მადლობა ჩაკს, ჩემს მეუღლესა და ცხოვრების პარტნიორს, მხარდაჭერისთვის. პატივს მივაგებ მამაჩემის ხსოვნას და მადლობელი ვარ ჩემი მუდმივი გამხნევებისთვის, რაც გამბედაობას მმატებდა, არ მეღალატა მრწამსისთვის.

ორივე ჩვენგანისგან დიდი მადლობა ბეტი ჯონსს, ლაილა აენს და ლუიზ დერმან-სპარკსს. თითოეული თქვენგანისგან შთაგონებულებმა, მივიღეთ ჩვენი გამოცდილება. ვაფასებთ თქვენს წვლილს, რომელიც შეიტანეთ ჩვენი ხედვების ჩამოყალიბებასა და ადრეული ბავშვობის პერიოდის პრაქტიკის მნიშვნელობის სიღრმისეულად გააზრებაში.

სარჩევი

ავტორის მადლობა 4

შესავალი 6

თავი 1: რატომ ვაკვირდებით ბავშვებს 10

თავი 2: როგორ ვაწარმოოთ დაკვირვება და ჩანაწერების დოკუმენტირება ადრეული სწავლის გზამკვლევებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნების გათვალისწინებით 28

თავი 3: როგორია ეფექტიანი დაკვირვება და დოკუმენტირება 38

თავი 4: როგორ მოვახდინოთ დაკვირვება და დოკუმენტირება ერთდროულად? 60

თავი 5: როგორ ახორციელებთ დაკვირვებასა და დოკუმენტირებას შეფასებისთვის? 81

თავი 6: როგორ ვაწვდით ოჯახებს ინფორმაციას დაკვირვების, დოკუმენტირებისა და შეფასების შესახებ 107

თავი 7: როგორ გამოვიყენოთ დაკვირვება და დოკუმენტირება კურიკულუმის დაგეგმვისთვის 132

თავი 8: როგორ ვქმნით და ვაწარმოებთ ბავშვის საქმეს? 161

თავი 9: როგორ ვვითარდებით, როგორც დამკვირვებელი 175

დანართი ა: დაკვირვების ეპიზოდური ჩანაწერები განხილვისა და პრაქტიკისთვის 181

დანართი ბ: ფორმები და ფორმატები 191

დანართი გ: დამატებითი რესურსები ადრეულ ასაკში შეფასების საკითხებზე 205

დანართი დ: შეფასების ტერმინების და ფრაზების ლექსიკონი 208

დანართი ე: რეკომენდაციები ტრენერებისთვის *„ფოკუსირებული დაკვირვების“* გამოყენებისთვის 210

დანართი ვ: კომპაქტ-დისკის (CD-ROM) შინაარსი 215

გამოყენებული ლიტერატურა 228

ავტორის მადლობა

გულწრფელი მადლობა ქვემოთ ჩამოთვლილ ადამიანებს:

მასწავლებლებს კომენტარების გაზიარებისთვის:

ანტონ ველსს - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებელს (კალისპელი, მონტანა). Northwest Montana Head Start.

ეპრილ გარსიას - სკოლამდელი სპეციალური განათლების მასწავლებელს (ლას კრუსესი, ნიუ მექსიკო) Las Cruces Schools.

დიენა მეკინს - პროფესიული განვითარების სპეციალისტს. Montana Recourses and Referral Network.

დაიანა ლამბს - ყოფილ მასწავლებელს/დირექტორს (ლიბანი, ინდიანა). Little Lamb Nursery School.

ელიზაბეტ ფალონს - ეროვნული საბჭოს სკოლამდელი სპეციალური განთლების სერტიფიცირებულ მასწავლებელს (ლას კრუსესი, ნიუ მექსიკო).

ჯოდი მარტინესს - Even Start მასწავლებელს, ალბუკერკეს საჯარო სკოლები.

იოჰანა შაუბსა და დარლისა დევისს - ადრეული ბავშვობის პერიოდის მასწავლებლებს; რობინ ჯონსსა და პემ ბერგის - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მასწავლებლებს (ინდიანაპოლისი, ინდიანა). Epworth Weekday Choldren's Ministries.

ლილიან კანოსს - სკოლამდელი განათლების მასწავლებელს.

რობინ სამპაგას - წინასასკოლო ჯგუფის მასწავლებელს.

როზმარი ნილს - Even Start მასწავლებელს ალბუკერკეს საჯარო სკოლებიდან.

პეგი სიმენს - A joyful Noise Family Child Care Home (კოლუმბია ფოლსი, მონტანა).

პეგი ვარდს - ჩვილთა მასწავლებელს, Growing in God's Love (ვაიტფიში, მონტანა).

ვალერი ბლეკს - ბავშვთა ადრეული სპეციალური განათლების მასწავლებელს Four Rivers Special Education District (ჯეკსონვილი, ილინოისი).

მადლობა ალბუკერკში განხორციელებული ვიდეოგადაღებისთვის (ნიუ მექსიკო):

ანა როდრიგესს, ემილი მარტინესსა და ოჯახებს East San Jose Elementary Ecen Start Family Literacy Program

კრისტალ სანდოვალს - დირექტორი, პერსონალსა და ოჯახებს - Noah's Ark Child Care

ელენა აგირას - დირექტორი, პერსონალსა და ოჯახებს, ნიუ-მექსიკოს უნივერსიტეტის ბავშვთა კამპუსიდან
ჯანეტ რიგოსა და ოჯახებს - Rigo Family Child Care

ლილიან ანოს, არლა ჯარამილოსა და ოჯახებს - Valley Vista Pre-K Program

როზმარი ნილს, მარია სანჩესსა და ოჯახებს - Lavaland Elementary Even Start Family Literacy Program

სიუზან სმიტს - დირექტორი, პერსონალსა და ოჯახებს - A Child's Garden

სიუ გრედიზერსა და კოლეგებს - Media-Desingns, Inc.

New Mexico Office of Child Development Focused Portfolios Project-ის ყველა მასწავლებელსა და ოჯახს Flathead Valley Community College ბავშვთა ადრეული განათლების პროგრამის ყველა სტუდენტს - (კალისპელი, მონტანა).

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს რედაქტორს, კირა ოსტენდორფს.

შესავალი

ალბათ, კოლეგებს ერთმანეთთან საუბრისას დროის უქონლობის გამო ხშირად დაგიჩივლიათ - მიუხედავად იმისა, რომ მთელს დღეს ბავშვებზე დაკვირვებაში ატარებთ, დროის დეფიციტისა თუ სიმცირის გამო ვერ ახერხებთ მათზე დაკვირვების ჩანაწერების გაკეთებას. ვერ იწერთ ყველაფერს, რასაც ხედავთ. დროის უქონლობა გაშორებთ ბავშვებს, რომელთაც ძალიან სჭირდებით.

ნაცნობი სიტუაციაა. კოლეჯის ინსტრუქტორებისა და კონსულტანტებისგან ხშირად გვესმის მსგავსი წუხილნარევი ფრაზების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია და ვხვდებით, რომ ეს რეალობაა. თუ თქვენ დაკვირვება, ხოლო შემდგომ მისი დოკუმენტირება გსურთ და გევალებათ, დაღლილობასა და იმედგაცრუებას ვერსად გაექცევით.

ეს წიგნი სწორედ იმიტომ დაიწერა, რომ გვსურდა, პრაქტიკული რჩევებით დავხმარებოდით მათ, ვინც ბავშვებზე დაკვირვებას აწარმოებს. წიგნში შევეცადეთ, აგვეხსნა, როგორ უნდა დავაკვირდეთ ბავშვებს, თუ ჩვენი მიზანი ბავშვების განვითარების შეფასება და კურიკულუმის დაგეგმვაა. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული იდეები რეალურად განხორციელებისა და დოკუმენტირების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას იძლევა. წიგნში განვიხილავთ დაკვირვების ჩანაწერების ბევრ მაგალითს და შემოგთავაზებთ რჩევებს დოკუმენტირების სხვადასხვა სტრატეგიის შესახებ, რაც დაგეხმარებათ დაკვირვების პროცესის უკეთ წარმართვასა და დეტალური ჩანაწერების გაკეთებაში. წიგნს ახლავს ბავშვების აქტივობების ამსახველი ვიდერგოლებით შევსებული ინტერაქტიული დისკი, რომელიც დამატებითი დამხმარე რესურსია ფოკუსირებული დაკვირვებისთვის და დოკუმენტირებაში გასაწაფად. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ დამწყებ მასწავლებლებს დაკვირვებისა და მათი ჩანაწერების დოკუმენტირების მნიშვნელობის გააზრებაში და შევთავაზოთ ზემოხსენებული პროცესების მართვის ხერხები.

მეორე გამოცემაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ ცვლილებებზე, რომლებიც განხორციელდა ბავშვთა ადრეული განათლების სფეროში 2005 წელს - წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ მეტი ყურადღება ეთმობა ბავშვის განვითარების ადრეულ წლებს. ადრეული განათლების ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ისინი დიდი წნეხის ქვეშ არიან მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების სწავლებაზე პასუხისმგებლობის გამო. ადრეული სწავლის გზამკვლევები შემუშავდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. გაირკვა, რომ ბევრი შტატი უჭერს მხარს სკოლამდელ პროგრამებს. *„განვითარების შესაბამისი პრაქტიკის“ (Developmentally Appropriate Practice)* ახალი გამოცემა *(Copple and Bredkamp, 2009)* უამრავ რეკომენდაციას შეიცავს და უფრო მიზნობრივია საუკეთესო პრაქტიკის დანერგვასთან მიმართებაში.

უამრავი გამოწვევის მიუხედავად და მაღალი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ღრმად გვწამს, რომ დაკვირვებაზე დაფუძნებული შეფასება საუკეთესო მეთოდია ბავშვის განვითარების ხელშემწყობი, მასზე ორიენტირებული კურიკულუმის დასაგეგმად და ადრეული ასაკის ბავშვთა მასწავლებლებისთვის მას ალტერნატივა არ აქვს. დაკვირვება და დოკუმენტირება თითოეული ბავშვის საჭიროებების, ინტერესების გამოვლენის საუკეთესო

გზაა. თქვენ თვალს ადევნებთ ბავშვების ზრდისა და განვითარების პროცესს, რაც გეხმარებათ თითოეულისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში. უამრავი რჩევა და კვალიფიციური რეკომენდაცია არსებობს ბავშვის განვითარების ეტაპების დასაკვირვებლად, მაგრამ მათი დანერგვის ხერხებია განსხვავებული. წიგნში განვიხილავთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების დანერგვის პრაქტიკულ ხერხებს და ვეცდებით, ჩვენი რჩევებით დაგეხმაროთ მშობლებთან - პოტენციურ პარტნიორებთან - პოზიტიური თანამშრომლობის დამყარებაში. წიგნში შევიტანეთ პრაქტიკოსი მასწავლებლების ბევრი კარგი რჩევა, შენიშვნა, ჩანაწერები. ამ მასწავლებლებს დაკვირვებისა და დოკუმენტირების თავიანთ პროგრამებში დანერგვისა და მათი ჯგუფში გამოყენების ხანგრძლივი გამოცდილება აქვთ. წიგნში ვცდილობთ, აქცენტირება გავაკეთოთ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან მომუშავე მასწავლებლებზეც.

გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ კარგი დამკვირვებლისთვის, რომელიც დაკვირვების დოკუმენტირებასაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს, დროთა განმავლობაში უფრო იოლი ხდება ბავშვებთან ურთიერთობა. დაკვირვების პროცესი უფრო მეტად გაახლოვებთ ბავშვებს და მეტ ინფორმაციას გძენთ მათ შესახებ, იცნობთ ბავშვების ინტერესებსა და საჭიროებებს, წინასწარ ჭვრეტთ პრობლემებს, რაც გეხმარებათ დაბრკოლებების თავიდან აცილებაში. არავინ დავობს, რომ დატვირთული და რთული სამუშაოა, თუმცა, სწორად წარმართვის პირობებში, ის აუცილებლად გაამარტივებს თქვენს საქმეს.

წიგნში გთავაზობთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების სხვადასხვა, ჩვენი აზრით, პრაქტიკულ გზას თუ სტრატეგიას, რაც არ ნიშნავს თქვენ მიერ შემუშავებული, მოფიქრებული ან გამოცდილი სტრატეგიების უგულვებელყოფას. რასაკვირველია, შეგიძლიათ ყველა მეთოდი სცადოთ და თქვენთვის ხელსაყრელი აირჩიოთ. ადამიანები განვსხვავდებით ერთმანეთისგან და ბუნებრივია, ყველას ჩვენი ხედვა, გამოცდილება, სიტუაციების შეფასებისა და პრობელემის გადაჭრის განსხვავებული გზები და სტრატეგიები გვაქვს.

ეს წიგნი დაგეხმარებათ ფოკუსირებული დაკვირვების სწავლაში.

- I თავში განვიხილავთ და ვისაუბრებთ ბავშვებზე დაკვირვების მნიშვნელობაზე - რატომ არის დაკვრივება ასეთი აუცილებელი და რისი სწავლა შეიძლება დაკვირვების პროცესში და პროცესისგან.
- II თავში გავიგებთ, რა გავლენას ახდენს ადრეული სწავლის გზამკვლევები[1], ანგარიშვალდებულების დოკუმენტები თუ მათთან დაკავშირებული გამოწვევები დაკვირვებისა და დოკუმენტირების პროცესებზე.
- III თავში გავარკვევთ, როგორ უნდა განახორციელონ მასწავლებლებმა დაკვირვება და დოკუმენტირება.
- IV თავი ეძღვნება დროის ეფექტურად განაწილების სტრატეგიებს - როგორ უნდა მოვახერხოთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების პროცესების ჯგუფის დატვირთულ ცხოვრებაში ჩართვა.
- V-VI თავებში ვსაუბრობთ უშუალოდ შეფასებაზე - დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენება თითოეული ბავშვის განვითარების

[1] *აღნიშნული დოკუმენტის ქართული ანალოგი არის „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010. (მთარგმნელის შენიშვნა)*

შესაფასებლად (V თავი) და მოგროვილი ინფორმაციის (პორტფოლიოების, შემაჯამებელი ანგარიშებისა და კონფერენციების მეშვეობით) გაზიარება/მიწოდება მშობლებისთვის (VI თავი).

- VII თავი ეძღვნება დაკვირვებისა და დოკუმენტირების მეშვეობით მიღებულ ცოდნაზე დაყრდნობით კურიკულუმის დაგეგმვასა და გააზრებულ შედგენას.
- VIII თავში გავიგებთ, როგორ იქმნება ინდივიდუალური საქმე თითოეული ბავშვის შესახებ.
- IX თავში გთავაზობთ სასარგებლო რჩევებსა და საჭირო რეკომენდაციებს თქვენი, როგორც დამკვირვებლისა და დოკუმენტების შემქმნელის, პროფესიული ზრდის შესახებ - როგორ განვვითარდეთ. წიგნის ამ თავში შევეცდებით, აგიხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია გამოხატვა გულწრფელი აღტაცებისა, რომელსაც ბავშვების წინსვლა და განვითარება იწვევს.

ყველა თავი შეიცავს ჩანაწერს ბავშვებისა და მათი აქტივობების დაკვირვების შესახებ. ჩანაწერები დაგეხმარებათ, ისწავლოთ უფრო მეტი ბავშვების განვითარების თავისებურებებზე, გაეცნოთ ინფორმაციის ჩაწერის სხვადასხვა ხერხს და გაიაზროთ კურიკულუმის ესა თუ ის სტრატეგია. წიგნის ამ ნაწილს თან ერთვის იმ მასწავლებელთა შენიშვნები, რომლებიც დაკვირვებისა და დოკუმენტირების მეთოდს სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ. ვფიქრობთ, გამოცდილ, კვალიფიციურ მასწავლებელთა პრაქტიკული რჩევები ძალიან დაგეხმარებათ პროფესიულ საქმიანობაში.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, წიგნს თან ერთვის დამხმარე რესურსი - დისკი (CD-ROM) ვიდეორგოლებით, რომელიც წიგნთან ერთად გაიცემა. ყოველ თავს აქტივობების შემცველი ერთი ვიდეო ახლავს. ამ მრავალფეროვანი და ნაცადი აქტივობების ჩატარება შეიძლება სამსახურშიც და ოჯახურ გარემოშიც.

ყოველი თავის ბოლოს დართულ ვიდეორგოლში სამი აქტივობაა:

- დაკვირვების პრაქტიკა
- რეფლექსია (გააზრება და ანალიზი)
- დაკვირვების თქვენთვის ხელსაყრელი ხერხის, მეთოდის შერჩევა

დისკი შედგება 19 პრაქტიკული აქტივობისგან, რომელთა ნახვისთვის მითითებები მოცმულია თითოეული თავის ბოლოს სპეციფიკური ფოკუსის გათვალისწინებით. იგი ცალკეული ინდივიდების ან ჯგუფების მიერ შეიძლება გამოყენებული იყოს უნივერსიტეტში საკურსო სამუშაოების შესრულების, მომუშავე პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების, სამსახურებრივი სემინარების ან თანამშრომელთა შეხვედრების დროს. ჩვენი რჩევაა, ვიდეორგოლების ნახვამდე და იქ მოცემული აქტივობების შესრულებამდე, გაეცნოთ შესაბამის თავს წიგნში, რათა ვიდეორგოლების უშუალოდ ნახვისას მეტი ინფორმაცია გქონდეთ პროცესზე და შესაძლო გამოსაყენებელ ხერხებზე. დაკვირვების თითოეულ სავარჯიშოს ახლავს მიზანი - რისთვის და რატომ სრულდება იგი, ვიდეორგოლი, საორიენტაციო კითხვები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვზე დაკვირვებისა და დოკუმენტირებისას და მიმართულებები ჯგუფური დისკუსიისთვის.

დაკვირვების სავარჯიშოები მათი სხვადასხვა გზით შესრულების საშუალებას იძლევა. თქვენ შეგიძლიათ დაკვირვების თითოეული სავარჯიშოს ბევრი სხვადასხვა გზით გამოყენება. ერთი ვიდეორგოლის რამდენჯერმე ყურებისას დარწმუნდებით, რამდენი რამ ისწავლება დაკვირვებით და ნანახის ინტერპრეტირების რამდენი ხერხია. ჩვენ გირჩევთ, აწარმოოთ დაკვირვება და გაიწაფოთ დოკუმენტირებაში როგორც სამუშაო, ისე ოჯახურ გარემოში.

რეფლექსიის აქტივობები წიგნში მოცემული ცაკეული თავების უკეთ გააზრებაში დაგეხმარებათ. ასევე გაძლევთ შესაძლებლობას, მოცემული სავარჯიშოები დაუკავშიროთ საკუთარ გამოცდილებას და გამოსცადოთ ბავშვებზე დაკვირვების პროცესში. თქვენ შეგიძლიათ, წერილობით უპასუხოთ კითხვებს ან გამოიყენოთ ისინი სხვებთან განხილვის დასაწყებად.

აწარმოეთ ჟურნალი, რომელიც დაკვირვების თქვენთვის ხელსაყრელი, მისაღები მეთოდის შერჩევასა და თქვენი ძლიერი თუ სუსტი მხარეების აღმოჩენაში დაგეხმარებათ. იმედი გვაქვს, წიგნის წაკითხვისა და მიღებული ცოდნისა თუ გამოცდილების შემდეგ თქვენც დაფიქრდებით მასწავლებელთა იმ წუხილზე, რომელიც წიგნის შესავალში ვახსენეთ. და როდესაც თქვენამდეც მოაღწევს სხვა მასწავლებლის გულისტკივილით წარმოთქმული ფრაზა „არ მაქვს დრო ყველაფრის ჩასაწერად, რასაც ვხედავ“ და განცდა, რომ დროის უქონლობა აშორებს ბავშვებს, თქვენ იქნებით ის აღმზრდელი, რომელიც დააიმედებს მას პასუხით: „დიახ, დაკვირვება და დოკუმენტირება რთული სამუშაოა, მაგრამ ღირს. მე გამოვყოფ დაკვირვებისთვის საჭირო დროს, რადგან ვხვდები, რამდენად ბევრ ვსწავლო ამ გზით ბავშვების შესახებ!“

თავი 1: რატომ ვაკვირდებით ბავშვებს

თითოეულ ბავშვზე დაკვირვება უკეთ გაცნობთ მათ ხასიათს, თვისებებსა თუ საჭიროებებს. როცა კარგად იცნობ ბავშვს, მასზე ზრუნვაც გიიოლდება. თქვენ უკვე იცით, როგორ აირიდოთ თავიდან პრობლემა და შეგიძლიათ, მარტივად გაუმკლავდეთ ბავშვებს შორის წარმოქმნილ გაუგებრობებს. თქვენ უკვე ხვდებით, როდის ან რაში დაეხმაროთ 3 წლის ბავშვს, რომელიც იმედგაცრუებულია რთული თავსატეხის აწყობისას წარმოქმნილი დაბრკოლებით. თქვენ იცით, რომ 9 თვის ბავშვს, რომელმაც ეს-ესაა დაიწყო ხოხვა, აუცილებლად გაუჭირდება გარკვეული საგნებისთვის გვერდის ავლა. შეხვდებით ბავშვს, რომელსაც უჭირს ოჯახის წევრებთან განშორება და მზად იქნებით, შეუმსუბუქოთ მას ეს ტკივილი. აღმოაჩენთ, რომ ყოველი ბავშვი შემოქმედებითი ნატურაა და სთავაზობთ რესურსებს სხვადასხვა უნარის გამოსავლენად.

ბავშვებზე დაკვირვება იძლევა სრულ სურათს თითოეულის შესახებ, რაც გეხმარებათ კურიკულუმის დაგეგმვაში. დაკვირვების პირობებში, თქვენ შეძლებთ სასწავლო გეგმის ბავშვის საჭიროებებზე, სპეციფიკურ შესაძლებლობებსა თუ ინტერესებზე მორგებას. თქვენ უკვე ფლობთ ინფორმაციას ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების, მათი საყვარელი საქმიანობებისა და ინტერესების შესახებ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით კი შეურჩევთ ისეთ მასალებს და განახორციელებთ პროექტებს, რომლებიც დროის გრძელვადიან პერიოდში აქტიურად ჩართავს ბავშვებს აქტივობებში. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გათვლილი აქტივობები კი გაძლევთ უფრო საფუძვლიანი დაკვირვების საშუალებას.

ბავშვებზე დაკვირვება მათი ზრდის, განვითარების შეფასების ფორმაა, რომელიც რეკომენდებულია ბავშვთა ადრეული განათლების სფეროში. პროფესიული ორგანიზაციები - ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია (National Association for the Education of Young Children -NAEYC) და სახელმწიფო სკოლების ოფიცერთა უმაღლესი საბჭო (CCSSO) - სტრატეგიულ დოკუმენტებსა და წიგნებში უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ ავთენტურ შეფასებას და დაკვირვების განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეფასებისთვისა და კურიკულუმის დაგეგმვისათვის (კოპლი და ბრედეკამპი 2009).

დეანა: ჩემი აზრით, დაკვირვება ბავშვების სხვა კუთხით დანახვის საუკეთესო საშუალებაა. იგი თვალსაჩინოს ხდის სურათს ბავშვების რეალური ბუნების, თვისებების თუ საჭიროებების შესახებ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დაკვირვების მეშვეობით ვეცნობი მათ ინტერესებსა და ემოციურ თავისებურებებს, რაც უფრო ამარტივებს ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვას და შექმნას.

იოიანა: ბავშვზე ხანგრძლივი დაკვირვება გარკვეული დროის შემდეგ სიამოვნებასაც გვგვრის, რადგან, ერთი მხრივ, ბავშვზე ზრუნვაც ნაკლებ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მეორე მხრივ კი მომსწრენი ვხდებით ბავშვების ეტაპობრივი განვითარებისა, რაც ნამდვილად გვახარებს.

ბავშვებზე დაკვირვება უფრო კვალიფიციურს გხდით და თქვენს პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს. დროთა განმავლობაში თქვენი მაღალკვალიფიციურობა ერთგულ მზრუნველადაც გაყალიბებთ.

თქვენ ბუნებრივად აკვირდებით ბავშვებს, როდესაც მათზე ზრუნავთ. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მშობელი, რომელიც ზრუნავს საკუთარ შვილზე ან დეიდა/მამიდა, რომელიც უვლის დის ან ძმისშვილს. ბავშვზე ზრუნვა და დაკვირვება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თქვენ მოქმედებთ ბავშვის განწყობის გათვალისწინებით: როცა ბავშვი გიღიმით, საპასუხოდ თქვენც უღიმით. როცა ბუტბუტებს, თქვენც იმავეს ცდილობთ. თქვენ იცით, კონკრეტულ მომენტში როგორი მოქმედებაა საჭირო. როცა ბავშვი ტირის და მოუსვენრადაა, სხვადასხვა ხერხით ცდილობთ მის დამშვიდებას - აძლევთ საწოვარას, უცვლით საფენებს, უთბობთ საკვებს, ესაუბრებით ალერსიანად, უმღერით და სხვა. თქვენი ყოველი მოქმედება თქვენსავე დაკვირვებას ეფუძნება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თქვენ გამოცდილება გკარნახობთ, როგორ იმოქმედოთ ამა თუ იმ სიტუაციაში.

ფაქტობრივად, იმავე ეტაპებს გადიხართ ოჯახში, როცა სკოლამდელი ასაკის ბავშვზე ზრუნავთ - ყურადღებით უსმენთ მათ, ინტერესდებით მათი აზრებით, აკვირდებით ქცევას, ეხმარებით ახლის სწავლასა და განვითარებაში, ცდილობთ, გამოუმუშავოთ საკუთარი თავის მართვისა და დამოუკიდებლად მოქმედების უნარ-ჩვევები. დაკვირვების წარმოებით მზრუნველი მშობლები თუ ნათესავები მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებენ ბავშვებთან, რაც უფრო გაახლოვებს და გეხმარება მათი ტემპერამენტის დადგენაში, ინტერესებისა და შესაძლებლობების სპექტრის განსაზღვრაში.

თუ თქვენ სკოლამდელი განათლების სფეროში, სპეციალური განათლების პროგრამაში ან ბავშვზე ზრუნვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში მუშაობთ, ბუნებრივად გიწევთ მათზე დაკვირვება. გარდა ბავშვების საჭიროებების, ინტერესების, თავისებურებებისა, სწავლობთ, როგორი მიდგომა, მოქმედება, აქტივობა უფრო შედეგიანია. ბავშვებზე დაკვირვება უფრო გამოცდილ და კვალიფიციურ მასწავლებლად გაქცევთ. ახალ ბავშვებთან ურთიერთობისას გიიოლდებათ მათთან საერთო ენის გამონახვა და მარტივად არკვევთ, რისი გაკეთება შეუძლია ან არ შეუძლია ამა თუ იმ ბავშვს. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას, თქვენ დაკვირვების გზით ცდილობთ მათი ძლიერი მხარეების აღმოჩენას და იცით, რომელია მისთვის განსაკუთრებული სირთულის მქონე სფერო. ბავშვებზე დაკვირვება სამომავლო გეგმების დასახვაშიც გეხმარებათ მათი შემდგომი განვითარების ხელშეწყობასა და არსებული პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებაში.

სპონტანური თუ დაგეგმილი დაკვირვება

რეზიუმე: ჩემი დაკვირვების დოკუმენტირებით ვეხმარები მშობლებს მათი შვილების, როგორც ინდივიდების უკეთ გაცნობაში. ამავდროულად, ეს მასალები ინფორმაციაა ოჯახისთვის, როგორებს ვხედავ მათ შვილებს. ისინი აცნობიერებენ, რომ მე დროს ვუთმობ ბავშვებისა და მათი ოჯახების უკეთ გაცნობას.

არ არის აუცილებელი, დაკვირვება ყოველთვის წინასწარ დაიგეგმოს. იგი შეიძლება სპონტანურიც იყოს. მასწავლებელი მიმდინარე აქტივობის დროს აგროვებს ინფორმაციას ბავშვის შესახებ და ამატებს თავის წარმოდგენებს, შეხედულებებს, რომლებიც ბავშვზე აქვს. სხვაგვარად და უფრო დეტალურად რომ ავხსნათ, სპონტანურ დაკვირვებაში იგულისხმება გარემოება, როცა წინასწარ არაფერს გეგმავთ და არ გაქვთ განსაზღვრული, იმ დღეს კონკრეტულად რას დააკვირდებით. ვთქვათ, რომელიმე თამაშის ან აქტივობისას აღმოაჩენთ რაიმე ახალს, აქამდე უცნობს ამა თუ იმ ბავშვის ინტერესების, შესაძლებლობების ან საჭიროებების შესახებ და იწყებთ მის დოკუმენტირებას იქვე ან მაშინ, როცა ამისთვის მოიცლით. ბევრი მასწავლებლისთვის არაფერი შეედრება იმ განცდას, როდესაც ბავშვი რაიმე ახალს შეიცნობს და პირველად გააკეთებს. შეუძლებელია, მათი გაბრწყინებული სახის, გაფართოებული თვალების დანახვა და გულწრფელი სიხარულით აღმოხდენილი ფრაზის „მე ეს გავაკეთე!“ მოსმენა ემოციების გარეშე. სწორედ თქვენ რომ აღმოჩნდით ამ ყველაფრის მომსწრე და მოგეცათ საშუალება, იმ მომენტში ჩახუტებოდით და მოგელოცათ მათთვის, ალბათ, ეს არის ყველაზე ძვირფასი ჯილდო მასწავლებლისთვის.

ამავდროულად, დაგეგმილი დაკვირვება და დოკუმენტირება აუცილებელი პროცესია, რათა უფრო ღრმად შეისწავლოთ თითოეული ბავშვი, როგორც ინდივიდი და უფრო მკაფიო წარმოდგენა გქონდეთ მათი ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების შესახებ. ამ შემთხვევაში თქვენ ეძებთ და პოულობთ ეფექტურ ხერხებსა თუ გზებს მათ დასახმარებლად და ხელშესაწყობად. დაგეგმილი დაკვირვება საუკეთესო საშუალებაა, გქონდეთ სრული წარმოდგენა და სურათი თითოეული ბავშვის მიერ ყოველდღიურად დაგროვილ გამოცდილებასა და განვითარების ეტაპზე. დაკვირვების ჩანაწერი ერთგვარი „მეხსიერებაა“, რომელიც არ იკარგება. ეს ჩანაწერები ფასდაუდებელი ინფორმაციაა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, გაუზიარებთ სხვებს, გადასცემთ მშობლებს, ამ საქმის სპეციალისტებს და სხვ. დაკვირვების ჩანაწერები არის თქვენი ანგარიში გაკეთებული საქმეების შესახებ. მშობლებისგან არაერთხელ გვსმენია, რომ დაკვირვების ჩანაწერები ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან ეს ინფორმაცია მათთვისაც დამხმარე რესურსია ბავშვებთან ურთიერთობების უკეთესად წარმართვისთვის. დაკვირვების ჩანაწერებით მშობლები უფრო ღრმად იაზრებენ თამაშისა და კვლევითი აქტივობების ღირებულებას და შემდგომ მზად არიან, უფრო აქტიურად ჩაერთონ პროგრამის მსვლელობაში. მშობლისთვის თქვენი დაკვირვება ერთგვარი სარკმელია, რომელმაც შვილების სამყარო სხვაგვარად დაანახა.

დაკვირვების საფუძველზე მიღებული ინფორმაციის გამოყენების ორი მიმართულება

ლილიანი: ბავშვებზე დაკვირვება უფრო ავთენტურია, ვიდრე შეფასების სხვა მეთოდები. ბავშვებზე დაკვირვება იძლევა მკაფიო სურათს მათი ზრდისა და განვითარების ეტაპების შესახებ ბუნებრივ, რეალურ გარემოში. დაკვირვება ეხმარება მასწავლებელს ბავშვის საჭიროებების უკეთ გააზრებაში. ამ მეთოდით იგი ადგენს, ბავშვის განვითარების რომელ ასპექტზე გააკეთოს ფოკუსირება და საჭიროებებიდან გამომდინარე, რა ტიპის აქტივობები დაგეგმოს.

ბავშვებზე დაკვირვებით თქვენ აგროვებთ უსაზღვრო ინფორმაციას, რომლებიც მნიშვნელოვანი და აუცილებელი მასალებია შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის. ეს ორი ასპექტი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ბავშვების ინტერესების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აფასებთ მათ, რაც გაძლევთ სრული სურათის დანახვის საშუალებას. პროცესის გაანალიზების შემდეგ იცით, რა ტიპის აქტივობები, რესურსები შესთავაზოთ ბავშვებს მათი შემდგომი განვითარებისთვის. თქვენ მიერ დაგეგმილი აქტივობების, მასალების, ინტერაქციის პრაქტიკაში განხორციელების შემდეგ კვლავ აგრძელებთ ბავშვებზე დაკვირვებას და იგებთ, რამდენად წარმატებულია დაგეგმილი პროცესი და პასუხობს თუ არა ის ბავშვების საჭიროებებს. ეს ეტაპიც შეფასებით სრულდება, შემდგომი კი კვლავ იგეგმება, რაც ნიშნავს, რომ ეს მუდმივი და შრომატევადი პროცესია.

დაკვირვება ბავშვების შესაფასებლად

ბავშვების შეფასება არ გულისხმობს მათ ტესტირებას. შეფასება ინფორმაციის მოგროვებაა ბავშვის შესაძლებლობების შესახებ, რის შემდგომაც ეს ინფორმაცია ფასდება. ინფორმაციის მოგროვება შეიძლება დაკვირვებისა და დოკუმენტირების საშუალებით. ჩანაწერებში შეგიძლიათ აღწეროთ, რას აკეთებენ და ამბობენ ბავშვები. შეგიძლიათ შეაგროვოთ მათ მიერ შესრულებული ნახატები, სხვა ტიპის ნამუშევრები; ჩანაწერებს თან დაურთოთ ამა თუ იმ აქტივობის დროს გადაღებული ფოტოები; შესაძლებელია, დაკვირვებას ერთვოდეს ამონარიდები მშობელთა ინტერვიუებიდან. შეგროვილი მასალა მონაცემთა ბაზაა, რომელიც გაძლევთ ინფორმაციას ბავშვის განვითარების დონის, ძლიერი და სუსტი მხარეების, პიროვნული თვისებებისა და ინტერესების შესახებ. შეფასებაც შემდგომი ეტაპია. ზემოჩამოთვლილი პროცესების მონაცვლეობითი ანუ კომბინირებული გამოყენება ბავშვის პროგრესისა და სწავლისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ (სახელმწიფო სკოლის უფროს ოფიცერთა საბჭო 2003).

როდესაც მიზანი შეფასებაა, ამ შემთხვევაში ბავშვებზე დაკვირვება წარმოებს ან სპონტანურად, ან წინასწარი დაგეგმვით. დაგეგმილი დაკვირვება ძალიან ფაქიზად უნდა განხორციელდეს. სპონტანური, ანუ არაფორმალური დაკვირვებისას აუცილებელია ჩანაწერების გაკეთება, რათა არ დაიკარგოს ინფორმაცია და არ დარჩეს იგი მხოლოდ თქვენს გონებასა და მეხსიერებაში. დაკვირვების ჩანაწერის გარეშე არ იარსებებს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვში მომხდარი ცვლილებების, მისი პროგრესის თუ მასწავლებლის მიერ ამა თუ იმ სიტუაციის დროს განხორციელებული აქტივობების და მათი შედეგების შემცველი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი. დაკვირვების ჩანაწერების გარეშე შესაძლოა, ყურადღების მიღმა დარჩეს მიკერძოებული დამოკიდებულება ან წინასწარგანწყობები, რაც უარყოფითად იმოქმედებს ბავშვთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამიტომ, არ არის რეკომენდებული, შეფასების პროცესი მხოლოდ შემფასებლისთვის „შინაგანი“ პროცესი იყოს.

რობინი: მთელი ჩემი სწავლება დაფუძნებულია დაკვირვებებზე. სწავლების დიფერენცირებას დაკვირვებას მეშვეობით ვახორციელებ. ვსწავლობ თითოეული ბავშვის ძლიერ მხარეებს და ვირჩევ სტრატეგიებს ამ მხარეებზე დაფუძნებით სხვადასხვა უნარის გამოსამუშავებლად.

შეფასებისთვის არაფორმალური დაკვირვება შედეგიანია იმ შემთხვევაში, თუკი იგი ფორმალურ, დაგეგმილ და დოკუმენტირებულ დაკვირვებასთან მონაცვლეობს. ბავშვების მიერ გამოთქმული აზრებისა და მათი საქმიანობების შესახებ ინფორმაციის ჩაწერით თქვენ შექმნით საქმეს თითოეული ბავშვის შესახებ. ეს ინფორმაცია კი ბევრ რამეში გამოგადგებათ: სხვებისთვის გასაზიარებლად, ბავშვის განვითარების ეტაპების შესახებ უფრო მკაფიო წარმოდგენის შესაქმნელად და ა.შ. ფორმალური, დაგეგმილი და დოკუმენტირებული დაკვირვება არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ შეუმჩნეველი არცერთი ბავშვი დაგრჩებათ. თქვენ გექნებათ ინფორმაცია თითოეული ბავშვის განვითარების ყველა სფეროს შესახებ, რაც დახმარებას გაგიწევთ შემდგომი მოქმედებების დასაგეგმად.

როდესაც აკვირდებით ბავშვს მისი განვითარების შესაფასებლად, უფრო მასშტაბურად იწყებთ ფიქრს. თქვენ ცდილობთ გაგებას, კოგნიტური განვითარების რომელ საფეხურზეა ბავშვი, როდესაც ის ჩართულია კომპლექსურ თამაშში, ან როგორია ბავშვის ზოგადი კომპეტენციები სოციალურ - ემოციურ სფეროში. ასევე, შესაძლებელია დააკვირდეთ ისეთ შემთხვევებს, როდესაც სპეციფიური უნარ-ჩვევების გამოვლენა ხდება. შემდგომ მსგავსი ტიპის სპეციფიკური დაკვირვების დაკავშირება შეიძლება ადრეული სწავლის გზამკვლევებთან ან განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალთან (ე.წ. „ჩეკლისტები“), რომელიც აერთიანებს ინფორმაციას სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის კოგნიტური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური სფეროების შესახებ. ასეთი წყაროების საშუალებით თქვენ მიერ წარმოებული დაკვირვებების შეფასება იძლევა შედარების საშუალებას - რამდენად შეესაბამება ამა თუ იმ ბავშვის მიღწევები მისი ასაკისთვის დადგენილ გონივრულ

მოლოდინებს. ამ პროცესისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სანდო წყაროების შერჩევა. მე-2 თავში ვისაუბრებთ ადრეული სწავლის გზამკვლევების ეფექტიანად გამოყენების გზებზე დაკვირვებისა და შემდგომ - მათი დოკუმენტირებისას. მე-5 თავში კი სიღრმისეულად ავხსნით, შეფასებისთვის როგორ ვაკვირდებით და აღვწერთ პროცესს ადრეული სწავლის გზამკვლევების, განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალისა და სხვა რესურსების გამოყენებით.

დაკვირვება კურიკულუმის დასაგეგმად

ბავშვებზე დაკვირვება და მათი შესაძლებლობების დადგენა არ ხორციელდება მხოლოდ ანგარიშვალდებულების მიზნით. ეს პროცესი გეხმარებათ დაგეგმოთ კურიკულუმი, რომელიც პასუხობს ბავშვის საჭიროებებს. თითოეული ბავშვის უნარ-ჩვევების იდენტიფიცირება არის ის ფუნდამენტი, რომელზეც იგება კურიკულუმი. როცა არსებობს საბაზისო ცოდნა და იდენტიფიცირებულია ფუნდამენტი, დგება ეტაპი, როცა ადგენთ, რა ტიპის მასალები, აქტივობები, უფროსებთან ან თანატოლებთან ურთიერთობის რა სიხშირე და ხარისხი იქნება საჭირო ბავშვის განვითარების არსებული საფეხურის ხელშეწყობისა და უფრო ზედა დონის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მხარდაჭერისთვის.

კურიკულუმის დაგეგმვისთვის დაკვირვება შეიძლება იყოს სპონტანური და არაფორმალური ან უფრო ფოკუსირებული და დაგეგმილი. თქვენ შეიძლება სპონტანურად, იმწამიერი სიტუაციის გათვალისწინებით უპასუხოთ ბავშვის რომელიმე მოთხოვნას, მიაწოდოთ მოთხოვნილი მასალა, ან დაამატოთ სკამები პლასტილინით სათამაშო მაგიდის ირგვლივ, თუ ამის საჭროებას დაინახავთ. თქვენ ამოიყვანთ ჩვილს საწოლიდან და ხელში აყვანილს ატარებთ ოთახის ბოლომდე, როცა მას მღელვარებას ან მოუსვენრობას შენიშნავთ. აქ ნახსენები გადაწყვეტილებები სპონტანური დაკვირვების შედეგია, ანუ თქვენი იმწამიერი რეაქცია მომხდარზე, რასაც შემდგომ ჩანაწერად აქცევთ და რამაც შეიძლება ბიძგი მისცეს მასალების, გარემოს ან ბავშვთან ურთიერთობის ცვლილებებს.

უმეტესად, ფოკუსირებული დაკვირვებისა და დაგეგმვისთვის უნდა მოხდეს იდენტიფიცირება ჯგუფში ისეთი სივრცეებისა/თემატური ცენტრებისა, სადაც უფრო სიღრმისეულად დავაკვირდებით. შესაძლოა შეამჩნიოთ, რომ ჯგუფში თამაშისთვის განკუთვნილი ესა თუ ის სივრცე აუთვისებელი და გამოუყენებელია, ხოლო სხვა სივრცეები - მუდმივად გადავსებული ბავშვებით. ამ შემთხვევაში სხვაგვარად, უფრო გონივრულად უნდა მოეწყოს ოთახი და გაუმჯობესდეს გარემო. შეიძლება, ერთი კვირის განმავლობაში ბავშვები გატაცებულნი იყვნენ აკვარიუმში მოცურავე ფერადი თევზებით, რომელიღაც დღეს კი სულ სხვა რამით დაინტერესდნენ. აუცილებელია, ვიყოთ გულისხმიერნი და განვსაზღვროთ, როგორ მივყვეთ ბავშვების ინტერესებს. ბავშვების ინტერესების გარკვევა დაგვეხმარება, განვუვითაროთ მათ აქტივობებში ჩართვის, გაგებისა თუ წვდომის უნარ-ჩვევები. პერიოდულად ჯგუფში მომუშავე კოლეგები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს და წყვეტენ, ვინ დააკვირდება ამა თუ იმ აქტივობას, ან რომელიმე უნარ-ჩვევას დემონსტრირების პროცესში. ბევრი მასწავლებელი თუ პედაგოგთა ჯგუფი წინასწარ საზღვრავს, რომ დააკვირდნენ ბავშვის, ვთქვათ, ნატიფ მოტორულ უნარებს. ამ მიზნით მასწავლებლები ამარაგებენ ბავშვებს საჭირო მასალებით, რომლებზეც მუშაობა ავლენს, რამდენად განვითარებული აქვს ამა თუ იმ ბავშვს ნატიფი მოტორიკა. ასეთი დამხმარე მასალები შეიძლება იყოს სპეციალური დაფა - სხვადასხვა ფორმის ჭრილებითა და შესაბამისი ფიგურებით, ასაწყობი სათამაშოები, ფაზლები და სხვა. დაისახეთ დაკვირვების მიზანი, ხოლო დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია, რომელიც აუცილებლად უნდა ჩაიწეროთ, შემდგომში პროცესების ახლებურად გააზრებასა და დაგეგმვისას უფრო ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებაში დაგეხმარებათ. წიგნის მე-7 თავში უფრო დეტალურად

ვისაუბრებთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების აუცილებლობაზე კურიკულუმის დაგეგმვისას.

იმისათვის, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვმა შეძლოს წარმატების მიღწევა, მნიშვნელოვანია, აქტივობები მორგება დაკვირვების საფუძველზე ხდებოდეს. მასწავლებელი უნდა იცნობდეს და ითვალისწინებდეს ოჯახის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის (ომიგ) ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიზნებს და იწერდეს გზებს, ხერხებს, რომელთაც ბავშვი ამ მიზნების მისაღწევად იყენებს. თუ დაკვირვებისა და დოკუმენტირების პროცესი სხვადასხვა მიზეზის გამო გამოუყენებელი აღმოჩნდა შეფასებისა და ბავშვის განვითარების სფეხურის განსაზღვრისთვის, ის აუცილებლად დაგეხმარებათ სწავლების სტრატეგიების გასაუმჯობესებლად და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დასანერგად.

რა შეგიძლიათ ისწავლოთ ბავშვზე დაკვირვების შედეგად

არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რა მიზნით აკვირდებით ბავშვს - შეფასებისთვის თუ კურიკულუმის დაგეგმვისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენ უფრო მეტს ისწავლით ბავშვის შესახებ. დაკვირვება და დოკუმენტირება იძლევა სრული სურათის დანახვის შესაძლებლობას და გვაჩვენებს, რა არის ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც უნდა ვიცოდეთ ბავშვების შესახებ. თქვენ გექნებათ ინფორმაცია ბავშვის ქვემოთ ჩამოთვლილი ასპექტების შესახებ:

- განვითარების შესაძლებლობები სოციალურ, ემოციურ, ფიზიკურ და კოგნიტურ სფეროებში
- პიროვნული მახასიათებლები
- რთულ სიტუაციებთან გამკლავებისა და პრობლემების გადაჭრის გზები;
- ამა თუ იმ ქცევის მიზეზები
- შინაგანი ინტერესები, განცდები და ემოციები
- ბავშვების მიერ მიღებული ინფორმაცია და მასზე აგებული ცოდნა
- კულტურული კონტექსტის გამოხატულების თავისებურება.

პემი: სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობისა და სწავლების ექვსწლიანი გამოცდილება მაქვს და ვხვდები, რომ ბავშვებს გაცილებით უკეთ ვიცნობ, ვიდრე ოდესმე, რადგან ყოველდღიურად ბუნებრივ გარემოში ვაკვირდები მათ. უკვე წესად მექცა, რომ ყურადღება მივაქციო ყველა წვრილმანს, რასაც კი ისინი აკეთებენ.

მომდევნო გვერდებზე წარმოდგენილია დაკვირვების რამდენიმე ჩანაწერი, რომლებიც ბავშვების ზემოთ ჩამოთვლილი შესაძლებლობებისა და მათ საფუძველზე შეძენილი ცოდნის ილუსტრირებაა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ დაკვირვების პროცესში დროის დიდი ნაწილი დაეთმობა ბავშვის განვითარების *სხვადასხვა* ასპექტის შესწავლას. რთულ სიტუაციებთან გამკლავებისას და წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას, ბავშვის სხვადასხვა ასპექტში დანახვა და მისი აქამდე უცნობი შესაძლებლობების, თუნდაც - ინტერესების - აღმოჩენა შეიძლება. დაკვირვების ქვემოთ მოცემულ ჩანაწერებში აქცენტს ვაკეთებთ კონკრეტულ მაგალითებზე, რომლებიც გვკარნახობს, როგორ გამოვიყენოთ დაკვირვების შედეგად

მოპოვებული ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესაფასებლად და ბავშვზე ორიენტირებული კურიკულუმის დასაგეგმად.

ბავშვის განვითარების შესაძლებლობების შესწავლა

ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თამაშსა და აქტივობებში მათ მონაწილეობაზე დაკვირვებით ვაგროვებთ ფაქტებს განვითარების პროცესში ბავშვების უნარების შესახებ. ეს შეიძლება საუზმის დროს წარმოებული დაკვირვებაც იყოს. უსაზღვროა პოტენციალი უშუალოდ ქმედების პროცესში განვითარების ეტაპების დანახვისა. ქვემოთ გთავაზობთ ჩანაწერს ეინჯელზე დაკვირვებისა, რომელიც სულ რაღაც 4-5 წუთი გრძელდებოდა. ეს არის ერთგვარი გასაანალიზებელი სავარჯიშო თქვენთვის. ჩანაწერის წაკითხვისას, ჩამოწერეთ განვითარების სფეროები (კოგნიტური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური), რომლებსაც ეს დაკვირვება აერთიანებს.

ეინჯელი (4 წლის და 10 თვის)

საუზმის დროს ეინჯელი ინახავს სკამს მხოლოდ მეგობარი ლუისთვის და მიმართავს მას: „შენ აქ, ჩემ გვერდით ჯდები!“ შემდეგ იღებს სამ კრეკერს, ალაგებს მათ ხელსაწმენდზე და ამავდროულად ხმამაღლა ითვლის: „ერთი, ორი, სამი“. იგი იყენებს დანას კრეკერებზე არაქისის კარაქის თანაბრად გადასანაწილებლად, რის შემდეგაც ხმამაღლა ამბობს: „კიდევ ერთი წვენი, თუ შეიძლება!“ მეგობრებთან საუბარში ამბობს: „ჩვენ ფერმაში გვყავს ქათმები და თხები. თხები ისე აუტანლად ხმაურობენ, რომ მიწევს ყურებზე ხელის დაფარება. ძალიან ხმაურიანები არიან თხები“. ეინჯელი იღებს ორ ხელსაწმენდს და იფარებს მათ ყურებზე. იმავეს იმეორებს მისი მეგობარი ლუიც, ოღონდ მცირედი განსხვავებით - იგი ყურებზე მისაფარებლად ხელსაწმენდების ნაცვლად კრეკერებს იყენებს. ბიჭები გულიანად იცინიან.

დაკვირვების ამ მოკლე ჩანაწერით განისაზღვრა ეინჯელის შესაძლებლობები, რომლებსაც ქვემოთ განვიხილავთ. ეინჯელის შესაძლებლობები დავყავით სფეროებად და განვუსაზღვრეთ მიმართულებები. ფაქტობრივად, დაკვირვების ამ მცირე მონაკვეთშიც კი გამოვლინდა ბავშვის შესაძლებლობები განვითარების ყველა ძირითადი სფეროდან:

კოგნიტური განვითარება: ითვლის სამამდე და წარმოთქმულ რიცხვს უსადაგებს ამა თუ იმ საგანის იმავე რაოდენობას (ამ შემთხვევაში - კრეკერს). იაზრებს, რომ დაიფაროს ყურები ხელსაწმენდით. იყენებს მეტყველებას რისამე დამატების მოსათხოვნად. გადმოსცემს/გამოხატავს ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

ფიზიკური განვითარება: მაგიდასთან ზის სკამზე. ახერხებს არაქისის კარაქის კრეკერზე დანით წასმას.

სოციალური განვითარება: სთხოვს მეგობარს მის გვერდით ჯდომას.

ემოციური განვითარება: ლაპარაკობს მეგობართან და იღებს სიამოვნებას.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. შეფასება გულისხმობს ეინჯელის შესაძლებლობების დაკავშირებას ასაკისთვის შესაბამისი განვითარების გონივრულ მოლოდინებთან. თუ გადახედავთ ადრეული სწავლის გზამკვლევებს, განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალს ან ინფორმაციის სხვა წყაროებს, დაადგენთ, რომ ეინჯელის უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები მიჰყვება მისი ასაკისთვის დადგენილ ნორმებს - ადეკვატურია მეგობართან ურთიერთობისას, სწორად იყენებს მეტყველებას საკუთარი თავის გამოსახატად, განვითარებული აქვს ნატიფი მოტორიკა და მარტივად უძღვება კრეკერზე დანით კარაქის წასმის სხვებისთვის საკმაოდ რთულ მოქმედებას. ალბათ, გაიფიქრეთ, რომ სამამდე დათვლა ერთი-ერთთან შესაბამისობით უფრო მცირე ასაკის ბავშვის დონეა. განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალში მითითებულია, რომ თითქმის 5 წლის ბავშვმა უნდა შეძლოს მეტი რაოდენობის საგნის დათვლა.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. თქვენ შესაძლოა გადაწყვიტოთ, რომ ერთადერთი, რაც ეინჯელს სოციალური, მეტყველებისა და ფიზიკური განვითარებისთვის სჭირდება, თქვენი და თქვენი კოლეგების მხარდაჭერაა. კოგნიტურ სფეროში კი, შესაძლებელია, გადაწყვიტოთ თვლაზე ორიენტირებული აქტივობების ჩატარება, იმისა გასარკვევად, შეუძლია თუ არა ეინჯელს უფრო მეტი რაოდენობის დათვლა და ერთი-ერთთან შესაბამისობის დადგენა. მაგალითად, დაითვალოს ბავშვები, სკამების რაოდენობა, რამდენი ბავშვი დახტის ბატუტზე და რამდენი საქანელაზე ერთობა.

ბავშვების პიროვნული მახასიათებლების შესწავლა

პეგი: ბავშვებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ყველა ბავშვს სხვადასხვაგვარი ტემპერამენტი და საკითხების ირგვლივ განსხვავებული შეხედულება აქვს. სისტემატური დაკვირვება მაჩვენებს, ვის რისი და როგორ გაკეთება შეუძლია. როგორ გამოხატავენ აღტაცებას, სიხარულს, ცნობისმოყვარეობას, სიმშვიდეს. ეს მიქმნის წარმოდგენას ბავშვების პიროვნების შესახებ.

როდესაც ბავშვებს აკვირდებით, თქვენ ხედავთ მათ უნიკალურობას, მათი მოქმედების, თვითგამოხატვის განსხვავებულ ხერხებს. ამა თუ იმ აქტივობაში, თამაშში ჩართულ ან ნებისმიერი სხვა მოქმედების უშუალო განხორციელებისას ბავშვებზე დაკვირვება ერთობ საინტერესო პროცესია, რომელიც ძალიან ბევრ და ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის მათ შესახებ. თქვენც ფლობთ ინფორმაციას, რომელიც გეხმარებათ თითოეული ინდივიდის ჯგუფში ინტეგრაციაში. ქვემოთ გთავაზობთ კასანდრაზე დაკვირვების ჩანაწერს. წაიკითხეთ და იფიქრეთ, როგორი პიროვნებაა კასანდრა.

კასანდრა (3 წლისა და 11 თვის)

კასანდრამ რამდენიმე დღე გააცდინა და ჯგუფში დაბრუნებისას მასწავლებელს უთხრა: „გამარჯობა, მე დავბრუნდი. მოგენატრეთ?“ მასწავლებელი პასუხობს, რომ ძალიან მოენატრა, უხარია მისი გამოჯანმრთელება და ჯგუფში დაბრუნება. შემდეგ კასანდრა

მიდის ერთ-ერთ თანატოლთან და ეუბნება: „გამარჯობა. ხედავ, დავბრუნდი და აღარ ვტირი. წამოდი, ვითამაშოთ.“

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. თვალნათელია, რომ კასანდრას პოზიტიური თვითშეფასება აქვს. დაკვირვების ამ მცირე ჩანაწერის მიხედვით, თითქმის 4 წლის კასანდრას ეგოცენტრულობა თვალსაჩინოდ ჩანს. იგი დარწმუნებულია, რომ მისი არყოფნით ანერვიულა მასწავლებელიც და მეგობარიც. ის ბრწყინვალედ იყენებს მეტყველებას, როგორც თვითგამოხატვის იარაღს. თუ დავეყრდნობით განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალს, კასანდრა აბსოლუტურად შეესაბამება მისი ასაკის ბავშვების განვითარების დონეს.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. კასანდრას რომ იცნობდეთ, გეცოდინებოდათ წარსულში მის ემოციებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ. პროგრამაში ჩართვის პირველ დღეებში მოწყენილი იყო და ტიროდა. განსაკუთრებით რამდენიმე გაცდენილი დღის შემდეგ დაბრუნება უჭირდა. შეიძლება ვიფიქროთ, იგი ჯგუფთან შეგუებას ღიმილით და უცრემლოდ ცდილობს. კასანდრას წაახალისებთ და საკუთარ ძალებში დაარწმუნებთ, თუ ეტყვით, რომ გაიზარდა, უფრო მეტად თავდაჯერებულია და ჩაეხუტებით. შეიძლება ასე უფრო შეუმსუბუქოთ ოჯახთან განშორებით გამოწვეული სევდა. კასანდრას მოსაკითხად მოსულ მშობელს მოუყევით დილის ამბავი - როგორ უცრემლოდ და ღირსეულად გადაიტანა ბავშვმა მშობელთან განშორება. თუ კასანდრას მომავალში კვლავ ექნება მძიმე დღეები, შეახსენეთ ამ წარმატებული დღის შესახებ, შეაქეთ და შესთავაზეთ თავისი განცდებისა და ემოციების სხვა ხერხებით, მაგალითად, ხატვით გამოხატვა.

როგორ უმკლავდებიან ბავშვები რთულ სიტუაციებს

ბავშვებზე ზრუნვის პროცესი თვალნათლივ დაგანახებთ სირთულეების გამკლავების მათ უნარ-ჩვევებს. ჯგუფურ სიტუაციებში ადაპტირება საკმაოდ რთულია მათთვის და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარებას მოითხოვს. ქვემოთ გთავაზობთ კორლინზე დაკვირვების ჩანაწერს. ეცადეთ, ჩამოწეროთ სტრატეგიები, რომელთაც ის აღელვებისას იყენებს საკუთარი თავის დასამშვიდებლად.

კორლინი (1 წლის და 3 თვის)

როდესაც კორლინი თვალების ფშვნეტას და საუზმის შემდეგ ტირილს იწყებს, მიდის თავის ადგილამდე, იღებს საფენების ჩანთას, შიდა ჯიბეში ეძებს საწოვარას და პირში იდებს მას. შემდეგ პოულობს თავის პლედს და საწოლზე იძინებს.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. კორლინი დამოუკიდებლად ეძებს თავის საწოვარას თავის დასამშვიდებლად. მან იცის, სად დევს საწოვარა და თავად პოულობს მას. თუ გადავხედავთ განვითარების ჩამონათვალს, ვნახავთ, რომ მას აქვს პრობლემის დაძლევის შესანიშნავი უნარები, რომლებიც შეესაბამება თავისი ასაკის განვითარების დონეს.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. დაკვირვება შესაძლებელს ხდის, არ მივიყვანოთ პატარა კორლინი ტირილამდე და არ დავუშვათ სიტუაციის გართულება. პატარას თავიდან ავაცილებთ ტირილს, თუ ახლომახლო გვექნება საწოვარა და სათამაშო. მოფერებამ და დაყვავებამ შეიძლება მშვიდად ჩააძინოს კორლინი.

ბავშვთა ქცევის გააზრება

დაკვირვება გვეხმარება ბავშვთა პოზიტიური თუ ნეგატიური ქცევების გააზრებაში. ბევრი ბავშვი, როგორიცაა ქვემოთ მოცემული ჩანაწერის გმირი ანსენი, ძალიან ცდილობს, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილების ხელსაყრელი გზები იპოვოს, მაგრამ ხშირად არ გამოსდით, გაწბილებულნი რჩებიან და დარტყმით ან სხვა ფიზიკური ხერხებით ცდილობენ ურთიერთობების დალაგებას. ასეთ შემთხვევებში ბავშვებს სხვა ბავშვებთან საურთიერთოდ მასწავლებლების დახმარება სჭირდებათ. წაიკითხეთ დაკვირვების ჩანაწერი ანსენის შესახებ და გაიაზრეთ მისი ქცევის თავისებურებები.

> **ანსენი** (4 წლის და 10 თვის)
>
> ანსენი თამაშობს დაკიდულ ძელაკებზე. სხვა ბავშვი იმავე ძელზე თავდაყირა ჰკიდია. ანსენი ეკითხება: „როდის მორჩები? მე დიდი ხანია გელოდები“. ბავშვი არ პასუხობს. ანსენი ელოდება რამდენიმე წუთი და შემდეგ მაღლა სწევს მუშტს. მასწავლებელი მიდის და ინტერესდება, რატომ უღერებს მუშტს ანსენი სხვა ბავშვს. ანსენი პასუხობს, რომ მისი ჯერია, მაგრამ კრისტენი ჩამოსვლას არ ჩქარობს, თანაც ენაც გამოუყო. იქნებ, მუშტის მოღერებაზე უკეთეს ხერხს მიაგნო ამ პრობლემის მოსაგვარებლად - სთავაზობს ალტერნატიულ გზას მასწავლებელი. ანსენი პასუხობს, რომ მან ეს სცადა, მაგრამ ის ბავშვი არ უსმენს, რადგან ყველაფერი მხოლოდ თავისთვის სურს. მასწავლებელი სთხოვს „მეტოქეს“, ანსენს მოუსმინოს. ანსენი ჯგუფელს მიმართავს: „როდესაც მორჩები, ჩემი ჯერია. მე არ დაგარტყამ, მაგრამ შენ უნდა მომისმინო“. მასწავლებელი ელაპარაკება ორივე ბავშვს და ისინი აგრძელებენ ძელაკებზე თამაშს.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. ანსენს უჭირს თვითკონტროლი, როდესაც იმედგაცრუებულია, მაგრამ ამავდროულად, მასწავლებლის სიტუაციაში ჩართვის შემდეგ ახერხებს საკუთარი გრძნობებისა და ემოციების სიტყვიერად გამოხატვასა და თავის ფლობას. განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალის მიხედვით, მსგავსი უთანხმოებების გადაწყვეტა ზრდასრულის დახმარებით შეესაბამება ამ ასაკის ბავშვების განვითარების დონეს.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. სავარაუდოდ, ანსენს კვლავ დასჭირდება უფროსი ადამიანის ჩართვა სიტუაციების განსამუხტად და ურთიერთობების მოლაპარაკების გზით დასარეგულირებლად. თქვენ და თქვენმა კოლეგებმა შესაძლოა, მოილაპარაკოთ, რომ ყოველთვის თვალყური ადევნოთ მას, რათა საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროთ პრობლემის უმტკივნეულოდ მოგვარებაში. როდესაც ის უთანხმოებებს მშვიდობიანად მოაგვარებს, წაახალისეთ, ჩაეხუტეთ და ხელი ჩამოართვით „მოლაპარაკების დიდოსტატს“.

ბავშვების შინაგანი ინტერესებისა და გრძნობების აღმოჩენა

ელიზაბეტი: დაკვირვების მეშვეობით მე ვსწავლობ ბავშვების ძლიერ მხარეებსა და მათ საჭიროებებს. ვიგებ, რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ; რა არის მათთვის მნიშვნელოვანი და როგორ ფიქრობენ. მე ასევე ვიღებ თითოეული ბავშვის შესაძლებლობების საწყის შეფასებას.

დაკვირვება ბავშვების ინტერესების აღმოჩენაშიც გეხმარებათ. მიაქციეთ ყურადღება და ჩაიწერეთ, ოთახის რომელ კუთხეში უყვართ უფრო მეტად ყოფნა; რა მასალებს უბრუნდებიან კვლავ და კვლავ, რითი ინტერესდებიან და რაზე ლაპარაკობენ; რომელი თამაში უფრო იტაცებთ; რა არის მათთვის მნიშვნელოვანი. ამ ყველაფრის ცოდნა აუცილებლად დაგეხმარებათ ბავშვზე ორიენტირებული, მის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე გათვლილი კურიკულუმის დაგეგმვაში, ეს კი ბავშვის სწავლის მოტივაციის საფუძველს ქმნის. წაიკითხეთ დარიუსსა და ჯასტინზე ქვემოთ მოცემული დაკვირვების ჩანაწერები. დააკვირდით, თუ როგორ გამოხატავენ ისინი ინტერესს კულინარიის მიმართ და შემდეგ ჩამოწერეთ აქტივობები, რომლებსაც დაგეგმავდით ამ ბიჭებისთვის შენობაში და შენობის გარეთ, რათა არ გაუნელდეთ ინტერესი ზემოხსენებული საქმიანობისადმი.

დარიუსი (4 წლის და 5 თვის), **ჯასტინი** (4 წლის და 8 თვის)

კულინარიული პროექტის შემდეგ დარიუსი და ჯასტინი სილაში თამაშობენ. დარიუსი სთავაზობს ჯასტინს: „მოდი ის გავაკეთოთ, რასაც ანტონიოს დედა აკეთებს. მომაწოდე ერთი სუფრის კოვზი შაქარი. გავტეხოთ კვერცხები. ჩვენ გვჭირდება რძე, დარიჩინი და ერთი ჩაის კოვზი მარილი“. ჭიქაში ქვიშის დასამატებლად ის იყენებს ნიჩაბს. შემდეგ იღებს ჭიქას და შიგთავსს ცლის თასში. იღებს კოვზს, კვლავ ამატებს სილას და კოვზით ურევს თასში. შემდეგ შიგთავსი გადააქვს თეფშზე და ეუბნება ჯასტინს: „კარგი, ახლა წაიღე ეს ღუმელში“.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. ორივე ბიჭი ცდილობს კერძის მომზადების ყველა იმ ეტაპის გათამაშებას, რასაც უყურებდნენ ჯგუფში კულინარიული აქტივობების დროს. რეალური ობიექტების სილის მეშვეობითა და ამ სახით წარმოდგენა მეტყველებს მათი აბსტრაქტული აზროვნებისა და წარმოსახვის კარგად განვითარებულ უნარებზე - ისინი ფლობენ მათი ასაკის ბავშვებისთვის დამახასიათებელ ყველა მნიშვნელოვან კოგნიტურ უნარს.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. დარიუსისა და ჯასტინის მოპატიჟება წასახემსებელი საჭმლის მომზადებაში, იოლი რეცეპტების დაწერაში, შემდგომი კულინარიული აქტივობების დაგეგმვაში, საზომი ჭიქისა და კოვზების გამოყენება სილასა და წყალში - ყველა აქ ჩამოთვლილი აქტივობა კარგი საშუალებაა ამ დაკვირვების საფუძველზე კურიკულუმის დაგეგმვისთვის.

ბავშვების მიერ კონსტრუირებული (აგებული) ცოდნისა და მიღებული ინფორმაციის შესწავლა

თამაშისა და სხვადასხვა მასალის გამოყენებისას, ბავშვები ხშირად გაჩვენებენ, რა ინფორმაცია და ცოდნა მიიღეს და რა უნარებზე მუშაობენ. გაეცანით ფერნანდოს შესახებ შემდეგ ჩანაწერს და განსაზღვრეთ, რა ცოდნასა და უნარებს ავლენს ის ამ დაკვირვებაში.

ფერნანდო (3 წლის და 7 თვის)

სახატავ მაგიდასთან ხატვის დროს ფერნანდო იყენებს ბევრი ფერის მარკერებს. როდესაც ასრულებს ნამუშევარს, ვთხოვ, მომიყვეს მისი ნახატის შესახებ. ის მითითებს დიდი, ყვითელი წრისაკენ და ამბობს, რომ ეს არის დიდი ცხოველი. შემდეგ ამბობს: „ეს იისფერია, ეს კი- წითელი“. ფერნანდო იღებს იისფერ მარკერს და ხატავს ასო „ფ“-ს მარცხენა კუთხეში. ის ამბობს, რომ „ფ“ ფერნანდოს აღნიშნავს.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისთვის. ფერნანდო ავლენს საწყისი წიგნიერებისა და ნატიფ მოტორულ უნარებს, როდესაც ხატავს წრეს და ასოს „ფ“, რაც განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალის მიხედვით, მისი ასაკისთვის კარგად განვითარებულია. მისი ლექსიკა მზარდია, ფერების ცნების წვდომის უნარი - გამოკვეთილი.

ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვისთვის. ფერნანდოს შეიძლება მოეწონოს თამაში ბარათით, რომლზეც ისე იქნება მისი სახელი გამოსახული, რომ მასში ბავშვი სხვა ასოებსაც ხედავდეს და ეცადოს მათ წარმოდგენას. წერისას ნატიფი მოტორიკის გასავითარებლად ბავშვებს მიეცით პლასტილინით ძერწვის (ან სათამაშო ფერადი ცომით), ძაფებზე მძივების ასხმის, მცირე ზომის კუბებით კონსტრუქციების აგებისა და ხატვის საშუალება. შესთავაზეთ მათ საგნების ერთმანეთთან დაკავშირება და მათზე წარწერების გაკეთება. ამ ტიპის აქტივობები ბავშვების ლექსიკის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ბავშვების მიერ მათი კულტურული კონტექსტის გამოხატვის შესწავლა

ბავშვების კულტურული კონტექსტი თავს იჩენს თამაშსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში განხორციელებული აქტივობებისას. ზოგჯერ მასწავლებლის შეხედულებები, თუ როგორ უნდა მიირთვას საკვები ან ისარგებლოს ტუალეტით ბავშვმა, განსხვავდება ოჯახის წარმოდგენებისგან. რამდენადაა ეს განსხვავებული შეხედულებები კულტურის, სოციალური ჯგუფის (კლასის) ან სხვა ფაქტორების გავლენა? ბავშვზე კვალიფიციურად ზრუნვისა და დახმარებისთვის ეს განსხვავება კარგად უნდა გაიაზროთ. გაეცანით ჩანაწერს იუტას შესახებ და ჩაინიშნეთ, რა განსხვავებაა მასწავლებლის წარმოდგენებსა და ბავშვის/ოჯახის მოლოდინებს შორის.

იუტა (1 წლის და 8 თვის)

სკამზე მჯდარი იუტა ყოველდღე ელოდება, როდის აჭმევენ. ის არასდროს ჭამს ლანგრით მირთმეულ კერძს ჩვენი დახმარების გარეშე. მას ჩვენ უნდა ვაჭამოთ.

ინფორმაციის გამოყენება შეფასებისა და დაგეგმვისთვის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მასწავლებელმა ჩათვალა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია მწირია და მეტს საჭიროებდა. აი, რას ამბობს მასწავლებელი თანამშრომელთა გუნდის შემდგომი მოქმედების შესახებ:

> *ოჯახთან საუბრის შემდეგ გავიგეთ, რომ იაპონური ოჯახებისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ბავშვის ხელით კვება დიდი ხნის განმავლობაში - ეს პროცესი შეიძლება ბავშვის სკოლაში წასვლის დროსაც კი გაგრძელდეს. ჩვენი ჯგუფი გაერკვა სიტუაციაში და გაიაზრა, რომ ბავშვის ხელით კვება იუტას ოჯახის კულტურის ნაწილია და მას შემდეგ ხელით აჭმევენ ბავშვს.*

დაკვირვება გაწვდით უამრავ ინფორმაციას ბავშვების შესახებ. თქვენი გადასაწყვეტია, როგორ გამოიყენებთ ამ ინფორმაციას ბავშვთა ქცევების სრულად გასააზრებლად. არსებული ინფორმაციის სწორად გამოყენება უფრო კვალიფიციურ მასწავლებლად გაქცევთ და შეძლებთ მიღებული ცოდნა სხვებსაც გაუზიაროთ.

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის განსაზღვრა

დაკვირვების პროცესი ყველა მასწავლებლისთვის ინდივიდუალურია. ბავშვებზე დაკვირვების თქვენი უნიკალური მეთოდისა თუ სტილის პოვნა, რაც გულისხმობს დაკვირვების ჩანაწერის დროულ აღრიცხვას, ჩანაწერების მოწესრიგებას, მათ შეფასებასა და არსებული ინფორმაციის ოჯახისთვის მიწოდებას, პროფესიული ზრდის განმსაზღვრელია. ამ წიგნში აღმოაჩენთ თქვენთვის ახალ და საინტერესო იდეებს, რჩევებსა თუ სტრატეგიებს, რომლებსაც ადრეული ბავშვობის პერიოდის გამოცდილი პროფესიონალები წარმატებით იყენებდნენ. გაეცანით ამ იდეებს და აღმოაჩინეთ დაკვირვების თქვენი უნიკალური და ეფექტური მეთოდი, რომელიც წარმატებებს მოგიტანთ ბავშვებთან და მათ ოჯახებთან მუშაობისას. შემდეგ თავში ვისაუბრებთ დაკვირვების გამოყენების გზებზე ადრეული სწავლის გზამკვლევების კვალდაკვალ. ამ ორი ასპექტის ინტეგრირებით მასწავლებლები ცდილობენ, ბავშვის განვითარებაზე მორგებული ზრუნვის გზები შეესაბამებოდეს სახელმწიფო დოკუმენტებში დადგენილ ნორმებსა თუ მისაღწევ შედეგებს.

* * *

დაკვირვების პრაქტიკა #1: რას გვასწავლის ბავშვზე დაკვირვება

მიზანი: განვსაზღვროთ, რისი სწავლა შეგვიძლია ბავშვზე ხანმოკლე დაკვირვებით.

რა უნდა გავაკეთოთ: ნახეთ ვიდეორგოლი #1 და ყურებისას დააკვირდით, რას იგებთ ამ ოთხწლინახევრის გოგონას შესახებ. რადგან ვიდეო მოკლეა, ყველა დეტალის ზედმიწევნით დასაფიქსირებლად, მის ყურებას რამდენჯერმე გირჩევთ.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ, ჩამოწერეთ ბავშვის თქვენ მიერ აღმოჩენილი შესაძლებლობების, უნარების, სოციალური ურთიერთობების, პიროვნული თვისებებისა და ქცევების ჩამონათვალი. გარდა ამისა, იფიქრეთ ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- ამ ხანმოკლე ვიდეოკლიპის ნახვისას ამდენი სიახლის გაგება გაგიკვირდათ თუ არა?
- თქვენი აზრით, ამ ბავშვს რომ იცნობდეთ, სხვაგვარად დაინახავდით ამა თუ იმ მოვლენას? როგორ?
- დაკვირვების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, როგორ დაგეგმავდით კურიკულუმს?

მზად იყავით როგორც გოგონას შესახებ თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის, ისე ამ კითხვებზე გაცემული პასუხების გაზიარებისთვის.

დაკვირვების პრაქტიკა #2: რას გვასწავლის ბავშვზე დაკვირვება

მიზანი: განვსაზღვროთ, რას ვსწავლობთ ხანგრძლივ თამაშში ჩართულ ბავშვზე დაკვირვებით.

რა უნდა გავაკეთოთ: დრამატულ თამაშში ჩართული 2 წლის ბიჭის, სამწლინახევრის გოგოსა და მასწავლებლის ვიდეორგოლი #2. ყურადღებით დააკვირდით 2 წლის ბიჭუნას.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ, ჩამოწერეთ ბავშვის თქვენ მიერ აღმოჩენილი შესაძლებლობების, უნარების, სოციალური ურთიერთობების, პიროვნული თვისებებისა და ქცევების ჩამონათვალი. გარდა ამისა, იფიქრეთ ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- ამ ხანმოკლე ვიდეოკლიპის ნახვისას ამდენი სიახლის გაგება გაგიკვირდათ თუ არა?
- თქვენი აზრით, ამ ბავშვს რომ იცნობდეთ, სხვაგვარად დაინახავდით ამა თუ იმ მოვლენას? როგორ?
- დაკვირვების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, როგორ დაგეგმავდით კურიკულუმს?

მზად იყავით როგორც ბიჭუნას შესახებ თქვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციის, ისე ამ კითხვებზე გაცემული პასუხების გაზიარებისთვის.

რეფლექსია

მიზანი: ბავშვებსა და ზრდასრულ ადამიანებს შორის არსებულ ურთიერთობაზე დაკვირვების გავლენის გაანალიზება.

რა უნდა გავაკეთოთ: იფიქრეთ იმ დროზე, როცა ისწავლეთ რაღაც განსაკუთრებული ბავშვის შესახებ. შემდეგ განიხილეთ ან ჩამოწერეთ პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- რა ფაქტორები დაგეხმარათ ამ ბავშვის შესწავლაში?
- დაგეხმარათ თუ არა მასზე დაკვირვება ბავშვის უკეთ გაცნობაში? რა სიტუაციებში აკვირდებოდით ბავშვს?
- როგორ შეიცვალა ურთიერთობები თქვენი ამ ბავშვთან დაახლოებისას?
- ბავშვის შესახებ უფრო მეტის გაგება დაგეხმარათ თუ არა მისი მოტივაციის გააზრებაში?

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის აღმოჩენა

მიზანი: დაკვირვებისა და დოკუმენტირების შესახებ დაგროვილი ცოდნის და სამომავლოდ შესასწავლი სფეროების განსაზღვრა.

რა უნდა გავაკეთოთ: აწარმოეთ ჟურნალი, რომელშიც ჩაიწერთ პასუხებს ამ წიგნში ჩამოთვლილ შეკითხვებზე. დასაწყისისთვის, მოამზადეთ მოკლე ჩანაწერები ქვემოთ მოცემულ რამდენიმე კითხვაზე საპასუხოდ:

- რა იცით უკვე დაკვირვებისა და დოკუმენტირების შესახებ? აკვირდებით თუ არა ბავშვებს თქვენს სამუშაოზე და ზოგადად, ცხოვრებაში? როგორ ფიქრობთ, რა ისწავლეთ ბავშვებზე დაკვირვებით?
- რა მოტივით ვაკვირდებით ბავშვებს და ვაწარმოებთ ჩანაწერებს მათი გაკეთებულისა თუ გამოთქმულის შესახებ?
- რა კითხვები გაქვთ დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან დაკავშირებით? დამატებით რისი შესწავლა გსურთ?
- რატომ არის დოკუმენტირება დაკვირვების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი?

თავი 2: როგორ ვაწარმოოთ დაკვირვება და ჩანაწერების დოკუმენტირება ადრეული სწავლის გზამკვლევებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნების გათვალისწინებით

განვლილ დეკადაში უამრავი მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდა ადრეული ასაკის ბავშვებზე მზრუნველობისა და განათლების სფეროში. ადრეული წლების მნიშვნელობა ბავშვის მომავლის ფორმირებაში უფრო მეტად არის აღიარებული როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა, ისე საზოგადოების მიერ. მკვლევარები კვლავაც აგრძელებენ ბავშვის ტვინის განვითარებისა და სწავლის შესაძლებლობების კვლევას და ამტკიცებენ, რომ ადრეულ წლებში ბავშვებს უვითარდებათ ის უნარები და წარმოდგენები, რომლებიც დაეხმარებათ მათ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჩვენ ვიცით, რომ ზრდასრულებს შეუძლიათ ზეგავლენა იქონიონ პატარა ბავშვების სწავლებასა და განვითარებაზე - (NAEYC - ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია, 2009).

კიდევ ერთი ცვლილება არის ბავშვებისთვის გზამკვლევების შემუშავება ჩვილობიდან სკოლამდელ ასაკამდე (ჩვენ აქ ვიყენებთ სიტყვას *„გზამკვლევები“*, რადგან დოკუმენტების გადახედვისას ბევრ შტატში დაიწყეს ამ სიტყვის გამოყენება, ნაცვლად სიტყვისა „სტანდარტი“[2]). 2010 წელს ეროვნულ დონეზე მიიღეს ბავშვთა განვითარებისა და სწავლების ჩარჩო დოკუმენტი (Head Start). სახელმწიფო დონეზე ორმოცდაათმა შტატმა შეიმუშავა ადრეული სწავლის გზამკვლევები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის და უმეტესობამ შექმნა (ან შექმნის პროცესშია) გარკვეული ტიპის გზამკვლევები 3 წლამდე ბავშვებისთვის.

ეს დოკუმენტები აღმზრდელებს აძლევს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ტიპური განვითრებისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების მკაფიო ნუსხას. ჩვენი 2008 წლის წიგნის *„ადრეული განვითარების სტანდარტები და პერსონალის განვითარება“* და გრონლუნდის წიგნის (2006) *„გააცოცხლეთ ადრეული ასაკის სტანდარტები“* შემუშავებისას, განვიხილეთ ბევრი შტატის გზამკვლევი. ასევე ჩართულები ვიყავით ნიუ მექსიკოსა და მონტანას შტატების გზამკვლევების შექმნაში. ქვეყნის მასშტაბით ადრეული სწავლის გზამკვლევები თითოეული შტატისთვის *გონივრული მოლოდინების* ჩამონათვალია, რომლებიც:

- შესაბამისია იმ ასაკისთვის, რომლისთვისაც დაიწერა;
- ეფუძნება საუკეთესო ცოდნას ბავშვის განვითარების შესახებ;
- შეესაბამება განვითარების შესაბამისი პრაქტიკის შესახებ არსებულ უახლეს რეკომენდაციებს.

---

[2] *აღნიშნული დოკუმენტის ქართული ანალოგი არის „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“ - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010. (მთარგმნელის შენიშვნა)*

ჩვენ არ მოვიაზრებთ ზედა დონიდან დაწეულ მოლოდინებს: არ ვიყენებთ სკოლისთვის მოსამზადებელი პროგრამის („ქინდერგართენის“)[3] ან პირველი კლასის სტანდარტის ენას სამი ან ოთხი წლის ასაკის ბავშვების მიმართ არსებული მოლოდინების აღწერისთვის. ნაცვლად ამისა, ჩვენ ვითვალისწინებთ იმ გამოწვევებს, რომლებიც თითოეულ შტატში დაიწერა ადრეული განათლების პროფესიონალთა მიერ. ისინი აცნობიერებენ ასაკის შესაბამის მისაღწევ შედეგებს და აქვთ ბავშვის განვითარების ასპექტების სიღრმისეული ცოდნა. ეს კარგი სიახლეა!

ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების მნიშვნელობის გაცნობიერებისა და ადრეული სწავლის გზამკვლევების მნიშვნელობის გამო, დიდი ყურადღება ექცევა ანგარიშვალდებულებას. მასწავლებლებს მოეთხოვებათ, აჩვენონ - როგორ ახერხებენ, რომ ყოველი ბავშვი პასუხობდეს გზამკვლევის მოლოდინებს და აღწევდეს თავის პოტენციალს. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიმღებნი და დამფინანსებლები ითხოვენ ბავშვების მიღწევების შესახებ მონაცემებს და უკავშირებენ მათ ადრეული ასაკის ბავშვების პროგრამის ხარისხს. მათ სურთ სტატისტიკური შედეგების ხილვა. ისინი კითხულობენ, „როგორ ნაწილდება გადასახადების გადამხდელთა ფული ისე, რომ ეს მაშინვე უწყობს ხელს პატარა ბავშვების განვითარებას და ზრდის მათ განათლების დონეს დროთა განმავლობაში.“

თუმცა, ჩვენ ვწუხდებით, როდესაც ვხედავთ სახელმწიფო მოხელეებს, ადმინისტრატორებს და ადრეული განათლების სპეციალისტებს, რომლებიც ბოროტად იყენებენ სახელმწიფოს ადრეული სწავლის გზამკვლევებს. ჩვენი გამოცდილებით, სწორედ გზამკვლევების *დანერგვაა* პრობლემა და არა თავად გზამკვლევები. ბევრი მასწავლებელი უთითებს, რომ უჭირთ, გადაწყვიტონ, როგორ გააგრძელონ სწავლება უკეთესად და შეაფასონ ისეთი გზებით, რაც უფრო მორგებული იქნება ბავშვებზე. ანგარიშვალდებულება თავისთავად კარგია. არაფერია ცუდი პატარა ბავშვებისთვის მაღალი ხარისხის განათლების სისტემის და მზრუნველობის დანერგვის სურვილში. ადრეული განათლების სპეციალისტებმა უნდა იცოდნენ, ცვლიან თუ არა ეს პროგრამები რამეს მასში ჩართული ბავშვების ცხოვრებაში. თუმცა, ხშირად, ბავშვების სწავლისა და განვითარების განსასაზღვრად არასწორი მეთოდები გამოიყენება და შესაბამისად, - პროგრამის ხარისხის შესაფასებლადაც. ზოგჯერ ბავშვებს მოკლე შეფასებებით ან მინი-ტესტებით აფასებენ, მაგრამ ასეთი ტესტები მხოლოდ ერთ მომენტში გამოვლენილ ქცევას ამოწმებს. სასწავლო პრაქტიკა იცვლება და ტესტებზე ორიენტირებული ხდება. ამ დროს, დრო თამაშისა და კვლევისათვის აღარ არის ღირებული და მასწავლებლის მიერ მართული მოქმედებები ხდება დომინანტური.

[3] *აშშ-ში დაწყებითი განათლების პირველ წელს წარმოადგენს ე.წ. „ქინდერგართენი“, რომელიც მართალია, ეფუძნება აკადემიურ კურიკულუმს, მაგრამ მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ახლოს არის საბავშვო ბაღის სპეციფიკასთან. (მთარგმნელის შენიშვნა).*

დაკვირვებისა და ადრეული სწავლის გზამკვლევების შეთანხმებული, კომბინირებული გამოყენება

ჩვენ მტკიცედ გვჯერა - როდესაც მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვების მოქმედებებს და აკეთებენ ჩანაწერებს გარკვეული დროის განმავლობაში, ისინი გაცილებით უკეთეს მონაცემებს შეაგროვებენ, რაც დაეხმარება მათ ხარისხიანი პროგრამების შემუშავებასა და ბავშვების სწავლასა და პროგრესზე აქცენტირებაში. თუმცა, ანგარიშვალდებულების ზოგიერთი მოთხოვა არ აფასებს იმ ცოდნას, რომელიც შეიძლება დაკვირვებისა და დოკუმენტირების პროცესმა შეგვძინოს. როგორც პირველ თავში ითქვა, ადრეული განათლების სპეციალისტებს შეუძლიათ ბევრი რამ ისწავლონ ბავშვებზე დაკვირვების მეშვეობით. ეს თავი აგვიხსნის, რომ შესაძლებელია დანერგვისა და ხარისხის შედეგებზე პასუხისმგებლობის პარალელურად, დაკვირვებისა და დოკუმენტირების განხორციელებაც. ამისთვის თქვენ გჭირდებათ ყოველდღიური დაკვირვების სისტემატიზებული პროცესი და ბავშვების თამაშში, კვლევებსა და ყოველდღიურ აქტივობებში მონაწილეობის დოკუმენტირება. ამ მიდგომით, ბავშვებისთვის სასარგებლო საქმე კეთდება.

ლილიანი: როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვებს ვაკვირდები, ვფიქრობ, განვითარების რომელ ეტაპზე არიან ისინი და რა არის მათი ასაკის ჯგუფისთვის ტიპური მახასიათებელი. ამავდროულად, ვცდილობ, თითოეული ბავშვის კონტექსტისა და მისი წინარე გამოცდილების გათვალისწინებას და ვეძებ მათი სწავლებისთვის ხელშესაწყობ მეთოდებს.

გზამკვლევებთან მიბმული შეფასება და კურიკულუმი

ჩვენ გვინახავს პროგრამები, სადაც მასწავლებლები ახორციელებენ ფორმალურ შეფასებას ბუნებრივ გარემოში - დღის განმავლობაში ბავშვების აქტივობებზე, რუტინულ საქმიანობებზე დაკვირვებით და ჩანაწერების გაკეთებით. ინფორმაცია, რომელსაც ისინი აგროვებენ, დროთა განმავლობაში ბავშვის განვითარების შესახებ სრულ და სანდო სურათს გვაჩვენებს. ის, რაზეც ვწერდით წიგნში *„ადრეული განვითარების სტანდარტები და პერსონალის განვითარება“*, კვლავ რეალობად რჩება:

„ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ შესაძლებელია სტანდარტები ისე დაუკავშირდეს პროგრამებს, რომ ბავშვებთან მუშაობის პროცესში არ მოგვიწიოს ყველაზე საინტერესო მხარეზე უარის თქმა. საუბარია სპონტანურობაზე, აღმოვაჩნოთ თითოეული ბავშვის განვითარებადი უნარები, ინტერესები და ვიპოვოთ საკუთარი უნიკალური უნარებისა და ინტერესების განვითარების შესაძლებლობა“ (2008, 13).

განვითარების შესაბამისი პრაქტიკის შესახებ ანგარიშში, რომელიც მიღებულია 2009 წელს ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაციის (NAEYC) მიერ, არსებობს მხარდაჭერის ძლიერი საფუძველი. ეს დოკუმენტი შეიცავს ბევრ საკვანძო რეკომენდაციას გზამკვლევებთან დაკავშირებული შესაბამისი შეფასებისა და კურიკულუმისთვის:

4. B. შეფასება ორიენტირებულია ბავშვის პროგრესზე იმ მიზნების გათვალსწინებით, რომლებიც მნიშვნელოვანია განვითარებისა და განათლებისთვის.

4. C. არსებობს შეფასებისთვის ინფორმაციის შეგროვების, გააზრების და ჯგუფში მიმდინარე მოვლენების მართვის გამოყენების სისტემა, რომლითაც ხდება განმავითარებელი შეფასება. მასწავლებლები იყენებენ ამ ინფორმაციას კურიკულუმის დაგეგმვისას და სასწავლო გამოცდილებისა და ბავშვებთან ურთიერთობების დროს - ანუ, მასწავლებლები მუდმივად ერთვებიან შეფასებაში, სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესების მიზნით.

4.H. გადაწყვეტილებები, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ ბავშვებზე, დაფუძნებულია რელევანტური ინფორმაციის მრავალ წყაროზე, მათ შორის - მასწავლებლებისა და მშობლების (და სპეციალისტების, საჭიროების მიხედვით) მიერ ბავშვებზე დაკვირვებისა და მათთან ურთიერთობის შედეგად მოპოვებულ მონაცემებზე. (22).

თქვენი დაკვირვება არ შეიძლება იყოს შემთხვევითი. ის უნდა იყოს სისტემური, კარგად დაგეგმილი და შეიცავდეს რამდენიმე საკვანძო კომპონენტს. თქვენი დაკვირვება უნდა იყოს:

- მიმდინარე, სისტემური, ყოველდღიურ და რუტინულ აქტივობებზე მიბმული;
- კრიტერიუმზე დაფუძნებული (თქვენ აკვირდებით განსაზღვრული მითითებების მიხედვით)
- დოკუმენტირებული და ჩაწერილი (ფაქტიდან რაც შეიძლება მალე);
- ობიექტური და აღწერითი (არაინტერპრეტირებული, შეფასებითი ან განკითხვითი);
- გამოყენებული ახლად აღმოცენებული უნარების და უკვე ნასწავლის განსაზღვრისთვის, რაც მასწავლებელს დაეხმარება სწავლების გაუმჯობესებასა და ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში.

დაკვირვება და დოკუმენტირება არა შემთხვევითი, არამედ უფრო დაგეგმილი, გააზრებული და მიმდინარეა. თქვენ თვალ-ყური უნდა ადევნოთ და ჩაიწეროთ, თუ რას აკეთებენ და ამბობენ ბავშვები თქვენთან ერთად გატარებული დროის მანძილზე. დააკვირდით ბავშვებს საფენების გამოცვლის ან აბაზანაში წაყვანის, ჭამისა და წახემსების, ეზოში თამაშის, დიდ და პატარა ჯგუფებში ყოფნის დროს. მონაცემების შესაგროვებლად ფორმალურად დაგეგმეთ თქვენი დაკვირვების დოკუმენტირება. შემდეგ შეგიძლიათ განიხილოთ, ასახოთ, შეაფასოთ და გაუზიაროთ დაკვირვება სხვებს.

ზემოთ მოცემული კრიტერიუმები თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევიდანაა აღებული. აქ არ ვადარებთ ბავშვებს ერთმანეთს, ისინი ფასდება მათი ასაკობრივი კატეგორიისთვის დადგენილი მისაღწევი შედეგების მიხედვით. დაკვირვებითი შეფასების დანერგვისას, ფაქტიდან მაქსიმალურად მოკლე ხანში გაკეთებული ჩანაწერი უფრო სანდო ინფორმაციის შემცველია. ობიექტური დოკუმენტირება იძლევა თითოეული

პეგი: ფოკუსირებულ დაკვირვებას ვაწარმოებ ბავშვების შესაძლებლობებზე - ვაკვირდები, რისი და რა მოცულობით გაკეთება შეუძლია თითოეულ ბავშვს და არა იმას, თუ რას უნდა აკეთებდეს ამ ასაკში იგი.

ბავშვის ზრდისა და პროგრესის სრულად დანახვის საშუალებას, ამავდროულად, ეცნობით, როგორ მიაღწიეს ბავშვებმა შედეგს.

ბავშვის განვითარების იმჟამინდელი საფეხურის გათვალისწინებით ვქმნი გარემოს, რომელიც წაახალისებს და ხელს შეუწყობს მის ბუნებრივ ზრდას განვითარებისთვის.

დაკვირვებითი შეფასება ინტეგრირებულია კურიკულუმის დაგეგმვასთან. შესაბამისად, ადრეული სწავლის გზამკვლევები კურიკულუმის დაგეგმვის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. ბავშვებზე დაკვირვებისას და ადრეული სწავლის გზამკვლევებთან მიმართებით მათი დოკუმენტირებისას, თქვენ გექნებათ უფრო ნათელი სურათი თითოეული ბავშვის უნარ-ჩვევების შესახებ და გაჩნდება შესაძლებლობა ყოველი მათგანისთვის შემდგომი ნაბიჯების დასაგეგმად. ხშირად გზამკვლევები იწერება განვითარების კონტინუუმის ფორმატში, რაც მასწავლებლებს ბავშვის ეტაპობრივი განვითარების სრული პროცესის შესახებ მკაფიო წარმოდგენას უყალიბებს. პროცესის სრულად და მასშტაბურად დანახვა ამარტივებს მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული და ბავშვებისთვის ხელშემწყობი აქტივობების დაგეგმვას.

ადრეული სწავლის გზამკვლევები მყარი ფუნდამენტია კულიკულუმის დაგეგმვისა და აქტივობებში ჩართულ ბავშვებზე ფოკუსირებული დაკვირვებისთვის. გზამკვლევები ისეა გააზრებული და შექმნილი, რომ სხვადასხვა შტატის მასწავლებლებს ერთნაირი ხედვა ჰქონდეთ ბავშვების ქცევებისა და ქმედებების მოსალოდნელ შედეგებზე. თქვენ არ ხართ ვალდებული, გამოიცნოთ, როგორ უნდა ჰქონდეს ნატიფი მოტორიკა განვითარებული 2 წლის ბავშვს ან რას უნდა აკეთებდეს 4 წლის ბავშვი ანბანის გასაცნობიერებლად. ამგვარი ინფორმაციის მოძიება - ამა თუ იმ ბავშვის ასაკისთვის განსაზღვრული და შესასრულებელი ინდიკატორების ნუსხა სხვადასხვა განვითარების სფეროში - თქვენი შტატის გზამკვლევებში შეგიძლიათ. ამგვარად, ადრეული განათლების სფერო უფრო კვალიფიციური ხდება. მასწავლებლები და აღმზრდელები არ ადგენენ განვითარების კრიტერიუმების საკუთარ ჩამონათვალს, არამედ სახელმწიფო გზამკვლვების გამოყენებით აუმჯობესებენ პროგრამის ხარისხს, რაშიც მათ დიდ დახმარებას უწევს კარგად შემუშავებული კრიტერიუმები. სწორედ ამ კრიტერიუმებს შეგიძლიათ დაეყრდნოთ შეფასებებისას და კურიკულუმის დაგეგმვისას. გზამკვლევი გაძლევთ რეკომენდაციებსა და ღირებულ რჩევებს იმ სიტუაციებისთვისაც, როდესაც ბავშვის განვითარების არსებული დონე გაშფოთებთ და სიტუაციის გასარკვევად ოჯახის ჩართვა გსურთ პროცესში. გზამკვლევები გვეხმარება, განვსაზღვროთ, რა შემთხვევებში შეიძლება მივმართოთ სპეციალისტებს, რომლებიც საზღვრავენ ბავშვის სპეციალურ საჭიროებებს და გეგმავენ ამ ბავშვზე მორგებულ პროგრამას.

დაკვირვებისა და დოკუმენტირების დაკავშირება გზამკვლევებთან

შტატის გზამკვლევების უმეტეს ნაწილში, რომლებიც სამ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის, მიმართულებების დასახელებები და გზამკვლევების აღწერილობითი ენა განსხვავდება სკოლამდელი განათლების (3 წლიდან ზემოთ) დოკუმენტებში გამოყენებული ენისგან. ეს ასეც უნდა იყოს. სამ წლამდე ბავშვები იზრდებიან და სწავლობენ სკოლამდელი

ასაკის ბავშვებისგან განსხვავებულად. აიღეთ, მაგალითად, სამ წლამდე ასაკის ბავშვების კოგნიტური სფეროს გზამკვლევების ჩანაწერები. ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან სკოლამდელებისგან:

- 3 წლამდე ასაკის ბავშვების რეცეპტული მეტყველება ვითარდება უფრო ადრე, ვიდრე მათი ექსპრესიული მეტყველება. ისინი ისმენენ და სწავლობენ, როდესაც სხვები ლაპარაკობენ და მღერიან მათთან ერთად. შემდეგ ისინი ცდილობენ, საკუთარი საჭიროებების გადმოცემას და სურთ უფრო მეტი სიტყვისა თუ სიტყვათა კომბინაციის თქმა. პატარების მეტყველების განვითარება არის საფუძველი მათი შემდგომი წიგნიერების უნარებისთვის - რაც უფრო მრავალფეროვანია მათი ლექსიკა (რეცეფციული და ექსპრესიული), მით უკეთესი მკითხველები ხდებიან ისინი.
- 3 წლამდე ასაკის ბავშვები იწყებენ სამყაროს შემეცნებას. ისინი იკვლევენ, რა მოხდება, თუ მიწვდებიან ან ჩაუტყაპუნებენ რამეს. ისინი აკვირდებიან, თუ რა მოხდება ჟღარუნას ამოძრავებისას ან სათამაშოზე ღილაკის დაჭერისას.
- 3 წლამდე ბავშვებს უვითარდებათ ისეთი ცნებების გაგების უნარი, როგორიცაა მიზეზი, შედეგი და საგნების მუდმივობა.
- 3 წლამდე ბავშვებს უვითარდებათ ენობრივი ცნობიერება, როდესაც უსმენენ წიგნებს და ათვალიერებენ სურათებს მათ აღმზრდელებთან ერთად.

სკოლამდელ გზამკვლევებში კოგნიტური სფერო ხშირად იყოფა მეტყველებისა და წიგნიერების, მათემატიკის და მეცნიერების ნაწილებად. გარდა ამისა, ბევრ შტატს დამატებული აქვს სოციალური მეცნიერების სფეროს ინდიკატორები, რომლებიც აღწერენ, თუ როგორ უმკლავდებიან ბავშვები ჯგუფის გარემოს, როგორ იაზრებენ, რას ნიშნავს ოჯახი და სამეზობლო და სწავლობენ დემოკრატიული მოქალაქეობის საფუძვლებს (მაგალითად, თავისი რიგის დალოდებისას და ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების დროს კენჭისყრისას). კიდევ ერთი სფერო, რომელიც ბევრი შტატის დოკუმენტშია შესული (3 წლამდე და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის) არის „სწავლისადმი მიდგომა“. ეს გულისხმობს მიზანზე ორიენტირებულობის, ფოკუსირებული ყურადღების, ცნობისმოყვარეობის, ინიციატივისა და პრობლემების გადაწყვეტის უნარების განვითარებას. პირდაპირი კავშირი განისაზღვრა ბავშვების სწავლისადმი მიდგომასა და მოგვიანებით აკადემიურ წარმატებას შორის.

გაეცანით ეინჯელის შესახებ ეპიზოდს კიდევ ერთხელ და დააკვირდით, მისი მოქმედებების აღწერილობა როგორ შეესაბამება ადრეული სწავლის გზამკვლევს.

ეინჯელი (4 წლის და 10 თვის)

წახემსების დროს ეინჯელი ინახავს სკამს მხოლოდ მეგობარი ლუისთვის და მიმართავს მას: „შენ აქ, ჩემ გვერდით ჯდები!“ შემდეგ იღებს სამ კრეკერს, ალაგებს მათ ხელსაწმენდზე და ამავდროულად ხმამაღლა ითვლის: „ერთი, ორი, სამი“. იგი იყენებს დანას კრეკერებზე არაქისის კარაქის თანაბრად გადასანაწილებლად, რის შემდეგაც ხმამაღლა ამბობს: „კიდევ ერთი წვენი, თუ შეიძლება!“ მეგობრებთან საუბარში ამბობს: „ჩვენ ფერმაში გვყავს ქათმები და თხები. თხები ისე აუტანლად ხმაურობენ, რომ მიწევს ყურებზე ხელის დაფარება. ძალიან ხმაურიანები არიან თხები“. ეინჯელი იღებს ორ ხელსაწმენდს და იფარებს მათ ყურებზე. იმავეს იმეორებს მისი მეგობარი ლუიც, ოღონდ მცირედი განსხვავებით - იგი ყურებზე მისაფარებლად ხელსაწმენდების ნაცვლად კრეკერებს იყენებს. ბიჭები გულიანად იცინიან.

ქვემოთ მოცემულია ეინჯელის შესაძლებლობების ჩამონათვალი, რომლებიც ჩვენ განვსაზღვრეთ და დავალაგეთ ძირითად მიმართულებებად/სფეროებად იმგვარად, როგორც განსაზღვრულია ნიუ მექსიკოს ადრეული სწავლის გზამკვლევში: დაბადებიდან სკოლამდელი ასაკის ჩათვლით (რომლის ნახვა შეგიძლიათ ვებ-გვერდზე www.newmexicokids. org). სფეროების მიხედვით ამა თუ იმ შედეგის ინდიკატორები აღწერენ სპეციფიკურ გზებს, თუ როგორ ვლინდება ესა თუ ის უნარი კონკრეტულ სფეროში. წარმოგიდგენთ ინდიკატორებს, რომელთაც ეინჯელი ავლენს თითოეულ იდენტიფიცირებულ სფეროში:

- წიგნიერება: გააზრებულად უსმენს მითითებებსა და საუბრებს; ეფექტურად საუბრობს მშობლიურ ენაზე.
- მათემატიკური აზროვნება: იყენებს რიცხვებს და თვლას, როგორც პრობლემის გადაწყვეტის და რაოდენობის განსაზღვრის საშუალებას.
- ნატიფი მოტორიკის განვითარება: ახდენს თვალისა და ხელის მოძრაობის კოორდინაციას.
- საკუთარი თავი, ოჯახი და საზოგადოება: გამოხატავს ოჯახის, სამეზობლოსა და საზოგადოების კულტურულ ზეგავლენას; თამაშობს და ურთიერთობს ბავშვებთან, უზიარებს გამოცდილებასა და იდეებს.
- სწავლისადმი მიდგომა: ავითარებს მზარდ დამოუკიდებლობას აქტივობებში, ყოველდღიურობასა და თამაშში.

როზმარი: დოკუმენტირება ხშირად მეხმარება, ვიფიქრო, რომელია შესაბამისი აქტივობა ამა თუ იმ ბავშვისთვის. უნდა შევცვალო თუ არა აქტივობა ბავშვების განსხვავებულობაზე მოსარგებად? ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს თუ არა მონაწილეობა ამ აქტივობაში? ეხმარება თუ არა ეს აქტივობა ბავშვის სწავლებას? რომელ სახელმძღვანელო მითითებას ან მიზანს პასუხობს ის ამ ბავშვისთვის?

როგორც ხედავთ, წახემსების ყოველდღიური რიტუალისას ეინჯელზე დაკვირვებას შესაძლებელია დავუკავშიროთ 5 მიმართულება და 7 ინდიკატორი. მის მასწავლებლებს არ მოუწიათ ამ გზამკვლევიდან გამომდინარე სპეციალური აქტივობის დაგეგმვა ან ბავშვის გარიდება სიტუაციიდან და საჭიროებით გამოწვეული შეფასების ჩატარება, რათა შეემოწმებინათ ეინჯელის ქცევა ზემოჩამოთვლილი ინდიკატორების გათვალისწინებით. ისინი დააკვირდნენ მას მთელი დღის განმავლობაში და გააკეთეს ჩანაწერები ეინჯელზე უფრო დეტალური ინფორმაციის მოსაგროვებლად. რაც უფრო მეტია ინფორმაცია, მით უფრო სრული, მკაფიოა სურათი ბავშვის ზრდისა და სწავლის შესახებ. მასწავლებელს შეუძლია, გააგრძელოს დაკვირვება და ჩაიწეროს, როგორ თამაშობს, ერთობა, მონაწილეობს სხვადასხვა აქტივობაში, ურთიერთობს დიდ და პატარა ჯგუფებთან, ხელ-პირს იბანს, ტუალეტით სარგებლობს, ტოვებს ჯგუფს ბავშვი. ამგვარი დაკვირვების ამსახველი დეტალური ჩანაწერის გაკეთება სიღრმისეულად გვაცნობს ეინჯელს, როგორც ინდივიდს და გვაძლევს საშუალებას მისი განვითარება დავინახოთ ადრეული სწავლის გზამკვლევებით განსაზღვრული მოლოდინების ჭრილში. ამგვარად, ეინჯელის მასწავლებლები პასუხობენ ანგარიშვალდებულების მოთხოვნებს და აკეთებენ ყველაფერს, რასაც ამ ასაკის ბავშვების საჭიროებები მოითხოვს.

ბუნებრივია, ადრეული სწავლის გზამკვლევების დანერგვასა და სახელმწიფო ანგარიშვალდებულებებს დადებითად ვაფასებთ, თუკი ისინი ბავშვზეა ორიენტირებული. როდესაც დაკვირვებითი შეფასება და კურიკულუმის დაგეგმვის ინტეგრაცია, რომელიც დაფუძნებულია გონივრულ, ასაკის შესაბამის მოლოდინებზე, არის მაღალი ხარისხის

პროგრამის საფუძველი, ბავშვები ნამდვილად ნახულობენ სარგებელს! ამ წიგნში ჩვენ გიჩვენებთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების სწორად და სრულად გამოყენების მექანიზმებს, რათა დაგეხმაროთ თითოეული ბავშვის უკეთ გაცნობასა და მათთვის სარგებლის მიტანის კეთილშობილურ საქმეში. შემდეგ თავში შევეცდებით, დეტალურად აგიხსნათ, როგორ განვახორციელოთ დაკვირვება და დოკუმენტირება ერთდროულად და ამავდროულად, - მაღალკვალიფიციურად.

დაკვირვების პრაქტიკა #3: 3 წლამდე ბავშვების განვითარების გზამკვლევების დაკავშირება დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან

მიზანი: კავშირის დანახვა 3 წლამდე ბავშვის განვითარების გზამკვლევებსა და 3 წლამდე ბავშვების ნათქვამსა და ქმედებებს შორის.

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ მასწავლებელთან ერთად სილაში მოთამაშე 1-დან 2 წლამდე ბავშვების ვიდეორგოლს #3.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ გამოიყენეთ თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევები მოსაძიებლად სპეციფიკური ინდიკატორებისა, რომლებიც შეესაბამება ბავშვების თქვენ მიერ დაფიქსირებულ ნათქვამსა და ქმედებებს[4]. თუ თქვენს შტატს არ გააჩნია ასეთი დოკუმენტი, გამოიყენეთ სხვა შტატის გზამკვლევები. (ნიუ მექსიკოს ადრეული სწავლის გზამკვლევი იხილეთ ვებ-გვერდზე www.newmexicokides.org ან მონტანას ადრეული სწავლის გზამკვლევი 3 წლამდე ბავშებისათვის ვებ-გვერდზე http://mtecp.org/pdfs/infanttoddlerelgs.pdf.). არ დაიზაროთ და დააკვირდით განვითარების სფეროებს ან განვითარების სხვადასხვა მიმართულებებს. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ ეს შეკითხვები:

- შეძელით თუ არა, დაგეკავშირებინათ დაკვირვების შედეგად თქვენ მიერ დაფიქსირებული მონაცემები 3 წლამდე ბავშვის ადრეული სწავლის გზამკვლევთან?
- დაუკავშირეთ თუ არა თქვენი ჩანაწერები განვითარების სფეროებსა და სხვადასხვა მიმართულებებს? რომელი მიმართულებების იდენტიფიცირება შეძელით?

გაუზიარეთ სხვებს 3 წლამდე ბავშვის სწავლის გზამკვლევის შესაბამისად თქვენ მიერ შედგენილი ნუსხა და გააცანით თქვენი შეხედულებები ზემოთ დასმული კითხვების ირგვლივ.

დაკვირვების პრაქტიკა #4: სკოლამდელი განათლების გზამკვლევების დაკავშირება დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან

---

[4] საქართველოში გამოიყენება „ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები“, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010. http://el.ge/ge/books/details/82 *(მთარგმნელის შენიშვნა)*

მიზანი: კავშირის პოვნა სკოლამდელი ასაკის ბავშვების ნათქვამს/გაკეთებულსა და გზამკვლევებს შორის.

რა უნდა გავაკეთოთ: ნახეთ ვიდეორგოლი #4 სკოლამდელი ასაკის ბავშვის შესახებ, რომელიც ნაცნობ ისტორიას ესპანურად კითხულობს. ვიდეოში ასახული სიუჟეტის გაგება არ მოითხოვს ესპანური ენის ცოდნას, რადგან მას თან ახლავს ინგლისური სუბტიტრები.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ გამოიყენეთ თქვენი შტატის სკოლამდელი ასაკის ბავშვების გზამკვლევები სპეციფიკური ინდიკატორების მოსაძიებლად, რომლებიც შეესაბამება ბავშვების თქვენ მიერ დაფიქსირებულ ნათქვამსა და გაკეთებულს. დააკვირდით განვითარების სფეროებს და სხვადასხვა მიმართულებას. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ შეკითხვები:

- შეძელით თუ არა თქვენ მიერ დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული ინფორმაციის დაკავშირება სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლის გზამკვლევთან?
- დაუკავშირეთ თუ არა თქვენი ჩანაწერები განვითარების სფეროებსა და სხვადასხვა მიმართულებებს? რომელი მიმართულებების იდენტიფიცირება შეძელით?

გაუზიარეთ სხვებს სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლის გზამკვლევის საფუძველზე თქვენ მიერ შედგენილი ნუსხა და გააცანით თქვენი შეხედულებები ზემოთ დასმული კითხვების ირგვლივ.

დოკუმენტირების მიმოხილვა: გზამკვლევებისა და დაკვირვების ჩანაწერების დაკავშირება

მიზანი: ბავშვების საქმიანობების შესახებ ჩანაწერებში გზამკვლევის საფუძველზე მიმართულებების იდენტიფიცირება - გამოვლენაში ვარჯიში.

რა უნდა გავაკეთოთ: დანართში „ა“ ეპიზოდების გაცნობისას გაეცანით თქვენი შტატის 3 წლამდე და სკოლამდელი ასაკის ბავშვების ადრეული სწავლის გზამკვლევებს (თქვენ მარტივად უნდა შეძლოთ მათი ნახვა ინტერნეტში). განსაზღვრეთ ბავშვის მოქმედების სხვადასხვა სფეროს აღმწერი რომელი ინდიკატორები შეიძლება გამოვლინდეს თითოეული ეპიზოდისთვის.

რეფლექსია

მიზანი: როგორ ვლინდება გზამკვლევებში მოცემული ინფორმაცია ბავშვების მიერ ყოველდღიური საქმიანობების განხორციელებისას - პროცესის ანალიზი.

რა უნდა გავაკეთოთ: იფიქრეთ თქვენს ყოველდღიურ განრიგზე იმ ბავშვებთან, ვისთანაც მუშაობთ. გაითვალისწინეთ აქტივობები, რომლებიც ყოველდღიურად ხორციელდება თქვენს პროგრამაში და შეარჩიერთ გზამკვლევის რამდენიმე მიმართულება, რომელზე მუშაობაც შესაძლებელი იქნებოდა შერჩეული საქმიანობების დროს:

ბაღში მოსვლა

თამაშები ჯგუფის სივრცეში

წახემსება

საფენების გამოცვლა ან ტუალეტით სარგებლობა

გარე აქტივობები

ძილი

შინ წასვლა

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის განსაზღვრა

მიზანი: განვითარების ყველა სფეროსა და მიმართულებისთვის სათანადო ყურადღების მიქცევის სწავლა.

რა უნდა გავაკეთოთ: თქვენს ჟურნალში უპასუხეთ კითხვებს:

- თვლით, რომ თქვენი დაკვირვება ესადაგება განვითარების ერთ მიმართულებას ან სფეროს უფრო მეტად, ვიდრე მეორეს? თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე?
- როგორ გაეცნობით განვითარების ყველა სფეროსა და მიმართულებას თქვენი შტატის გზამკვლევებში?
- როგორი იქნება თქვენი სტრატეგია, თუ დაკვირვებასა და დოკუმენტირებაში თითოეული ბავშვის განვითარების ყველა სფეროსა და მიმართულების ასახვა გევალებათ/მიზნად გაქვთ?

თავი 3: როგორია ეფექტიანი დაკვირვება და დოკუმენტირება

როდესაც იწყებთ ბავშვების ქმედებებზე დაკვირვებასა და დოკუმენტირებას, დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციის მოცულობამ შეიძლება დაგამძიმოთ კიდეც. რთულია, ჩამოყალიბდე და გადაწყვიტო, რომელ ასპექტზე რა დოზით გჭირდება კონცენტრირება და ყურადღების გამახვილება. შესაძლებელია, ზოგიერთ ბავშვზე დაკვირვებისას არაფერი ჩაიწეროთ. სხვა ბავშვზე კი, რომელიც თქვენს ყურადღებას ითხოვს, ადვილია ფოკუსირება, მაგრამ არიან ბავშვები, რომლებიც თითქოს თვალთახედვიდან გისხლტებათ. შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ არსებობს განვითარების სფეროები ან ჯგუფის სივრცის კონკრეტული ადგილები, რომელთაც, როგორც წესი, დანარჩენებზე მეტ ყურადღებას უთმობთ. სავარაუდოდ, ბავშვების ქცევის დაკვირვებისას თქვენ ცდით დოკუმენტირების რამდენიმე სტრატეგიას.

იმისათვის, რომ გახდეთ გამოცდილი დამკვირვებელი, გჭირდებათ დრო, პრაქტიკა და პასუხისმგებლობა რეგულარული დაკვირვების პროცესისადმი. როდესაც სწავლობთ ველოსიპედის ტარებას, თქვენ არ ნებდებით, ვიდრე არ გაივლით ძალდაუტანებლად. თავდაპირველად, შესაძლებელია სულაც არ იგრძნოთ თავი თავდაჯერებულად, მაგრამ თანდათანობით რწმუნდებით საკუთარ შესაძლებლობებში, ქუჩაში მისეირნობთ ველოსიპედით და ფიქრობთ, რომ სულაც არ ყოფილა მისი მართვა ასე რთული. თქვენ ამას შეძლებთ. შემდეგი საფეხურია ველოსიპედის ტარებისას ახლადშეძენილი უნარების დახვეწა. თქვენ სწავლობთ, როგორ გამოიყენოთ მუხრუჭი და საჭე ეფექტურად. ძალიან მალე თავისუფლად ეშვებით გზაზე, ქარი გიწეწავთ თმას და დიდ დროს აღარ უთმობთ ველოსიპედის ტარების ცალკეულ საფეხურებს. თქვენ მთელი პროცესი გააერთიანეთ პრაქტიკის მეშვეობით. იგივე პროცესია დაკვირვების სწავლაც. ყოველი მომდევნო დაკვირვების პროცესი უფრო მარტივი და დამაკმაყოფილებელი ხდება.

დაიანა: ჩემი აზრით, დასაწყისშივე არ უნდა გადაიტვირთოთ ყველაფრით. თუკი გადაღლილად გრძნობთ თავს და გაქვთ განცდა, რომ ვერ ახერხებთ ყველაფრის ერთად კეთებას, დაიწყეთ პატარ-პატარა ნაწილებით. თქვენ არ ხართ ვალდებული, ყველაფერი დასაწყისიდანვე აკეთოთ.

შესაძლოა, მოისურვოთ თავისუფალ დროს კოლეგებთან ერთად ივარჯიშოთ სხვადასხვა აქტივობებზე დაკვირვებასა და დღის ბოლოს საკითხების განხილვაში - რა დააფიქსირეთ, აღმოაჩინეთ ახალი. აუცილებლად წამახალისებელი და მოტივაციის მომცემი იქნება თქვენთვის, როდესაც იგრძნობთ, როგორ იზრდებით და პროგრესირებთ პროფესიაში. სიამოვნებით გამონახავდით დროს ბავშვებზე უფრო ახლოდან დასაკვირვებლად - როდესაც მთელს დროს უთმობთ მათ და აკვირდებით, როგორ ფიქრობენ, ურთიერთობენ, აგვარებენ პრობლემებს და სწავლობენ ჯგუფის ოთახში მოქცეულ სამყაროს.

მნიშვნელოვანია, მისცეთ საკუთარ თავს დრო დაკვირვებაზე სავარჯიშოდ. თქვენ უნდა დააფასოთ სწავლის თქვენეული სტილი და იფიქროთ სწავლისა და პრაქტიკისთვის სათანადო

დროის გამონახვაზე. ეს შესაძლებელია გულისხმობდეს თქვენს რამდენიმეწუთიან დაკვირვებას თამაშში ან რუტინულ საქმიანობებში ჩართულ ბავშვზე.

სავარაუდოდ, ყველაფერს, რასაც ბავშვები მთელი დღის მანძილზე აკეთებენ, ვერ ასახავთ დოკუმენტირებისას. დაკვირვების დოკუმენტირებისას უნდა გადაწყვიტოთ, რას და როგორ აკვირდებით: თავდაპირველად, აირჩიეთ დასაკვირვებელი ფოკუსი, რომელსაც შემდგომში ჩანაწერში ასახავთ. იქნებ, დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით, თქვენს კოლეგებთან ერთად ოთახისა და ბავშვების გადანაწილებაზე იფიქროთ - ესა თუ ის თანამშრომელი ოთახის რომელ სივრცესა და ბავშვს დააკვირდება და შემდეგ განახორციელებთ დოკუმენტირებას. ამ წიგნში წარმოდგენილია ბევრი რჩევა და სტრატეგია, რათა თავად განსაზღვროთ საუკეთესო გზები დაკვირვების დოკუმენტირებისთვის, როდესაც ამავდროულად დატვირთული ჯგუფის მართვა გიწევთ. ამ თავში ჩვენ წარმოგიდგენთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების (ფაქტობრივი, აღწერითი და ინფორმაციული) სწორად წარმართვის გზებს. ჩვენ დაგეხმარებით სწორი დაკვირვების წარმოებაში შემდეგი საფეხურების მეშვეობით:

- თქვენი დაკვირვებების ფოკუსის შერჩევა
- დაკვირვებისთვის თქვენი ყველა შეგრძნების გამოყენება
- ბავშვებთან პირისპირ ყოფნის მზაობა და გულწრფელობა

პრაქტიკის მეშვეობით თქვენ ისწავლით, როგორ გააკეთოთ კარგი ჩანაწერები შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- დაკვირვებისა და დოკუმენტირების კვლევად აღქმა
- სხვადასხვა ტიპის დოკუმენტირების სტრატეგიების გამოყენება
- დაკვირვებისა და დოკუმენტირების გაანალიზებისთვის დროის გამოყოფა
- საკუთარი მიკერძოებულობის გააზრება
- ფაქტობრივი დოკუმენტირება
- ბავშვის მოქმედებების ინტერპრეტირება
- არცერთი ბავშვი დაკვირვებისა და დოკუმენტირების გარეშე.

ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ყველა ზემოთჩამოთვლილ პუნქტს, რათა ხელი შეგიწყოთ თქვენი უნარ-ჩვევების ამაღლებაში დამკვირვებლისა და დოკუმენტატორის რანგში.

დაკვირვების ფოკუსის შერჩევა

რასაკვირველია, ბავშვებზე დაკვირვება შრომატევადი სამუშაოა. ბავშვებზე დაკვირვებისას ხედავთ, გესმით ძალიან ბევრი რამ და აგროვებთ დიდი მოცულობის ინფორმაციას. თქვენი დაკვირვების ფოკუსის განსაზღვრა შეამცირებს შემომავალი ინფორმაციის რაოდენობას და დაგეხმარებათ მათ გაფილტვრაში. ზოგჯერ ფოკუსირებულად აკვირდებით რაღაც ზოგადს, სხვა დროს კი - სპეციფიკურს. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე დასაკვირვებელი ასპექტი.

- გარკვეული სიტუაცია ერთ კონკრეტულ ბავშვთან
- ბავშვთა ჯგუფი

- სპეციფიკური ყოველდღიური რუტინა, აქტივობები ან ოთახის სხვადასხვა სივრცე
- უნარები, ადრეული სწავლის გზამკვლევები - განვითრების სფეროები ან მიმართულებები (მაგალითად, ნატიფი მოტორიკა ან ადრეული წიგნიერება)
- სირთულეები, რომლებსაც ბავშვი აწყდება.

რობინი: ამ სფეროში მომუშავეთათვის სამწუხაროა ის რეალობა, რომ ამ შრომატევადი პროცესის მართვაში ძალიან ცოტას გვიხდიან. ჩვენ არ გვაქვს ბევრი დრო დაკვირვებისა და დოკუმენტირებისთვის და ყველაფერს სათანადოდ ვერ ვაკეთებთ. თუ თქვენ შეძლებთ, ამ სფეროში ერთგვარ ენთუზიაზმზე იმუშაოთ და მისგან სიამოვნება მიიღოთ ან დაინახოთ ამ შრომაში ბავშვისთვის ღირებული და მასზე ორიენტირებული პროცესი, თქვენ აუცილებლად გახდებით უკეთესი მასწავლებელი. მე შევძელი, ამგვარად შემეფასებინა ჩემი სამუშაო და შედეგიც სახეზეა - ჩემი ჯგუფი უფრო წარმატებულია.

ყველა შეგრძნების გამოყენება დაკვირვებისთვის

კარგი დამკვირვებლობა ნიშნავს, მთლიანობაში ხედავდე და იაზრებდე პროცესს. თვალთახედვის არეალში უნდა გქონდეთ მთელი ოთახი და თითოეული ბავშვი. უნდა ხედავდეთ ერთდროულად ყველას და თითოეულს ცალ-ცალკე. თუმცა ცალკეული ბავშვის მოქმედებაში დეტალების დაკვირვებისას მხოლოდ დანახვა არ არის საკმარისი. დაკვირვებისას თქვენ ხელმძღვანელობთ მზერით, სმენით, შეხებით, ყნოსვით, გულითაც კი, რომ გაიგოთ, მოისმინოთ, შეიგრძნოთ, განიცადოთ თითოეული ბავშვის მდგომარეობა. გაიხსენეთ მოკლე ფრაგმენტი თქვენი ბავშვებთან ურთიერთობისას, როცა რაღაც ნივთის ასაღებად მხოლოდ წამით მიტრიალდით უკან. როგორ ფიქრობთ, ამ მომენტშიც აგრძელებდით ბავშვებზე დაკვირვებას? პასუხი ერთმნიშვნელოვანია - დიახ, რადგან ვერ ხედავდით, მაგრამ უსმენდით ბავშვებს.

ინფორმაციის „სმენით შეგროვება“ არის დაკვირვების პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილი. ბავშვის ტირილის ან ღუღუნის გაგება და ადეკვატურად რეაგირება ეხმარება ბავშვს, ისწავლოს აღმზრდელის ნდობა და ჰქონდეს განცდა, რომ მასზე სიყვარულით იზრუნებენ. ბავშვის ისტორიის მოსმენა, თუ როგორ ესტუმრა ბებიას, ამტკიცებს მის გამოცდილებას და წაუხალისებს სხვებთან კომუნიკაციას. პატარას ხველა შეშფოთებას იწვევს თქვენში და გაღელვებთ მისი ჯანმრთელობა. ბავშვის ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში უკავშირდებით მშობელს, რომელიც შვილს ექიმთან მიიყვანს. ჩვილის მშვიდი სუნთქვის მოსმენა გარწმუნებთ, რომ ძილის პროცესი შეუფერხებლად მიდის. ზოგჯერ, საეჭვო სიჩუმის დასადგურება ჯგუფის ოთახის ერთ კუთხეში დაკვირვების სამიზნე ხდება, რაც გაიძულებთ იქ მისვლას და სიტუაციის შემოწმებას.

შეხებით დაკვირვება პროცესის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია. ადრეული ასაკის ბავშვების მასწავლებლები ხშირად ეხებიან ბავშვებს მათთან პოზიტიური ურთიერთობის

დასამყარებლად. ჩვილები ისე უნდა გეჭიროთ ხელში, რომ თქვენ გხედავდეს. მათ აჭმევენ, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ადრეული ასაკის ბავშვები იკვლევენ მათ დამოუკიდებლობას და უბრუნდებიან საიმედო თავშესაფარს მათი საყვარელი მასწავლებლის მოსიყვარულე ხელებში. ჩვილებისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ზურგზე ხელის მოთათუნება, ხელის ჩამორთმევა, ხელის ხელზე მირტყმა და ჩახუტება არის გამარჯობის თქმის, კარგად შესრულებული სამუშაოს აღიარების ან წყენის თუ დაშავების დროს დამშვიდების გამოხატვის სხვადასხვა ხერხი. ბავშვებისთვის კალთაში ჩაჯდომის შეთავაზება ხშირად არის პატარა ან დიდ ჯგუფებში ისტორიების წაკითხვის პროცესის ნაწილი. თქვენს კალთაში ჯდომით ბავშვი, რომელსაც ენატრება მშობლები ან ვერ აკონტროლებს საკუთარ სხეულს და ვერ ახერხებს მშვიდად დაჯდომას, უსაფრთხოდ და უფრო დაცულად გრძნობს თავს.

გულისხმიერი აღმზრდელები აღიარებენ, რომ შეხებისას ყოველ ბავშვს კომფორტის თავისი საზომი აქვს. ზოგიერთი ბავშვი იღებს სითბოს და ხშირად თავადაა ინიციატორი. სხვებს აქვთ პირადი სივრცის გაძლიერებული გრძნობა და ბრაზდებიან, იზაფრებიან, უკან იხევენ ან უფროსი ადამიანის მომაბეზრებელი ჟესტებისაგან შორს უჭირავთ თავი. ძირითადად, ბავშვები ამგვარ ქცევებს ურთიერთობის საწყის ეტაპზე უფრო ავლენენ, მაგრამ ბავშვების გარკვეული ჯგუფისთვის ზოგადად ნაკლებ მისაღებია შეხება და პირადი სივრცის დარღვევაზე შესაძლოა მწვავე რეაქცია ჰქონდეთ. არსებობს კულტურული განსხვავებებიც. ზოგ კულტურაში მიღებულია სკოლამდელ ასაკამდე ბავშვის ხელით ტარება უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე სხვაგან. ერთმანეთთან მოლაპარაკე ორ ადამიანს შორის მიღებული მანძილი სხვადასხვა კულტურისთვის სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი ადამიანი ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს ურთიერთობისას მოსაუბრესთან ახლოს დგომით, როცა სხვები დისტანციას არჩევენ. თქვენს ჯგუფში ბავშვებისა და ოჯახების კულტურული კონტექსტის უკეთ გაგება დაგეხმარებათ უფრო ზუსტ ინტერპრეტირებაში, რასაც დააკვირდებით კონტაქტისა და შეხების მეშვეობით.

ყურადღებიანი მასწავლებელი აკვირდება სიგნალებს, რომლებსაც ბავშვი შეხებაზე რეაგირებისას იძლევა. თქვენ ასევე შეგიძლიათ წაიკითხოთ ბავშვის სხეულის ენა თქვენივე შეხების გრძნობით. ბავშვი, რომელიც გიჭირავთ, იკლაკნება და აღელვებულია? თუ მოკალათებულია თქვენს ხელებში დამშვიდებული და დასვენებული? ბავშვი, რომელიც კალთაში გიზით, უდრეკი და დაჭიმულია, როდესაც ეხვევით? საპასუხოდ ისიც გეხვევათ თუ უკან იხევს? ფიზიკურ ნიშნებზე ყურადღების მიქცევა დაკვირვების მნიშვნელოვანი ნაწილია.

ყნოსვა, როგორც შეგრძნება, ყურადსაღები ფაქტორია ბავშვებზე დაკვირვებისას. ჩვილებზე განსაკუთრებით და ზოგჯერ სკოლამდელი ასაკის ბავშვებზეც, ყნოსვა მნიშვნელოვანია საფენების გამოცვლის ან ტუალეტთან დაკავშირებული ინციდენტების დროს. ბავშვების ჰიგიენის პრობლემების განსაზღვრა შესაძლებელია ყნოსვის შეგრძნების მეშვეობით. ადმინისტრატორებისა და გარე უწყებებისთვის მიმართვა, როდესაც ბავშვები მოუვლელები და დაუბანლები არიან, შესაძლებელია იყოს ოჯახისათვის სასარგებლო ინტერვენციის დასაწყისი. ბავშვების ჯანმრთელობის პრობლემების განსაზღვრა ხშირად ყნოსვით იწყება. როდესაც

ეიპრილი: ბავშვებზე დაკვირვება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობაა, რასაც ყოველდღიურად ვეწევი. ბავშვებს ვაკვირდები ჯგუფში, ვინტერესდები მათი ფიქრებით, შეხედულებებით სამყაროზე, ინტერესებით, განცდებითა და საჭიროებებით, რაც პატივისცემით განმაწყობს მათ მიმართ. ბავშვებზე დაკვირვება და მათი ინდივიდუალური ინტერესების, უნარ-ჩვევების განსაზღვრა ხელშემწყობი ფაქტორია თითოეულ მათგანზე მორგებული

ბავშვი მოდის სკოლაში გაჭედილი ცხვირით, სუნთქავს პირით, თქვენ შესაძლოა იყნოსოთ სუნი და განსაზღვროთ, რომ ყელში ინფექცია ვითარდება. ოჯახის წევრის გაფრთხილება, რომ სამედიცინო ყურადღებაა საჭირო, ბავშვებზე მზრუნველობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სასწავლო პროექტების შესამუშავებლად.

დაბოლოს, მზრუნველი მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვებს გულით. ხანგრძლივი დაკვირვების საფუძველზე, როდესაც უკვე კარგად იცნობთ ბავშვებს, განსაკუთრებული ურთიერთობები გიყალიბდებათ მათ მიმართ, სხვადასხვაგვარი სიტუაციის პირობებში შესწავლილი გაქვთ მათი ქცევები და ხედავთ, რომ რომელიღაც ბავშვი იმ კონკრეტულ დღეს საკუთარ თავს არ ჰგავს, გული გკარნახობთ, რაღაც ისეთი მოხდა, რაც ბავშვს აწუხებს, სევდას ჰგვრის და აფიქრებს. ბავშვის ხასიათის ან ქცევის ცვლილების მიზეზს მშობელთან არკვევთ. იგრძენით გულით, მოუსმინეთ შინაგან ხმას - როდესაც კარგად იცნობთ ბავშვების ბუნებას, თვისებებს და სხვადასხვა ემოციის განცდისას მათი გამოხატვის ფორმებს, უკეთ მოახერხებთ ბავშვისთვის საუკეთესო გამოსავალის მოფიქრებას.

მზაობა და გულწრფელობა

თუ გსურთ უკეთესი დამკვირვებელი გახდეთ, მთავარი ბავშვებთან ერთად დროის გატარების სურვილი (მზაობა) და გულწრფელობაა. ბავშვმა უნდა იგრძნოს და დაინახოს, რომ თქვენ ყოველთვის და ყველა სიტუაციაში მზად ხართ მათთან საურთიერთოდ და გსიამოვნებთ ეს პროცესი. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ შესაძლებელია მასწავლებელთან ნებისმიერ თემაზე თავისი მოსაზრების გამოთქმა ან გაკეთებულის ჩვენება, რაც აუცილებლად წახალისებული იქნება აღმზრდელისგან. მასწავლებელმა უნდა შეძლოს გულწრფელი აღფრთოვანების გამოხატვა თითოეული ბავშვის მიერ გამოთქმული იდეებისა თუ წარმატებით განხორციელებული აქტივობის შემდგომ. ბავშვებს უყვართ, როცა მათთან ერთად იატაკზე სხედხართ ან დახუჭობანას თამაშობთ. დახუჭობანას თამაში ბავშვებს ძალიან ახალისებთ - აღფრთოვანებისგან იკივლებენ, როცა რომელიღაც კუთხეში დამალულს აღმოგაჩენენ და მიკაკუნებას მიგასწრებენ. ყველაზე პარატებთან ერთად გართობა - თამაში, სიმღერა, ცეკვა - თქვენშიც ბავშვს გააღვიძებს. გულწრფელად გიხარიათ, როდესაც სკოლამდელი ასაკის ბავშვი რაიმე ახალ ცნებას ან უნარ-ჩვევას ეუფლება. თქვენ უნდა იყოთ ბავშვების საუკეთესო მეგობარი და პარტნიორი შემდგომში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების რთულ გზაზე. აქ მოვიყვანთ ციტატას დებ კურტისისა და მარჯი კარტერის (2011, 87) წიგნის *„ბავშვების ცხოვრების გაანალიზება“* მეორე გამოცემიდან: „როდესაც გაიაზრებთ და აღმოაჩენთ, რომ ბავშვებს ღრმა და სერიოზული ურთიერთობების დამყარება შეუძლიათ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ და ხელს შეუწყობთ მათ საუკეთესო პიროვნებებად ჩამოყალიბებაში“.

ანტონი: ბავშვებზე დაკვირვების მთავარი ღირებულება არის, რომ ისინი ჩემთვის ძალიან საინტერესოა. მე არასოდეს ვიღლები მათზე დაკვირვებისაგან და ყოველთვის ვსწავლობ, თუ რის შემოთავაზება შეუძლია თითოეულ მათგანს, როგორც ინდივიდს.

მნიშვნელოვანია, დაფიქრდეთ და გაიაზროთ, რამდენად ხართ მზად ბავშვებთან პირისპირ შესახვედრად და გულახდილად საურთიერთოდ? შეგწევთ თუ არა ამის ძალა და უნარი? მთავარი სწორედ თქვენი მზაობა და გულწრფელობაა, რომელიც ბავშვებს მათი აზრებისა და მოქმედებების თავისუფლად გამოხატვის საშუალებას მისცემს. ბავშვებთან ურთიერთობისას დიდ როლს ასრულებს სწორად შერჩეული ხმის ტებრიც, რომლითაც მათ ესაუბრებით. ბავშვებთან ერთად გატარებული დრო იძლევა მათი შესაძლებლობების, ინტერესებისა და უნარ-ჩვევების ნათლად დანახვის შესაძლებლობას. თქვენ უნდა იყოთ ერთგვარი გამტარი მათი ენერგეტიკისა და უნიკალობისა. მასწავლებელმა უნდა ისწავლოს, ბავშვებთან ერთად გულწრფელად იხალისოს იმაზე, რასაც ისინი სასაცილოდ თვლიან.

როდესაც მხოლოდ აწმყოზე, ანუ კონკრეტულად იმ მომენტში მიმდინარე პროცესზე ხართ ორიენტირებული და არა მომავალზე, ანუ შემდგომში განსახორციელებელ მოქმედებაზე, უფრო ცხადად და მკაფიოდ ხედავთ ყველაფერს. როდესაც არ გიხდებათ ყველაფერზე ერთ დღეში დაკვირვება და შემდგომ ამ დაკვირვების დოკუმენტირება, თავისუფლდებით ანგარიშვალდებულების ზეწოლისგან და ტკბებით დაკვირვების პროცესით.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვებზე დაკვირვებისას აქცენტს ვაკეთებთ არა იმაზე, თუ რისი გაკეთება **არ შეუძლია** ბავშვს, არამედ ვკონცენტრირდებით ძირითადად პოზიტივზე - ანუ რისი გაკეთება **შეუძლია** მას. უამრავი პასუხისმგებლობის, მოთხოვნისა და ადრეული სწავლის გზამკვლევების დანერგვის მიუხედავად, ფოკუსირდით და დაინახეთ ის, რისი გაკეთება შეუძლიათ ბავშვებს - სად არიან წარმატებულნი, კომპეტენტურნი - დამოუკიდებლად თუ თქვენი დახმარებით. როდესაც ხედავთ ბავშვს, რომელსაც უჭირს კონკრეტული დავალების შესრულება ან არ შეუძლია რაღაცის გაკეთება, ეს, რასაკვირველია, გამაფრთხილებელი მესიჯია თქვენთვის, თუმცა ბავშვის შესაძლებლობებზე დაკვირვება და შემდგომ მისი აღწერა - ანუ რისი გაკეთება შეუძლია, დაგეხმარებათ მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება, რომელსაც თქვენი დაკვირვების ჩანაწერებიც უჭერს მხარს. თქვენ გეცოდინებათ ბავშვის ძლიერი მხარეები და განსაზღვრავთ, სად საჭიროებს მეტ ხელშეწყობას.

მაგალითად, ხუთი წლის გრანტი დაიბადა ტიპური განვითარების მქონე ბავშვად, მაგრამ დროთა განმავლობაში პროგრესირებადი ნევროლოგიური დაავადება იწვევს მისი სმენისა და მობილობის უნარის დაკარგვას. მას არ შეუძლია სიარული, მაგრამ ხოხავს იატაკზე ტანის ხელებით გადაწევის გზით. გრანტის მასწავლებელის, კამის, მიზანი დაკვირვებისას არის არა ის, რასაც ვერ აკეთებს ბავშვი, არამედ რისი გაკეთება შეუძლია გრანტს. კამი და მისი კოლეგები აკვირდებიან გრანტის ხოხვის თავისებურებებს და ბავშვისთვის მანევრირების საშუალების მიცემისთვის რბილი ბალიშებისგან აკეთებენ წინაღობებს. ისინი გრანტს სვამენ სასრიალოს თავზე და ფრთხილად ეხმარებიან დაქანებამდე მიხოხებაში. გრანტი ჩამოსრიალდება და მასწავლებლები რწმუნდებიან, რომ მასაც, სხვა 5 წლის ასაკის ბავშვების მსგავსად, შეუძლია მსგავსი ტიპის აქტივობებში მონაწილეობის მიღება, თუ სპეციალურ, ზურგისა და

დეანა: როდესაც კონკრეტული ასაკის ბავშვებს ვაკვირდები ჯგუფში, ვცდილობ, არ ვიფიქრო მათ ზუსტ ასაკზე. შეიძლება უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ ეს მეთოდი ნამდვილად მეხმარება, დავაკვირდე ბავშვებს მათი ასაკის გათვალისწინებით წინასწარი დასკვნების, მოლოდინისა თუ ვარაუდების გარეშე. ეს სტრატეგია დროთა განმავლობაში მაძლევს ნათელ სურათს ბავშვების ინდივიდუალური განვითარებისა და პროგრესის შესახებ.

კიდურების შემკავებელ აღჭურვილობას მოარგებ. გრანტის ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა სენსორულ მაგიდასთან დგომაა. გრანტის ღიმილი გადამდებია! მისი აღმზრდელები ხედავენ და მზად არიან, ხელი შეუწყონ მის შესაძლებლობებს და გულახდილად უხარიათ ბავშვის ყოველი წარმატება.

დაკვირვებისა და დოკუმენტირების კვლევად აღქმა

დოკუმენტირება დაკვირვების აუცილებელი ნაწილია. ჩვენ ვაღიარებთ, რომ თქვენი დაკვირვებების ჩაწერა დამღლელია. თუმცა, როგორც უკვე გაჩვენეთ, ბავშვის შესახებ ბევრი რამის სწავლა არის შესაძლებელი მასზე დაკვირვების მეშვეობით. დაკვირვებისა და დოკუმენტირების მნიშვნელობის გაცნობიერება და მათი უკეთ განხორციელების გზების განსაზღვრა გააძლიერებს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილებით ტკბობას.

როდესაც აკვირდებით ბავშვებს, თქვენ აგროვებთ ინფორმაციას მათ შესახებ. სწორედ ამ გზით იღებს ინფორმაციას მკვლევარიც თავისი თემის გარშემო. თუ მხოლოდ თქვენი მეხსიერების იმედად იქნებით, არ არის გამორიცხული, გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის შესახებ. კარგი მკვლევარი ყოველთვის იწერს დაკვირვებებს. დაკვირვების ჩანაწერი არის მტკიცებულება, საბუთი, რომელიც გვაჩვენებს, რა ისწავლეთ ბავშვის ძლიერი მხარეების, სისუსტეების, ინტერესებისა და შესაძლებლობების შესახებ. თქვენ აგროვებთ ჩანაწერებს, რათა პასუხი გასცეთ შემდეგ შეკითხვებს:

- ვინ არის ეს ბავშვი?
- როგორ მიჩვენებს ეს ბავშვი თავის უნარებს, ცოდნასა და შესაძლებლობებს? (რომლებიც, შესაძლებელია, უკავშირდებოდეს ადრეული სწავლის გზამკვლევის მოლოდინებს)
- რა არის ამ ბავშვის სპეციალური საჭიროებები, ცხოვრებისეული გამოცდილება და ოჯახისა და კულტურის ზეგავლენა?

ამ კითხვებთან დაკავშირებული დაკვირვების დოკუმენტირება შესაძლებელია განხორციელდეს რამდენიმე გზით: ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ რას აკეთებს და ამბობს ბავშვი (როგორც გაჩვენეთ წინა თავებში) ან მოკლე „მეხსიერებისთვის ბიძგის მიმცემი“ მინიშნებები თქვენთვის, რომელთაც განავრცობთ მოგვიანებით. დროდადრო თქვენ შესაძლებელია გამოიყენოთ ჩამონათვალის (ე.წ. „ჩეკლისტის“) ფორმატი, რომელშიც ჩაწერთ მოკლე ინფორმაციას. მნიშვნელოვანია, იცოდეთ, როდის გამოიყენოთ თითოეული ფორმატი ისე, რომ ინფორმაცია, რომელსაც იწერთ, ნამდვილად ხელს უწყობდეს თქვენ მიერ ბავშვის შესახებ ჩატარებულ კვლევას. შემდეგ თავში ჩვენ გაჩვენებთ რამდენიმე სხვადასხვა ფორმატს თქვენი დაკვირვებების დოკუმენტირებისთვის და მოგცემთ რეკომენდაციებს, როდის გამოიყენოთ ისინი ყველაზე ეფექტურად.

დაკვირვებისა და შემდგომ მისი დოკუმენტირებისას, შეგიძლიათ, კვლევას დაურთოთ ის ინფორმაციაც, თუ რისი გაკეთებაა საჭირო ბავშვებთან ურთიერთობისას მათი აზროვნებისა და გაგების/წვდომის უნარების უკეთ გასააზრებლად. ჩაერთეთ ჩვილი ბავშვების ტიტინში და

დააკვირდით, როგორ რეაგირებენ ისინი. როდესაც ურთიერთობთ ადრეული ასაკის ბავშვთან, დაუსვით ღია შეკითხვები ან გააკეთეთ ღია, ორაზროვანი კომენტარები, რათა წაახალისოთ ისინი მათი აზროვნებისა და შინაგანი სამყაროს უკეთესად გამოსავლენად.

ღია შეკითხვებს ან შენიშვნებს არ აქვს მხოლოდ ერთ სწორი პასუხი. პირიქით, კითხვა ითხოვს პასუხებს, რომლებიც შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით განივრცოს. მაგალითად, „რა იცით ამის შესახებ?“ „რატომ ფიქრობ ასე?“ და „რა შეიძლება მოხდეს შემდეგ?“ არის ღია შეკითხვები. მათგან განსხვავებით, დახურულ კითხვებს აქვს ერთი სწორი პასუხი. კითხვა, როგორიცაა „რა ფერისაა ეს?“ „რამდენი ცალი გაქვს?“ და „სად უნდა წავიდეს ამ თავსატეხის ეს ნაწილი?“ დახურული კითხვებია. დახურული კითხვები არ აძლევს კითხვის დამსმელს იმის საშუალებას, რომ გაიგოს ბავშვის აზროვნება ან მისი გრძნობები იმ კონკრეტულ მომენტში. ზოგი ბავშვი, თუ არ იცის პასუხი, იკეტება და უარს ამბობს სხვა კითხვებზე პასუხის გაცემაზე. ღია შეკითხვებისა და კომენტარების გამოყენება დაგეხმარებათ, რომ მოიპოვოთ უფრო მეტი ინფორმაცია თითოეული ბავშვის შესახებ და მიიღოთ უფრო მეტი ინფორმაცია ბავშვისგან. როდესაც აკვირდებით ბავშვს, ყველაზე მართებულია, დაუსვათ ღია კითხვები და ჩართოთ მათი პასუხები დაკვირვების შენიშვნებში. ქვემოთ წარმოდგენილია ეპიზოდები, რომლებიც მოიცავს მასწავლებლის კითხვებს. გაეცანით მათ და გადაწყვიტეთ, თუ გაქვთ ბავშვის აზროვნებასა და პრობლემის გადაწყვეტის უნარში ჩაღრმავების საშუალება მასწავლებლის მიერ დასმული კითხვებიდან გამომდინარე.

ლუიზა (5 წლის)

მას შემდეგ, რაც ჯგუფს წავუკითხე წიგნი მოწყენილობისა და სიცილის შესახებ, დავინტერესდი მათი პასუხით შემდეგ კითხვაზე: „რაზე დაგაფიქრათ ამ წიგნმა? როგორ იგრძენით თავი?“ ლუიზა წევს ხელს და ამბობს: „როდესაც სევდიანი ხარ, ნუ იგრძნობ თავს ცუდად, რადგან ეს შენშია.“

კაზიანი (4 წლის და 8 თვის)

კაზიანი მიდის სამეცნიერო კუთხეში და იღებს პიპეტებს და სამ ჭიქას. ის ჯდება მაგიდასთან, დებს პიპეტს წყალში და იღებს. პიპეტში წყალი არ არის. ის კვლავ დებს პიპეტს წყალში და წყალი ისევ არ არის. „მის ნიტა, როგორ მუშაობს ეს?“- კითხულობს ის. მე ვეკითხები: „აბა, რის გაკეთება შეგიძლია, რომ ეს აამუშავო?“ის მპასუხობს „მე მინდა, რომ წყალი მოხვდეს აქ“. მე ვეუბნები, „სწორია. კაზიან, როგორ შეგიძლია ამის გაკეთება?“ „მე არ ვიცი, როგორ უნდა მოხვდეს წყალი აქ, თქვენ უნდა მანახოთ“. მე ვიღებ პიპეტს და ვამბობ, „შეხედე პიპეტს, კაზიან, რას ხედავ?“ კაზიანი მპასუხობს: „მე ვხედავ შავ რაღაცას და რაღაცას, სადაც წყალი უნდა მოხვდეს“, „სწორია“. შემდეგ მე ვეკითხები: „როგორია ის შავი რაღაც?“ კაზიანი მპასუხობს, რომ ის მოქნილია. „აბა, როგორ ფიქრობ, რა უნდა გააკეთო ამ რბილი, დამყოლი შავი რაღაცით?“. კაზიანი იღებს პიპეტს, იჭერს შავი რბილი ბოლოთი და აჭერს თითებს ერთმანეთს. „მე უნდა მოვუჭირო ამას“. ის დებს პიპეტს წყალში, უჭერს და ერთი-ორი ცდის შემდეგ ავსებს პიპეტს წყლით რამდენჯერმე. ფართო ღიმილით ის აცხადებს. „მე ეს გავაკეთე!“.

ხშირ შემთხვევებში, ღია კითხვის დასმა ან კომენტარის გაკეთება საშუალებას აძლევს ბავშვებს, საკუთარი ძალებით მოაგვარონ უთანხმოებები. წარმოგიდგენთ ორ მაგალითს, სადაც მასწავლებლის კომენტარი ადასტურებს ამას.

იასმინა (4 წლის და 2 თვის)

იასმინა ზის წყნარ ადგილას, როდესაც უახლოვდება ჯეიკობი და ჯდება მის გვერდით. ის ართმევს მას წიგნს. იასმინა ამბობს:

- ეი, მე პირველი ვათვალიერებდი!
- მეც! - პასუხობს ჯეიკობი.
- მასწავლებელო, ჯეიკობი ჩემს წიგნს იღებს! - ამბობს იასმინა.
- აბა, როგორ მოაგვარებთ პრობლემას? - ვეკითხები ორივეს.
- ჯეიკობ, დაჯექი ჩემს გვერდით და ერთად წავიკითხოთ - სთავაზობს იასმინა. ის წიგნის ნახევარს იდებს კალთაში, მეორე ნახევარს უდებს ჯეიკობს და ამბობს:
- ხედავ? მე შემიძლია გაგიზიარო.

მაქსი (5 წლის და 7 თვის)

მაქსი და მისი მეგობრები ატარებენ სკუტერებს ველოსიპედის ბილიკზე. შემდეგ მიდიან ურმით სილაში სათამაშოდ. მაქსი ბრუნდება 5 წუთის შემდეგ, კლაუდია ზის იმ სკუტერზე, რომლითაც მაქსი სარგებლობდა. მაქსი იჭერს სკუტერს სახელურებით და ამბობს: „მე ვიყენებდი ამას. ეს ჩემი სკუტერია“. კლაუდია არ დგება სკუტერიდან და პასუხობს: „შენ ის დატოვე და სხვა რაღაცით დაკავდი“. გამოუვალი მდგომარეობა გრძელდება იქამდე, ვიდრე მაქსი იძახის ჩემ სახელს და ამბობს: „ტრეისი, მე ვიყენებდი ამ სკუტერს“. ვუახლოვდები მათ და ვეუბნები: „როგორც ჩანს, თქვენ ორივეს გინდათ ერთი და იგივე სკუტერი. მე მაინტერესებს, რისი გაკეთება შეგიძლიათ, რომ ორივე კმაყოფილი დარჩეთ?“. მაქსი მპასუხობს, რომ შეუძლიათ სკუტერის რიგ-რიგობით გამოყენება, მაგრამ თავად პირველი იქნება. ვინტერესდები, რამდენი წრის დარტყმას აპირებს. „ხუთი“ - მპასუხობს მაქსი. „ორი“ - ამბობს კლაუდია. „ხუთი“ ამბობს მაქსი. „სამი“ ამბობს კლაუდია. „ხუთი“ ამბობს მაქსი. „ექვსი“ ამბობს კლაუდია. „ხუთი“ ამბობს მაქსი. „კარგი, ხუთი“- ამბობს კლაუდია. კლაუდია ჩამოდის და საშუალებას აძლევს მაქსს, დაჯდეს სკუტერზე. ხუთი წრის დარტყმის შემდეგ, მაქსი კლაუდიას უთმობს სკუტერს.

როდესაც ღიად და მომზადებული ვაწვდით ბავშვს უკუკავშირს, მან შეიძლება გაგაოცოთ თავისი აზროვნებით და პრობლემის მოგვარების უნარით, როგორც ეს ამ მაგალითში გამოჩნდა.

აიანა (5 წლის და 2 თვის)

დღეს, წრეში შეკრებისას, ყველა ბავშვი თავს იყრის კედელზე გაკრული სიმღერის პოსტერის გარშემო, რათა თავისი ჯერის მოსვლის დროს დაასახელოს ანბანის ასოები პოსტერზე. ისინი სხედან მუხლებზე სამ რიგად. ზოგი მათგანი ვერ ხედავს სიმღერას კედელზე, რადგან მათ წინ მჯდომი მათზე მაღალია. აიანა ამბობს: „მე ვიცი, რაც უნდა გავაკეთო“. ვეკითხები, რის გაკეთბას აპირებს. ის დგება და იწყებს უფრო მაღალი

ბავშვების უკანა რიგში გადასმას. შემდეგ აიანა ფეხზე აყენებს დანარჩენ ბავშვებს, რომ ნახოს, რომელია „ყველაზე დაბალი“. ის არჩევს „დაბალ“ ბავშვებს და სვამს წინ. „ახლა ყველას შეუძლია, დაინახოს“ - ამბობს აიანა ღიმილით და მათ მართლაც შეუძლიათ!

დოკუმენტირების სხვადასხვა სტრატეგიის პრაქტიკა

ყველას აქვს განსხვავებული ორგანიზაციული სტილი, წერის განსხვავებული მანერა და მიდგომა დოკუმენტირებისთვის. დოკუმენტირების სტრატეგიის სხვადასხვა ტიპების ცდა და პრაქტიკა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვებზე დაკვირვება საქმიანობების დროს. თქვენ შესაძლებელია, აღმოაჩინოთ, რომ ერთი მეთოდი თქვენთვის უფრო მოსახერხებელია, როცა მეორეს უკეთ იყენებს თქვენი კოლეგა. შეიძლება, არჩიოთ მოკლე ჩანაწერების გაკეთება, რომელთაც მოგვიანებით გააანალიზებთ და განავრცობთ. თქვენი პარტნიორი შეიძლება უკეთ მუშაობდეს ბავშვთან ერთად ყოფნის მომენტშივე ჩანაწერების გაკეთებით. შემდეგ თავში წარმოგიდგენთ ჩაწერის რამდენიმე მეთოდს და მოგცემთ რეკომენდაციებს, თუ როდის და როგორ გამოიყენოთ თითოეული მათგანი ეფექტურად. ჩვენ მოგიწოდებთ, რომ გამოსცადოთ ისინი, განიხილოთ კოლეგებთან ერთად, როგორ მუშაობს თითოეული მეთოდი თითოეული თქვენგანისთვის და განაგრძოთ დოკუმენტირების უნარების გაუმჯობესება.

დაკვირვებისა და დოკუმენტირების გაანალიზებისთვის დროის დათმობა

თქვენ გჭირდებათ დრო თქვენი ჩანაწერების გადასათვალიერებლად, რათა გაითვალისწინოთ თითოეული ბავშვის მიღწევები, საჭიროებები და ეფექტურად დაგეგმოთ შემდეგი საფეხურები ბავშვების მუდმივი ზრდისა და განვითარების ხელშესაწყობად. თქვენი დაკვირვებების გაანალიზების ვალდებულების აღებით და ჩანაწერების განსახილველად დროის გამოყოფით, დაკვირვებები უფრო სასარგებლო ხდება ბავშვებთან მუშაობისას. თქვენ შესაძლებელია დააფიქსიროთ ბავშვების ქცევები და უეცრად აღმოაჩნოთ, რომ ბევრ ბავშვს აქვს პრობლემა დღის განმავლობაში გარკვეულ გარდამავალ პერიოდთან ან ოთახის გარკვეულ ნაწილში გადაადგილებასთან მიმართებით ან აღმოჩნდება, რომ რომელიღაც ბავშვი უფრო წარმატებით ერთვება საქმიანობებში შუადღის ძილის შემდეგ.

პროცესების გაანალიზება არ ხდება მხოლოდ სამუშაო დროის შემდეგ წყნარ გარემოში. თქვენ თავად ადგენთ და გამოყოფთ დროსა თუ ადგილს ბავშვების ქცევებზე ჩასაღრმავებლად. ეს შეიძლება კოლეგებთან ერთადაც მოხდეს და ერთობლივად გააანალიზოთ პროცესი. გაანალიზება შეიძლება

- სპონტანურად, დაკვირვების დროს
- შეუჩერებლად, დღის განმავლობაში, როდესაც აკვირდებით ბავშვს რუტინული საქმიანობების, სხვადასხვა აქტივობებისას, რასაც მოაქცევთ ერთ ჩარჩოში

- ყოველდღიური პირადი გადაწყვეტილებით დაგეგმილ მშვიდ დროს
- კოლეგებთან ერთად ყოველდღიური ან ყოველკვირეული ჯგუფური განხილვებისას
- მიმდინარე (შესაძლოა ყოველკვირეული) მიმოხილვისას, როდესაც აწესრიგებთ ჩანაწერებს
- ანალიზისთვის წინასწარ დაგეგმილ დროს, რათა გადახედოთ ბავშვზე კვირების განმავლობაში განხორციელებული დაკვირვების დასრულებულ ჩანაწერებს.

დაკვირვების ანალიზისას ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რაც საკუთარ თავს უნდა დაუსვათ, არის *რა ვისწავლე ბავშვის შესახებ?,* თუმცა, ბუნებრივია, სხვა, უფრო დეტალური კითხვებიც ჩნდება, რომელთა ნაწილის ჩამონათვალსაც ქვემოთ გთავაზობთ:

- რა არის ამ ბავშვის ინტერესები? რა აღაფრთოვანებს მას?
- როგორია ბავშვის პიროვნული თვისებები? ვინ არის ის?
- როგორია ბავშვის მიღწევები და სად განიცადა პროგრესი?
- კონკრეტულად რომელ სფეროში აწყდება ბავშვი გამოწვევებს ან სირთულეებს?
- რა გავაკეთეთ მე და ჩემმა კოლეგებმა ბავშვისთვის, რაც შედეგიანი აღმოჩნდა მისთვის?
- რა არ იყო შედეგიანი ამ ბავშვთან მუშაობისას?
- რა ცვლილებები უნდა დავგეგმოთ/გავითვალისწინოთ?
- რა მიზნებს უნდა მივაღწიოთ?

დროის გამონახვა თითოეული ბავშვისთვის ამ კითხვების გასაანალიზებლად და შესაბამისი გეგმების შემუშავება უფრო დაგაახლოვებთ ბავშვებთან. თქვენი სამუშაო უფრო გაიოლდება, რადგან მათგან წამოსულ იმპულსებს უკეთ გაარჩევთ, წინასწარ განსაზღვრავთ პრობლემას და წინ აღუდგებით მას, დაეყრდნობით წინსვლას, რასაც უკვე მიაღწიეთ და დაეხმარებით თითოეულ ბავშვს, უფრო წარმატებული გახდეს. ზოგჯერ მხოლოდ გაანალიზების დროს ახერხებთ თქვენი დაკვირვებების ჩაწერას. შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ, როგორ უნდა გამოიყენოთ დრო უფრო ვრცელი დოკუმენტირებისთვის.

საკუთარი მიკერძოებულობის გააზრება

საქმიანობების დროს ბავშვებზე დაკვირვება არის ადამიანური ძალისხმევა და არა მექანიკური. შესაბამისად, სრული ობიექტურობა გამორიცხულია. როგორც ადრეული ასაკის განათლების სპეციალისტი, რომელიც აკვირდება ბავშვებს მუშაობის დროს ან თამაშისას, თქვენზე გავლენას ახდენს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ბავშვის განვითარების თქვენეული აღქმა, დამოკიდებულება საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, თანდაყოლილი მიკერძოებულობა და წინასწარგანწყობები. თითოეულ ადამიანს სამყაროს

დარლისა: მართლა ძალიან გავოცდი და გამიკვირდა, როდესაც ჩემი დაკვირვებების ჩანაწერების მოწესრიგებისას აღმოვაჩინე, რომ აბსოლუტურად სხვაგვარად ვხედავდი ბავშვებს იმ დროს, ვიდრე ჯგუფში დაკვირვებისას. ჩანაწერების ხელახლა გადაკითხვა და გაანალიზება ძალიან

თავისებური, უნიკალური აღქმა აქვს და ცხადია, მასწავლებლებსაც ბავშვების შესახებ ერთმანეთისგან განსხვავებული, პირადი მოსაზრებები აქვთ.	დამეხმარა და თავი ვიგრძენი გრინჩად, რომელსაც გული გაეზარდა.

ყოველი მასწავლებელი ბავშვის ქცევას თავისებურად აღიქვამს. როდესაც ორი ან მეტი მასწავლებელი აკვირდება ერთსა და იმავე ბავშვს, მათ ხედვის საკუთარი წერტილები ანუ „ობიექტივები“ აქვთ. დებ კურტისი და მარჯი კარტერი აღწერენ ორ კონტრასტულ შეხედულებას, რომელთაგანაც ერთი ნეგატიური, მეორე კი კომპეტენტურია.

მასწავლებელი, რომელიც ბავშვს უყურებს ნეგატიურად, ხედავს, რომ ბავშვს არ აქვს თვითკონტროლის უნარი და იქცევა შეუფერებლად. მასწავლებელი, რომელიც ბავშვს აკვირდება კომპეტენტურად, ხედავს, რომ ბავშვი ცდილობს ამ სამყაროში თვითდამკვიდრების სწავლას. იგი სწავლობს თავის გატანას, თანდადათანობით ერკვევა სოციალურ მინიშნებებში, რომელთაც ზრდასრულებისაგან იღებს და მაქსიმალურად ცდილობს მათ გამოყენებას. ეს ორი განსხვავებული ხედვა გავლენას ახდენს მასწავლებლების მიერ დანახულ ფაქტებზე. ქვემოთ ვნახავთ კურტისის და კარტერის მიერ წარმოდგენილ ნიმუშს (2011, 85) - ბავშვის ერთი საქციელი ორი განსხვავებული თვალთახედვით.

ნეგატიური ხედვა	**კომპეტენტური ხედვა**
ბავშვს არ აქვს წარმოდგენა, თუ რა არის უსაფრთხო.	ბავშვი არის ენერგიული მკვლევარი, დაუღლელი ექსპერიმენტატორი და ერთგული მეცნიერი.
ბავშვს არ აქვს მოთმინების უნარი.	ბავშვი მზადაა ისწავლოს ყოველი გამოცდილებიდან და ურთიერთობიდან.
ბავშვი ვერ ჩერდება ისე, რომ საგნებს არ შეეხოს. ხელებს ვერ აჩერებს.	ბავშვი სწავლობს, თუ როგორ აკონტროლოს საკუთარი ქცევები და მიხედოს თავს, სხვებს და სამყაროს მის გარშემო.
ბავშვი გაღიზიანებულია ან ხშირად ბრაზდება	ბავშვი გადადის დამოკიდებული ეტაპიდან დამოუკიდებელზე.

მოაზროვნე მასწავლებლებმა იციან, როგორი „სათვალით“ უყურონ ბავშვის ქცევას. ისინი ცდილობენ ბავშვის ცუდი საქციელის გამომწვევი მიზეზების გაგებას, ითვალისწინებენ ბავშვის ხედვას და აანალიზებენ სიტუაციას სხვა კუთხიდან, რათა მომავალში სერიოზული პრობლემები აირიდონ თავიდან და აირჩიონ სტრატეგია, როგორ დაეხმარონ ბავშვს უფრო ეფექტურად გრძელვადიან პერსპექტივაში. მოვიყვანოთ ციტატა ლუიზ დერმან-სპარკსისა და ჯული ოლსენ ედვარდსის (2010,1) წიგნიდან „*მიუკერძოებელი განათლება ადრეული ასაკის ბავშვებისა და ჩვენთვის“:* „როდესაც მასწავლებლები ბავშვებს ძლიერებად, გონიერებად და კეთილებად მიიჩნევენ და შესაბამისად ეპყრობიან მათ, დიდია ალბათობა, რომ მომავალში ეს ბავშვები მოიქცნენ სწორედ ისე, როგორც იქცევიან ძლიერი, გონიერი და კეთილი ადამიანები. ისინი, სავარაუდოდ, შეეცდებიან, ისწავლონ და მიაღწიონ წარმატებას“.

განსხვავებული კულტურის შესახებ მწირი ინფორმაცია და ნაკლები ცოდნა ან სხვა ადამიანების ღირებულებების არასწორი აღქმა გავლენას ახდენს ბავშვის საქციელის თქვენეულ ინტერპრეტაციაზე. იმისათვის, რომ იყოთ ნამდვილად კარგი დამკვირვებელი, თქვენ

მუდმივად უნდა აცნობიერებდეთ როგორც საკუთარ კულტურულ, ისე ბავშვებისა და მათი ოჯახების გამოცდილებას. ასეთი თვითშეფასება არის მიმდინარე პროცესი, რომელიც მოითხოვს სიმწიფეს, აზროვნებას, რეფლექსიას და ახალი იდეებისადმი ღიაობას. თქვენი მიზანია, რომ დოკუმენტირებული დაკვირვებები ბავშვის ფაქტობრივი მოქმედების აღმწერი და მიუკერძოებელი იყოს.

ხადახან კონფლიქტები და უთანხმოებები იწყება მასწავლებლებსა და ოჯახებს/ბავშვებს შორის კულტურული განსხვავებების გამო. განსხვავებულია ხოლმე შეხედულებები ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა, მაგალითად, ჭამა და ძილი, მიჯაჭვულობა და განცალკევება, თამაში, კვლევა და სოციალიზაცია. ეს ყველაფერი შესაძლებელია გახდეს გაურკვევლობის წყარო. კულტურული ნორმების არასწორად გაგებამ შესაძლებელია მიგვიყვანოს ბავშვის ქცევების არასწორ შეფასებამდე. არ შეიძლება, რწმენა იყოს სწორი ან არასწორი. ბავშვების ოჯახებთან აქტიური კომუნიკაცია დაგეხმარებათ მეტი გაიგოთ მათი ტრადიციებისა და ბავშვების აღზრდის შესახებ და ამ კონტექსტში გაიაზროთ ბავშვის ქცევა. როდესაც გაიაზრებთ, თუ რა გავლენა აქვს სხვადასხვა კულტურების შესახებ ინფორმირებულობას თქვენს აღქმაზე, ჩამოყალიბდებით, როგორც დამკვირვებელი და შეძლებთ უფრო გამჭვირვალედ დაინახოთ ბავშვების ქმედებები. „კვალიფიციურმა მასწავლებლებმა იციან, რომ კარგად მოსმენა და სხვადასხვა პერსპექტივის შესახებ ობიექტური დამოკიდებულება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველგან, სადაც კულტურული განსხვავებები არსებობს და აუცილებელია *ყველა* ოჯახთან, ვისთანაც მუშაობენ“ (კოპლი და ბრედეკამპი 09, 45).

ამ თავის ბოლოს წარმოდგენილ აქტივობაში თქვენი დაკვირვების სტილის მოსაძებნად წარმოდგენელია თვითშემეცნების რამდენიმე სავარჯიშო დერმან სპარქსისა და ედვარდსისგან. მათზე ვარჯიში მარტო, მეგობართან ან კოლეგების ჯგუფთან ერთად დაგეხმარებათ, სწორად შეარჩიოთ „სათვალე“, რომლითაც ბავშვებს აკვირდებით. როდესაც მიხვდებით, რომ თქვენი „სათვალიდან“ ბუნდოვნად ან სანახევროდ მოსჩანს ბავშვი, აუცილებლად გამოცვლით მას და თქვენი დაკვირვებებიც უფრო მეტად ინფორმაციული, სანდო და სარწმუნო იქნება. სავარჯიშოები დაგეხმარებათ საკუთარი თავის შეცნობაში, რაც გასწავლით სხვათა მრავალფეროვნების გარჩევას. თქვენ სულ სხვა პერსპექტივიდან დაინახავთ ოჯახებს, რომელთაც ემსახურებით.

ფაქტობრივი დოკუმენტირება

დაკვირვებისა და დოკუმენტირების სწორად და კვალიფიციურად ჩასატარებლად მნიშვნელოვანია, წერილობითი დაკვირვებები იყოს ფაქტობრივი. დაკვირვების ჩანაწერები უნდა აღწერდეს ფაქტებს და არა აფასებდეს მათ. დაკვირვების ფაქტობრივი და ობიექტური აღწერა გამორიცხავს მიკერძოებულობას. დაკვირვების ობიექტურად აღწერაში იგულისხმება ჩანაწერებში ნანახი ან მომხდარი ფაქტების დაფიქსირება, რათა არ მოექცე შეფასებითი მსჯელობის ზეგავლენის ქვეშ, თავიდან აირიდო მიკერძოებული მიდგომა საკითხისადმი და არ აწარმოო დაკვირვებული ქცევების ინტერპრეტირებული ჩანაწერი. ეს ნიშნავს პროცესის ნაწილებად დაშლას, ფაქტობრივ აღწერას იმისას, რასაც ხედავთ და მოგვიანებით ჩანაწერების

გადაკითხვას და ინტერპრეტაციას იმ ფაქტებისა, რაც დააფიქსირეთ. სათქმელად იოლია, მაგრამ გასაკეთებლად - რთული და განსაკუთრებით იმ ბავშვებთან, რომლებთანაც ხშირად მუშაობთ და კარგად იცნობთ მათ. თუმცა ცალსახად შეიძლება ითქვას - პერმანენტული დაკვირვება ჩანაწერების ობიექტურად წარმოების საწინდარია.

წარმოგიდგენთ სუბიექტურ, ინტერპრეტირებულ ეპიზოდს. დააკვირდით, როგორ ნეგატიურ ფონს ქმნის განსჯა და შეფასება.

ჯოშუა (4 წლის და 3 თვის)

> დღეს ჯოშუა წრეში ჯდომისას ძალიან ცუდად იქცეოდა - საერთოდ არ ისმენდა და არც ჩუმად იჯდა. გამუდმებით ირწეოდა და აწუხებდა გვერდით მჯდომს. ამიტომ იძულებული გავხდი, გვერდით მივჯდომოდი და მომეთოკა ჯოშუა.

ჯოშუას შესახებ ამ მოკლე აღწერილობაში რამდენიმე კონკრეტული სიტყვა გამოირჩევა: ცუდად, საერთოდ არ ისმენდა, გამუდმებით, აწუხებდა. პრობლემა ამ სიტყვებთან დაკავშირებით არის ის, რომ ისინი შესაძლებელია სხვადასხვაგვარად იქნას აღქმული სხვადასხვა ადამიანის მიერ. ერთმა ზრდასრულმა სხვა ბავშვზე ხელის დარტყმა ან სკამის გადაყირავება შეიძლება განსაზღვროს, როგორც *ცუდი*, ხოლო მეორემ - მასწავლებლის არმოსმენა ან მისი რიგის მოსვლის გარეშე პასუხის გაცემა ჩათვალოს ცუდ საქციელად. „გამუდმებით“ და *„არასდროს“* არ არის ის სიტყვები, რომლებიც აღწერისას უნდა გამოიყენოთ. მათ ისეთი დიდი მოვლენებისა თუ სიტუაციების ასახსნელად იყენებენ, ჯოშუასთან დაკავშირებული მცირე ინციდენტის ასაღწერად სრულიად უადგილოა. სიტყვას *„აწუხებს“* ასევე შეიძლება ჰქონდეს მრავალი მნიშვნელობა, რომელიც ინტერესს უღვივებს მკითხველს, კონკრეტულად რა გააკეთა ჯოშუამ, რითაც ასე შეაწუხა გვერდით მჯდომი - მათკენ იხრებოდა? ყურში ჩასჩურჩულებდა? მუჯლუგუნს კრავდა თუ ხელ-ფეხს ურტყამდა? იქნებ კითხვებს უსვამდა? დაბოლოს, ამ ეპიზოდის უკანასკნელი ფრაზა „იძულებული გავხდი, გვერდით მივჯდომოდი და მომეთოკა ჯოშუა“ აშკარად ასახავს დამკვირვებლის ნეგატიურ დამოკიდებულებას ბავშვისადმი. ან წინადადებაში იკითხება ერთგვარი აღშფოთება, რომ ამგვარად მოუწია სიტუაციაში ჩარევა, რათა დახმარებოდა წრეში სხვებთან ერთად მჯდომ ჯოშუას შესაფერისად მოქცევაში.

მკაფიოდ ვხედავთ, რომ დაკვირვების ეს ჩანაწერი ინტერპრეტაციული და შეფასებითია. არსებობს იმავე სიტუაციაში ჯოშუას საქციელის აღწერის სხვა გზაც, რომელიც ფაქტობრივი და აღწერილობითი ჩანაწერის ნიმუშია. ეს არის ზუსტი ინფორმაცია ჯოშუას ქმედებისა და ნათქვამის შესახებ. ამგვარი ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ მკითხველს თავად შეუძლია დაასკვნას და განსაზღვროს, რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას შემდგომში ჯოშუას დასახმარებლად. ქვემოთ ხელახლა გაეცანით ეპიზოდს ჯოშუას შესახებ, რათა გაანალიზოთ, როგორ შეიძლება ინტერპრეტაციის ჩანაცვლება აღწერით.

ჯოშუა (4 წლის და 3 თვის)

> ჯოშუა გაუნძრევლად ზის დაახლოებით 1 წუთის განმავლობაში. შემდეგ დგება, დგას ფეხზე ან გადის. ყოველ ჯერზე ვაბრუნებ მას წრეში და ვსვამ. როდესაც ზის,

მუჯლუგუნს ჰკრავს მის გვერდით მჯდომ ბავშვს და ელაპარაკება მას. მე ვუზივარ გვერდით და ვეკითხები, ჩამიჯდება თუ არა კალთაში. ჯოშუა მთანხმდება, მეყრდნობა მკერდზე, იწყებს ცერა თითის წოვას და უსმენს ისტორიას ხუთი წუთის განმავლობაში.

ამ ფაქტობრივ აღწერილობაში თვალნათლად ჩანს, რომ ჯოშუას უჭირს წყნარად, გაუნძრევლად ჯდომა და ჯგუფურ აქტივობაში მონაწილეობის მიღება, ვიდრე მას არ ჩაისვამენ კალთაში. შემდეგ ის მშვიდდება. შესაბამისად, ჯგუფური აქტივობების დაგეგმვისას გათვალისიწნებული უნდა იყოს ჯოშუასთვის აღმზრდელთან ერთად ჯდომის შესაძლებლობა, რომ უკეთ ჩაერთოს აქტივობაში.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ცხრილს წიგნიდან *„ფოკუსირებული პორტფოლიოები: სრული შეფასება ადრეული ასაკის ბავშვებისთვის“* (გრონლუნდი და ენგელი 2001, 97). დააკვირდით სიტყვებსა და ფრაზებს სვეტის მარცხენა მხარეს და დააფიქსირეთ, რამდენ მათგანს ხედავთ ჯოშუას შესახებ პირველ დაკვირვებაში და შემდგომ წარმოდგენილ სუბიექტურ მოკლე ეპიზოდებში. ფაქტობრივი და აღწერითი ეპიზოდების მომდევნო გვერდებზე გაცნობის შემდეგ, კვლავ გადახედეთ ამ ცხრილს და დააკვირდით, როგორ იცვლება სიტყვები და ფრაზები შეფასებითი და ინტერპრეტაციულიდან აღწერით და ფაქტობრივამდე, როგორც ეს მოცემულია ცხრილის მარჯვენა სვეტში. ცხრილის ნახვა შეგიძლიათ დანართში „ბ“ და დისკის რესურსების ნაწილში.

სიტყვები და ფრაზები, რომლებიც არ უნდა გამოვიყენოთ	**სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ**
ბავშვს უყვარს...	ის ხშირად ირჩევს...
ბავშვს მოსწონს...	მე დავინახე, რომ მას...
მას სიამოვნებას ანიჭებს . . .	მე გავიგონე, რომ მან თქვა...
ის ბევრ დროს ატარებს...	ის ხუთ წუთს უთმობს ამას...
ჩანს, თითქოს...	მან თქვა...
როგორც ჩანს...	თითქმის ყოველ დღე, ის...
მე ვიფიქრე...	თვეში ერთხელ ან ორჯერ ის...
მე ვიგრძენი...	ყოველ ჯერზე როცა ის...
მე მაინტერესებს...	ის გამუდმებით/ზედმიწევნით . . .
ის ძალიან კარგად აკეთებს...	ჩვენ დავაფიქსირეთ .....-ის მოდელი
მას ცუდად გამოსდის	
ეს რთულია .....სთვის	

გაანალიზეთ დანარჩენი ეპიზოდები (რომლებიც არ არის ფაქტობრივი და აღწერითი ხასიათის) შემცველი სიტყვებისა და ფრაზების გათვალისწინებით.

ჯენიფერი (6 თვის)

ჯენიფერი ძალიან მოუსვენარი ბავშვია. ის ტირის, როდესაც დედა მიდის, ითხოვს ძალიან ბევრ ყურადღებას უფროსებისგან. მისი დამშვიდება ძალიან რთულია საწოვარას გარეშე და თუ არ უჭირავს იგი ხელში. ის ძალიან იოლად კრთება (შინდება) და ღიზიანდება, როდესაც მასზე უფროსი ბავშვები უახლოვდებიან.

კერი (3 წლისა და 2 თვის)

ველოსიპედებით სარგებლობის დროის მოახლოებისას, კერი გარბის გარეთ, რათა პირველმა აირჩოს ველოსიპედი. მას ყოველთვის წითელ ველოსიპედზე ჯდომა უნდა და ავიწყდება ველოსიპედებისთვის განკუთვნილ სპეციალურ ბილიკზე მოძრაობის წესები.

იოანა: მიმაჩნია, რომ ძალიან ხელსაყრელია ჩაიწერო მხოლოდ ის, რასაც ბავშვები აკეთებენ. ამგვარი ჩანაწერი გათავისუფლებს შეფასებისგან.

ნიკო (2 წლისა და 6 თვის)
დღეს, ხელოვნების საათის დროს, ნიკო ძალიან გაერთო ხატვით. ის იყენებს ძალიან ბევრ საღებავს - მწვანეს, ლურჯს, ყავისფერსა და წითელს. მისი სურათები ძალიან საინტერესოა. ჩანს, თითქოს დახატა ხალხი და სახლი. ნიკო ხატავს თითქმის ყოველდღე.

ქვემოთ მოცემულია დაკვირვების ჩანაწერის მაგალითი, რომელიც დაწერილია შეხედულებისა და შეფასების გარეშე. იგი მხოლოდ აღწერს, რა გააკეთა ან თქვა ბავშვმა. მიაქციეთ ყურადღება - ბავშვის ნათქვამის ციტირება მომხდარის ფაქტობრივი აღწერის საშუალებაა.

ლუპიტა (2 წლის და 5 თვის)

სადილის დროს ლუპიტა ხედავს, რომ ლორანი დებს ჩილის მის ბურიტოში. ლუპიტა ამბობს, „დედა ჩილი“. ლორანი ინტერესდება, ჩამს თუ არა ლუპიტას დედა ჩილის, რაზეც ლუპიტა პასუხობს - „კი“. როდესაც მას საჭმლის დამატება სურს, ამბობს „Mas [მეტი]“ და როდესაც ვთხოვთ მას, თქვას „Por favor [გთხოვთ]“, ის იმეორებს. მოგვიანებით ლუპიტა აკვირდება, როგორ ჭამს ჯეისონი. ის უთითებს მისკენ და ამბობს, „Mira [უყურე] ჯეისონ!“

დაიანა: ერთ-ერთი გამოწვევა ყველაფრის სწორად დაწერაა.

ამ ეპიზოდის წაკითხვით, ვხვდებით, როგორ იყენებს ლუპიტა მეტყველებას სადილის დროს. სიტუაციის კონტექსტი ისევეა აღწერილი, როგორც მასწავლებლების ლუპიტასთან ურთიერთობა. აქ არ არის ლუპიტას სალაპარაკო უნარების შეფასება - მხოლოდ მისი

ფრაზებისა და სიტყვების ციტირებაა. ქვემოთ იხილავთ ორი ფაქტობრივი და აღწერითი ეპიზოდის ნიმუშებს.

ნაომი (7 თვის)

ნაომი წევს იატაკზე დაფენილ პლედზე. მის თავზე სათამაშო ჰკიდია. რამდენიმე წუთის შემდეგ ის იწყებს ტირილს. დედამისი ოთახშია და ბოთლში საჭმელს უმზადებს. დედა ამბობს, „მე მესმის შენი, საყვარელო. მოვალ ახლავე“. ნაომი ორივე ხელს კრავს მუშტად და იდებს პირზე. ის იწყებს მუშტის ზემოთ-ქვემოთ მოძრაობას და ტიტინებს „ბა, ბა, ბა, ბა“. ეს გრძელდება რამდენიმე წუთი, ვიდრე დედა ააყენებს მას და ბოთლიდან აჭმევს.

გარეტი (5 წლისა და 1 თვის)

გარეტი მთხოვს, წავუკითხო *„ძალიან მშიერი მუხლუხო“.* როდესაც ვამბობ, „იმ ღამეს მას მუცელი სტკიოდა“, გარეტი ამბობს: „აბა, მან მთელი მსოფლიოს საჭმელი შეჭამა“. მე ვკითხულობ ნაწილს, სადაც ის აშენებს პატარა სახლს და გარეტი ამბობს: „ეს ჭუპრია“. მე ვპასუხობ, „დიახ, გარეტ, ეს ჭუპრია“. როდესაც წიგნი სრულდება, გარეტი ამბობს, „ერთხელ ჩემი ბებიის სახლში მე ვნახე ჭუპრი, მაგრამ მეორე ღამეს ის არ გადაიქცა პეპლად, ის დარჩა ჭუპრად“.

ბავშვის მოქმედებების ინტერპრეტირება

ალბათ, დაგაინტერესებთ, დაკვირვების პროცესში სად არის განხილვის, შეფასების და ინტერპრეტირების ადგილი. ინტერპრეტირების პრობლემა არის ის, რომ შესაძლებელია იყოს ბავშვის მოქმედების გაგების რამდენიმე შესაძლო გზა. თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ გაქვთ საკმარისი მტკიცებულება ბავშვის შესახებ ნებისმიერი დასკვნის გასამაგრებლად. გაეცანით ელაიას აღწერილობას კუბურების ცენტრში თამაშისას.

ელაია (3 წლისა და 9 თვის)

ელაია არის კუბურების ცენტრში. მას რამდენიმე ცხოველი უჭირავს ხელში. სხვა ბავშვებიც მასთან ერთად არიან. ის ცხოველებით ხელში დარბის წრეზე, სხვა ბავშვი კი დასდევს. ელაია იცინის და ყვირის „ვერ დამიჭერ“.

მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობთ ელაიას, ამ ჩანაწერის წაკითხვის შემდეგ სხვადასხვა დასკვნებს გააკეთებთ მის შესახებ. თქვენ შესაძლოა გადაწყვიტოთ, რომ ის უკონტროლოა და საჭიროა უფროსის ჩარევა მის დასამშვიდებლად ან შესაძლოა, იფიქროთ, რომ ელაია ამგვარად ხარჯავს დაგროვილ ენერგიას. ვიღაცისთვის ელაიას საქციელი საფრთხის შემცველია სხვა ბავშვების მიმართ, სხვისთვის კიდევ ეს ქცევა პატარა ბავშვის სიხარულისა და ხალისის გამომხატველი მოქმედებაა.

მხოლოდ ამ ერთი დაკვირვების შედეგად შეგროვილი ფაქტები არ არის საკმარისი სწორი დასკვნის გამოსატანად. გაუაზრებელი და ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა არასწორად შეგაფასებინებთ ელაიას ქცევას. ამიტომ ერთადერთი გზა, რომელიც დაგარწმუნებთ თქვენი ინტერპრეტაციების სისწორეში, სხვადასხვა სიტუაციებში ნანახი ელაიას მრავალჯერადი დაკვირვებაა. ასე უფრო გაარკვევთ, როგორ უმკლავდება იგი მოზღვავებულ ენერგიასა და სიხარულს. ეს ჩანაწერები დაგეხმარებათ საუკეთესო გზის არჩევაში ელაიას ჯგუფში მხარდასაჭერად.

თქვენი ფიქრების, იდეებისა და ინტერპრეტაციების ჩაწერის პროცესი, ობიექტურობის დაცვის მიზნით, უნდა განახორციელოთ დამოუკიდებლად. ზოგიერთი მასწავლებელი იყენებს დოკუმენტირებისთვის ფორმატს, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ აღწერილობასა და მათ ინტერპრეტაციასაც. ისინი ჰყოფენ თავის ფურცლებს ორ სვეტად. ერთი - ბავშვის მოქმედებების ჩასაწერად და მეორე - ამ მოქმედებების ინტერპრეტაციისთვის. ჩვენ შევადგინეთ ფაქტობრივი დაკვირვებებისა და შესაძლო ინტერპრეტაციების ჩასაწერი ფორმა, რომელიც შეგიძლიათ დააკოპიროთ „ბ“ დანართიდან ან დაბეჭდოთ დისკზე არსებული რესურსების ნაწილიდან. ხშირად, მასწავლებლები შესაძლო ინტერპრეტაციებს თან ურთავენ კითხვის ნიშნებს, რადგან არ არიან დარწმუნებულნი ბავშვის ამა თუ იმ ქცევის გამომწვევ მიზეზში. მსგავსი ჩანიშვნები ისინი ხვდებიან, რომ მრავალფეროვან სიტუაციაში დაკვირვებასთან ერთად ჩნდება ინტერპეტაციების მუდმივად შესწორების აუცილებლობა.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს ელაიაზე ამ გზით განხორციელებულ დაკვირვებას:

ფაქტები	შესაძლო ინტერპრეტაცია
ელაია არის კუბურების ცენტრში. მას რამდენიმე ცხოველი უჭირავს ხელში. რამდენიმე სხვა ბავშვი არის მასთან ერთად. ის დარბის წრეებზე ხელში ცხოველებით და სხვა ბავშვი დასდევს უკან. ის იცინის და ყვირის „შენ ვერ დამიჭერ მე“.	არის თუ არა ის უკონტროლო და ძალიან სჭირდება თუ არა უფროსის ჩარევა, რომ დაამშვიდოს ის? იცლება თუ არა ის ზედმეტი ენერგიისაგან იმ დღეს? არის თუ არა ის ასეთი ენერგიული სხვა დღეებშიც? ქმნის თუ არა საფრთხეს იმ ადგილას სხვა ბავშვებისათვის? იქნებ ის უბრალოდ გამოხატავს სიხარულსა და აღტაცებას?

ამ პროცესის შემდეგი ეტაპი ფაქტობრივი და ინტერპრეტირებული ინფორმაციის გამოყენებაა ინტერვენციის სტრატეგიის დასაგეგმად. სტრატეგია ხელს უწყობს ბავშვის წარმატებას და ზრდის განვითარებისა და სწავლის პოტენციალს. მრავალი დაკვირვების ფაქტობრივი და აღწერითი ჩაწერის შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ და გაანალიზოთ, რა მტკიცებულებებს მოიცავენ ისინი. ელაიაზე მრავალმხრივი დაკვირვება შესაძლოა უბრალოდ გვიჩვენებდეს ბავშვის სილაღეს, სიხარულსა და ერთგვარ მადლიერებას ან ბედნიერების

განცდას, რომ დაიბადა, ცოცხლობს და არსებობს. შესაძლოა, მისმა მასწავლებლებმა გადაწყვიტონ, შეუერთდნენ ელაიას პოზიტიურ დამოკიდებულებასა და სიხარულს, რომელსაც ბავშვი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში ავლენს. მეორე მხრივ, მრავალმხრივმა დაკვირვებებმა შესაძლოა გვაჩვენოს, რომ ის ხშირად უკონტროლოა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ზრდასრულის მხარდაჭერას აღმოუჩენს ბავშვს, ხოლო სხვა ბავშვებს დაიცავს საჭიროებისამებრ. დაიგეგმება ელაიას დასახმარებელი ყოველდღიური აქტივობები, რათა მან შეძლოს თვითკონტროლის უნარის გამომუშავება, მიეჩვიოს მიმიკებით, ჟესტებით ან სიტყვებით საკუთარი გრძნობების, ბედნიერების განცდის გამოხატვას, ფეხები დააბაკუნოს სიბრაზის საჩვენებლად, დახმარების სათხოვნელად მიმართოს მასწავლებელს და სხვა. მე-6 თავში უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ დაკვირვების დოკუმენტაციაზე დაფუძნებული კურიკულუმის დაგეგმვის საკითხს.

არცერთი გამოტოვებული ბავშვი

თქვენი ვალდებულებაა, დააკვირდეთ და შეაგროვოთ ჩანაწერები თითოეულ ბავშვზე, რაც არ გულისხმობს აბსოლუტურად ყველაფრის, რასაც ბავშვი აკეთებს, ჩაწერას. თქვენ თავად ავლენთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც მკაფიო სურათის დანახვის საშუალებას იძლევა თითოეული ბავშვის პიროვნული თვისებების, ინტერესების, შესაძლებლობების, უნარ-ჩვევების, საჭიროებების და თქვენი პროფესიული მიდგომების შესახებ, რომელიც ბავშვებს წარმატებების მიღწევაში ეხმარება. ჯგუფში მუშაობისას და ბავშვებზე ზრუნვისას, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ზოგიერთ ბავშვს მეტ ყურადღებას უთმობთ, ვიდრე სხვებს. ზოგიერთი ბავშვი თქვენგან მეტ ყურადღებას ითხოვს. ისინი შესაძლოა იმპულსურად მოიქცნენ ან დასჭირდეთ დახმარება თვითკონტროლთან დაკავშირებით. მათ სჭირდებათ გვერდით ისეთი მზრუნველი აღმზრდელი, რომელიც ეხმარება ემოციების სწორად მართვასა და საკუთარი გრძნობების სათანადოდ გამოხატვაში, ისე რომ სხვა ბავშვებისთვის არ იყოს ეს საზიანო. სხვა ბავშვებს თქვენგან აღიარება სჭირდება - რომ გიყვართ, აქებთ, ეფერებით. ეს არიან ბავშვები, რომლებსაც მუდმივად მოაქვთ ნახატები თქვენთვის და ამბობენ, „ნახეთ, რა გავაკეთე მასწავლებელო“ ან „მე თქვენ მიყვარხართ“. ისინი ითხოვენ თქვენგან შექებასა და აღიარებას. დაკვირვებითი ჩანაწერები ბავშვებზე, რომლებიც ითხოვენ ნეგატიურ ან პოზიტიურ ყურადღებას, ხშირად ივსება მოკლე ჩანაწერებით. ჩვეულებრივ, მასწავლებლები ამბობენ, რომ არ არის რთული ამ ბავშვების მიღწევების დამახსოვრება და ჩაწერა.

როდესაც ყურადღებით ჩავხედავთ დაკვირვების ჩანაწერებს, შესაძლოა აღმოვაჩინოთ ბავშვთა ჯგუფი, რომელებსაც პირობითად შეგვიძლია „უჩინარი“ ვუწოდოთ. ესენი არიან ბავშვები, რომლებიც არ ითხოვენ დიდ ყურადღებას და კომფორტულად გრძნობენ თავს, როდესაც ჯგუფში საკმაოდ დამოუკიდებლად და წარმატებით გაჰყავთ დღეები. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ბავშვები არ საჭიროებენ უფროსების ხშირ ჩარევას, მასწავლებლებს მათ შესახებ მწირი ინფორმაციის შემცველი ჩანაწერები აქვთ. ასეთი ბავშვების გამოტოვება იოლია. შეიძლება ფიქრობდეთ, რომ ეს მარტივია და მოგვიანებით ისედაც გაიხსენებთ, მაგრამ ხშირად ასეთი ბავშვის შესახებ ინფორმაციის ჩაწერა ავიწყდებათ. როდესაც დაკვირვება არის

ინფორმაციის წყარო შეფასების, ანგარიშვალდებულების, გაანალიზებისა და დაგეგმვის მიზნებისთვის, არცერთი ბავშვი არ უნდა იყო გამოგვრჩეს.

* * *

მასწავლებლები და აღმზრდელები აკვირდებიან ბავშვებს მუდმივად, მაგრამ არ იწერენ ყველაფერს, რასაც ხედავენ ან ისმენენ. ისინი უნდა გაერკვნენ, თუ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩასაწერად, რადგანაც ისინი არიან მკვლევარები, რომლებიც სწავლობენ უფრო მეტს თითოეული ბავშვის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ იმუშაოთ დაკვირვების უნარების გაუმჯობესებაზე, გახდეთ უფრო ღია და იყოთ მზად თითოეული ბავშვის შესასწავლად. შემდეგ, დაკვირვების ჩასაწერად საუკეთესო გზების პოვნა საჭიროებს დროსა და პრაქტიკას. თქვენ *შეგიძლიათ* დაკვირვებისა და დოკუმენტირების სწორად წარმართვის სწავლა.

* * *

დაკვირვების პრაქტიკა #5: ფაქტობრივი და ინტერპრეტაციული ეპიზოდები

მიზანი: დაკვირვებისას მხოლოდ ნანახი ფაქტების ჩანიშვნის შესწავლა, ნაცვლად ისეთი ეპიზოდური ჩანაწერებისა, რომლებიც სუბიექტური და ინტერპრეტირებულია.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ დრამატულ თამაშში ჩართული სკოლამდელი ასაკის გოგონებისა და მათი მასწავლებლის ვიდეოკლიპი #5. ჩაიწერეთ, რას აკვირდებით. წერის დროს იფიქრეთ ფაქტობრივ და ინტერპრეტირებულ ეპიზოდებს შორის განსხვავებაზე. ერთ-ერთი გოგონა ესპანურ ენაზე მოსაუბრეა. ვიდეორგოლს ახლავს ინგლისური სუბტიტრები.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს. გადაწყვიტეთ, რომელი შენიშვნები არის ფაქტობრივი და რომელი - ინტერპრეტაციული 52-ე გვერდზე წარმოდგენილი ცხრილის კონტექსტში, სადაც აღწერილია სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ ან თავი შევიკავოთ გამოყენებისაგან (ამ ცხრილის ნახვა შეგიძლიათ „ბ“ დანართშიც და დისკის რესურსების ნაწილშიც). გაგიკვირდათ შედეგი? რა აღმოაჩინეთ სიტყვების გამოყენებისას? მზად ხართ, სხვებს გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები ფაქტობრივ და ინტერპრეტაციულ სიტყვებსა და ფრაზებთან დაკავშირებით?

დაკვირვების პრაქტიკა #6: „სათვალე“, რომლითაც ბავშვებს ვაკვირდებით

მიზანი: ეპიზოდების დაწერისას ფაქტისა და ინტერპრეტაციის გარჩევის დამატებითი ხერხის სწავლა.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდეორგოლის #6 ნახვამდე გაიხსენეთ წინა გვერდებზე ნახსენები „სათვალე“ ბავშვის შესახებ ნეგატიური და კომპეტენტური შეხედულების გასააზრებლად. ამ ორი წლის ბიჭებზე დაკვირვებისას, იფიქრეთ სათვალის ორი შუშის პერსპექტივიდან და გააკეთეთ ჩანაწერები, რომლებიც ორივე მათგანს ასახავს.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის დასრულების შემდეგ მიაქციეთ ყურადღება, როგორ განსხვავდებოდა თქვენი დაკვირვება იმ „სათვალით“, რომლითაც აკვირდებოდით. თქვენი აზრით, „სათვალის“ რომელი მინით უფრო იოლია ბავშვის მოქმედებების გააზრება - ერთით თუ მეორეთი? საკითი განიხილეთ სხვებთან ერთად და მოსაზრება დაასაბუთეთ.

დაკვირვების პრაქტიკა #7: ფაქტის/ინტერპრეტაციის ფორმის გამოყენება

მიზანი: ეპიზოდების დაწერისას ფაქტისა და ინტერპრეტაციის გარჩევის კიდევ ერთი გზის სწავლა

რა უნდა გავაკეთოთ: ამ დაკვირვებისთვის თქვენ კვლავ უბრუნდებით ვიდეორგოლს #2 (ამისთვის შეგიძლიათ დააწკაპუნოთ ვიდეოკლიპზე #7). ვიდეოს ნახვამდე, მოემზადეთ ფაქტების/ინტერპრეტაციების ფორმის გამოსაყანებლად, რათა ჩაიწეროთ დაკვირვება (ფორმა შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ამ წიგნის „ბ“ დანართიდან ან ამობეჭდოთ დისკის რესურსების ნაწილიდან). თქვენ შესაძლოა ყურადღება გაამახვილოთ ერთ-ერთ ბავშვზე ან ეცადოთ, ჩაიწეროთ, თუ რას აკეთებს თითოეული მათგანი. ჩაწერის დასრულების შემდეგ, ჩაასწორეთ თქვენი ჩანაწერები, რომ განაცალკევოთ ფაქტობრივი აღწერილობა თქვენეული ინტერპრეტაციისგან.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ, ყურადღება მიაქციეთ განსხვავებას ფაქტებსა და თქვენს ინტერპრეტაციებს შორის. დაგეხმარათ თუ არა ფორმის გამოყენება ამ პროცესში და რატომ ან რატომ არა. პასუხი დაასაბუთეთ. მოემზადეთ ამ საკითხის სხვებთან ერთად განხილვისთვის.

რეფლექსია

მიზანი: დაკვირვებისა და დოკუმენტირების წარმატებით შესრულების გზების გაანალიზება.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გაითვალისწინეთ შემდეგი შეკითხვები:

- რა ნაბიჯებს გადადგამთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების უნარებში გასავარჯიშებლად?

- რამდენად მზად და რამდენად მიმღები ხართ დაკვირვებისას დაინახოთ ის, რაც ბავშვებს შეუძლიათ?
- როგორ დაგეგმავთ დროს თქვენი დაკვირვებისა და დოკუმენტირების გასაანალიზებლად?
- გაიხსენეთ შემთხვევა, როცა თქვენმა წარმოდგენებმა ან მიკერძოებულობამ გავლენა იქონია თქვენს ფიქრებზე ბავშვის შესახებ.

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის ძიება

მიზანი: დაკვირვების პერსონალური მეთოდის/სტილის ძიება და სტრატეგიის შერჩევის დროს ობიექტურობის პრინციპების გათვალისწინება.

რა უნდა გავაკეთოთ: გადახედეთ ცხრილს: სიტყვები და ფრაზები, რომლებიც არ უნდა გამოვიყენოთ / სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ.

1. გამოყავით ზოგიერთი ფრაზა, რომლებსაც ხშირად იყენებთ და ჩაწერეთ თქვენს ჟურნალში.
2. იფიქრეთ გზებზე, რომელთა საშუალებითაც უფრო ობიექტურს გახდით თქვენს დოკუმენტირებას. რა ნაბიჯებს გადადგამთ დოკუმენტირებაზე ამ კუთხით სამუშაოდ?
3. იფიქრეთ, რა გზით უნდა დაინახოთ ბავშვებთან დაკავშირებული ცვლილებები, არასწორი საქციელი ან მცდელობები. უყურებთ თუ არა ბავშვს „ცელქი“ ბავშვის სათვალით თუ პირიქით - „კომპეტენტური“ ბავშვის? გააანალიზეთ ბოლო პერიოდში მომხდარი ფაქტი, როცა უნდა დახმარებოდით რთული ქცევის ბავშვს და დაფიქრდით, რომელი „სათვლით“ აკვირდებოდით და როგორი რეაქცია გქონდათ მისთვის დახმარების აღმოსაჩენად?
    - ჩამოწერეთ პასუხები და მოსაზრებები თვითშეცნობის სავარჯიშოებისთვის ან განიხილეთ ისინი ახლო მეგობართან ან კოლეგების ჯგუფთან ერთად, რათა აირჩიოთ საჭირო „სათვალე“ ბავშვებზე დასაკვირვებლად.
    - როგორია თქვენი სოციალური იდენტობა - სქესი, რასა, ეთნიკური კუთვნილება, ეკონომიკური მდგომარეობა, ოჯახის სტრუქტურა, სექსუალური ორიენტაცია და შესაძლებლობები/შეზღუდული შესაძლებლობები. იფიქრეთ დროის იმ პერიოდზე, როცა საზოგადოებამ ან მისმა გარკვეულმა ნაწილმა გაგრიყათ წრიდან ან მოგიხურათ კარი თქვენი იდენტობის გამო. გაიხსენეთ, როგორ გრძნობდით იმ დროს თავს?
    - რას გასწავლიდნენ ოჯახში ადამიანთა შორის მრავალფეროვნების შესახებ? მათი ქცევები შეესაბამებოდა თუ არა ნათქვამს?
    - გაიხსენეთ, ბავშვობაში როგორ ჩამოიყალიბეთ აზრი ადამიანებს შორის განსხვავებებისა შესახებ? რა იწვევდა გაუგებრობას და დაბნეულობას?

- რაში ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თქვენი მშობლების მოსაზრებებს - რასასთან, ეთნიკურობასთან, სქესსა და ფიზიკურ შესაძლებლობებთან დაკავშირებით? თუ არ ეთანხმებით, როგორ გაგიჩნდათ ან ჩამოგიყალიბდათ საკუთარი ხედვები? ვინ მოახდინა თქვენზე ზეგავლენა? რა გსურთ, რომ ასწავლოთ შვილებს? (დერმან-სპარკს და ედვარდსი 2010).

თავი 4: როგორ მოვახდინოთ დაკვირვება და დოკუმენტირება ერთდროულად?

ალბათ, გაინტერესებთ როგორ მოახერხოთ ერთდროულად ბავშვებზე დაკვირვება, დაკვირვების ჩანაწერების მომზადება და ბავშვებთან სრულფასოვანი ეს შესაძლებელია თუკი დაკვირვებისთვის ხელსაყრელ დროს შეარჩევთ და ჩაწერის სხვადასხვა მეთოდებს გამოიყენებთ. არ არსებობს ყოველთვის ერთი სწორი დრო ან საუკეთესო მეთოდი. ბავშვების საქმიანობის ეფექტურად ჩაწერის სხვადასხვა ხერხი თუ მეთოდი უნდა სცადოთ, იფიქროთ დაკვირვების მიზანზე, გამოყოფილ დროზე და შესაძლო დაბრკოლებებზე. ამავდროულად, უნდა იპოვოთ ჩაწერის თქვენეული სტილი. სწორი და ეფექტურად გამოსაყენებელი ფორმატის პოვნა შეამცირებს ერთდროულ დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან დაკავშირებულ სტრესს, თუმცა ოპტიმალური ფორმატის პოვნას დრო სჭირდება. თქვენთვის გამოუყენებელი ფორმატი სხვისთვის საუკეთესო მეთოდი შეიძლება აღმოჩნდეს და პირიქით - თქვენთვის ეფექტური მეთოდი არაფრისმომცემი აღმოჩნდეს სხვისთვის. ამ პროცესში წარმატების ნაწილი ექსპერიმენტები, ძიება, კვლევა და შემდგომ მათი გაანალიზება და თქვენთვის საუკეთესოს არჩევაა.

როდის დავაკვირდეთ და მოვახდინოთ დოკუმენტირება

ბუნებრივია, თავად უნდა დაადგინოთ დაკვირვებისა და დოკუმენტირების გაკეთების თქვენთვის ხელსაყრელი დროის მონაკვეთი, მაგრამ შემოგთავაზებთ რჩევებს დაკვირვებისა და ჩანაწერების წარმოებისთის ოპტიმალური დროის მონაკვეთების შესახებ. ეს მონაკვეთებია:

- ბავშვთან ერთად ყოფნისას
- შემთხვევიდან მალევე
- ისეთ დროს, როდესაც შეგიძლიათ აქტივობას გამოეთიშოთ და დაკვირვებაზე გადახვიდეთ
- გაანალიზებისას

ბავშვთან ერთად ყოფნისას

პემი: ჯგუფში დაკვირვების ჩასაწერად გამოვიყენე ქაღალდის პარკის უკანა მხარე, რადგან იმ მომენტში ვერ ვიპოვე სხვა ქაღალდი. მათ ისეთი საინტერესო საუბრები ჰქონდათ, ყველაფრის ჩაწერა მსურდა. რაც ვიპოვე, ფანქარი და ქაღალდის პარკია, ჰოდა, სწორედ მასზე დავწერე - ქაღალდის პარკის უკანა მხარეს.

ალბათ, გამოგიცდიათ მღელვარება, რაც ბავშვის მიერ რაღაც ახლის სწავლის დემონსტრირებას მოაქვს. თქვენ სასწრაფოდ გინდათ ამის დამახსოვრება და ჩაწერა. რასაც აკვირდებოდით, შესაძლებელია ჯდებოდეს განვითარების კრიტერიუმში ან შეესაბამებოდეს თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევების ენას. ეს შესაძლოა იყოს ბავშვის პირველი ბარიერის გადალახვის ეტაპი. თქვენ აცნობიერებთ - რასაც ხედავთ, ძალზე მნიშვნელოვანი და უმალ ჩასაწერია. თქვენ იღებთ ფურცლებს, ბლოკნოტს ან მობილურ ტელეფონს და მაშინვე იწერთ დაკვირვებას.

პეგი ვ: მუდმივად დაკვირვების პროცესში ვარ - ამიტომ მუდამ ჯიბით დამაქვს პატარა ქაღალდის ბარათები ჩანაწერების გასაკეთებლად. როდესაც ვატყობ, რომ რაღაც საინტერესო ხდება, მინდა უფრო მეტი ინფორმაციის ჩაწერა, ვიღებ ბლოკნოტს და ვიწყებ უფრო დეტალური ჩანაწერების კეთებას.

დაკვირვებისა და დანახულის მაშინვე ჩაწერის შესაძლებლობის უპირატესობა არის ის, რომ თქვენ აფიქსირებთ ბავშვების ავთენტურ, სპონტანურ მოქმედებებს. რადგან თქვენ მაშინვე იწერთ, იოლია დეტალების და ბავშვების პირდაპირი გამონათქვამების დამახსოვრება. ამის გასაკეთებლად თქვენ ხელთ უნდა გქონდეთ დოკუმენტირების საშუალებები. ბევრი მასწავლებელი ჯიბით ატარებს მცირე ზომის ქაღალდებს და კალამს. ზოგჯერ მასწავლებლები დაკვირვებას იწერენ ფურცლის ნაგლეჯზე ფანქრით ან სხვა რაიმე საშუალებით, რაც ხელთ მოხვდათ და რისი გამოყენებაც იყო საწერად შესაძლებელი. თუ დრო საშუალებას არ გაძლევთ, რომ ჩაიწეროთ სრული ინფორმაცია, იმ მომენტში გაკეთებული მოკლე ჩანაწერები მაინც აფიქსირებს ბავშვის საქციელისა და ლაპარაკის მთავარ მომენტებს და შესაძლებელია, მოგვიანებით სხვა დეტალების გასახსენებლად იყოს გამოყენებული. ამ ჩანაწერების გამოყენება ყოველთვის შეგიძლიათ, რათა შეავსოთ გამოტოვებული დეტალები.

შემთხვევიდან მალევე

კიდევ ერთი, დოკუმენტირებისათვის მნიშვნელოვანი მომენტი, შემთხვევიდან რაც შეიძლება მოკლე დროში ჩაწერას გულისხმობს. ზოგჯერ ძალიან დაკავებული ხართ ბავშვებთან და ვერ ახერხებთ დაკვირვების მაშინვე დოკუმენტირებას. შეიძლება, სადილის შემდეგ ალაგებისას დააფიქსიროთ ოთახის ბოლოში მდგარი ბავშვი, რომელიც რაღაც ისეთს აკეთებს, რისი დოკუმენტირებაც გსურთ.

თქვენი საქმეა, დაასრულოთ ალაგება და არა - იფიქროთ გზებზე, თუ როგორ მოახერხოთ თქვენი დაკვირვების იმ მომენტშივე ჩაწერა. თქვენ აკვირდებით ბავშვს ჭურჭლის რეცხვის მომენტშიც და მაქსიმალურად ცდილობთ ფოკუსირებას იმ დეტალებზე, რომლის დამახსოვრებაც გსურთ შემდგომში ჩასაწერად. ამ ტიპის დოკუმენტირების უპირატესობა ორი

საქმის ერთდოულად კეთებაშია - ბოლომდე მიგყავთ წამოწყებული საქმიანობა, თუმცა არ წყვეტთ დაკვირვებას.

მაგრამ ფაქტის შემდეგ ჩანაწერის გაკეთებას უარყოფითი მხარეებიც აქვს.

- თქვენ შესაძლოა დაგავიწყდეთ მნიშვნელოვანი დეტალები. რაც უფრო დიდი დრო გავა დოკუმენტირებამდე, უფრო მეტია ბავშვის აქტივობის ან ქცევის შესახებ ინფორმაციის დავიწყების ალბათობა. რაც უფრო მალე მოახერხებთ ჩაწერას, მით უფრო მიახლოებული იქნება იგი რეალურ სურათთან.
- რთულია სრულად გაიხსენოთ საუბრის დეტალები მოსმენიდან რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ. მომხდარის შემდეგ დამახსოვრება ყოველი სიტყვისა, რაც ბავშვმა თქვა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, ბავშვის ნათქვამის არსის გაგებაა. ცხადია, უკეთესია ბავშვის ზუსტი ციტირების ჩაწერა.
- რთულია, რომ იყოთ ობიექტური ეპიზოდების წერის დროს. რაც უფრო მეტი დრო გადის ბავშვის საწყის მოქმედებებსა და მათ შესახებ გასაკეთებელ ჩანაწერებს შორის, მით მეტია ალბათობა მომხდარის თქვენეული ინტერპრეტაციით ჩაწერისა.

ვალერი: როგორც წესი, ვიწერ პირდაპირ აქტივობის შემდეგ. ვიყენებ პლანშეტს (თითოეული ბავშვისთვის განკუთვნილია პლანშეტი მისი მონაცემების შეგროვებისთვის) თუ მიმდინარე აქტივობა ბავშვის სწავლის მიზნებსა და ამოცანებს უკავშირდება.

ჯოდი: როდესაც ვაკვირდები ბავშვებს თამაშისას და აღმოვაჩენ, რომ რომელიღაც რაღაც ახლის დემონსტრირებას ახდენს ან ჩემთვის აქამდე უცნობ უნარს ავლენს, ვცდილობ უმალვე გავაკეთო ჩანაწერი. ზოგჯერ უნდა დავეყრდნო ჩემს მეხსიერებას და ჩანაწერები გავაკეთო მხოლოდ ბავშვების წასვლის შემდეგ. დაკვირვების პროცესში ფოტოების გადაღება და დოკუმენტირება კიდევ ერთი მეთოდია, რომელსაც აქტიურად ვიყენებ.

და კვლავაც - „მეხსიერებისათვის ბიძგის მიცემა“ ძალიან დაგეხმარებათ. ზოგი მასწავლებელი ახერხებს მცირე მონაკვეთში აქტივობაში ჩართული ბავშვის ფოტოზე აღბეჭდვას. შემდგომში ფოტომასალა ხდება მათი მეხსიერებისათვის ბიძგის მიმცემი დროის ხელსაყრელ მონაკვეთში ბავშვის მოქმედებების შესახებ უფრო სრულყოფილი ჩანაწერის გასაკეთებლად. ბავშვის საქმიანობის ნიმუში (როგორიცაა ხატვა, ძერწვა ან წერა) შესაძლოა ასევე იყოს „მეხსიერებისათვის ბიძგის მიმცემი“. როდესაც ნახატს, რაიმე ნამუშევარს ან ნაწერის ნიმუშს ბავშვისთვის განკუთვნილ ადგილას განათავსებთ ან კედლის დაფაზე გამოფენთ, შეგიძლიათ უფრო დეტალურად დაწეროთ ნამუშევრის შექმნის პროცესში ბავშვის მოქმედებების შესახებ.

როდესაც შეგიძლიათ აქტივობას გამოეთიშოთ და დაკვირვებაზე გადახვიდეთ

მათთვის, ვინც ჯგუფურად აკვირდება ბავშვებს, კიდევ ერთი გზა დაკვირვებისა და დოკუმენტირებისათვის არის ყოველდღიური ცხოვრებიდან ცოტა ხნით გაცლა. ეს ძალიან კარგი გზაა ბავშვების შესწავლისა, რადგან თქვენი ერთადერთი პასუხისმგებლობა მოსმენა, ყურება და ჩაწერაა. თქვენ და თქვენი კოლეგები გადაწყვეტთ, ვინ ჩამოშორდება მოქმედებებს,

როდის მოხდება ეს და ვინ გაუწევს ბავშვებს ზედამხედველობას. ეს პროცესი საჭიროებს კოორდინაციას, კომუნიკაციას და დაგეგმვას. მაგალითად, დიდ ჯგუფთან კითხვის საათის განმავლობაში, ერთმა მასწავლებელმა შესაძლებელია წაიკითხოს ისტორია და ეცადოს, შეინარჩუნოს ყველა ბავშვის ინტერესი და ჩართულობა. სხვა მასწავლებელი, შესაძლოა, დაჯდეს ამ ადგილის სიახლოვეს და გააკეთოს ჩანაწერები კითხვის დროს. ის ყოველთვის მზადაა, კვლავ ჩაერთოს მოქმედებებში, თუკი რაიმე მოხდება - თუ ბავშვის უსაფრთხოების საკითხი დგას ან კოლეგას მისი დახმარება სჭირდება ბავშვის ქცევების გამო. მაშინ ის წყვეტს დაკვირვებასა და დოკუმენტირებას და ურთიერთობს ბავშვებთან საჭიროებისამებრ.

დეანა: მე ვიპოვე ჩემი დაკვირვების სტილი ბევრი მცდელობისა და შეცდომის შემდეგ. ის, რაც ხელსაყრელია ერთი ადამიანისათვის, შესაძლებელია გამოუსადეგარი იყოს მეორისთვის. ჩემთვის ყველაზე იოლი გზა, რაც აღმოვაჩინე, არის თითო კონვერტის გაკეთება თითოეულ ბავშვზე, მათი სახელითა და ფოტოთი. ინდექს ბარათებზე მე ვწერ აღწერილობას, თუ რა გააკეთა/თქვა ბავშმა, მასთან დაკავშირებული შინაარსის სფეროებს, თარიღს და ვურთავ, თუ არის, ფოტოს ან ნამუშევრის ნიმუშს. შემდეგ დასრულებულ ჩანაწერს ვდებ ბავშვის კონვერტში.

მოქმედებებს ჩამოშორება შესაძლოა მოხდეს სპონტანურად. გამოვლინდება შემთხვევები, როდესაც ბავშვები სრულად ჩართულები იქნებიან, თქვენ გადახედავთ ოთახს და მიხვდებით, რომ არცერთ ბავშვს სჭირდება თქვენი ჩარევა ან დახმარება. ამ დროს შეგიძლიათ გამოყოთ რამდენიმე წუთი და ჩაიწეროთ მათი ქმედებები. თქვენ შესაძლოა, დააკვირდეთ რომელიმე კონკრეტულ ბავშვს, რომელიც გაინტერესებდათ ან აქტივობაში ჩართულ ბავშვთა ჯგუფს. და კვლავ, თქვენ ყოველთვის მზად უნდა იყოთ აქტივობებში ჩასართველად, თუკი რომელიმე ბავშვს სჭირდებით. რეალისტურად, რაც უფრო დიდი ასაკის ბავშვები არიან ჯგუფში, მით უფრო მეტი დრო გექნებათ აქტივობებისგან გასაცლელად. როდესაც უვლით ჩვილებსა და ადრეული ასაკის ბავშვებს, აქტივობებისგან ჩამოშორება უფრო იშვიათი იყოს. ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვების მასწავლებლებს უწევთ, თითქმის ყოველთვის ხელმისაწვდომი იყვნენ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფებისთვის. სკოლამდელი ასაკის ბავშვების მზარდმა დამოუკიდებლობამ შესაძლოა მოგცეთ უფრო მეტი საშუალება ამ შესაძლო გზით ბავშვზე დაკვირვებისა.

აქტივობებისგან დროებით ჩამოშორების დაკვირვებისა და დოკუმენტირების უპირატესობა არის ის, რომ თქვენ შეგიძლიათ უფრო სრულად კონცენტრირდეთ დასაკვირვებელსა და ჩასაწერზე. ამ დროს შეიძლება მოახერხოთ ძალიან დეტალური აღწერილობის ჩაწერა ან ჩართოთ მეტყველების მაგალითები ბავშვის პირდაპირი ციტირებით. ჩაწერის სხვადასხვა მეთოდი შეიძლება იყოს ეფექტური, რადგან თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ ჯგუფს უფრო დიდი ხნით, მიჰყვეთ ერთ-ერთი ბავშვის არჩევანს და დროდადრო ჩართულობას ან მიადევნოთ თვალი რამდენიმე ბავშვს ერთდროულად. უარყოფითი მხარე არის დაგეგმვა და კოორდინაცია ჩართულ კოლეგებთან ერთად და დროებითი წყვეტა, როცა კვლავ გიწევთ აქტივობებში ჩართვა და ბავშვების დახმარება.

მაგრამ არასდროს გამოიყენოთ დაკვირვება და დოკუმენტირება ბავშვებისგან თავის დასაღწევად. თქვენი სამუშაო ბავშვებზე ზრუნვა, მათთან საუბარი, თამაში და ინტერესების მხარდაჭერაა. აქტივობებისაგან ჩამოშორება დაკვირვებისა და დოკუმენტირებისათვის უნდა მოხდეს მხოლოდ დროის მოკლე სეგმენტში, ისე, რომ თქვენ კვლავ სრულად იყოთ ჩართული როგორც ფასილიტატორი და ბავშვებზე მზრუნველი უფროსი.

რეფლექსიის დროს

რეფლექსია დაკვირვებების ჩაწერის კიდევ ერთი ვარიანტია. რეალური დრო მთელი დღის დაკვირვების გასაანალიზებლად ბავშვების ძილის პერიოდი ან დღის ბოლოა, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ბავშვთა ჯგუფის ერთადერთი უფროსი ხართ. დაკვირვების აღწერის სრულყოფილად გააზრებისთვის დროის ეფექტურად გამოსაყენებლად, შეგიძლიათ, მეხსიერებას სხვადასხვა საშუალებებით „უბიძგოთ“. ესენია: ფოტოსურათები, მოკლე ჩანაწერები, საუბრები კოლეგებთან და ნამუშევრების ნიმუშები.

ელიზაბეტი: რეალურად, დოკუმენტირებას ვახორციელებ დილისა და შუადღის საქმიანობებს შორის ან საღამოს, როდესაც ბავშვები სახლებში მიდიან. ზოგჯერ სახლშიც და ხანდახან ადრე დილით - ბავშვების დაწესებულებაში მოსვლამდე.

არ არის გამორიცხული, ბავშვებთან ერთად გატარებული დრო და მათზე დაკვირვება ასახოთ ფოტომასალებში, მაგრამ ვერ მოახერხოთ მათი ჩაწერა. შესაძლოა, გააკეთოთ ძალიან მოკლე ჩანაწერები ან გამოიყენოთ სპეციალური ფორმა შესახსენებლად, ბავშვების შესახებ რისი დამახსოვრება გსურდათ იმ დღს. ამის შემდეგ გადაღებულ ფოტოებსა და მოკლე ჩანაწერებს ერთმანეთს დაურთავთ და ხელსაყრელ დროს გადახედავთ იმდღევანდელი დაკვირვების გასახსენებლად. ციფრული ვიდეოკამერისა ან მობილური მოწყობილობების გამოყენება დაგეხმარებათ გადაღებული ვიდეორგოლების ან ფოტოების თქვენთვის შესაფერის დროს გადათვალიერებაში. ბავშვების ნახატების, ნახაზების, ნაწერების და სხვა ნამუშევრების შენახვაც (ან მათთვის ფოტოების გადაღება) დაგეხმარება დაკვირვების დეტალების დამახსოვრებაში.

მასწავლებელთა ჯგუფებში მომუშავენი დაკვირვებების გაანალიზებისას ხშირად აღმოაჩენთ, როგორ გეხმარებათ კოლეგებთან საუბარი დეტალების გასახსენებლად და მეხსიერების აღსადგენად. ყოველდღიური 5 წუთიანი, ასე ვთქვათ, უკუკავშირებითი შეხვედრა უფრო საფუძლიანი დოკუმენტირების გაკეთებაში დაგეხმარებათ. შეხვედრის ამ დროს ჩვენ „შესვენების ხუთი წუთით“ (take five) ვუწოდებთ და მოგიწოდებთ თქვენც, მსგავსი ტიპის შეკრება კოლეგებთან მუშაობის რეგულარულ ასპექტად აქციოთ. გამონახეთ 5 წუთი ერთმანეთთან სასაუბროდ. იფიქრეთ და მოკლედ, კონკრეტულად ისაუბრეთ, რისი დოკუმენტირება გსურთ ამ დროს. საორიენტაციოდ აიღეთ კითხვა, „რა მოხდა დღეს ისეთი, რისი დავიწყებაც არ გვინდა“. როდესაც პასუხზე შეთანხმდებით, გადაინაწილეთ წერითი სამუშაოები ჯგუფსი დოკუმენტირების მძიმე ტვირთის გადასანაწილებლად.

დეანა: ჩემს თანამშრომლებს აღვიქვამ, როგორც დამხმარე რესურსს, როდესაც საქმე ეხება ყველას დაკვირვების გადახედვასა და განხილვას. მსგავსი შეხვედრები გვეხმარება 3 წლამდე ასაკის ბავშვების მიღწევებისა და შემდგომში განსახორციელებელი აქტივობების უკეთ გააზრებაში. ანალიზისას განვიხილავთ ბავშვზე მორგებულ, მისი განვითარების ხელშემწყობ სტრატეგიებს. ვსაუბრობთ საშუალებებსა და რესურსებზე ან განვიხილავთ კითხვებს, რომელთა დასმაც ოჯახებისთვის გვსურს, რათა უკეთესად ვიზრუნოთ მათ შვილებზე.

თუ თქვენ მუშაობთ პროგრამაში, სადაც ყველა ბავშვი ერთსა და იმავე დროს გადის დაწესებულებიდან, სასაუბროდ შეიძება ამ პერიოდის გამოყენება. ოთახის ალაგებამდე და მომდევნო სესიის დაწყებამდე 5 წუთიანი გონებრივი იერიში განხილვისთვის სრულებით საკმარისია. თუ თქვენ მუშაობთ პროგრამაში, სადაც ცვლები ერთმანეთზე გადაფარვითაა გადანაწილებული, უნდა

გამონახოთ მცირედი დრო განხილვისთვის - რას დააკვირდით და რა დოკუმენტაცია შეივსოს. ვიცით, რომ პროცესი შრომატევადი და დამღლელია, მაგრამ ბევრი მასწავლებელი დაგვეთანხმება, რომ შედეგი ამად ღირს. ქვემოთ მოცემულია „შესვენების ხუთი წუთი“ განხილვის დოკუმენტირება აღმზრდელებთან - მერაია და ჯეისონთან, რომლებიც ზრუნავენ ადრეული ასაკის ძალიან მოძრავ ბავშვებს.

მერაიამ დააფიქსირა, რომ ყველა ჩვილებს, რომელთაც დამოუკიდებლად გადაადგილება შეეძლოთ, ეძინათ ოთახებში (რაც ყოველთვის ერთდროულად არ ხდება) და მომენტით სარგებლობა და ჯეისონთან ხუთი წუთით შეხვედრა გადაწყვიტა მათი დაკვირვებების განსახილველად და დარჩენილი დოკუმენტირების დასასრულებლად. ისინი მოკალათდნენ სარწეველა სკამებში და გადაინაწილეს ბავშვების საქაღალდეები. მერაიამ იკითხა, „რას დავაკვირდით დღეს, რის დავიწყებაც არ გვინდა?“ ჯეისონმა უპასუხა „ჩანს, თითქოს, კაილი მალე გაივლის. ის გადაადგილდება თაროებზე მოჭიდებით, იწყებს ხელის გაშვებას და ახერხებს მოკლე დროით ბალანსირებას. ვფიქრობ, ის ძალიან მალე თავისით გადადგამს ნაბიჯებს“. მერაია ეთანხმება, რომ ეს მნიშვნელოვანი დაკვირვებაა და ჯეისონი აკეთებს მოკლე ჩანაწერს კაილის ბალანსის შესახებ და უთითებს, რომ გააგრძელებენ კაილიზე დაკვირვებას სიარულის დაწყებისასაც. მერაია ამბობს: „მე დავაკვირდი, რომ კაიშა თამაშობდა ფორმების ჩასასმელთან. ის აგრძელებდა პრობლემის გადაჭრის მცდელობას, ატრიალებდა ფორმებს და ცდილობდა ჩასმას, სანამ საბოლოოდ არ მოარგებდა. მე დავწერ ამის შესახებ“. ამ დროს ერთ-ერთი ბავშვი ამოძრავდა და მათ შეწყვიტეს საუბარი.

ამ ტიპის განხილვა შესაძლებელია იყოს კვირის ბოლოს, ჯგუფის მიერ დადგენილ დროს. შემდეგი კვირის დაგეგმვამდე, დაუსვით თქვენს თავს შეკითხვა, „რა მოხდა ამ კვირის განმავლობაში, რისი დავიწყება არ გვინდა?“ და კვლავ დაანაწილეთ წერითი დავალება ისე, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია იყოს დოკუმენტირებული. „შესვენების ხუთი წუთისა“ და დაგეგმვის შეხვედრებისთვის იქონიეთ ბავშვების სახელების ჩამონათვალი და დააკვირდით, არავინ გამოგრჩეთ. შესაძლებელია გამოგადგეთ, თუ ხელთ გექნებათ თქვენი ადრეული განათლების გზამკვლევი, სასწავლო კურსის მიზნები ან შეფასების ინსტრუმენტები. ამგვარად, თქვენს კოლეგებთან ერთად ორიენტირებული იქნებით, რა გჭირდებათ დოკუმენტირებისთვის ანგარიშვალდებულებებთან მიმართებით.

სახლში რამდენიმე წუთის გამოყოფა გაანალიზების კიდევ ერთი გზაა - იხსენებ დღის განმავლობაში მომხდარს და აკეთებ ჩანაწერს. ადრეული ასაკის განათლების პროფესიონალები ხშირად გვეუბნებიან, რომ ბავშვებზე სამუშაო დროის დასრულების შემდეგაც ფიქრობენ. ამ ფიქრების ჩასაწერად დროის გამოყოფა თქვენი დაკვირვების კოლექციას სძენს ფასდაუდებელ ინფორმაციას, რომელსაც აგროვებთ თითოეული ბავშვის შესახებ.

გაანალიზების დროს დოკუმენტირების დადებითი მხარე ის არის, რომ კარგად თავსდება ბავშვებთან ერთად დატვირთული და აქტიური დღის კონტექსტში. გაანალიზებული

ეპიზოდები უფრო შეჯამებითი ხასიათისაა და ეს შეიძლება, კარგიც იყოს: როდესაც იხედებით უკან, თქვენ სრული სურათი გაქვთ გონებაში. მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ იფიქროთ სხვადასხვა შემთხვევაზე და მიუსადაგოთ ბავშვის მოქმედებები კონტექსტს. წერილობითმა დაკვირვებებმა შეიძლება მოიცვას დღის განმავლობაში მომხდარი რამდენიმე შემთხვევა და დააფიქსიროს ბავშვის ქცევისა და ურთიერთქმედების მოდელები. იმის აღნიშვნით, თუ როგორ უმკლავდებოდა უწინ ბავშვი დავალებას და როგორ ართმევს თავს მას დღეს, მკაფიოდ გვაჩვენებს ბავშვის აშკარა პროგრესს.

ზემოხსენებული პროცესის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს სირთულე გრძელი და დატვირთული დღის განმავლობაში მომხდარი ამბების დამახსოვრებისას. თუ თქვენ ვერაფერს ჩაიწერთ კვირის ბოლომდე, გაგიჭირდებათ ყველაფრის აღდგენა. დეტალები ხდება ბუნდოვანი და ობიექტურობა - საფიქრალი. რაც უფრო ხშირად გამოიყენებთ სხვადასხვა საშუალებას მეხსიერების „საბიძგებლად“, მით უფრო წარმატებული იქნება ამ ტიპის დოკუმენტაცია.

სად ვაკეთებთ დაკვირვების დოკუმენტირებას

ბევრი სხვადასხვა საშუალება და დროის დამზოგავი ფორმატი თუ ტექნოლოგია არსებობს თქვენი დაკვირვების დოკუმენტირების გამოსაყენებლად. ზოგჯერ უმნიშვნელოვანესია კალამი და ფურცელი ნანახის სწრაფად ჩასაწერად. ეპიზოდური ინფორმაციის ჩასაწერად წებოვანი ქაღალდის ნაკრებები, ინდექს ბარათები, ბლოკნოტები და ქაღალდის სამაგრები ასევე იოლად გადასატანია ჯგუფში გადაადგილებისას. პატარა, კვადრატული ფორმის წებოვანი ფურცლები მარტივად თავსდება ჯიბეში, მაგრამ დახაზული, 5/7 დუიმიანში უფრო მეტი ადგილია ბავშვების გამონათქვამებისა და დაკვირვების დეტალური ჩანაწერის გასაფორმებლად. ხშირად იყენებენ ინდექს ბარათების პატარა, სპირალიან ბლოკნოტებს. ეს ბარათები პერფორირებული და მოსახერხებელია ფურცლის მოსახევად, რომელსაც მოგვიანებით ბავშვის საქმეში ჩადებთ. ამ ტიპის ბლოკნოტებიც პატარაა (კალმითურთ) და იოლად სატარებელი ჯგუფში გადაადგილებისას.

ლილიანი: ყოველთვის თან დამაქვს ბაინდერი და კამერა. როდესაც რაიმე ისეთი ხდება, რისი დოკუმენტირებაც მსურს, კალამი და ფურცელი მზად მაქვს და შემიძლია უცბად გადავიღო ფოტოც. დოკუმენტირების განხორციელება შესაძლებელია ნებისმიერ დროს. განსაკუთრებით ბავშვების საუბრების ჩაწერა მიყვარს მათი თამაშის დროს.

ასევე შესაძლებელია გამოიყენოთ სპირალიანი პატარა ბლოკნოტები დახაზული ფურცლებით. ზოგ მასწავლებელს ურჩევნია სამრგოლიანი ბაინდერები დახაზული ან დაუხაზავი ფურცლებით. სამრგოლიანი ბაინდერები უფრო დიდია და ნაკლებად მოსახერხებელი. მოათავსეთ ორი ან მეტი ბაინდერი ერთნაირი

ჯოდი: პრობლემები მქონდა დოკუმენტირების სხვადასხვა სტრატეგიასთან დაკავშირებით. ვიყენებდი წებოვან ქაღალდებს და ვაკეთებდი ჩანაწერებს. ასევე ვცადე პლანშეტის გამოყენება თითოეული ბავშვისთვის, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ მქონდა ინფორმაცია ყველა ბავშვზე. მე ასევე ვუღებ ფოტოებს ბავშვებს საქმიანობისას.

წყობით ოთახის სხვადასხვა ადგილას, ისე რომ ისინი იოლად ხელმისაწვდომი იყოს საჭიროების შეთხვევაში. ბევრი მასწავლებელი ბაინდერებს ჰყოფს სექციებად თითოეული

ბავშვისთვის. მათ ასევე შესაძლოა წინასწარ მოამზადონ ფურცლები თითოეული ბავშვისათვის იმგვარად, რომ დაკვირვების სპეციფიკური უბნები იყოს იდენტიფიცირებული. წიგნში წარმოგიდგენთ ასეთი ჩანაწერებისათვის შექმნილ ფორმატს - დაკვირვების ოქმს. ამ განყოფილებაში განხილული ყველა ფორმატი, მათ შორის ქვემოთ - წარმოდგენილი ორი ვარიანტი, შესაძლებელია, იხილოთ დანართში „ბ“ გამოსაყენებლად ან ამობეჭდოთ დისკიდან.

განვითარების სფეროების დაკვირვების ფორმა სკოლამდელთათვის	
ბავშვის სახელი _____	
მეტყველება	სოციალურ-ემოციური
ფიზიკური (უხეში და ნატიფი მოტორიკა)	შემოქმედებითობა
კოგნიტიური (მათემატიკა, პრობლემების გადაჭრა)	ადრეული წიგნიერება (კითხვა და წერა)

დაკვირვების ფორმა	
ბავშვის სახელი _____	

ზოგადი სკოლამდელი მიმართულებების დაკვირვების ოქმი განსაზღვრავს იმ სფეროებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, შესაძლებელია ნახოთ სკოლამდელი განათლების გზამკვლევებში ან შეფასების ინსტრუმენტებში. დაკვირვების სხვა ოქმი მოცემულია განსაზღვრული სფეროების გარეშე. ეს ფორმატი საშუალებას გაძლევთ, რომ შეავსოთ თქვენი პროგრამის შესაბამისი სფეროები. თქვენ ასევე შესაძლებელია გადახედოთ თქვენი შტატის ჩვილების/ადრეული ასაკის ან სკოლამდელი განათლების გზამკვლევებს იმ სფეროების განსასაზღვრად, რომლებზეც მოახდენთ ფოკუსირებას ბავშვის ქმედებებზე დაკვირვების ჩაწერისას. თუ თქვენ სპეციალური განათლების დაწესებულების მასწავლებელი ხართ, შეგიძლიათ მეორე ფორმატის გამოყენება. თქვენ შესაძლებელია ჩაიწეროთ დაკვირვებები, რომლებიც უკავშირდება ბავშვისა და ოჯახის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის (ომიგ) ან ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგემის (ისგ) მიზნებს, რომლებიც განისაზღვრა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებისთვის.

პლანშეტები ასევე იოლი გადასატანია ოთახში. ზოგი მასწავლებელი იყენებს პლანშეტებს ბლოკნოტებთან ერთად ზოგადი შენიშვნების ჩამოსაწერად და კონკრეტულ ბავშვებზე უფრო მეტი ფოკუსირებულობისთვის. მასწავლებელთა ნაწილი პლანშეტზე დამაგრებულ ფურცელს აწებებს პატარა ფურცლებს ბავშვების სახელებით. ჩანაწერების გაკეთების შემდეგ სახელიანი პატარა ფურცელი იდება ბავშვის საქაღალდეში. მეორე დღეს მასწავლებელმა იცის, რომ უნდა დააკვირდეს ბავშვებს, რომელთა სახელიანი ფურცელი ჯერ კიდევ პლანშეტზეა დაწებებული.

იარლიყების მაგივრად პლანშეტებზე ასევე შესაძლებელია დამაგრდეს ფურცელი ჯგუფის ჩამონათვალით ან სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილით ყველა ბავშვის სახელითურთ. ამ გზით ჩაწერა არის სწრაფი და ადვილი - განსაკუთრებით, როდესაც მუშაობთ ბავშვების მცირე ჯგუფთან. თქვენ შეგიძლიათ, ჩაწეროთ ინფორმაცია რამდენიმე ბავშვზე ერთდროულად და ამავდროულად იურთიერთოთ და უხელმძღვანელოთ მათ.





სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი

ბავშვის სახელი	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა

ზოგი დაკვირვებისთვის საკმარისია აღნიშვნის გაკეთება ან მოკლე ჩანაწერები. სხვებისთვის ეს ფორმატი არ გამოდგება. სწრაფი მონიშვნის ტიპის ჩანაწერების ცხრილის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ძალიან მოკლე ჩანაწერია საჭირო. ზოგი კრიტერიუმი ან ინდიკატორი უფრო ერგება ამ ტიპის დოკუმენტაციას, ზოგი - არა. უხეში მოტორული უნარების უმეტესობა, ნატიფი მოტორული უნარების მსგავსად, შესაძლებელია ჩაიწეროს ამგვარი მოკლე სახით, თუმცა, ბავშვის განვითარების რეცეფციული და ექპრესიული ენა არ მოერგება ამ ტიპის დოკუმენტაციას და არც მათი განვითარებადი სოციალურ-ემოციური შესაძლებლობები ან კოგნიტიური პრობლემების გადაჭრა. მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ ამ ჩანაწერის ფორმატის მისადაგება შესაბამის ინდიკატორებთან. მე-6 თავში გამოვიკვლევთ ამ პროცესს უფრო დეტალურად, როცა შევადარებთ მას უფრო ინფორმაციულ პორტფოლიოს დოკუმენტაციასთან.

გადახედეთ ქვემოთ წარმოდგენილი სწრაფი მონიშვნის ტიპის ჩანაწერების ცხრილის პირველ სვეტს. მასწავლებელი აკვირდებოდა მაკრატლის გამოყენებასთან დაკავშირებულ უნარებს. იმ ბავშვებთან, რომლებიც უპრობლემოდ ჭრიან, მასწავლებელმა დასვა მონიშვნა. იმ ბავშვებთან, რომლებიც ვერ ჭრიან, უჯრა დატოვა ღიად. თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, რა ნიშნის ჩასმა გსურთ (როგორიცაა, მაგალითად „X" ან "არა"), რათა ინფორმაცია გასაგები იყოს მომავალშიც.

შევსებული ფურცლის მეორე სვეტი გვიჩვენებს ამ ფორმატში მოკლე ჩანაწერების გაკეთების სხვა გზას. დაკვირვების ფოკუსი იყო საგნების დათვლა ერთი-ერთთან შესაბამისობით. ამ შემთხვევაში, პასუხები ჩაიწერა ციფრებით, თუ რამდენი საგანი დათვალა ბავშვმა ერთი-ერთთან შესაბამისობით (ერთი ბავშვის შემთხვევაში იყო მხოლოდ 3, ხოლო მეორეს შემთხვევაში - 20).

სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი

ბავშვის სახელი	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა
	მაკრატლით გამოჭრა 9/14	ერთი-ერთთან დათვლა 9/20		
ეშლი	✓	5		
ბრაიანი		3		
კამერონი				
დევიდი	✓	20		
ებონი		6		
...				

ნიუ მექსიკოს სკოლამდელი პროგრამისთვის შეიქმნა სპეციალური ფორმა „ძირითადი ინდიკატორების სწრაფი გადამოწმების სააღრიცხვო ფურცელი" მასწავლებლების მიერ გამოსაყენებლად სკოლამდელი ინდიკატორებისათვის, რომლებიც შესაძლებელია ჩაიწეროს შესაბამისად ასეთი სახის მოკლე ჩანაწერებით. სხვა ინდიკატორები, სავარაუდოდ, დოკუმენტირებული იქნება აღწერითი დაკვირვების ჩანაწერების, ფოტოებისა და ბავშვების ნამუშევრების მეშვეობით. სკოლამდელი საფეხურის მასწავლებლები ნიუ-მექსიკოში იტყობინებიან, რომ საჭირო მოლოდინების შესწავლა და შემდეგ განსაზღვრა, თუ რომელი უნდა ჩაიწეროს ამ გზით, მათ ძალიან ეხმარება. მასწავლებლებს შეუძლიათ ამ დოკუმენტირების სწრაფად შესრულება და უფრო მეტი ყურადღების მიქცევა დაკვირვებაზე,

რომლებიც საჭიროებენ აღწერით ჩანაწერებს. ისინი ამბობენ, რომ სწრაფი შემოწმების ფორმატი საშუალებას აძლევს მათ, დაინახონ მიმართულებები მათი მოსწავლეების მთელ ჯგუფში და დაგეგმონ კურიკულუმი შესაბამისად. ეს ფორმები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.newmexicoprek.org, „Pre-K Materials“ განყოფილებაში.

ზოგჯერ შესაძლებელია, მოგინდეთ მეტი ინფორმაციის ჩაწერა და ამავდროულად გსურთ, ჩანაწერები იყოს მოკლე. მოკლე შენიშვნების ჩასაწერი ფორმა/სააღრიცხვო ფურცელი საშუალებას გაძლევთ, წინ გქონდეთ სრული ჩამონათვალი იმ ბავშვებისა, რომელთაც აკვირდებით და შეგიძლიათ ჩაწეროთ უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მონიშნოთ ან ჩაწეროთ „კი“ ან „არა“.

ეს ფორმა შესაძლებელია გამოიყენოთ, როდესაც ხართ ბავშვებთან ერთად და ეხმარებით მათ, მოუსმინონ თქვენს კოლეგას, როდესაც ის კითხულობს. თქვენ ყოველი ბავშვის სახელის გვერდით შეგიძლიათ მონიშნოთ, თუ რომელი რეაგირებდა წაკითხულზე შეკითხვების დასმით ან აკეთებდა თემასთან დაკავშირებულ შენიშვნებს. ან თუ თქვენ მუშაობთ ბავშვთა მცირე წრესთან ფერადი მძივებისგან ნახატის შექმნაზე, გექნებათ უფრო მეტი ადგილი თითოეული ბავშვის ქცევის შესახებ ინფორმაციის ჩასაწერად.

ბავშვების მცირე ჯგუფთან მუშაობის საათების დროს თქვენ ასევე შესაძლოა გსურდეთ გამოყენება ფორმატისა, რომელიც შეიმუშავა ეიპრილ გარსიამ (მასწავლებელი ლას კრუსესში, ნიუ მექსიკო). როგორც ხედავთ, მცირე ჯგუფის დაკვირვების ფორმის გამოყენება შესაძლებელია მაქსიმუმ თორმეტ ბავშვზე დაკვირვებისათვის, როდესაც მუშაობთ მათთან ერთად რაიმე კონკრეტულ აქტივობაზე ან/და მიზანზე.

პლანშეტზე პატარა დასაწებებელი ქაღალდის, ჯგუფის ან ოქმის ფურცლების გამოყენებით თქვენ ზუსტად შეგიძლიათ ნახოთ, ვისზე განხორციელდა დაკვირვება და ვისზე - არა. ეს სისტემა გამორიცხავს რომელიმე ბავშვის

მოკლე შენიშვნების ჩასაწერი ფორმა

ბავშვის სახელი	თარიღი და აქტივობა

მცირე ჯგუფის დაკვირვების ფორმა

თარიღი _____ აქტივობა_____

მიზნები_____

ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი
ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი
ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი
ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი	ბავშვის სახელი

გამორჩენას დაკვირვებიდან. და კვლავ! ჯგუფში გადაადგილებისას ატარეთ პლანშეტები სწრაფი დოკუმენტირების განსახორციელებლად. როგორც სამრგოლიანი ბაინდერების შემთხვევაში, ერთ გზაა, გქონდეთ მსგავსი წყობის რამდენიმე პლანშეტი და შესაძლებელი იყოს მათი რამდენიმე ადგილას დალაგება ოთახში იოლად ხელმისაწვდომობისთვის.

საქმეების საქაღალდეები ასევე იოლად ტრანსპორტირებადია ჯგუფში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ფაილების (საქმეების) საქაღალდე, რომელშიც არის წებოვანი ქაღალდები ან ინდექსბარათები, რომელზეც შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერები. შემდეგ გვერდზე არის ორი მარტივად გასაკეთებელი დიზაინი ფაილების საქაღალდის დოკუმენტირებისთვის:

ფაილი წებოვანი ქაღალდებით

1. გახსენით ფაილების საქაღალდე და დადეთ სიბრტყეზე.
2. სახაზავისა და მარკერის გამოყენებით გაყავით საქაღალდე უჯრებად. თითო ბავშვზე თითო უჯრა A4 ზომის საქაღალდე შესაძლებელია დაიყოს ოცდაოთხ დაახლოებით სამი-სამზე ინჩის ზომის უჯრებად. თუ თქვენ პასუხისმგებელი ხართ ოცდაოთხზე ნაკლებ ბავშვზე ან გსურთ უფრო მეტი ადგილი და დიდი ზომის ჩანაწერები, გაადიდეთ უჯრები.
3. დააწერეთ უჯრებს თითოეული ბავშვის სახელი
4. დააკარით წებოვანი ფურცლები ამ უჯრებს, როდესაც რაიმე დაკვირვებას დაწერთ ამ ფურცლებზე. დარწმუნდით, რომ დაწერეთ ბავშვის სახელი წებოვან ქაღალდზე, რათა იოლად იპოვოთ ბავშვის სახელი უჯრებიან ქაღალდზე.

საქაღალდე ინდექს-ბარათებით

1. გახსენით საქაღალდე და დადეთ ბრტყლად
2. უფერული წებოვანი ლენტის გამოყენებით დააკარით ინდექსბარათები ქვემოდან ზემოთ ისე, რომ ზედა ბარათის ქვემოდან ქვედა ბარათის დაახლოებით ინჩის ზომის ნაწილი ჩანდეს. ფაილების საქაღალდის თითოეულ გვერდზე დაახლოებით თხუთმეტი ინდექსბარათი ეტევა.
3. თითოეული ბარათის ინჩის ზომის ქვედა ნაწილში დააწერეთ ბავშვის სახელი - ერთი ბარათი თითო ბავშვზე.
4. დაწერეთ დაკვირვებები თითოეულ ბავშვზე მის ბარათზე, საჭიროების შემთხვევაში - სხვა ბარათების ზემოთ აწევით. როდესაც ბარათი სრულად შეივსება, მარტივად შეიძლება მისი მოხსნა და სხვა ბარათით ჩანაცვლება.



გარდა კარგი, ძველმოდური კალმისა და ფურცლისა, მასწავლებლებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ტექნოლოგია დაკვირვებისა და დოკუმენტირებისთვის გამოსაყენებლად. ვიდეო და აუდიოჩაწერა ორი მსგავსი შესაძლებლობაა მცირე ასაკის ბავშვების მოქმედებებისა და მეტყველების ჩასაწერად. ისინი უზრუნველყოფენ ჩაწერის დაუყოვნებელ შესაძლებლობებს და შეუძლიათ ჩაიწერონ ერთდროულად ბევრი ინფორმაცია. პრობლემა ამ მეთოდებთან დაკავშირებით არის ის, რომ თქვენ უნდა უყუროთ ან უსმინოთ ჩანაწერს და განსაზღვროთ, რომელი ნაწილია მნიშვნელოვანი და რომელი - მათი გამოყენების საუკეთესო გზა. ასე რომ, უნდა გაითვალისწინოთ გაანალიზებისა და განხილვის დრო, რასაც ემატება გეგმები, თუ როგორ უნდა დაწეროთ ამ ტექნოლოგიების გამოყენებისას ჩაწერილი ინფორმაცია.

მობილური მოწყობილობების გამოყენება შესაძლებელია ფოტოების გადასაღებად და ვიდეო/აუდიო ჩანაწერების გასაკეთებლად. ადრეული განათლების სპეციალისტებს შეუძლიათ, იმუშავონ დაკვირვებაზე მოწყობილობის აპლიკაციების მეშვეობით; მარტივად ჩამოტვირთონ ფაილები კომპიუტერში, მესიჯით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გადაუგზავნონ ბავშვის ოჯახის წევრებს. ამგვარად, ოჯახის წევრებს შეუძლიათ იხილონ მათი ბავშვი მოქმედების დროს. ახალი ტექნოლოგიების დაუყოვნებელი და მარტივი ხასიათი შესაძლოა იყოს ძალიან მაცდური. თუ კარგად გამოიყენებ მათ, ისინი საუკეთესო ინსტრუმენტებად შეიძლება იქცნენ. თუმცა არის გასაფრთხილებელი და გასათვალისწინებელი მომენტები. ზოგჯერ ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებულმა დიდი რაოდენობის აპლიკაციებმა შესაძლოა ყურადღება გადაატანინოს მასწავლებელს ბავშვთან ურთიერთობაზე ფოკუსირებისგან, ეს კი მათი სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

რამდენი ჩავიწეროთ

ჩასაწერი მასალის რაოდენობა დამოკიდებულია დოკუმენტირების მიზანსა და ფორმატზე, რომელიც საუკეთესოდ ერგება ამ მიზანს. ჩასაწერი ფურცლები ვერ მუშაობს კარგად, როდესაც ცდილობთ ბავშვის მეტყველების დაფიქსირებას ან აღწერთ მათ მიერ პრობლემის გადაჭრის ან სხვა ბავშებთან ურთიერთობის მოგვარების მცდელობას. ამ შემთხვევებში თქვენ უნდა ჩაიწეროთ უფრო მეტი აღწერილობის გამოყენებით. თუ თქვენ გაქვთ დრო და ფუფუნება, რომ არავინ შეგაწუხებთ, შესაძლოა მოახერხოთ ჩაწერა ყველაფერის, რასაც ამბობს ან აკეთებს ბავშვი. თუ თქვენ იწერთ ფაქტის შემდეგ, თქვენმა მეხსიერებამ შესაძლოა ვერ აღადგინოს ყველა დეტალი. ამ შემთხვევაში, თქვენ შეგიძლიათ შეაჯამოთ ბავშვის მოქმედებები აღწერილობაში. პერსონალურმა მეთოდმა და სტილმა ასევე შესაძლოა გავლენა იქონიოს, თუ რამდენს წერთ ან რამდენის დოკუმენტირებას ახორციელებთ. ზოგი მასწავლებელი ირჩევს დასრულებულ წინადადებებს ისტორიის მოსაყოლად, როცა სხვები აკეთებენ ბავშვის მნიშვნელოვანი მოქმედებების

ამ ნაწილში ჩვენ აღვწერთ სამ ფორმატს დაკვირვებისთვის:

- მიმდინარე ჩანაწერები
- შეჯამება
- ჩამონათვალი

უწყვეტი (მიმდინარე) ჩანაწერები

დოკუმენტირების ეს ფორმა დამხმარეა, მაგრამ ყოველთვის მარტივად შესასრულებელი არ არის ყურადღების გამფანტავი რამდენიმე ფაქტორის არსებობის გამო. შესაბამისად, ჩვენ არ გირჩევთ მის ხშირად გამოყენებას. კარგი უწყვეტი ჩანაწერების გაკეთებისას თქვენ ჩამოშორდებით აქტივობებს, ხართ მშვიდად და აფიქსირებთ ფურცელზე ყველაფერს, რასაც ხედავთ - რას ამბობეს, აკეთებს, როგორ იქცევა ბავშვი. ამიტომ თქვენ კოორდინირებულად უნდა იმუშაოთ კოლეგებთან ერთად და გადაინაწილოთ როლები - როცა თქვენ აკვირდებით, კოლეგა ბავშვების მეთვალყურის ფუნქციას უნდა ასრულებდეს. პლანშეტი და ქაღალდები ან ხელის კომპიუტერი ძალიან დაგეხმარებათ ამ ტიპის დოკუმენტირებისას, რადგან თქვენ გააკეთებთ უფრო მეტ ჩანაწერს, ვიდრე სხვა ფორმატების გამოყენების შემთხვევაში. ამ ტიპის დოკუმენტირება საჭიროებს სწრაფ წერას ან ბეჭდვას! თქვენ შესაძლოა დაგჭირდეთ ისწავლოთ სტენოგრაფირება ან შეიმუშაოთ აბრევიატურები. ბევრი მასწავლებელი მიმდინარე ჩანაწერებში ბავშვების იდენტიფიცირებას ახდენს სახელის პირველი ასოს მიხედვით. მიმდინარე ჩანაწერები ასევე საჭიროებს ინტენსიურ ფოკუსირებას. დროის ლიმიტის დადგენა და მისი მიყოლა დავალებას უფრო მართვადს ხდის. თხუთმეტი წუთი არის დროის მაქსიმალური რაოდენობა, რაც უნდა გამოიყოს, რათა არ გადაიტვირთოთ უფრო დიდი ხნით დაკვირვებითა და წერით. წარმოგიდგენთ მიმდინარე ჩანაწერების ორ მაგალითს.

პრისცილა (2 წლის და 4 თვის)

პ. ზის იატაკზე ფორმების ჩასასმელთან. პ. იღებს კვადრატის ფორმას მარჯვენა ხელით და დებს მას კვადრატული ფორმის ჩარჩოში. პ. იღებს წრის ფორმას მარჯვენა ხელით და დებს მას კონტეინერში. ის იღებს სამკუთხედის ფორმას და დებს მას სამკუთხედი ფორმის ხვრელში. ეს ყველაფერი გრძელდება ორი წუთის განმავლობაში.

სკაი (4 წლის და 4 თვის)

ს. მიდის ხელოვნების კუთხესთან, იღებს ყავისფერ მუყაოს ქაღალდს. კეცავს მას ორივე ხელით. შემდეგ მარჯვენა ხელით ის ჭრის ლურჯ ქაღალდებს მცირე ზომის მართკუთხედებად, დებს ფორმებს გადაკეცილ ყავისფერ ქაღალდზე. მოაქვს ჩემთან და მეუბნება, „აი, წიგნი ლურჯი პლასტირებით. მიდის უკან და კეცავს ღია მეწამულ ქაღალდს. ხსნის მას და კეცავს რამდენჯერმე. ერთ მხარეს აკეთებს ჭრილს და ამბობს, „თვითმფრინავი არ გამოდის“. იღებს მუქ მეწამულ ქაღალდს, კეცავს და აკეთებს რამდენიმე ჭრილს, მოაქვს ჩემთან ორივე ფურცელი და ამბობს, „ეს თვითმფრინავი არ გამოვიდა, აი, მეორენაირი თვითმფრინავი“. მიდის უკან მაგიდასთან, ჭრის გაზეთს და ამბობს, „აი უფრო დიდი პლასტირი და მე გამოვჭერი ის“. დებს მათ მაგიდაზე წიგნთან და თვითმფრინავებთან ერთად. მიდის უკან, იღებს სხვა მეწამულ ქაღალდს, ფანქარს, პასტელებს, წებოს და ღილებს. ატრიალებს წებოს თავდაყირა და შემდეგ ისევ ასწორებს მას. ორივე ხელის გამოყენებით უჭერს ბოთლს და ხსნის თავსახურავს. ურტყამს ბოთლს მაგიდას. უყურებს ბოთლს, უბიძგებს წვერს თითით. ატრიალებს თავსახურს კვლავ და გადმოასხამს წებოს გაზეთზე, რომელიც მაგიდაზე დევს. შემდეგ ღილებს აწებებს მეწამულ ქაღალდზე და ხატავს მის „გულის ვერტმფრენს“. შემდეგ ის

მიყვება მისი ნახატის შესახებ და ამბობს, „მე მოვრჩი. ახლა ავალაგებ“. ეს ხდებოდა დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში.

შეჯამება

მიმდინარე ჩანაწერები გრძელი გამოდის. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაკვირვება და ჩაწერა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს. სკაის ეპიზოდი ამის თვალსაჩინო მაგალითია. ბავშვის ხანგრძლივი ჩართულობის ჩასაწერად ნაკლებ დროს გვართმევს მისი ქმედებებისა და გამონათქვამების შეჯამება. შეჯამება თავისთავად აერთიანებს ფაქტებსა და მათ აღწერას, მაგრამ იგი არ ასახავს ჩანაწერს ბავშვის თითოეული მოქმედებისა და წარმოთქმული სიტყვის შესახებ, ის აკეთებს აქცენტს ძირითად ფაქტებსა და მნიშვნელოვან მოვლენებზე. სკაის შესახებ წინა ჩანაწერი არის ძალიან გრძელი და დეტალური. წარმოგიდგენთ ოთხ წინადადებას, რომლებიც აჯამებენ სკაის მოქმედებებსა და ნათქვამს. გაეცანით და ნახეთ, იმავე ინფორმაციას მიიღებთ და წარმოდგენას შეიქმნით სკაის შესაძლებლობების შესახებ.

სკაი (4 წლის და 4 თვის)

სკაი მიდის ხელოვნების კუთხესთან და რჩება დაახლოებით თხუთმეტი წუთის განმავლობაში, კეცავს და ჭრის ქაღალდებს. ჭრის მარჯვენა ხელით. ის ალაგებს ფორმებს დაკეცილ ქაღალდზე და მეუბნება, „აი, წიგნი ლურჯი პლასტირებით“. ის აწებებს ღილებს ფურცელზე წებოს ბოთლზე ხელის მოჭერით და მაგიდაზე დარტყმით წებოს გამოსაყვანად. ის მეუბნება, რომ მისი ნახატი არის „გულის ვერტმფრენი“, შემდეგ ამბობს, „მე მოვრჩი. ახლა ავალაგებ“.

ეს შეჯამება არის გაცილებით უფრო მოკლე. უმნიშვნელო დეტალები, როგორიცაა ფურცლის ფერი, ზუსტი აღწერილობა მისი ნაბიჯებისა, როგორ გადაკეცა და გაჭრა თითოეული ქაღალდი და რა თანმიმდევრობით იმოქმედა, რომ გამოეყვანა წებო, წაშლილია. წაშლილი ნაწილები არის დამწერის სუბიექტური შეფასება. თქვენ რომ ყოფილიყავით სკაის მასწავლებელი და გეფიქრათ, რომ მისი მოთმინება და მრავალმხრივი მცდელობა წებოს ბოთლთან დაკავშირებით იყო მნიშვნელოვანი ინდიკატორი, თუ როგორ ცდილობს ის პრობლემის გადაწყვეტას იმედგაცრუების გამოვლენის გარეშე, თქვენ შესაძლოა ჩაგეწერ ეს ინფორმაცია.

შეჯამება გარკვეული მსჯელობაა მასში ასახული თუ არასახული მასალის, ინფორმაციის შესახებ. თუმცა იგი ბავშვის საქციელის ჩაწერის გაცილებით უფრო ეფექტური გზაა და შესაძლოა, ფოკუსირდეს ბავშვის განვითარების სპეციფიკური სფეროების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე. შეჯამება ძალიან გეხმარებათ ბავშვის საქციელზე ხანგრძლივი პერიოდით დაკვირვებისას. როგორც აღვნიშნეთ, პროცესის დოკუმენტირებული შეჯამება არ გულისხმობს შეფასებას და ინტერპრეტაციას, იქ თავს იყრის მხოლოდ ფაქტები და აღწერილობა. და მაინც, მკითხველს ექმნება ნათელი სურათი, თუ როგორ უმკლავდება ადამი საკუთარ თავს გაბრაზების ან მოწყენილობისას.

ადამი (12 თვის)

ადამი ამშვიდებს საკუთარ თავს თითის წოვით ან თავისი ბოთლიდან სითხის დალევით, რაც მასზე დაკვირვებისას არაერთხელ და სხვადასხვა სიტუაციაში დამიფიქსირებია.

ჩამონათვალი

ზოგიერთი მასწავლებელი თვლის, რომ ჩამონათვალის გაკეთება ან პუნქტებად ჩამოწერა ერგება ფიქრის მისეულ სტილს უფრო მეტად, ვიდრე სრული წინადადებები ან ისტორიის მოყოლა. როგორც შემდგომ მაგალითებშია ნაჩვენები, ჩამონათვალი განსაკუთრებით კარგი გამოდის, როდესაც იწერთ ბავშვის ნათქვამ სიტყვებს ან თვალყურს ადევნებთ მსვლელობასა და თანმიმდევრობას იმ მოქმედებათა, რომელშიც ბავშვია ჩართული. თუ მკითხველი ჩამონათვალის გადახედვისას შეძლებს ბავშვის ზუსტი მოქმედებების განსაზღვრას, მაშინ ამ ტიპის ეპიზოდი კიდევ ერთი ეფექტური გზაა ინფორმაციის სწრაფად ჩასაწერად.

დევიდი (1 წლის და 10 თვის)

დღეს დევიდმა თქვა: ლალა, იელო (ანგელო), თვითმფრინავი, დენი, tash (trash - ნაგავი), bu (blue - ლურჯი და მარკა (მარკერი)

ჯესიკა (4 წლის და 5 თვის)

საპირფარეშოს კართა ელოდება რიგს, რათა ისარგებლოს ტუალეტით და ელაპარაკება სხვა ბავშვებს.

საპირფარეშოში შედის დამოუკიდებლად.

იბანს ხელებს. შეხსენების გარეშე იყენებს საპონს.

იცინის და ეხუტება მასწავლებელს.

მიდის წასახემსებელ მაგიდასთან.

რამდენად დეტალური უნდა იყოს დაკვირვების ჩანაწერები

ხარისხიანი დოკუმენტირება შეიძლება იყოს მოკლე. კარგი ეპიზოდები მოიცავს საკმარის ფაქტებს, ისე, რომ როდესაც სხვა ზრდასრულები კითხულობენ მათ, შეუძლიათ ნათლად წარმოიდგინონ ბავშვის მოქმედებები. წარმოგიდგენთ ეპიზოდს, რომელშიც გამოტოვებულია რამდენიმე საკვანძო დეტალი.

ტანია (3 წლის და 6 თვის)

ტანიამ ძალიან კარგად იმუშავა, როდესაც რამდენიმე ფაზლი ააწყო მიყოლებით.

დაკვირვების ამ ჩანაწერის გაანალიზებისას შეგიძლიათ, დაინახოთ, რომ ინტერპრეტაციული ენა გამოყენებულია ფრაზით „ძალიან კარგი საქმე“. ფართო შეფასებითი განცხადების გაკეთების მაგივრად, უმჯობესი იქნებოდა სპეციფიკური დეტალების ჩართვა, რათა დახმარებოდნენ მკითხველს ფრაზის „ძალიან კარგი საქმე“ გააზრებაში, ანუ რას გულისხმობს ფრაზა, ამის გარკვევაში. ასეთი დეტალები შესაძლოა მოიცავდეს:

- თავსატეხების ტიპსა და სირთულეს. როგორია ეს თავსატეხები - ღილაკებით, მკვეთრი კონტურებით, სადაც ნაწილები ერთდება? ყუთზე იყო თუ არა სურათი, რომელითაც მას უნდა ეხელმძღვანელა და გააკეთა/ვერ/არ გააკეთა ეს?
- თავსატეხებში ნაწილების რაოდენობა
- დასრულებული თავსატეხების რაოდენობა
- როგორ იმუშავა ტანიამ - დამოუკიდებლად, სხვა ბავშვთან ერთად თუ უფროსის დახმარებით.
- დავალებაზე დახარჯული დრო

წარმოგიდგენთ ტანიას შესახებ ეპიზოდის ხელახლა დაწერილ ვერსიას. ეს ჩანაწერი წინაზე უფრო გრძელია, მაგრამ მხოლოდ მცირედით. ახლა მკითხველს ექმნება უფრო ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ იმუშავა ტანიამ თავსატეხებთან.

ტანია (3 წლის და 6 თვის)

ტანია მიდის თავსატეხების („ფაზლი“) მაგიდასთან და აწყობს სამ რვა-ათ ნაწილიან თავსატეხს თავსატეხის დაფაზე მოხაზული ნაწილების მიხედვით. შემდეგ ის იღებს იატაკის ოცდახუთ ნაწილიან თავსატეხს და აწყობს მას, ყუთზე უკანა ნახატის შეთვალიერებით, რომ ნახოს, თუ სად მიდის ეს ნაწილი. „მე ეს გავაკეთე“ აცხადებს ის, როდესაც დასრულებს.

თქვენ არ გჭირდებათ დაწეროთ ძალიან გრძელი დაკვირვების ჩანაწერები, თუკი მნიშვნელოვნ დეტალებზე ამახვილებთ ყურადღბას. სიგრძე არ უდრის ხარისხს. ამის კარგად დამახსოვრება წაგახალისებთ, იყოთ უფრო ეფექტური ბავშვის საქციელის შესახებ ჩანაწერის გაკეთებისას.

ძალიან ბევრი გზა არსებობს დაკვირვების ჩართვისა ბავშვებთან ურთიერთობს პერიოდში. წარმატების გასაღები დაგეგმვა და მოქნილობაა. პროცესი უფრო მარტივად ჩასატარებელი იქნება, როდესაც გამოცდით სხვადასხვა დროს დოკუმენტირებისთვის, ექსპერიმენტებს ჩაატარებთ ჩაწერის სხვადასხვა ფორმატით და განსაზღვრავთ, რომელია თქვენთვის საუკეთესო. შემდეგ თავში ჩვენ წარმოგიდგენთ გზებს, თუ როგორ გამოიყენოთ დაკვირვება და დოკუმენტირება შეფასების პროცესისათვის.

დაკვირვების პრაქტიკა #8:

მიმდინარე ჩანაწერი

მიზანი: უნარ-ჩვევის გამომუშავება - როგორ ჩავიწეროთ ყველაფერი, რასაც აკეთებს ან ამბობს ბავშვი, გარკვეული პერიოდის მანძილზე.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #8 სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე, რომლებიც იღებენ პალტოებს გარეთ გასასვლელად. ფოკუსირდით სამი წლის ასაკის ლონდონზე - ლურჯ მოკლემკლავიან კაბაში გამოწყობილ გოგონაზე, რომელიც იცვამს მეწამულ ჟაკეტს. ყურებისას ეცადეთ, გააკეთოთ მიმდინარე ჩანაწერები. ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც ლონდონი აკეთებს.

საორიენტაციო კითხვები: კლიპია ნახვის შემდეგ, გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება დატვირთული ჯგუფის მართვის პირობებში? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული ზოგიერთი მიმდინარე ჩანაწერი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #9:

შემაჯამებელი ეპიზოდი

მიზანი: დაკვირვების ისეთი ჩანაწერის გაკეთების პრაქტიკა, რომელიც მთლიანად ორ-ოთხ წინადადებაში აჯამებს, რას აკეთებდა ბავშვი.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #9 სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც სენსორულ სათამაშო მაგიდასთან თამაშობენ. გთავაზობთ, რომ ფოკუსირება გააკეთოთ კამერასთან ახლოს მყოფ ბავშვებზე, სამი წლის ლონდონზე მარჯვენა მხარეს და ხუთი წლის პიტერზე მარცხენა მხარეს. არ ჩაწეროთ თქვენი დაკვირვებები ვიდეოს მსვლელობისას. ვიდეორგოლის დასრულების შემდეგ ჩამოწერეთ ორი ან ოთხი წინადადება, რომლებიც შეაჯამებს თქვენ მიერ დაფიქსირებულ ფაქტებს. დაიმახსოვრეთ, რომ დაკვირვება უნდა იყოს ფაქტობრივი და აღწერითი და არა ინტერპრეტაციული.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ, გააანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება დატვირთული ჯგუფის მართვის პირობებში? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული შეჯამების ჩანაწერები და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #10:

ჩამონათვალის გაკეთება

მიზანი: გაკეთება ისეთი დაკვირვების ჩანაწერისა, რომელიც იქნება ბავშვის მიერ გაკეთებული საქმეების თუ მოქმედებების ჩამონათვალი.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #10 და ფოკუსირდით მარისელაზე, 4 წლის გოგონაზე გრძელმკლავიანი, გოფრირებული მაისურით დღის დასაწყისისას. კარგად დააკვირდით, რას აკეთებს და ამბობს ის. ყურების დროს ან შემდეგ გააკეთეთ ჩამონათვალი, თუ რას აკეთებდა ბავშვი. არ იფიქროთ სრულ წინადადებებზე ან აღწერით ფრაზებზე. ეცადეთ, ეფექტურად გამოიყენოთ სიტყვები. მაინც გახსოვდეთ, რომ დაწეროთ ფაქტობრივად და აღწერილობით და არა ინტერპრეტირებულად.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ, გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება აქტივობებით დატვირთული ჯგუფის მართვის პირობებში? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული ჩამონათვალი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #11:

სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი

მიზანი: დაკვირვებისა და ჩაწერის პრაქტიკა წინასწარ ერთი უნარზე დაკვირვებით და ბავშვების მიერ ამ უნარის გამოვლენის სწრაფი მონიშვნა.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდეორგოლის #11 ნახვამდე, რომელშიც სკოლამდელი ასაკის ბავშვები იყენებენ საწერ დაფაზე საშუალებებს, ჩამოწერეთ მათი სახელები (ოთხი წლის მარისელა, ხუთი წლის პეტერი, ოთხწლინახევრის მარიანა) სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილში (თქვენ შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ის ამ წიგნის დანართიდან B ან ონლაინ, ფოკუსირებული დაკვირვებების ვებ-გვერდიდან www.redleafpress.org). განსაზღვრეთ, რა უნარებს აკვირდებით, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს მოკლე ჩანაწერით ან მონიშვნით. რამდენიმე არჩევანი, რაზეც შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ, არის:

- მარჯვენა ან მარცხენა ხელით წერის უნარი
- საწერი საშუალების სათანადოდ დაჭერა
- ასოების მსგავსი ფორმების ან ამოცნობადი ასოების მოხაზვის შესაძლებლობა

- მარცხნიდან მარჯვნივ წერა

უყურეთ ვიდეოს და ჩაიწერეთ შესაბამისად.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ, გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება დატვირთული ჯგუფის მართვის პირობებში? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული სწრაფი მონიშვნის ტიპის ჩანაწერების ცხრილი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #12:

ბავშვთა ჯგუფზე დაკვირვებისას გაკეთებული ჩანაწერები

მიზანი: ბავშვთა ჯგუფის შესახებ დაკვირვებების ჩაწერის პრაქტიკული უნარ-ჩვევის გამომუშავება/დახვეწა.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდრე ნახავთ ვიდეორგოლს #12 სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც უსმენენ ისტორიას, ჩამოყალიბდით, რა სპეციფიკური ინფორმაციის ჩაწერა გსურთ თითოეული ბავშვის შესახებ მოკლე ჩანაწერის გაკეთებით (ფოკუსირება მოახდინეთ ხუთი წლის ასაკის პიტერზე წითელ პერანგში, ოთხი წლის ასაკის მარისელაზე გოფრირებულ, გრძელმკლავიან მაისურში და სამი წლის ლონდონზე მოკლემკლავიან ლურჯ კაბაში) მოკლე ჩანაწერების აღრიცხვის ცხრილში (თქვენ შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ამ წიგნის დანართიდან „ბ“ ან ამობეჭდოთ დისკის რესურსების განყოფილებიდან). რამდენიმე არჩევანი, რაზეც შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ, არის:

- ინტერესდება ამბით, რომელსაც უკითხავენ
- პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს
- ერთვება ამბის კითხვაში მასთან დაკავშირებული იდეებითა და შენიშვნებით

დააკვირდით კითხვის დროს და ჩაიწერეთ თითოეულის სახელის ინიციალი ბავშვის შესახებ მოკლე ჩანაწერითურთ. არ ინერვიულოთ სრული წინადადებების ან აღწერილობითი ფრაზების შესახებ. ეცადეთ, ეფექტურად გამოიყენოთ სიტყვები. მაინც გახსოვდეთ, რომ დაწეროთ ფაქტობრივად და აღწერილობითად და არა ინტერპრეტაციულად.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ყურების შემდეგ, გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული მოკლე ჩანაწერების აღრიცხვის ცხრილი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

რეფლექსია

მიზანი: დაფიქრება და გააზრება იმისა, დოკუმენტირებისა და გაანალიზების რომელი მეთოდებია ეფექტური თქვენს გარემოში.

რა უნდა გავაკეთოთ: იფიქრეთ სამუშაო გარემოზე. წარმოდგენილი დროის მონაკვეთებიდან რომელი იქნება უფრო ხელსაყრელი თქვენთვის დაკვირვების და დოკუმენტირების განხორციელებისთვის? სავარაუდოდ, თქვენ გექნებათ მეტი დრო:

- ბავშვთან ერთად ყოფნისას
- შემთხვევიდან რაც შეიძლება მალე
- კოლეგებთან ჯგუფში მუშაობისას
- ინდივიდუალურად გაანალიზებისას ან კოლეგებთან ერთად „ხუთი წუთით შესვენებისას“.

შეძლებთ რამდენიმეს გაერთიანებას? როგორ იმუშავებთ თქვენს კოლეგებთან ერთად დაკვირვებისა და დოკუმენტირებისთვის თქვენთვის ხელსაყრელი გარემოს დასადგენად?

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის ძიება

მიზანი: განსაზღვრა, დოკუმენტირების რომელი ტიპია საუკეთესო დაკვირვების თქვენეული სტილისთვის.

რა უნდა გავაკეთოთ: მუდმივად აკეთეთ ჩანაწერები გამოცდილების ჟურნალში და წარმოადგინეთ ნიმუშები დოკუმენტირებისას გამოყენებული თითოეული ტიპის აღწერით: მიმდინარე ჩანაწერები, შემაჯამებელი კომენტარები, კითხვარები, სწრაფი მონიშვნის და მოკლე ჩანაწერების ცხრილები და მცირე ჯგუფის დაკვირვების ფორმა. რომელი მათგანი ერგება სწავლების, ორგანიზების, დაკვირვებისა და წერის თქვენს სტილს? რატომ?

თავი 5: როგორ ახორციელებთ დაკვირვებასა და დოკუმენტირებას შეფასებისთვის?

როდესაც ისწავლით დაკვირვების მიზანზე ორიენტირებას, უფრო ეფექტურად მოახერხებთ ბავშვებთან ერთად გატარებული დღის განმავლობაში დაკვირვებისა და დოკუმენტირების ინტეგრირებას, ნათლად და მკაფიოდ დაინახავთ ბავშვების განვითარების პროცესს მათ აქტივობებში. თქვენი ჩანაწერები და პროცესის ანალიზი დაგეხმარებათ სხვებისთვის ბავშვების შესახებ უფრო კვალიფიციური ინფორმაციის მიწოდებაში. თქვენ შეძლებთ ბავშვის განვითარების ეტაპების, მისი ძლიერი მხარეების უკეთ წარმოჩენას და სუსტი მხარეების გამოვლენას, რაც მნიშნველოვან დახმარებას გაგიწევთ ბავშვების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გეგმის შედგენაში. მშობლებს, საზოგადოების წევრებსა და გადაწყვეტილების მიმღებთ სურთ ადრეული განათლებისა და აღზრდის პოზიტიური გავლენის მტკიცებულებები. შეფასებისთვის დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენება ასეთი ტიპის ანგარიშვალდებულებისთვის მტკიცებულების არსებობის აუთენტური, ბავშვებზე მიმართული გზაა.

დაიანა: მე ვასწავლიდი სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში 35 წლის განმავლობაში და ყოველთვის ვაკეთებდი დაკვირვებებს. ახლა, როდესაც რაიმე ხდება, ვფიქრობ, „აჰა, ეს ეხება კითხვისა და წერის განვითარების ნაწილს“ ან „ეს ეხება ფიზიკური განვითარების ნაწილს“, „ეს ეხება ორ ან სამ სხვადასხვა სფეროს“ და ასე უფრო მეტად ორგანიზებული ვარ დაკვირვებისას.

როდესაც აფასებთ ბავშვებს დაკვირვების მეშვეობით, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ მათი ქცევა თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევის მითითებებს. ამგვარად, თქვენ აგრძელებთ თქვენი პრაქტიკის ანგარიშვალდებულებას, რადგან აკავშირებთ შეფასებას, კურიკულუმს და სასურველ მიზნებს, როგორც რეკომენდებულია NAEYC (2009, 22) ანგარიშში *განვითარების შესაბამისი პრაქტიკის* შესახებ: „განვითარების შესაბამის პრაქტიკაში გამოცდილება და შეფასება დაკავშირებულია... ორივე შესაბამისობაშია პროგრამის სასურველ შედეგებსა ან მიზნებთან. მასწავლებლები წინასწარ ვერ დაგეგმავენ ბავშვების დახმარებას მათ გასავითარებლად, თუ არ ეცოდინებათ, რა ეტაპზე არიან ბავშვები სასწავლო მიზნების თვალსაზრისით“.

ანტონი: დაკვირვება მეხმარება, რომ დავინახო, რა მოსწონთ ბავშვებს და როგორ სწავლობენ ისინი უკეთ. დაკვირვების გარეშე ვერ ვუპასუხებ ბავშვების საჭიროებებს მათი მიზნების მისაღწევად.

როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, შეფასებას, რომელიც დაკავშირებულია მიზნებთან, ეწოდება კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასება. თქვენ ბავშვების მოქმედებებს ადარებთ (როდესაც აკვირდებით, რას აკეთებენ და გესმით, რას ამბობენ) ადრეული განვითარების გზამკვლევებს (CCSSO 2011). თქვენ არ ადარებთ ერთ ბავშვს მეორეს, არამედ აკვირდებით თითოეული ბავშვის პროგრესს გზამკვლევებთან ან იმ მიზნებთან მიმართებით, რომლებზეც მუშაობთ. ამგვარად, თქვენ სწავლობთ ბავშვის შესაძლებლობებს და გეგმავთ კურიკულუმს შესაბამისად. დაიმახსოვრეთ, რომ ბავშვის შეფასება იგივე არ არის, რაც მისი ტესტირება. ადრეული განათლების სპეციალისტები შეფასებას განსაზღვრავენ ორ საფეხურიან პროცესად: თავიდან აგროვებთ ინფორმაციას ბავშვების შესახებ დაკვირვების მეშვეობით, ინახავთ მათ

ნამუშევრებს ან ფოტოებს, მშობლების ინტერვიუებს და ტესტებს. შემდეგ იყენებთ ამ ინფორმაციას ბავშვების მახასიათებლების შესაფასებლად და იღებთ გადაწყვეტილებას შესაბამისი სწავლებისა და მოვლისთვის (NAEYC 2009, NAEYC და NAECS/SDE 2003).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ტესტები არის ინფორმაციის შეგროვების რამდენიმე ვარიანტიდან ერთ-ერთი. ტესტზე დამოკიდებულების პრობლემა არის ის, რომ რაც უფრო პატარაა ბავშვი, უფრო ნაკლებად სანდოა ტესტის ინფორმაცია. თქვენ, სავარაუდოდ, დააფიქსირეთ, რომ მცირე ასაკის ბავშვები ვერ მიჰყვებიან მითითებებს მუდმივად კარგად, უჭირთ შესრულება, იმ ტიპის დავალებებისა, რომლებიც ფურცელს და კალმის გამოყენებას საჭიროებენ. „ბავშვების შესახებ სანდო ინფორმაციის მოძიება კიდევ უფრო რთული გახდა სხვადასხვა მიზეზის გამო: ისინი იზრდებიან და იცვლებიან სწრაფად, მათი განვითარება არათანაბარია და მათი ყურადღება ადვილად იფანტება“. (Copple and Bredekamp 2009, 44).

ბავშვებზე დაკვირვება, როდესაც ისინი ასრულებენ სხვადასხვა დავალებას, იძლევა მათი შესაძლებლობების სრულ სურათს. ეს არის „ავთენტური საზომი“, რომელიც უფრო მეტად ასახავს ბავშვების რეალურ მიღწევებს, ვიდრე მათ მიღწევებს გამოგონილ, უფროსების მიერ განსაზღვრულ დავალებებში, რომლებიც შესაძლოა არ იყოს მათთვის ნაცნობი. როდესაც გაქვთ მიმზიდველი, პრაქტიკული აქტივობები მათთვის ნაცნობ გარემოში, ეს ეხმარება ბავშვებს, თავი იგრძნონ კომფორტულად და განტვირთულად და საგნებით მანიპულირება, ცნებების დემონსტრაცია და მეტყველების გამოყენება უფრო ზუსტად ასახავს, თუ რას აკეთებენ ისინი. დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაკვირვება აჩენს შესაძლებლობას თქვენთვის, რომ თვალი ადევნოთ მათი შესრულების სიხშირეს და შეაფასოთ, ნამდვილად ფლობენ თუ არა უნარებს, მხოლოდ ახლა იწყებენ განვითარებას თუ ჯერ საერთოდ არ აქვთ განვითარებული ისინი.

ელიზაბეტი: ბავშვებზე დაკვირვება და მათი ქმედებების დოკუმენტირება მეხმარება ბავშვის განვითარების შესაბამისი ეტაპების შეფასებაში. დაკვირვების დახმარებით ვსაზღვრავ ბავშვის პროგრესს და ვადგენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) მიზნებს, რომლებიც დაფუძნებულია შესრულების მიმდინარე დონეზე.

სიტყვა *შეფასება* (assess) მოდის ლათინური სიტყვიდან *assidere,* რაც ნიშნავს „ვიღაცასთან დაჯდომა“. შეფასების დროს თქვენ მუშაობთ მოსწავლესთან ერთად. როდესაც აფასებთ ბავშვებს, თქვენ ხართ მათ გვერდით. შეფასება არის ის, რასაც აკეთებთ *ბავშვისათვის* და *ბავშვთან ერთად* და არა ის, რასაც უკეთებთ მას (ვიგინსი1993 მანზანოში და კენდალი 1996). დღევანდელ სამყაროში - მაღალი თამასის შეფასებების დროსა და პასუხისმგებლობაზე ორიენტირებულ გარემოში - იყენებენ სტანდარტიზებულ ტესტებს წარმატება/წარუმატებლობის რაოდენობრივი შედეგის გამოსავლენად. დაიკარგა ბავშვთან ერთად მუშაობის და დაკვირვების პრაქტიკა. დღევანდელ დროში შეფასება ნიშნავს შემდეგს: მოქმედებს თუ არა ან ავლენს/ფლობს თუ არა ბავშვი სტანდარტის ან ასაკობრივი საფეხურისთვის დადგენილ უნარ-ჩვევებს. თუკი ბავშვის მოქმედებები არ შეესაბამება სტანდარტით დადგენილ ნორმებს ან ვერ ავლენს საფეხურის შესაბამის უნარ-ჩვევებს, ადანაშაულებენ პროგრამას, რომელმაც ვერ შეძლო ბავშვისთვის სათანადო განათლების მიცემა.

ადრეული განათლების სფეროში პროფესიონალი რეკომენდატორები ხაზს უსვამენ სიტყვა *შეფასების* საწყის მნიშვნელობას, მუშაობენ ბავშვებთან ერთად, რათა დააკვირდნენ და ისწავლონ, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ მათ. ხშირად, ამ შეფასებებს ეწოდება „ავთენტური“.

მასწავლებლებს არ სჭირდებათ სპეციალური დროის ან დავალებების განსაზღვრა შეფასებისთვის. ნაცვლად ამისა, მასწავლებლები აკვირდებიან ბავშვებს ყოველდღიურად, როდესაც ისინი აპირებენ თამაშს, სხვადასხვა აქტივობებსა და ყოველდღიურ რუტინაში ჩართვას. ისინი ახორციელებენ ზოგიერთი დაკვირვების დოკუმენტირებას და უკავშირებენ მათ გონივრულ და მისაღებ კრიტერიუმს.

ერთი გზამკვლევი არასოდეს უნდა ეყრდნობოდეს ერთი შეფასების საზომს. ინფორმაციის პოტენციურად გამოსადეგი წყაროები არის დაკვირვება, თითოეული ბავშვის ნამუშევრის გამოკვლევა, ბავშვთან „კლინიკური ინტერვიუს“ ფორმატში გასაუბრება (ვრცელი დიალოგი, სადაც უფროსი ცდილობს, გაარჩიოს ბავშვის კონცეფციები და სტრატეგიები). ინფორმაცია ბავშვის შესახებ უნდა მოგროვდეს სხვადასხვა და კონტექსტში (კოპლი და ბრედკამპი 2009, 44).

დანართში C არის რეკომენდებული წყაროები დამატებითი ინფორმაციისათვის, რომლებიც ეხება მცირე ასაკის ბავშვების შეფასების საუკეთესო გზებს. დანართი D არის ტერმინების ლექსიკონი, რომლებიც უკავშირდება შეფასების სხვადასხვა ტიპებს. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს ინფორმაცია მოგცემთ სერიოზული მხარდაჭერის საფუძველს ინფორმაციის შეგროვებისათვის დაკვირვების გამოსაყენებლად, რათა შეაფასოთ ბავშვების განვითარება.

როგორ გვაჩვენებენ ადრეული ასაკის ბავშვები, რა იციან და რისი გაკეთება შეუძლიათ

თუ ტესტები არ არის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ადრეული ასაკის ბავშვები გვაჩვენებენ მათ მიღწევებს, რითი შეუძლიათ მათ საკუთარი მიღწევების ჩვენება? მიღწევების დანახვა შესაძლებელია:

- თამაშისა და კვლევების დროს
- ყოველდღიურ ცხოვრებაში
- მასწავლებლების მიერ შედგენილი აქტივობებისას .

თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ ბავშვებს ზემოთ ჩამოთვლილი სიტუაციებისას მათი უნარ-ჩვევების, კონცეფციის გაგების და ზოგადი განვითარების დემონისტრირების დასანახად.

თამაში და კვლევა

თამაშისა და კვლევის დროს ბავშვები მუდმივად ჩართულები არიან მსოფლიოს მათეული გაგების გამოაშკარავებასა და გაფართოვებაში, ახალი ცნებების შესწავლასა და უკვე ნაცნობი ცნებების ხელახლა გააზრებაში. სხვადასხვა სფეროს ახალი კვლევა ხელს უწყობს თამაშის მნიშვნელობის გააზრებას, როგორც შეფასების ინსტრუმენტისა ან ადრეული ასაკის ბავშვების სწავლის საშუალებისა (ვენერი 2009, გინსბური 2007, ისენბერგი და ქუისენბერი 2002). როდესაც ჩვილები თამაშობენ მათი ფეხის თითებით და რეაგირებენ ტიტინით და ჭყავილით ან ირწევიან აღმზრდელის მუხლზე, ისინი გვიჩვენებენ მათი საკუთარი სხეული საწყის აღქმას და იწყებენ

ურთიერთობის გამყარებას ნაცნობ უფროსებთან. კლასიკური თამაშებით, როგორიცაა „ჭიტაა“ (peeka-boo) და „პასკა-პასკა“ (patty-cake), რომლებშიც შესაძლებელია პატარების ჩართვა, დაეხმარებით, ისწავლონ ობიექტთა მუდმივობა და ნატიფი მოტორიკის კონტროლი. ჩვილები ერთმანეთზე აწყობენ და შლიან რამდენიმე კუბს, ცდებს ატარებენ ობიექტებით მანიპულირებისა და მათი ბალანსირების შესაძლებლობაზე. როდესაც თამაშობენ, ისინი ასევე სწავლობენ მიზიდულობის ძალის მუდმივობას. აქტივობების დაფაზე ისინი აწვებიან და ატრიალებენ ღილაკებს, რათა გამოსცენ ხმები და იგრძნონ კომპეტენტურობა, რომელიც მოდის წინასწარ განსაზღვრული შედეგის დადგომით. უმცროსი სკოლამდელი ასაკის ბავშვები ახდენენ ტიპიური ყოველდღიური ცხოვრების იმიტირებას, ახდენენ რა ყველაფრის ინტეგრაციას, თუ რა იციან მათი ოჯახებისა და საოჯახო დავალებების შესახებ. უფროსი სკოლამდელები იმდიდრებენ გამოცდილებას უფრო რთული თამაშებით, გეგმავენ კემპინგს როლების გადანაწილებით და მისთვის საჭირო სხვადასხვა მასალის გამოყენებით. თამაშს ადრეულ ასაკში მიაქვს უფრო მეტ დრო ღვიძლის პერიოდში და ხდება უფრო კომპლექსური ბავშვების გაზრდასა და განვითარებასთან ერთად.

ჯოდი: როდესაც აკვირდები ბავშვებს თამაშის დროს, აღმოაჩენთ მათი სწავლის სტილს, რა ინტერესები აქვთ და რას სწავლობენ. თქვენ დააკვირდებით, როგორ მანიპულირებენ ისინი საგნებით ოთახში, გაგების რომელ საფეხურზე არიან და რამდენად კომპლექსურია მათი თამაში.

თამაშის თემები, რომლებიც ბავშვების მიერ მუშავდება, ეხმარება მათ, შეინარჩუნონ თამაში უფრო მზარდი პერიოდის განმავლობაში, გამოიმუშაონ დავალების შესრულების შესაძლებლობა. როდესაც აკვირდებით ბავშვებს, როგორ თამაშობენ მათთვის საინტერესოდ, ხედავთ უფრო მეტს. თქვენ უნდა იცნობდეთ ბავშვებს სიღრმისეულად.

თამაში ასევე ასახავს ბავშვის კულტურულ და სოციალურ გაგებას და გაძლევთ საშუალებას, შეიქმნათ უფრო ნათელი სურათი მის აქტივობებსა და საქციელზე გავლენის შესახებ. მაგალითად, „სახლობანას“ თამაშის დროს ოჯახური ცხოვრების წარმოდგენა ასახავს ღირებულებებს, ტრადიციებსა და მემკვიდრეობას, სადაც ისინი გაიზარდნენ.

ყოველდღიურიური საქმიანობები

ვალერი: ბავშვებზე დაკვირვებისას ვაანალიზებ, რომელ სფეროს უნდა მივაქციოთ ყურადღება მისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, რათა საშუალება მივცეთ მას, იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი. ეს მოიცავს ჯგუფში ფიზიკურად გადაადგილების შესაძლებლობას, ტუალეტში სიარულს და ჩაცმის საბაზისო უნარებს, საკუთარი საჭიროებებისა და სურვილების გადმოცემას და თანატოლებთან თუ უფროსებთან ურთიერთობას.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სიტუაციურ რიტუალებზე - როგორ იბანენ ხელებს, ემზადებიან წასახემსებლად, ერთიანდებიან ჯგუფური დროისათვის, იცვამენ პალტოებს -დაკვირვება უფრო მეტ ინფორმაციას გაწვდით თითოეული ბავშვის შესახებ და გიღრმავებთ ცოდნას მათ შესახებ. მშობლებთან განშორების, კვების, ძლის ან საფენების გამოცვლის დროს ადრეული ასაკის ბავშვებსა და ჩვილებზე დაკვირვებამ შესაძლოა, საინტერესო ინფორმაცია მოგცეთ თქვენი შეფასების პროცესისთვის. როდესაც ბავშვები ჩართულნი არიან ყოველდღიურ რუტინაში, თქვენ ბევრს სწავლობთ მათი შესაძლებლობების, მზარდი დამოუკიდებლობის, საკუთარი თავის აღქმის და მათი პიროვნული თვისებების შესახებ. დაკვირვებისას აშკარავდება კულტურული სხვაობები და ოჯახის მიდგომა რუტინისადმი. ნუ გამოვრიცხავთ, რომ ოჯახურ გარემოში თქვენი პროგრამისგან განსხვავებულად იკვებებოდნენ. შესაძლოა, დასაძინებლად მომზადების რიტუალიც განსხვავებული იყოს

სხვადასხვა ოჯახში. მშობლებთან დაშორების საკითხისადმი მიდგომაც კი შეიძლება განსხვავებული იყოს.

მასწავლებლების მიერ შედგენილი აქტივობები

მასწავლებლების მიერ შედგენილ აქტივობებში მონაწილე ბავშვებზე დაკვირვება დაგეხმარებათ, ისწავლოთ უფრო მეტი მათ განვითარებაზე და გიხელმძღვანელებთ მათთვის სხვა აქტივობების დასაგეგმად. ბავშვებისთვის სპეციფიკური სასწავლო აქტივობების დაგეგმვა არის ადრეული ასაკის განათლების სპეციალისტობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ზოგჯერ თქვენ კონკრეტულ საშუალებებს ირჩევთ მათთვის. თქვენ შესაძლებელია მისცეთ ჩვილს კუბები რაიმეს ასაშენებლად ან შესაძლებელია სკოლამდელებს ბრინჯი და ლობიო დაურიგოთ სადილის „მოსამზადებლად“. თქვენ შესაძლოა იმუშაოთ ბავშვთა პატარა ჯგუფთან ისეთ დავალებაზე, რომელიც ფოკუსირებულია კოგნიტიური უნარებზე - მაგალითად, ფერების შესაბამისობის დადგენა ან მათი სახელების გამოცნობა. შესაძლოა, დაუკავშიროთ აქტივობები ბავშვების ინტერესებს - მაგალითად, თვლასთან დაკავშირებული თამაშისას გამოიყენოთ ჩიტი-სტიკერები, რაც უკავშირდება ბავშვების ინტერესს, რომელსაც იწვევს სათამაშო მოედანზე მოწყობილი ჩიტის სახლი. როდესაც აკვირდებით ბავშვებს თქვენს მიერ დაგეგმილ სიტუაციებში, შეგიძლიათ დააკვირდეთ განვითარების სპეციფიკურ მიღწევებს კოგნიტიურ, ფიზიკურ, სოციალურ და ემოციურ სფეროებში. თქვენ ასევე შეგიძლიათ დააკვირდეთ მათ, რათა განსაზღვროთ, უფრო ზოგადი კოგნიტური ეტაპების ან სოციალურ-ემოციური კომპეტენციების რომელ თვისებებს ავლენენ.

რობინ ჯ: ძალიან ხშირად ჩემი კოლეგა მასწავლებელი და მე ვგეგმავდით აქტივობებს იმ კონცეფციის საფუძველზე, რისი დანახვაც ჩვენ გვსურდა და ეს ძალიან გვეხმარებოდა. მაგალითად, თუ ჩვენ გვინდა შევისწავლოთ ბავშვის კოგნიტური უნარი, როგორიცაა „შესაბამისობის დადგენა (დაწყვილება)“, ჩვენ ვიწყებთ შესაბამისობის აღმოჩენის თამაშს. ვეპატიჟებით ბავშვებს პატარა ჯგუფებში ჩვენთან ერთად სათამაშოდ, რათა დავინახოთ, როგორ იქცევიან ისინი - როგორც ჯგუფში, ისე ინდივიდუალურად. ბავშვების წასვლის შემდეგ, ჩვენ ამას განვიხილავთ.

ბავშვის კოგნიტური ეტაპების შეფასება

ჟან პიჟე აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მოწინავე მეცნიერი, რომელიც იკვლევდა თუ როგორ სწავლობდნენ ბავშვები აზროვნებას. ბავშვებში მისი თეორია არის, რომ ადრეული ასაკის ბავშვები სწავლობენ მათთვის ფიზიკურ სამყაროსთან და სხვა ბავშვებთან ურთიერთობით ცოდნის აგებით. მან განსაზღვრა კოგნიტიური განვითარების მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებზეც ბავშვები მუშაობენ ადრეული ბავშვობის პერიოდში და ხაზი გაუსვა, რომ მათ სჭირდებათ დიდი დრო ვარჯიშისა და კოგნიტიური ცნებების ინტეგრაციისათვის. ადრეულ ბავშვობაში ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ პირველი ორი ეტაპის შესახებ. 2 წლამდე ბავშვები არიან *სენსომოტორული* განვითარების ეტაპზე. კვლევა და საგნებთან და სხვებთან პირდაპირი შეხება არის ძირითადი კოგნიტური ამოცანები. მათი სწავლების ფოკუსი არის ფიზიკური და ხორციელდება მათი შეგრძნებების საშუალებით. სკოლამდელი და დაწყებითი კლასების ასაკის ბავშვები არიან *წინაოპერაციული* განვითარების ეტაპზე. დრამატული თამაშები, მეტყველების გამოყენება და რაიმეს შექმნის უნარი არის ძირითადი კოგნიტური ამოცანები. სწავლების ფოკუსი სკოლამდელებისთვის არის პრობლემების გადაწყვეტა ცდისა და შეცდომების საშუალებით და მეტყველების განვითარება.

ქვემოთ მოცემულია თამაშის დროს ბავშვების აღწერილობები. პირველი ბავშვი არის ჩვილი, მეორე - სკოლამდელი ასაკის. გაეცანით ეპიზოდებს და გადაწყვიტეთ, პიაჟეს განვიტარების ეტაპებიდან რომლის დემონსტრირებას ახდენენ ბავშვები. რა არის მათი ძირითადი კოგნიტური ამოცანა, რაც ჩანს მათ საქციელსა და ურთიერთობაში?

ვოლი (2 წლის და 5 თვის)

„ვოლი მირბის კედელზე დამაგრებული დიდი, იატაკის სიგრძის სარკისებრი ორგმინასკენ. როდესაც მიაღწევს მას, გადაიხრება წინ ზემოთ აღმართული ორივე ხელით და ურტყამს სარკეს. უღიმის საკუთარ გამოსახულებას და ყვირის. კვლავ ღიმილით ბრუნდება უკან, ვარდება ბალიშების გროვაში და იცინის“ (კლეინი, ვირტი და ლინასი, 2003, 40)

დანიელი (4 წლის და 10 თვის)

დანიელი ირჩევს დრამატულ თამაშში ჩაბმას და ითამაშოს „ფოსტა“. ის იცვამს ფოსტალიონის უნიფორმას. ტრეხო უკვე გადაცმულია, როგორც ფოსტალიონი და თან აქვს საფოსტო ჩანთაც. დანიელი დგება დახლთან და იძლევა მარკებს. ის ეუბნება ორ ბავშვს, რომ იყვნენ დედა და მამა. ისინი იწყებენ მარკებით თამაშს დახლს უკან. „თქვენ უნდა იყოთ დედა და მამა. ჰეი, თქვენ უნდა იყოთ დედა და მამა. ჰეი, მასწავლებელო, მე ვცდილობ, ვუთხრა მათ, რომ იყვნენ დედა და მამა“. ის ცდილობს ტრეხოს გამოგდებას დახლის მიღმა. დანიელი ხმას უწევს: „ჰეი, შენ არ უნდა იყო ფოსტის თანამშრომელი. მე ვარ თანამშრომელი“. მასწავლებელი ერთვება პროცესში, როდესაც ორივე ბავშვი იწყებს ერთმანეთის გამოგდებას. ის ეკითხება დანიელს, „რა ხდება?“, „ის არ არის ფოსტის თანამშრომელი და არ უნდა იყოს აქ“. მასწავლებელი ეკითხება, „რას აკეთებს ის?“, „ის ცდილობს აქ შემოსვლას. მას უნდა იყოს ფოსტის თანამშრომელი“. მასწავლებელი ამბობს, „შენ თუ ჰკითხე მას, რა უნდა, რომ იყოს?“, დანიელი ცვლის ტონს და არბილებს მას, აღარ ყვირის. „ჰეი, შენ გინდა, რომ იყო ფოსტის თანამშრომელი?“, ტრეხო პასუხობს, „არა“, დანიელი ამბობს, „მაშინ შენ აიღე წერილები. მე ვარ თანამშრომელი“. ტრეხო იხსნის საფოსტო ჩანთას და ამბობს, რომ მას არ უნდა ამის გაკეთება. დანიელი იღებს ჩანთას, „კარგი, მე ავიღებ წერილებს. შენ იყავი თანამშრომელი“. ისინი ცვლიან პოზიციებს.

ვოლი თავისი განვითარების სენსომოტორულ ეტაპზე ნათლად იკვლევს სამყაროს ფიზიკური შეცნობით. ის თამაშობს მის გარემოსთან, იყურება სარკეში და ექსპერიმენტირებს საკუთარი სხეულით. დანიელი გადავიდა რეპრეზენტაციულ თამაშზე, ისეთ იმპროვიზაციასა და მოქმედებაზე, როგორც მას აქვს აღქმული ფოსტის თანამშრომლებისა და ფოსტის მუშაობა. შესაბამისად ის არის პრეოპერაციულ ეტაპზე.

ბავშვებზე დაკვირვება და მათი კოგნიტიური ეტაპების განსაზღვრა დაგეხმარებათ იმაში, რომ მოეპყროთ მათ მათი განვითარების დონის შესაბამისად, შეარჩიოთ ისეთი ატივობები, რომლებიც კარგად მუშაობს ამ ეტაპისთვის მნიშვნელოვან კოგნიტიურ ამოცანებზე. ჩვილები

- სენსომოტორულ ეტაპზე - არ არიან დაინტრესებულნი, რომ მათი ნახაზები და ნახატები გავდეს რაიმეს. ნაცვლად ამისა, ისინი დაინტერესებულნი არიან მხოლოდ მარკერის ან ცარცის მოძრაობით ფურცელზე ან რაიმეს ზედაპირზე და ხატვის შეგრძნებით. ისინი აქცევენ ყურადღებას პროცესს და სენსორულ ინფორმაციას. სკოლამდელი ასაკის ბავშვები - პრეოპერაციულ ეტაპზე - შესაძლებელია იყვნენ მზად, ეცადონ, დახატონ ან დახაზონ რეალური ობიექტები და სავარაუდოდ, კმაყოფილი დარჩებიან ამ პროცესით. ბავშვების კოგნიტიური განვითარების დონის შეფასება დაგეხმარებათ, უკეთ შეუსაბამოთ აქტივობები მოლოდინებს, ისე, რომ ბავშვებმა მიაღწიონ წარმატებას.

კოგნიტური განვითარების ეტაპების შეფასება ასევე დაგეხმარებათ, რომ განსაზღვროთ თუ რამდენად შეგიძლიათ „უბიძგოთ“ ბავშვები, განივითარონ საკუთარი უნარები. ლევ ვიგოტსკი წერდა, რომ განვითარების ყველა სფეროში ბავშვების სწავლება ხორციელდება *განვითარების უახლოეს ზონაში* (ასევე ცნობილი, როგორც ZPD) - ზონა, რომელშიც მათ არ გააჩნიათ საკმარისი უნარები, რომ იყვნენ წარმატებულნი დამოუკიდებლად, მაგრამ მხარდაჭერისა და დახმარების შემთხვევაში მათ შეუძლიათ კარგად განახორიცელონ მოქმედება. დაკვირვება თითოეული ბავშვის ZPD აღმოსაჩენად დაგეხმარებათ, რომ მზად იყოთ, ხელი შეუწყოთ ბავშვის ზრდას. ნაკლებად სავარაუდოა, რომ თქვენ მოახერხოთ ბავშვის გადატვირთვა იმ აქტივობებით, რომლებიც ძალიან რთულია. ნაცვლად ამისა, თქვენ უზრუნველყოფთ თითოეულ ბავშვს შესაბამისი გამოწვევით. ZPD კვლავ განხილულია მე-7 თავში.

ბავშვების სოციალურ-ემოციური კომპეტენციების შეფასება

ადრეული ასაკის ბავშვების ცხოვრების უმეტესი ნაწილი არის მათი სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება. ერიკ ერიკსონი (1963) განსაზღვრავს ამ პროცესში თანმიმდევრულ საფეხურებს:

- **ნდობა** პირველი მნიშვნელოვანი ამოცანა ჩვილობის ასაკში არის ნდობის და სხვა ადამიანებთან კავშირის დამყარება.
- **ავტონომია** როდესაც ნდობა მიღწეულია, შემდეგ წლინახევრის-სამი წლის ბავშვებს შეუძლიათ გამოყოფა და მათ მშობლებთან და ძირითად აღმზრდელებთან ჩამოყალიბებული კავშირისა და სიყვარულისაგან ცალკე, ავტონომიურად ყოფნა.
- **ინიციატივა** სკოლამდელი ასაკის ბავშვები სწავლობენ მათი საკუთარი იდეების გამოყენებას მათ გარშემო სამყაროზე ფიქრისა და აღქმისთვის. ინიციატივა მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის ბავშვების ჯანმრთელი პიროვნული განვითარებისთვის. როდესაც მათ ცხოვრებაში არსებული ზრდასრულები წაახალისებენ და ხელს შეუწყობენ მათ, ბავშვები მუშაობენ კომპეტენციების განვითარებაზე და სამყაროს შესწავლაზე.

ბავშვების საქციელზე ყოველდღიური რუტინის დროს დაკვირვება, ასევე თამაშის ეპიზოდებისას, დაგეხმარებათ მათი სოციალურ-ემოციური კომპეტენციის ეტაპის

განსაზღვრაში. ბავშვების ნდობის, ავტონომიისა და ინიციატივის შეგრძნებებზე დაკვირვება უფრო ნათლად დაგანახებთ სამყაროსადმი მათ მიდგომებს.

თქვენ გარემოში მყოფი ის ბავშვები, რომლებიც არ არიან მიმნდობები, სავარაუდოდ, არ ეცდებიან სიახლეების შესწავლას და რისკებზე წასვლას. თქვენ შესაძლოა გაგიჭირდეთ მათი კოგნიტური შესაძლებლობების შესწავლა, რადგან ისინი ყოყმანობენ, ითამაშონ დასახარისხებელი საშუალებებით ან წაიკითხონ წიგნი თქვენთან ერთად. პირველი ნაბიჯი არის ამ ბავშვებთან ურთიერთობის აწყობა, რათა მათ მოახერხონ მსუბუქად, უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი თქვენს პროგრამაში და დაიწყონ გამოვლენა, თუ რისი გაკეთება შეუძლიათ. სპექტრის მეორე მხარეს, ძალიან ინიციატივიანი ბავშვები, შესაძლებელია ასევე რთულად მისადგომები იყვნენ სხვა მიზეზის გამო. ისინი შესაძლოა იყვნენ ჩხუბისთავები, ძალიან ენერგიულები და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები. მათ მიერ საკუთარი სამყაროს მბრძანებლობის შეგრძნება საკმაოდ ძლიერია და ამ ფაქტის აღიარება დაგეხმარებათ, დაინახოთ ისინი სხვა კუთხიდან და განსაზღვროთ გზები, თუ როგორ მიმართოთ მათი ენერგია.

გაეცანით შემდეგ ეპიზოდებს და განსაზღვრეთ გზები, რომელთა მეშვეობითაც ბავშვები მუშაობენ ნდობის, ავტონომიის ან ინიციატივის განვითარებაზე. რის დაუფლებას ცდილობენ ისინი?

ქელები (24 თვის)

ქელების მშობლები ქალაქგარეთ გავიდნენ, შესაბამისად ის სკოლაში ბებიამ და ბაბუამ მოიყვანეს. როდესაც ისინი მიდიოდნენ, ქელები ეჭირა მასწავლებელს. ის მასწავლებელს ჩაეხუტა. ბებიამ და ბაბუამ უთხრეს, „კარგ დღეს გისურვებთ“. ქელებმა დასამშვიდობებლად საჰაერო კოცნა გაუგზავნა მათ. ცოტა ხანი იტირა და გააგრძელა მასწავლებლის ჩახუტება.

პოლი (5 წლის და 2 თვის)

დღეს, გარეთ ყოფნის დროს, პოლი თამაშობდა სილაში მეგობართან ერთად. „ხედავ, რას ვაკეთებთ, დები?“- მეკითხება პოლი. ის აგრძელებს თხრას და ამბობს, „ჩვენ ვასწორებთ ორმოებს პრერიის ძაღლებისთვის. გინდა აავსო ის?“, პოლი ეკითხება მის მეგობარს. მეგობარი პასუხობს, „რა თქმა უნდა“. პოლი აგრძელებს მეგობართან საუბარს. „ესენი ძალიან მარტივი ორმოებია. ჩვენ ვთხრით ძალიან ღრმა ორმოებს“. ის ხელს ურტყამს ქვიშიან სათლს და ამბობს, „ესეც ასე“. როდესაც პოლი კიდევ ცოტას ამოთხრის, ის გულწრფელი ღიმილითა და ფართოდ გახელილი თვალებით ამბობს, „ჰეი, მე ვხედავ სილის სათამაშო მოედნის ძირს“.

ქელები ივითარებს ნდობასა და ავტონომიას. მას, მართალია ცრემლების თანხლებით, მაგრამ მაინც შეუძლია დაშორდეს თავის საყვარელ ადამიანებს და ასევე შეუძლია, დამშვიდდეს თავისი აღმზრდელების დახმარებით. პოლი ავლენს ინიციატივას და აზრის

წვდომის უნარს. ის მიჰყვება გასწორების, ავსებისა და ამოთხრის მისეულ გეგმას. ძირამდე ამოთხრის ფაქტით მისი აღტაცება აშკარაა.

ზოგჯერ დაკვირვება თამაშის სხვადასხვა ტიპზე, რომლებშიც ბავშვები არიან ჩართულები, როგორც პირველად განისაზღვრა მილდრედ პარტენის მიერ 1932 წელს, დაგეხმარებათ ისწავლოთ უფრო მეტი მათი სოციალური გამოცდილების შესახებ. თქვენ შესაძლოა დააფიქსიროთ, როგორ ერთვებიან ბავშვები თამაშის ქვემოთ ჩამოთვლილ რომელიმე ტიპში:

- **განცალკევებით თამაში:** ბავშვები თამაშობენ თავისთვის, სხვებისგან დამოუკიდებლად.
- **დაკვირვებით თამაში (დამკვირვებელი მოთამაშე):** ბავშვები უყურებენ სხვებს, როგორ თამაშობენ, ავლენენ ინტერესს, მაგრამ არ ერთვებიან თამაშში.
- **პარალელური თამაში:** ბავშვები სხვა ბავშვების პარალელურად თამაშობენ, ურთიერთქმედების გარეშე. ეს ფიქსირდება მოზრდილ ჩვილებში და ასევე სკოლამდელებში.
- **ასოციაციური თამაში:** სკოლამდელ პერიოდში ბავშვების თამაში,, ჩვეულებრივ, სხვა ბავშვებთან უფრო მეტად დაკავშირებულია. მათ სურთ ურთიერთობა და სათამაშო სიტუაციების შექმნა სხვებთან ერთად. თქვენ, შესაძლოა, დაინახოთ როგორ თამაშობენ ბავშვები სხვებთან, მაგრამ თამაში შემთხვევითია, არ არსებობს ორგანიზებული გეგმა მოთამაშეებს შორის.
- **კოოპერატიული თამაში:** ამ ეტაპზე ორ ან მეტ ბავშვს აქვს სათამაშო თემა, რომელსაც ისინი ავითარებენ. ერთად ყოფნის შეგრძნება ძალიან ძლიერია. ბავშვები თამაშში ასრულებენ სპეციფიკურ როლს. თამაშის ეს ტიპი არის შემდეგი ეტაპის, წესებიანი ორგანიზებული თამაშის წინამორბედი, რომელიც შუა ბავშვობის დროს ყალიბდება.

თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ ბავშვების თამაშს, რათა განსაზღვროთ, ამ ტიპებიდან რომელის აკვირდებით. ზოგჯერ ჩვილი შეიძლება უყურებდეს სხვა ჩვილების თამაშს, სანამ შეუერთდება მათ, შესაბამისად, ავლენს თამაშის დაკვირვების სურვილს. სკოლამდელებმა შესაძლოა ააშენონ კუბები ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის ნაგებობების იმიტირებით და ვერბალური კომუნიკაციით („შეხედე ჩემსას!“), მაგრამ არ შეუერთდნენ ერთმანეთს თამაშის სცენარში ან თემაში. მათი თამაში შესაძლოა დანახულ იყოს, როგორც პარალელური ან ასოციაციური თამაში. გაეცანით შემდეგ ეპიზოდს და გადაწყვიტეთ, რა ტიპის თამაშში არიან ეს ბავშვები ჩართულნი.

სოფი (4 წლის და 2 თვის), **ნიკოლასი** (4 წლის და 7 თვის), **ისი** (4 წლის), **ნინა** (4 წლის და 10 თვის)

„წადი, მოიტანე მაფინები და ჩვენ ჩავხტებით მანქანაში“ - უბრძანებს სოფი ნიკოლასს. ის და ისი ხელიხელ ჩაკიდებულები მირბიან სასრიალოსკენ. სასრიალოს ქვემოთ მათი მანქანა ელოდებათ... და გეგმა გაქცევის.

ნიკოლასი ბრუნდება უკან, ხელები წინ აქვს გამოშვერილი. „აი, მაფინები“ - ამბობს და უწვდის სოფისა და ისის წარმოსახვით თბილ, კარაქიან ჰაერს. „მე ვატარებ“, ამბობს ის და ჯდება მძღოლის სკამზე.

სოფი და ისი გადაიწევიან უკან, რომ ადგილი გაუთავისუფლონ მეგობარს. ნიკოლასი ზის წინ გამოწეული ხელებით და უჭირავს უხილავი საჭე. გოგონები ფეხებს შემოაჭდობენ მის წინ მჯდომს, ხელებს ადებენ იმავე ბავშვს მხრებზე - სამ-ბავშვიანი ჯაჭვი.

„შეიძლება თქვენთან ერთად წამოვიდე?“ ყვირის ნინა, სანამ მანქანა დაიძვრება. „რა თქმა უნდა“, პასუხობს სოფი, „ჩახტი უკან“. ნინა უერთდება ჯაჭვს და ძრავის ხმით ისინი გადაადგილდებიან. (კლეინი, ვირტი და ლინასი, 2003, 38).

სოფი, ნიკოლასი, ისი და ნინა ჩართულები არიან კორპორატიულ თამაშში, იყენებენ მათ წარმოსახვას, რათა სპონტანურად განავითარონ თამაშის სცენარი.

დაკვირვებითი შეფასების დაკავშირება ადრეული სწავლის გზამკვლევებთან

როდესაც აკვირდებით ბავშვებს, თქვენ შეგიძლიათ შეაფასოთ კოგნიტური და სოციალურ-ემოციური უნარების უფრო ფართო სპექტრი, როგორც ჩვენ ახლახან აღვწერეთ. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ ბავშვების მოქმედებები თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევებს. როგორც მე-2 თავში იყო აღნიშნული, ორმოცდაათივე შტატმა შეიმუშავა გზამკვლევები სკოლამდელებისთვის და ბევრ შტატს აქვს ისინი ასევე ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის. ეს დოკუმენტები შესაძლებელია გამოყენებულ იყოს, როგორც საფუძველი დაკვირვებითი შეფასებისათვის: ისინი უზრუნველყოფენ კრიტერიუმს, რომლის საშუალებითაც თქვენ განიხილავთ, თუ რას აკეთებენ ბავშვები ყოველდღიურად. გზამკვლევების ზოგი ნაკრები შესაძლოა მოიცავდეს ბევრ იდენტიფიცირებულ საკითხს, შესაბამისად, შესაძლოა, ძალიან მოცულობითად მოგეჩვენოთ *ყოველი* განსაზღვრული გზამკვლევის შეფასების მცდელობა. ამ შემთხვევაში, რეკომენდებულია ყველა სფეროში შეირჩეს გზამკვლევების ჩამონათვალის (ან ინდიკატორების) უფრო მცირე ზომის ნაკრები. მაგალითად, ნიუ მექსიკოს შტატის Pre-K პროგრამებში შტატი მასწავლებლებისაგან ითხოვს, რომ სულ არსებული სამოცდახუთი ინდიკატორიდან შეაფასონ ოცდასამი *არსებითი* ინდიკატორი.

არსებობს ორი გზა, როგორ დავგეგმოთ დაკვირვება და შევაგროვოთ მონაცემები გზამკვლევებთან შესაბამისობაში: შესაძლებელია დაკვირვება ფოკუსირდეს განვითარების მრავალ სფეროზე ერთდროულად. ასევე შესაძლებელია ფოკუსირება მოხდეს განვითარების სპეციფიკურ უნარებზე.

ანტონი: მე ყოველთვის ხელთ მაქვს მცირე ზომის ბლოკნოტი და პლანშეტი, რომელთა გადატანა იოლად შემიძლია ჯგუფში გადაადგილებისას და გარეთ სათამაშო მოედანზე ყოფნისას. ჩანაწერებს ვაკეთებ სწრაფად, ისე, რომ მოგვიანებით, როდესაც არ ვარ ბავშვებთან ერთად, შემიძლია შევავსო ისინი უფრო მეტი დეტალებით და შევძლო მათი კატეგორიზაცია სწავლის სფეროების მიხედვით.

ფოკუსირება განვითარების სხვადასხვა სფეროზე

გაიხსენეთ პირველ და მეორე თავებში წახემსების ყოველდღიური რუტინის დროს ეინჯელზე დაკვირვება. გაიხსენეთ, რომ გამოვლინდა განვითარების თითქმის ყველა ძირითადი სფერო როდესაც ის დაკავებული იყო წახემსების რუტინით. ბავშვები ხშირად ავლენენ შტატის ფარგლებში შემუშავებულ გზამკვლევებთან დაკავშირებულ საკუთარ შესაძლებლობებს, როდესაც მონაწილეობენ ყოველდღიურ რუტინაში, თამაშსა და კვლევებში. როდესაც წინასწარ განიზრახავთ და დაგეგმავთ დაკვირვებას დღის ამ დროებზე, თქვენ შეძლებთ შეფასებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვებას. გარდა ამისა, თქვენ შეგიძლიათ შეადგინოთ სპეციალური აქტივობები და უზრუნველყოთ ისინი მასალებით, რათა სხვა გზებითაც განახორციელოთ დაკვირვება გზამკვლევებზე.

ადრეული განათლების გზამკვლევების მიმოხილვაში ჩვენ დავაფიქსირეთ, რომ შტატების უმეტესობაში ეს სახელმწიფო დოკუმენტები იზიარებენ განვითარების ან მიმართულებების მსგავს სფეროებს. მაგალითად, სკოლამდელი გზამკვლევები, შტატიდან შტატამდე, ჩვეულებრივ, ეხება შემოქმედებით ხელოვნებას, მათემატიკას, მეცნიერებას, ენასა და ლიტერატურას, ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობას, სოციალურ-ემოციურ უნარებს, სოციალურ მეცნიერებებს და სწავლისადმი მიდგომას. ხოლო ჩვილების/1,5-3 წლის ასაკის ბავშვების გზამკვლევები უფრო ფოკუსირებულია ისეთ მიმართულებებზე, როგორიცაა საკუთარი თავისა და სხვისი აღქმა, კომუნიკაცია, ცნებების აგება, მოძრაობა და კეთება და სწავლისადმი მიდგომა. ადრეული განათლების სპეციალისტები აღიარებენ, რომ ყოველ ამ სფეროში ბავშვები ახდენენ მათი შესაძლებლობების დემონსტრირებას სხვადასხვა გზით.

ქვემოთ წარმოდგენილია ჩვილის შესახებ კვების დროს დაკვირვების ჩანაწერის მაგალითი. გაეცანით ჩანაწერს და განსაზღვრეთ, რისი გაკეთება შეუძლია ბავშვს. შემდეგ გადახედეთ განვითარების სფეროებს, რომლებიც ამოღებულია ნიუ მექსიკოს ადრეული განათლების გზამკვლევების იმ ნაწილიდან, რომლიც განკუთვნილია ჩვილებისა და 1,5-3 წლის ბავშვებისათვის დაბადებიდან საბავშვო ბაღამდე (ხელმისაწვდომია www.newmexicokids.org) და რომელთა დაკავშირებაც შესაძლებელია დაკვირვებებთან.

ელიშა (7 თვის)

ლანჩის დროს ელიშა ზის სკამზე, აჭმევენ ვაშლის ხილფაფას და ამ დროს იყურება გვერდით. მე ვეძახი სახელს და ის ტრიალდება, ტიტინებს და იღიმება. ის იღებს კოვზს და იჭერს მაგრად მუშტით. შემდეგ აგრძელებს ტიტინს და მიყურებს მე. ვიღებ მის ხელს და ვეხმარები, კოვზი მიიტანოს პირთან და შეჭამოს.

ჩვენ განვსაზღვრეთ შემდეგი ინდიკატორები, რომელთა შესწავლაც შესაძლებელია ამ დაკვირვებიდან:

- **საკუთარი თავისა და სხვისი შემეცნების დასაწყისი** გამოხატავს გრძნობებს, მონაწილეობს ურთიერთობებში
- **კომუნიკაციის დასაწყისი.** პასუხობს ვერბალურ კომუნიკაციას, ღუღუნს, ტიტინს, იყენებს ხმებს სოციალურ სიტუაციებში
- **მოძრაობისა და მოქმედების დასაწყისი.** იყენებს ხელებს ან ფეხებს, რათა ეკონტაქტოს საგნებს ან ხალხს.

შემდეგი ჩანაწერი გაკეთდა დრამატული თამაშის დროს სკოლამდელი ასაკის ბავშვზე დაკვირვების დროს. გაეცანით ჩანაწერს და განსაზღვრეთ, თუ რას ხედავთ - რის გაკეთება შეუძლია ბავშვს. შემდეგ გადახედეთ განვითარების სფეროებს, რომლებიც შესაძლებელია დაუკავშიროთ ამ დაკვირვებას, რომელიც ამოღებულია მონტანას ადრეული განათლების გზამკვლევებიდან (ხელმისაწვდომია www.dphhs.mt.gov/hcsd/childcare/EarlyLearningGuidlines/shtml)

გაბრიელა (3 წლის და 8 თვის)

გაბრიელა არის სალარო აპარატთან და გარშემო მაღაზიაა მოწყობილი. მეორე ბავშვი მოდის და იღებს მეხანძრის ქუდს. გაბრიელა ამბობს, „მეხანძრის ქუდი არის 89, 88, 88, 88 და სულ ესაა“. სანამ ამას ამბობს, იწერს თავის ტაბლეტზე. ის აძლევს მეორე ბავშვს ფულს სალარო აპარატიდან და ამბობს „აქ წერია, რომ ეს იქნება ორი ფული“. შემდეგ ისევ წერს და ამბობს, „მე დავწერ „გაბრიელა“ ზუსტად აქ“.

ჩვენ განვსაზღვრეთ შემდეგი ინდიკატორები, რომლებიც შესაძლებელია ამ დაკვირვებიდან შეგვესწავლა გაბრიელას შესახებ.

- **მათემატიკა და რაოდენობრივი წიგნიერება.** *რაოდენობრივი მიმართებები:* სწავლობს ციფრებთან ურთიერთობას ყოველდღიური გამოცდილებით
- **მეტყველება და წიგნიერება.** *ბეჭდური ტექსტის აღქმა:* აღიქვამს, რომ ბეჭდური ტექსტი შეიცავს ინფორმაციას სიმბოლოებისა და სიტყვების მეშვეობით; ექსპრესიული მეტყველება: იყენებს სიტყვებს, რათა გაიაზროს მათი საჭიროება, სვამს კითხვებს, გამოხატავს გრძნობებს და წყვეტს პრობლემებს
- **სოციალურ-ემოციური კომპეტენცია.** *საკუთარი თავის აღქმა*: კომპეტენტური და თავდაჯერებულია
- **სოციალური მეცნიერებები.** *საზოგადოების აღქმა:* იწყებს საზოგადოების ფუნქციონირების საბაზისო პრინციპების, მათ შორის - სამუშაო როლებისა და შესყიდვისათვის ფულის მნიშვნელობის აღქმას.

კონკრეტულ განვითარებად უნარებზე ფოკუსირება

როდესაც თქვენი მიზანი არის ინფორმაციის შეგროვება თითოეულ ბავშვზე გზამკვლევის ყველა სფეროსა და მიმართულების მიხედვით, თქვენ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ ზოგადი დაკვირვებების მეშვეობით, მაგალითად, იმ სახით, რომლებსაც ზემოთ გაეცანით. ან

შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერი კონკრეტულ მიმართულებაზე ან უნარების გარკვეულ ერთობლიობაზე კონცენტრირებით. თქვენ შესაძლოა გინდოდეთ, დააფიქსიროთ, როგორ იყენებენ ბავშვები მეტყველებას, სხვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად ან როგორ ავლენენ განვითარების პროცესში მყოფ უნარებს უხეში მოტორიკის კოორდინაციის მიმართულებით. თქვენ და თქვენი კოლეგები არჩევთ ფოკუსს და გეგმავთ თქვენს დაკვირვებებს და, რა თქმა უნდა, დოკუმენტირებას. ქვემოთ წარმოდგენილია ფოკუსირებული დაკვირვებების ორი მაგალითი. ხესუსის შემთხვევაში, მასწავლებლები უფრო ახლოდან აკვირდებოდნენ მის განვითარებად სოციალურ უნარებს. ჟენევიევას შემთხვევაში, ფოკუსი უფრო მისი პრობლემის გადაჭრის უნარებზეა.

ხესუსი (2 წლისა და 2 თვის)

თავისუფალი თამაშის დროს ხესუსი ეინჯელს უბიძგებს სათამაშო მანქანაში. ხესუსი უბიძგებს მანქანას და ის ეჯახება მეორე ბავშვს, რომელიც ვარდება მიწაზე და იწყებს ტირილს. ხესუსი მირბის ბავშვთან, ეხუტება მას მიწაზე დავარდნილს, შემდეგ რაღაცას ელუღლუღება და ეხმარება ადგომაში. მეორე ბავშვი წყვეტს ტირილს და ისინი აგრძელებენ თამაშს.

რა გავიგეთ ხესუსის განვითარებადი სოციალური უნარების შესახებ?

- **სოციალური განვითარება** თამაშობს სხვა ბავშვთან ერთად და ავლენს ემპათიას.

ჟენევიევა (3 წლის და 4 თვის)

ჟენევიევა თამაშობს კენჭებით, რომლებიც არის წყლით სათამაშო მშრალ მაგიდაზე. ის ავსებს სათლს და შემდეგ ცლის მას რამდენჯერმე. შემდეგ ავსებს უფრო მცირე ზომის კონტეინერებს, ცდილობს, ჩაყაროს რაც შეიძლება მეტი კენჭი კონტეინერში. შემდეგ ცდილობს, გადაყაროს კენჭები სუფრის კოვზიდან ჩაის კოვზზე და კვლავ უკან. ის დროგამოშვებით აწყობს კენჭებს ქვემოთ, როცა ცდილობს, უფრო მეტი კენჭის პატარა კონტეინერში ჩაყრას.

რა გავიგეთ ჟენევიევას პრობლემის გადაწყვეტის უნარებზე?

- **სწავლისადმი მიდგომა:** აღიარებს და წყვეტს პრობლემებს დაკვირვების, აქტიური კვლევის, ცდისა და შეცდომების გზით და თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობისა და განხილვების მეშვეობით.

როდესაც შეაგროვებთ დოკუმენტაციას მიმართულებებისა და სპეციფიკური უნარების შესახებ, თქვენ დაგჭირდებათ თითოეულ ბავშვზე შეგროვებული ინფორმაციის აღრიცხვა. ეს თქვენ მოგცემთ დოკუმენტირებული ჩანაწერების წყებას, რომელიც უზრუნველყოფს სრულ, კარგად ფორმირებულ სურათს თითოეული ბავშვის განვითარების შესახებ - თქვენ არ უნდა გამოტოვოთ რაიმე დარგი ან უნარები. ზოგიერთი მასწავლებელი თვლის, რომ შეგროვილი დოკუმენტაციის აღრიცხვა საქმის კურსში ამყოფებს მას დაკვირვების ყველა მიმართულების შესახებ. შეგროვებული დოკუმენტაციის ჩანაწერები შესაძლებელია გამოყენებული იყოს შენიშვნებისთვის, როდესაც თქვენ ახორციელებთ დაკვირვების დოკუმენტირებას ცალკეული ბავშვზე. ერთი შეხედვით, თქვენ შეგიძლიათ დაინახოთ, რა ინფორმაცია გამოგრჩათ რომელ ბავშვზე და რა სფეროში. იხ. დანართი B ან დისკი, რომ გადმოაკოპიროთ და გამოიყენოთ შესაბამისი ფორმა.

შეგროვებული დოკუმენტაციის ჩანაწერები

ბავშვის სახელი	სფერო	სფერო	სფერო	სფერო	სფერო
	თარიღი	თარიღი	თარიღი	თარიღი	თარიღი

გაფრთხილება

ზოგჯერ ის, რაც იწერება ბავშვის შესახებ, აჩვენებს, თუ რას აქცევდნენ ყველაზე მეტ ყურადღებას მასწავლებლები ან ყველაზე მეტად რითი იყვნენ დაინტერესებულნი ამ ბავშვთან დაკავშირებით. თუ მასწავლებლები არ ფიქრობენ, აღრიცხონ, განვითარების რომელ სფეროებს აკვირდებოდნენ, შესაძლებელია, რომ ზოგი სფერო დარჩეს გაუკონტროლებელი და სხვებს მიექცეს გადამეტებული ყურადღება. ბავშვების საქციელს ზოგჯერ შეუძლია გავლენა მოახდინოს იმაზე, თუ რა იწერება - განსაკუთრებით, როდესაც წარმოიშვება სირთულეები. გაიხსენეთ ჩვენი მსჯელობა მე-3 თავში თქვენი მიკერძოებულობის გათვალისწინების შესახებ და ასევე აღქმის, თუ რომელი ლინზით აკვირდებით ბავშვების საქციელს. დაკვირვების პროცესის ამ პოტენციურად გაყალბებული ასპექტების შეგნება ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც აკვირდებით შეფასების მიზნით.

შემდეგი დაკვირვება წარმოდგენილი იყო, როგორც ბავშვის მათემატიკური უნარებზე ფოკუსირებული დაკვირვება. მოიცავს თუ არა ეს დაკვირვება რაიმე ინფორმაციას ბავშვის მათემატიკური უნარების შესახებ, თავად განსაჯეთ.

ჯეი (4 წლის და 10 თვის)

ჯეი არ ჯდება თავის სკამზე მათემატიკურ მაგიდასთან. ის ხტება სკამიდან ან წვება მაგიდაზე. იგი არ მონაწილეობს დათვლის აქტივობებში. ჯეი გროვად ალაგებს დასათვლელ საშუალებებს, შემდეგ შლის და იცინის.

ეს ეპიზოდი არ შეიცავს რაიმე ინფორმაციას ჯეის მათემატიკური უნარების შესახებ, ხომ ასეა? ნაცვლად ამისა, ის აღწერს ჯეის ქცევას მათემატიკური აქტივობების განმავლობაში. რა თქმა უნდა, მისი ქცევა ყურადსაღებია და ჩარევაა საჭირო, რათა დაეხმარონ მას, დაკავდეს დავალებით და მონაწილეობა მიიღოს დათვლით აქტივობაში. თუმცა, სპეციალური ყურადღება უნდა მიექცეს ჯეის დათვლის შესაძლებლობასაც (ან სხვა მათემატიკურ უნარებს) სხვადასხვა აქტივობის დროს, რათა მისი განვითარების ეს მნიშვნელოვანი სფერო არ დარჩეს დაკვირვების ჩანაწერის გარეშე. შესაძლებელია, ჯეიმ ძალიან კარგად იცის, ვინ არის რიგში პირველი და მეორე ყოველდღე ან შესაძლებელია ის ეხმარება დათვლაში, რამდენი ბავშვი არის ადგილზე ან არ არის ყოველ დილით. ჯეისთვის დახმარების თხოვნა მაგიდის გაშლაში და დაკვირვება, თუ როგორ შეუსაბამებს ერთ ჭიქას, ერთ ხელსახოცს და ერთ თეფშს თითოეულ სკამს, მოგცემს მტკიცებულებას ერთი-ერთთან შესაბამისობის მზარდი ცოდნის შესახებ.

სასწავლო მიმართულოების გამოტოვების თავიდან ასაცილებლად, დროდადრო გადახედეთ დაკვირვების ჩანაწერებს, რომლებიც გაკეთებული გაქვთ თითოეულ ბავშვზე - თქვენ უნდა გქონდეთ ჩანაწერები განვითარების ყველა სფეროზე. სკოლამდელებისთვის ეს ჩანაწერები უნდა მოიცავდეს დაკვირვებებს მათ ქცევაზე, მათემატიკასა და პრობლემების გადაწყვეტის უნარებზე, მეტყველებაზე, სოციალიზაციაზე, ადრეულ წიგნიერებაზე, შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე და ნატიფ და უხეშ მოტორიკაზე. ჩვილებისა და უფრო პატარა ბავშვების შემთხვევაში (1,5-3წ) განხორციელებული დაკვირვებები ორიენტირებული იქნება შემდეგზე: განშორება ოჯახის წევრებთან, აღმზრდელზე მინდობა, თვითდამშვიდების, საკუთარ ფიზიკურ და ემოციურ საჭიროებებზე რეაგირების მოთხოვნის, საკუთარი გარემოს გამოკვლევის უნარებზე.

ბავშვების ქცევაზე დაკვირვება და დოკუმენტირება მათი სოციალური და ემოციური განვითარების შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილია. ის შეიძლება რთული დასაწერი იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანია. ღრმად ჩასუნთქვა და ლოდინი, ვიდრე არ დამშვიდდებით და ჩაიწერთ, შემდგომ კი გექნებათ შესაძლებლობა გასააზრებლად - რა მოხდა -, დაგეხმარებათ, დარჩეთ ობიექტური, ბავშვის ქცევისა და თქმულის და თქვენი კოლეგებისა და თქვენ მიერ განხორციელებული ჩარევების აღწერისას. მე-7 თავში ჩვენ უფრო ვუღრმავდებით დაკვირვების გამოყენების გზებს, რათა გავიგოთ, რა შეიძლება იდგეს ბავშვის ქცევებს მიღმა, ისე, რომ თქვენ მოახერხოთ ეფექტურად რეაგირება.

დაკვირვებების დაკავშირება განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალთან ან რესურსებთან

განვითარების სხვადასხვა მიმართულების მიხედვით, ბავშვის შესაძლებლობების ასაკობრივი დონის დასადგენად შესაძლებელია, მივმართოთ განვითარების ინდიკატორების ჩამონათვალს/ განვითარების ამსახველი შედეგების ჩამონათვალს ან რესურსებს, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა ასაკის ბავშვების მიმართ გონივრულ მოლოდინებს. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს რესურსების ნიმუშებს, რომელთაგან ბევრი თანაფარდობაშია მოყვანილი შტატის სკოლამდელთა ან/და 3 წლამდე ასაკის ბავშვთა გზამკვლევებთან. თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ მათ გამომცემლებთან, რათა განსაზღვროთ, ეს თქვენი შტატის გზამკვლევებთან დაკავშირებითაც განხორციელდა თუ არა.

მხოლოდ ჩვილები და ახლადფეხადგმული ბავშვები	**დაბადებიდან ხუთ წლამდე**	**სამიდან ხუთ წლამდე**	**სამი წლიდან მეხუთე კლასამდე**
უნციების სკალა (მეისელი და სხვები 2003)	განვითარების ეტაპების ცხრილები წიგნიდან *„ფოკუსირებული პორტფოლიოები: სრული შეფასება ადრეული ასაკის ბავშვის ბავშვებისათვის“ (გრონლუნდი და ენგელი 2001)* *შეფასების, ევალუაციისა და პროგრამირების სისტემა (AEPS) ჩვილთა და ადრეული ასაკის ბავშვებისათვის (ბრიკერი 1997)*	ადრეული სწავლის სკალა (რილი-აიერსი და სხვები 2012). *High/Scope ბავშვებზე დაკვირვების ჩანაწერი (High/Scope 1992)* *სასწავლო სტრატეგიები გოლდი: შეფასების ინსტრუმენტები (ბერკე, ბიკარტი და ჰირომენი, 2011)*	სამუშაო შერჩევის სისტემის განვითარების გზამკვლევები

ყველა ეს რესურსი იძლევა განვითარების სხვადასხვა სფეროს მიხედვით ასაკის შესაბამისი მოლოდინების შესახებ ინფორმაციას. ზოგიერთი რესურსი უფრო სპეციფიკურია, ვიდრე

სხვები. ზოგი კონტინიუმზე თავსდება, სხვა კი მოიცავს შედეგების/ინდიკატორთა ჩამონათვალს ან ვებ-გვერდს ეფუძნება. გარდა ამისა, ეს რესურსები შედგენილია ისე, რომ გათვალსიწინებულია კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განსხვავებები ბავშვების ქცევებს შორის. მიზანი არის განვითარების პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რომელიც არ არის მიკერძოებული რომელიმე ჯგუფის მიმართ. ყველა ეს შედეგების/ინდიკატორების ჩამონათვალი და ცხრილი შესაძლებელია გამოყენებული იყოს აქტივობის პროცესში ბავშვებზე დაკვირვების შესაფასებლად. თქვენ აკვირდებით ბავშვს, წერთ დაკვირვებას და შემდეგ, რაღაც მომენტში უკავშირებთ მას განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალს ან სხვა რესურსებს, რათა განსაზღვროთ ბავშვის მიღწევის დონე.

ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ დაუკავშირეს მასწავლებლებმა მათი დაკვირვებები განმავითარებელ რესურსებს, რათა განესაზღვრათ ბავშვების განვითარების შესაძლებლობები.

ადრეულ ასაკში სწავლის სკალა

დაიონი და ფილიპი მოძრაობდნენ Head Start-ის მათი ოთახის გარშემო, როდესაც ბავშვები წერდნენ და ხატავდნენ ჟურნალებში. ორივე ესაუბრებოდა ბავშვებს, უსვამდნენ ღია შეკითხვებს, სთავაზობდნენ ბავშვების მიერ ნაკარნახევის დაწერას და ახალისებდნენ ბავშვებს, რომელთაც თავად შეეძლოთ ასოების დაწერა. დაიონსა და ფილიპს თან დაჰქონდათ პლანშეტები მოკლე ჩანაწერების აღრიცხვის ფურცლებით. ბავშვების სახელები იყო ჩამოწერილი უჯრების გვერდით, სადაც ერთი ან ორი მოკლე ჩანაწერის გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი. მათი პროგრამის შეფასების ინსტრუმენტში, *ადრეულ ასაკში სწავლის სკალა,* მეტყველებისა და წიგნიერების მიმართულებების თვალსაზრისით ორივე მასწავლებელმა გააკეთა ჩანაწერები, თუ როგორ ავლენდა ყველა ბავშვი ქვემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების დემონსტრირებას:

- ანბანის ცოდნა (რომელიც მოიცავს ასოების გამოცნობას)
- ბეჭდური ტექსტის ცნობა (რომელიც მოიცავს გაცნობიერებას, რომ შრიფტს აქვს მნიშვნელობა და ბეჭდური ტექსტის ამოცნობის შესაძლებლობას)
- შედგენა (რომელიც მოიცავს ასოების დაწერას მიზანმიმართულად)
- შექმნა (რომელიც მოიცავს ფორმების შექმნას, რომელიც ჰგავს ასოებს და სახელის დაწერას)

მათ შეამჩნიეს, რომ ზოგი ბავშვი საერთოდ ვერ განასხვავებდა ასოებს და ვერ საზღვრავდა, რომ შრიფტს ჰქონდა მნიშვნელობა, როცა სხვები განსაზღვრავდნენ ზოგიერთ ასოს და ესმოდათ, რომ ასოები ქმნიდნენ სიტყვებს. ისინი დააკვირდნენ ხატვას, დაჩხაპნის პროცესს, ასოების ფორმირებას, ასოების შეკვრას და სახელის დაწერას. როდესაც მათ შეადარეს საკუთარი ჩანაწერები, მიმართეს *ადრეულ ასაკში სწავლის შკალის* ინდიკატორებს, რათა განესაზღვრათ ბავშვების მიღწევის დონე და დაეგეგმათ გზები, თუ როგორ დახმარებოდნენ თითოეულ ბავშვს ნაწერისა და ბეჭდური ტექსტის აღქმის უნარების განვითარებაში.

სამუშაოს შერჩევის სისტემა

სკოლამდელი ჯგუფის აღმზრდელები - პემი და ლინდა შეიკრიბნენ კვირის ბოლოს შემდგომი კვირის დასაგეგმად. როგორც გეგმის განხილვის მონაწილეებმა, გაანალიზეს როგორც მასწავლებელთა მიერ ინიცირებული აქტივობები ბავშვებზე დაკვირვებისას, ისე - ბავშვებისგან წამოსული ინიციატივები. პემმა აღნიშნა, რომ ბევრი ბავშვი მონაწილეობდა კუბებით თამაშში და აერთიანებდა ამ თამაშს ფართო იმიტირებული სცენარებით მეკობრეების, გემებისა და დამალული განძის შესახებ. ბავშვებმა მეკობრული გემისთვის შტურვალის ნაცვლად მანქანის საჭის შესაქმნელად დიდი ხის კუბები გამოიყენეს. ხსვადასხვა როლის მოსარგებლად ბევრი ტანსაცმელი და ქუდი მოირგეს. პემი და ლინდა იცინოდნენ, როდესაც იხსენებდნენ პატარა მეკობრეების აქტივობებს და მათ მიერ გამოვლენილ ენთუზიაზმს შემახილისას „ჰეი, მეგობარო!".

პემმა და ლინდამ მათი დაკვირვებები ბლოკნოტში ჩამოწერეს. ჩანაწერების კითხვისა და გაანალიზებისას, გაიაზრეს, რომ უფრო მეტს სწავლობენ ბავშვების შესაძლებლობების შესახებ. მასწავლებლებმა განიხილეს განვითარების ამსახველი ინდიკატორთა ჩამონათვალი, რომელსაც მათი პროგრამა იყენებდა, *სამუშაოს შერჩევის სისტემა სკოლამდელთათვის - 4 განვითარების გზამკვლევები* (დიხტელმილერი და სხვები 2004). ინდიკატორთა ჩამონათვალის გადათვალიერებისას, დაასკვნეს, რომ თითოეული ბავშვის ინდივიდუალური ქმედების ამსახველ დაკვირვების მონაცემებს ფლობენ შემდეგი საკითხების მიხედვით:

- სწავლისადმი მიდგომა, შესრულების ინდიკატორი C.3.: დავალებებს უდგება მოქნილად და გამომგონებლურად
- სხვებთან ურთიერთობა, შესრულების ინდიკატორი D.1.: იოლად ურთიერთობს ერთ ან მეტ ბავშვთან
- მეტყველება, შესრულების ინდიკატორი B.2.: იყენებს ფართო ლექსიკას და მეტყველებას სხვადასხვა მიზნით
- უხეში მოტორული უნარები, შესრულების ინდიკატორი A.1.: მოძრაობს ბალანსის დაცვით და კონტროლით

პემი და ლინდა ყურადღებით ფიქრობდნენ ბავშვების ჯგუფზე, რომელსაც დააკვირდნენ და მონიშნეს თითოეული ბავშვის განვითარების ამსახველი ინდიკატორთა ჩამონათვალი მეკობრეების თამაშის დროს მისი ჩართულობისა და ურთიერთობის მიხედვით. *სამუშაოს შერჩევის სისტემა სკოლამდელთათვის-4 განვითარების გზამკვლევი* პასუხების ვარიანტებად მოიცავს შემდეგს: „ჯერ არა" „პროცესში" და „გამოცდილი". მარიოს შემთხვევაში, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო მეკობრეების გემის მშენებლობის ორგანიზების ხელმძღვანელობა და დაეხმარა სხვებს მეკობრეობანას თამაშის როლებისა და სცენარის განსაზღვრაში, მათ მონიშნეს „გამოცდილი" ყველა ინდიკატორის მიხედვით. ალიშას შემთხვევაში, რომელიც შორიდან უყურებდა თამაშს და შემდეგ შეუერთდა მათ, როდესაც მარიომ მისცა კონკრეტული მითითებები და ბევრი არ ულაპარაკია თამაშის დროს, მონიშნეს „პროცესში" ინდიკატორების უმეტეს შემთხვევაში. პემი და ლინდა ძალიან ფრთხილობდნენ იმ დრამატულ თამაშში, რომლის მოწმენიც გახდნენ, მონაწილე თითოეულ ბავშვზე ფიქრისას და გადაწყვიტეს, უფრო მეტად ფოკუსირებულიყვნენ დრამატულ თამაშზე შემდეგ კვირას ამ სფეროებში ბავშვების ქცევის შესახებ მეტი მტკიცებულების შესაგროვებლად.

შეფასების, ევალუაციისა და პროგრამირების სისტემა (შეპს)

სარამ და ხუანიტამ მათ ჯგუფში ორი წლის ბავშვების ნატიფ მოტორიკაზე ფოკუსირებული დაკვირვება გადაწყვიტეს. მათ გამოიყენეს *შეფასების, ევალუაციისა და პროგრამირების სისტემა (შეპს) ჩვილებისა და ბავშვებისათვის* (ბრიკერი 1997) მათი განვითარების მიღწევების გონივრული მოლოდინების განსასაზღვრად. ნატიფი მოტორიკის სფეროში მათ აღმოაჩინეს, რომ მიმართულებაში „ა“ „წვდომა, მოჭერა და გაშვება“ მიზანი 4 იყო: „უჭერს ბარდის ზომის საგანს რომელიმე ხელით საჩვენებელი თითის წვერითა და ცერა თითით და ამ დროს ხელი ან/და მკლავი *არ* აქვს დადებული ზედაპირზე მხარდაჭერისათვის“. მიმართულებაში „ბ“, „ნატიფი მოტორიკის ფუნქციური გამოყენება“, მიზანი 2 იყო: „აწყობს სათამაშოს ან/და საგანს, რომელიც საჭიროებს ნაწილების ერთად დალაგებას“.

მოქმედების პროცესში ბავშვებზე (რომლებიც ამ ორი მიზნის მიღწევას ცდილობენ) დასაკვირვებლად, მათ დაგეგმეს მომრგვალებული ფორმის ხორბლის ფანტელებისა და ბარდის მიტანა წახემსებისას, რათა ენახათ, როგორ შეძლებდნენ მცირე ზომის ნაწილების ამოკრეფას. ბავშვების სადილობისას სარა და ხუანიტა პლანშეტებსა და ფურცელბზე აკეთებდნენ ჩანაწერებს თითოეული ბავშვის მცდელობისა თუ მიზნის მიღწევის შესახებ. სადილის დასრულების შემდეგ მაგიდაზე დაალაგეს ზონარზე და თოკზე აცმული მძივები, რამდენიმე ღილაკიანი თავსატეხი და დასხდნენ ბავშვებთან ერთად კვლავაც პლანშეტებით ხელში, რათა გაეკეთებინათ ჩანაწერები ბავშვების მძივების აცმისა და თავსატეხის ნაწილების აწყობის უნარების შესახებ. ბავშვების სახლში წასვლის შემდეგ, სარამ და ხუანიტამ გააკეთეს დაკვირვებების ჩანაწერები *შეპს* მონაცემთა აღრიცხვის ფორმაში იმ ორ მიზანთან დაკავშირებით თითოეული ბავშვისთვის. ქულების მიხედვით მონიშვნა მოიცავს:

- 2 = ასრულებს თანმიმდევრულად
- 1 = ასრულებს არათანმიმდევრულად
- 0 = ვერ ასრულებს

საკვალიფიკაციო ჩანაწერები ასევე არის ფორმებში და მოიცავს შემდეგს:

- A = დახმარების გაწევა
- B = ქცევაში ჩარევა
- C = გადმოცემით შეფასება (ან მოწოდებული შეფასება)
- D = მოდიფიკაცია/ადაპტაცია
- E = პირდაპირი ტესტი.

სარა და ხუანიტა აანალიზებდნენ თითოეული ბავშვის უნარს, გამოევლინათ ნატიფი მოტორიკის უნარ-ჩვევები და აფასებდნენ თითოეულ მათგანს *შეფასების, ევალუაციისა და პროგრამირების სისტემის* (*შეპს*) ფორმების მიხედვით.

წყაროს შერჩევა და დოკუმენტირების პროცესის განსაზღვრა

სკოლამდელი დაწესებულების პერსონალი და ადმინისტრაცია ირჩევს განვითარების რეკომენდაციებს, რომლებიც საუკეთესოდ ერგება მათ გარემოს. ზოგიერთი შტატის ან ფედერალურად დაფინანსებულ პროგრამებს განუმარტავენ, რომელი ინდიკატორთა ჩამონათვალი ან შეფასების სისტემა უნდა გამოიყენონ ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის. დაფინანსება, როგორც პროგრამის შეფასება, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს ამ ტიპის შეფასების შედეგებთან. თუ ასეთი მანდატები არ არის ხელმისაწვდომი, თქვენ და თქვენმა კოლეგებმა უნდა განიხილოთ სხვადასხვა ინდიკატორთა ჩამონათვალი და ცხრილები, რათა განსაზღვროთ, უკეთესად რომელი ერგება ბავშვის განვითარების თქვენს აღქმას და შესაბამისობაშია თქვენი შტატის ადრეული განათლების გზამკვლევებთან. ასევე მნიშვნელოვანია დოკუმენტირებისა და დაკვირვებების ორგანიზების პროცესების გათვალისწინება და მათი დაკავშირება ინდიკატორთა ჩამონათვალთან ან ცხრილთან. შეუსაბამეთ წყარო და პროცესი თქვენი კოლეგების განათლებასა და გამოცდილებას, ადრეული ასაკის ბავშვებთან თქვენი ყოველდღიური სამუშაოს რეალობას და გზებს, რომელთა საშუალებით თქვენ გსურთ ინფორმაციის მიწოდება ოჯახებისთვის. ამ შემთხვევაში, თქვენ დარწმუნებული იქნებით, რომ არჩეული დაკვირვების შეფასების ინსტრუმენტი ყველაზე ეფექტურად იმუშავებს.

გარდა ზემოღნიშნულისა, განვითარების ინფორმაციის თქვენეული წყაროს არჩევისას, გეკისრებათ პასუხისმგებლობა გაითვალისწინოთ ბავშვებისა და ოჯახების კულტურული კონტექსტი. როგორც ამ თავის დასაწყისში აღვნიშნეთ, რესურსები შემუშავდა კულტურული, ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინებით. ქვემოთ წარმოგიდგენთ ისტორიის მცირე ფრაგმენტს ადრეული ასაკის განათლების სპეციალისტისა, რომელსაც სთხოვეს შეფასების რეკომენდაციის იმ კულტურული გარემოსთვის, სადაც მუშაობდა, შეუფერებელი ინსტრუმენტის გამოყენება.

> *მე ვიმუშავე ადრეული ინტერვენციის სააგენტოში, რომელიც აერთიანებდა დაბადებიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებს. სააგენტოს ჰქონდა შეთანხმება, რომ უზრუნველეყო განვითარების სკრინინგი დასავლეთ ამერიკელი ინდიელების ტომისთვის. ბავშვების Early Head Start Program ფარგლებში შეფასებისას, აღმოვაჩინეთ, რომ ყოველ ბავშვს გამონაკლისის გარეშე, ჰქონდა საუბრისა და ენის პრობლემა და სასურველი იყო შემდეგი ტესტირება ან სასაუბრო თერაპია. სკრინინგის შედეგების თანახმად, ბევრი ბავშვი ასევე ავლენდა „კოგნიტურ შეფერხებას“. მე ეჭვქვეშ დავაყენე ეს შედეგები და აღმოვაჩინე, რომ ბევრი ადგილობრივი მოსახლე იყენებს ჟესტებს საკუთარ ბავშვებთან საკონტაქტოდ, განსაკუთრებით, - როდესაც ისინი ძალიან ადრეული ასაკისა არიან. ბევრი ბავშვი ასევე აღზრდილია ორენოვნად. ისინი კომუნიკაციას ამყარებენ ორ ენაზე. კიდევ ერთი პრობლემა იყო ის, რომ პასიურად მოსაუბრე ბავშვები, ხშირად კარგ შედეგებს ვერ აჩვენებენ კოგნიტური განვითარების სფეროში განვითარების სკრინინგის დროს, რადგან არ პასუხობენ კითხვებს. მახსოვს, ძალზე გავოცდი, როცა ფსიქოლოგმა ბავშვს ჟირაფის სურათი აჩვენა და ჰკითხა, რა იყო ეს. თქვენ რომ ნებისმიერი ბავშვისთვის გეკითხათ, თუ რა არის ანტილოპა ან ცხენ-ირემი, მათ აუცილებლად ეცოდინებოდათ. გავიაზრე, რომ*

ჩვენ მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი გათვლილი იყო თეთრკანიან, საშუალო კლასის ბავშვებზე და არარელევანტური იქნებოდა ტომის კულტურისთვის.

ამ შემთხვევაში ბავშვების შესახებ გაკეთებული, მისსავე განვითარების ინფორმაციაზეა დაფუძნებული დასკვნები, არ იყო მათი ნამდვილი შესაძლებლობებისა და ქცევების ზუსტი ასახვა. ამიტომ ჩვენი რჩევაა, რომ თქვენ, თქვენმა უფროსმა ან ზედამხედველმა მოიპოვოთ რამდენიმე დაკვრივებითი შეფასების თითო ასლი და განიხილოთ, შეესაბამება თუ არა ის თქვენი პროგრამის, ბავშვების, ოჯახებისა და პერსონალის საჭიროებებს.

განვითარების კავშირების დამყარების პრაქტიკა

ქვემოთ მოცემული ეპიზოდები აქტივობებში ჩართული ბავშვების განვითარების ამსახველი ინდიკატორთა ჩამონათვალის ნაწილები და განვითარების ნიშანსვეტების ცხრილების მიხედვით გაკეთებული სხვადასხვა შეფასებაა. თავდაპირველად, გაეცანით ეპიზოდს, შემდეგ კი განსაზღვრეთ, თქვენ როგორ მონიშნავდით ბავშვის განვითარების შესაძლებლობებს თითოეული წყაროდან მიღებული განვითარების ინფორმაციის საფუძველზე.

ჰეილი (3 წლის და 6 თვის)

დღეს სპორტულ დარბაზში ჩვენთან ერთად ტანვარჯიშის მასწავლებლის შვილიცაა. შევამჩნიე, რომ ჰეილი მის სიახლოვეს დადის. შემდეგ მოდის ჩემთან და მეუბნება: „იცი, ლაურა, მე მივესალმე მას“. შემდეგ თითს იშვერს ჭერისკენ, სადაც ბურთი ფიცრებს შორისაა გაჭედილი და ამბობს: „აბა, აიხედე და ამწიე ზემოთ“.

შემდეგი განვითარების რესურსების გამოყენებით, როგორ შეაფასებდით ჰეილის ენობრივ მახასიათებლებს?

სკოლამდელთა განვითარების ნიშანსვეტების ცხრილი				
	ოცდაოთხი თვიდან სამ წლამდე	**სამი წლის ასაკის დონე**	**ოთხი წლის ასაკის დონე**	**ხუთი წლის ასაკის დონე**
მეტყველება და კომუნიკაცია	აერთიანებს სიტყვებს	ლექსიკა იზრდება თანდათანობით, სულ მცირე - სამი ან ოთხი სიტყვის გამოყენებით წინადადებებით, რათა გამოხატოს სურვილები და საჭიროებები	უყვება სხვებს პირადი ნაცნობობის, გამოცდილებისა და შენაძენის შესახებ (მცირე და დიდ ჯგუფებში)	იყენებს წინადადებების კომპლექსურ წყობას და აქვს ლექსიკური მარაგი უმეტესი საჭიროების, სურვილისა თუ განმარტების სურთულეების გარეშე გადმოსაცემად.
	ისმენს მოკლე ისტორიებს (ერთი-ერთზე და მცირე ზომის ჯგუფებში)	იწყებს მოსმენას და ზრუნავს სხვებზე	უსმენს სხვებს და ცდილობს საუბარში ჩართვას.	აქტიურად მონაწილეობს საუბრებში, უსმენს ყურადღებით და მოთმინებით სხვების საუბარს

	სალაპარაკო ლექსიკონი აღწევს 200 სიტყვამდე	სწავლობს სიტყვებს თითების მარტივი თამაშისთვის, რიტმებისა და სიმღერებისთვის, განსაკუთრებით - სადაც ბევრი გამეორება და ხელის მოძრაობებია	იმეორებს მრავალსაფეხურიან მითითებებს	შეუძლია მიჰყვეს მრავალსაფეხურიან ინსტრუქციებსა და მოთხოვნებს
	თამაშობს სიმულირებით, სიტყვებისა და ხმების გამოყენებით	შეუძლია მოყვეს მარტივი ისტორია, საყვარელ ადგილებზე ხშირად ფოკუსირებით	შეუძლია გაიმეოროს ამბის ძირითადი თანმიმდევრობა	ახსოვს და იმეორებს ზეპირად ლექსებს, სიმღერებს, ამბებისა და ფილმების თანმიმდევრობას და ასახიერებს მათ
	იყენებს რთულ წინადადებებს		იყენებს ზოგიერთ პოზიციურ სიტყვას (მაგ.: ქვეშ, ზემოდან, ზე)	იყენებს პოზიციურ სიტყვებს (მაგ.: ქვეშ, ზემოდან, ზე)
	ყვება დღის მოვლენებს			
	იყენებს ზედსართავებსა და ზმნიზედებს			

ადრეული განათლების სკალა (წიმუში)			
ზეპირი მეტყველება	1 2	3	4 5
საუბარი	• იყენებს ჟესტებს კომუნიკაციისთვის • ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჩაერთოს განხილვებში • შესაძლოა, გამოიყენოს ძალიან მოკლე ფრაზები	• პასუხობს მარტივი წინადადებების გამოყენებით • პასუხობს დაბალი სააზროვნო დონის კითხვებს	• იყენებს კომპლექსურ წინადადებებს და მდიდარ ლექსიკას • მონაწილეობს განხილვებში კითხვების დასმითა და კავშირების დამყარებით
ამბის გადმოცემა	• გადმოსცემს ნაცნობ ისტორიებს სურათების გამოყენებით, თუმცა მცირე კავშირით სიუჟეტის ძირითად ხაზთან	• გადმოსცემს ნაცნობ ისტორიებს ზოგიერთი ძირითადი კომპონენტით, რაც შესაძლოა, განსხვავდებოდეს სიუჟეტის ძირითადი ხაზისაგან	• გადმოსცემს ნაცნობ ისტორიებს დაახლოებითი სიზუსტით და დეტალებით

შანონ რაილი-აიერსის, ჯუდი სტივენსონ-გარსიას, ელენ ფრედესა და კიმბერლი ბრენემანის წიგნიდან *ადრეული განათლების შკალის სახელმძღვანელო.* საავტორო უფლება © 2011 ადრეული განათლების კვლევის ეროვნული ინსტიტუტი. http:/www.casadexter/com/source docs/ELS Guide Book.pdf. ხელახლა გამოიცა ნებართვის საფუძველზე.

High/Scope (პროგრამა „მაღალი შესაძლებლობები“) ბავშვზე დაკვირვების ფორმა *(ნიმუში)*				
ბავშვი ჯერ არ ლაპარაკობს ან იყენებს მხოლოდ რამდენიმე ერთ ან ორსიტყვიან ფრაზას	ბავშვი ჯერ არ ლაპარაკობს ან იყენებს მხოლოდ რამდენიმე ერთ ან ორსიტყვიან ფრაზას	ბავშვი იყენებს წინადადებებს, რომლებიც შეიცავს ორ ან მეტ ცალკეულ იდეას	ბავშვი იყენებს წინადადებებს, რომლებიც შეიცავს ორ ან მეტ იდეას აღწერილობითი დეტალებითურთ („მე ძალიან ბევრი წითელი კუბი დავაწყვე ერთმანეთზე და ისინი ჩამოცვივდნენ.“)	ბავშვი აგებს და კარგად ყვება განვითარებულ, დეტალურ ისტორიებს, რითმებს ან სიმღერებს

ანტონი (3 წლის და 8 თვის)

ანტონი მაგიდაზე აწყობს ახალ თავსატეხს და ამბობს, რომ თავად აპირებს მის გაკეთებას. იგი რიგ-რიგობით ატრიალებს თითო ნაწილს, ვიდრე არ იპოვის ამ ნაწილის შესაბამის ცარიელ ადგილს. თავსატეხს აქვს რვა მცირე ზომის ნაწილი. ანტონი მას აწყობს დახმარების გარეშე. ის დებს ბოლო ნაწილს და ასრულებს თავსატეხს.

გამოიყენეთ შემდე

გი დაკვირვებითი საშუალებები ანტონის განვითარების შესაფასებლად.

სამუშაოს შერჩევის სისტემა. სკოლამდელთათვის-3 განვითარების გზამკვლევიდან *(ნიმუში)*		
პიროვნული და სოციალური განვითარება		
თვითიდენტობა		
2. ავლენს თვითმართვის უნარებს აქტივობებში	**შეფასება:**	
	ჯერ არა	
	პროცესში	
	გაწაფული	

ფიზიკური განვითარება		
ნატიფი მოტორიკის განვითარება		
2. იყენებს თვალისა და ხელის კოორდინაციას ამოცანების შესასრულებლად	**შეფასება:**	
	ჯერ არა	
	პროცესში	
	გაწაფული	

შეპს (ნიმუში)			
ნატიფი მოტორიკის სფერო			
ნატიფი მოტორული უნარ-ჩვევების ფუნქციური გამოყენება			
2. აწყობს სათამაშოებს/საგნებს, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა ნაწილების ერთიანობას 2.2 სვამს საგნებს განსაზღვრულ ადგილებში	**ქულების გასაღები:**		დამატებითი შენიშვნები:
	2 = ასრულებს თანმიმდევრულად		დ = დახმარება გაეწია
	1 = ასრულებს არათანმიმდევრულად		ჩ = ჩაერივნენ მის ქცევაში
	0 = ვერ ასრულებს		გ = გადმოცემით შეფასება (ან მოწოდებული შეფასება)
			მ = მოდიფიკაცია/ადაპტაცია
			პ = პირდაპირი ტესტი

წარმატებით დანერგილ დაკვირვების შეფასებებს, რომლებიც დაკავშირებულია სტანდარტებთან ან განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალთან, სჭირდება დრო და სურვილი ძველი მეთოდების შესაცვლელად და ახალი იდეების, გზების საძიებლად. ადრეული განათლების სპეციალისტები თვლიან, რომ სასწავლო დიაგრამის დანერგვას, უპირველესად, სჭირდება გარკვეული დრო (სავარაუდოდ, ერთი ან ორი წელი), კონსულტაციები, ტრენინგები და რასაკვირველია, მხარდაჭერა და ხელშეწყობა განხორციელებისას.

განხილვის დროის განსაზღვრა-დანერგვისას ძალიან მნიშვნელოვანია წარმატებების და გამოწვევების გაზიარება, დამატებითი ინფორმაციის მოძიება და იდეები. სიახლეების დანერგვის, ახალი მიდგომების სწავლისა თუ პრაქტიკაში მათი განხორციელების გზაზე ყოველთვის ვაწყდებით სირთულეებს და ვუშვებთ შეცდომებს, მაგრამ ამ პროცესს მივყავართ შედეგამდე. კოლეგებთან ერთად მუშაობა საუკეთესო და ეფექტური გზების გამოსაკვლევად, დაკვირვებისა და დოკუმენტირების ბავშვებთან ერთად გატარებული დატვირთული დღეების განმავლობაში ჩასართველად, შექმნის უფრო პოზიტიურ ატმოსფეროს.

ანგარიშვალდებულების მოწოდებას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და შეფასების პროცესი ბავშვების სასარგებლოდ და არა მათ საზიანოდ გამოვიყენოთ. ჯგუფში ბავშვებთან მუშაობისას ყოველდღიურ აქტივობებში მათზე დაკვირვება უფრო რეალურ და სანდო სურათს იძლევა ბავშვების განვითარებითი შესაძლებლობების შესაფასებლად, ვიდრე ტესტირება. შემთხვევითი, სუბიექტური, განსჯადი ეპიზოდებისგან განსხვავებით, ფაქტობრივი, აღწერილობითი ეპიზოდების ასახვა დაკვირვებით შეფასებაში, უფრო მკაფიო წარმოდგენას იძლევა ბავშვების შესაძლებლობების შესახებ. განვითარების მოლოდინების სანდო წყაროების შერჩევა, რომელთა კვლევაც მიმდინარეობდა კულტურულ, რეგიონულ და ეკონომიკურ დონეებზე, გაამყარებს ბავშვების მოქმედებების შესახებ გამოტანილ ნებისმიერ დასკვნას და დაგეხმარებათ მათი ზრდისთვის ხელშესაწყობი შესაბამისი გადაწყვეტილების მიღბაში.

შეფასების მიზნით დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენების შემდგომი ეტაპი ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის ოჯახებისთვის გაზიარებაა. შემდეგ თავში, შევეცდებით, აგიხსნათ, როგორ შეადგინოთ ინფორმაციული პორტფოლიოები, დაწეროთ დოკუმენტირებული დაკვირვებების შემაჯამებელი ანგარიშები და ესაუბროთ ოჯახებს.

დაკვირვების პრაქტიკა #13:

განვითარების შესაძლებლობებზე დაკვირვება

მიზანი: ადრეული წიგნიერების უნარების განსაზღვრა

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ ვიდეორგოლს #13, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვები მათთვის ნაცნობ ისტორიას თამაშობენ. ბავშვები და მასწავლებელი საუბრობენ ესპანურად. ვიდეოს ახლავს ინგლისური სუბტიტრები. როდესაც აკვირდებით ბავშვებს, ეცადეთ, განსაზღვროთ, რა ესმით და რას აღიქვამენ ისტორიიდან. თქვენი დაკვირვების შენიშვნები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: გაიაზრეს მათ ისტორიის ძირითადი მონახაზი? დაიმახსოვრეს მონაწილე პირები და მათი მოქმედებები? ორიენტირდით და აღწერეთ ფაქტები და არა - მათი ინტერპრეტაცია.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ, გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს და განიხილეთ თქვენ მიერ განსაზღვრული შესაძლებლობები, რომელთა დემონსტრირებას ახდენდნენ ბავშვები. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ განსაზღვრული შესაძლებლობები თქვენი შტატის ადრეული განათლების გზამკვლევებს ან განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალს, რომელიც თქვენთვის ნაცნობია. თუ ჯგუფური განხილვის მონაწილე ხართ, გაუზიარეთ ჯგუფს ზოგიერთი ეპიზოდი. განიხილეთ მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფის ჩანაწერებში. დანარჩენებმა სხვა შესაძლებლობები განსაზღვრეს? რატომ მოხდა ასე?

დაკვირვების პრაქტიკა #14: განვითარების შესაძლებლობებზე დაკვირვება

მიზანი: ბავშვების პრობლემების გადაჭრის უნარის განსაზღვრა და მათი დაკავშირება ინფორმაციის განსხვავებული განვითარების წყაროსთან

რა უნდა გავაკეთოთ: ნახეთ ვიდეორგოლი #14 ოთხი წლის ბიჭების შესახებ, რომლებიც თამაშობენ ყინულითა და სხვადასხვა ხელსაწყოთი სენსორულ სათამაშო მაგიდასთან. ჩაიწერეთ, რასაც ხედავთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პრობლემების გადაჭრის მათ უნარებს. გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ფაქტების აღმწერი და არა - ინტერპრეტატორი.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ, გადახედეთ ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის წყაროს. დააფიქსირეთ თუ არა პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა უნარი ბავშვების თამაშის დროს? სად ჩასვამდით მათ შესაძლებლობებს თქვენ მიერ გამოყენებულ განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალში? თუ ჯგუფური განხილვის მონაწილე ხართ, გააზიარეთ ზოგიერთი ეპიზოდი ჯგუფში და ბავშვების შესაძლებლობები მონიშნეთ განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალში. განიხილეთ მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფის ჩანაწერებში. დანარჩენებმა სხვა შესაძლებლობები განსაზღვრეს? რატომ მოხდა ასე?

რეფლექსია

მიზანი: გააზრება - რა იცით შეფასებითი მიზნისთვის გმოყენებული განმავითარებელი რესურსების შესახებ.

რა უნდა გავაკეთოთ: განმავითარებელი ინფორმაციის რომელ წყაროებს იცნობთ ყველაზე კარგად? განსაზღვრეთ თქვენ მიერ გამოყენებული განმავითარებელი ინფორმაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ბავშვების განვითარების შესაძლებლობების ჩაწერის რომელი ახალი გზების შესწავლა გსურთ?

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის მოძიება

მიზანი: გაანალიზება, განვითარების რომელი წყაროებია საუკეთესო თქვენი უნიკალური დაკვირვების სტილისთვის.

რა უნდა გავაკეთოთ: პასუხი გაეცით ამ კითხვებს თქვენს ჟურნალში:

- განმავითარებელი ინფორმაციის რომელი წყაროები წარმოაჩენს საუკეთესოდ ბავშვის განვითარების თქვენეულ ხედვას? რატომ?
- მოქმედებაში მყოფ ბავშვებზე დაკვირვება რატომ ასახავს უფრო რეალურად მათ სწავლებასა და განვითარებას?
- კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასებები რატომ იძლევა უფრო მკაფიო სურათს ბავშვის შესაძლებლობების შესახებ და ხელს უწყობს ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის საჭიროებებისთვის გეგმის შედგენას?
- რა ნაბიჯებს გადადგამდით, რათა შეძლოთ ბავშვებზე დაკვირვება ბუნებრივ გარემოში შეფასების მიზნებისთვის?

თავი 6: როგორ ვაწვდით ოჯახებს ინფორმაციას დაკვირვების, დოკუმენტირებისა და შეფასების შესახებ

ადრეული განათლების სპეციალისტებს აქვთ პროფესიული პასუხისმგებლობა, გააზრებული კომუნიკაცია ჰქონდეთ ოჯახებთან და ფლობდნენ ინფორმაციას ბავშვზე ზრუნვისა და განთლებისადმი ოჯახების შეხედულებების შესახებ. დაკვირვებისა და დოკუმენტირების შედეგად ბავშვის განვითარების შესახებ მიღებული ინფორმაციის ოჯახისთვის გაზიარება პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, რაც აყალიბებს ნდობასა და პატივისცემაზე აგებულ ურთიერთობებს ოჯახებთან და გეხმარებათ ბავშვებისთვის სასარგებლო ერთობლივ მუშაობაში.

ელიზაბეტი: ბავშვის წასაყვანად მოსულ მშობელს მუდმივად ვუზიარებ დოკუმენტაციას ბავშვის დაკვირვების შესახებ და მოკლედ ვსაუბრობთ. ზოგჯერ ვუკეთებ მოკლე ჩანაწერებს ან ვუკავშირდები ტელეფონით. მშობელთა და მასწავლებელთა ან ისგ-ს განსახილველ შეხვედრებზე წარვადგენ ერთგვარ ანგარიშს მათი შვლის განვითარების ეტაპებისა და შესაძლებლობების შესახებ.

დაკვირვებაზე დაფუძნებული შეფასებები საშუალებას აძლევს ოჯახებს, თვალი ადევნონ შვილების ზრდას, მათი განვითარების ეტაპებს და სწავლისადმი დამოკიდებულებას. პროგრამაში ბავშვების ყოველდღიურ ქმედებებზე დაკვირვებით და მათი დოკუმენტირების გაზიარებით თქვენ გადასცემთ მშობლებს უაღრესად ღირებულ ინფორმაციას, რომელსაც ვერ მისცემს ვერც ინდიკატორთა ცხრილები და ვერც მოხსენებითი ბარათები. მშობლებისთვის თქვენ აღებთ სარკმელს, საიდანაც მზრუნველობის ქვეშ მყოფ საკუთარ შვილებს ხედავენ.

პეგი ვ: ყველა ოჯახი სულმოუთქმელად ელის ჩემს დაკვირვებებს. ბუნებრივია, მეც ვგრძნობ ამას და მსურს, ყოველდღიურად გავუზიარო დეტალები მშობლებს. ამგვარად ყალიბდება ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები.

როდესაც შეარჩევთ დაკვირვებების ჩაწერის სისტემას, შემდგომ კი - ამ დაკვირვებების ინტერპრეტირების საშუალებას და შეაფასებთ ბავშვის განვითარების შესაძლებლობებს (როგორც აღწერილია წინა თავებში), უნდა შეარჩიოთ ფორმატი, რომლითაც ამ ინფორმაციას ოჯახებს წარუდგენთ. ეს გადაწყვეტილებები ხშირად მიიღება პროგრამის ადმინისტრატორებისა და პერსონალის მიერ. ეს უზრუნველყოფს პროგრამაში ჩართული ყველა სპეციალისტის კოორდინირებულ მუშაობას და საშუალებას აძლევს მშობლებს, იცოდნენ, თუ რა ტიპის შეფასებით ინფორმაციას უნდა ელოდონ ისინი საკუთარი ბავშვების შესახებ. ზოგიერთ გარემოში გადაწყვეტილება ინდივიდუალურ მასწავლებელზეა დამოკიდებული. და კვლავ, მშობლებთან გარკვევით ურთიერთობა მნიშვნელოვანია.

მშობელი მენდობა, რადგან იცის, რომ მთელი დღის განმავლობაში ვაკვირდები მის შვილს და პირადად ვიცნობ თითოეულ ბავშვს და ვფლობ უაღრესად ფასეულ ინფორმაციას მისი შესაძლებლობების, ინტერესების, საჭიროებებისა და განვითარების საფეხურების შესახებ.

კომუნიკაციის, რაც ბავშვის შესახებ შეგროვილი შეფასების ინფორმაციის ოჯახებისთვის მიწოდებას გულისხმობს, სამი სტრატეგია არსებობს:

1. დოკუმენტაციის დახარისხება მნიშვნელოვან და ინფორმაციულ შეფასების პორტფოლიოებად
2. შეფასების ინდიკატორთა ცხრილის ან მოხსენებითი ცხრილის ნაცვლად ოჯახებისთვის დაწერილი შემაჯამებელი ანგარიშის მიწოდება.
3. ოჯახის წევრებთან პირისპირ შეხვედრა მთელი ამ ინფორმაციის გასაზიარებლად.

დოკუმენტაციის დახარისხება მნიშვნელოვან და ინფორმაციულ შეფასების პორტფოლიოებად

თითოეული ბავშვის დაკვირვების ჩანაწერების, ფოტოებისა და ნამუშევრების შეფასების პორტფოლიოდ გაერთიანებას შეუძლია მოგვაწოდოს ბავშვის განვითარების შესახებ მნიშვნელოვანი და ინფორმაციული სურათი. შეფასების პორტფოლიოები არის უფრო მეტი, ვიდრე ბავშვის ნამუშევრების შესანახი სკივრი, სურათების ალბომი ან ინდიკატორთა ჩამონათვალი. უფრო მეტიც - შეფასების პორტფოლიო არის წარმოდგენა იმისა, თუ რას სწავლობთ თითოეული ბავშვის ქმედებების შესახებ შერჩეულ მიმართულებებში. ის ხდება შეფასების პროცესის ნაწილი, როდესაც დაკვირვების ჩანაწერები, ფოტოები და ნამუშევრები მკაფიოდ უკავშირდება სასწავლო შედეგებს. ეს ჩანაწერები, ფოტოები და ნამუშევრები გროვდება მთელი წლის განმავლობაში სულ მცირე ორჯერ (თუ არა სამჯერ ან ოთხჯერ), რათა ასახოს ბავშვის პროგრესი.

დეანა: ყოველთვის მზად ვარ, გავუზიარო ბავშვის პორტფოლიო ოჯახის წევრებს,

შეფასების პორტფოლიოსთვის დაკვირვების ჩანაწერები არის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი. დაკვირვების ფაქტობრივი,

რადგან ეს ადასტურებს, რომ ვზრუნავ არამარტო, ზოგადად, ბავშვებზე, არამედ ვზრუნავ თითოეულზე, როგორც იდივიდზე. ოჯახები პირადად მიხდიან მადლობას და ბევრს სიხარულის, ხანაც სიამაყის ცრემლიც კი მოსდის, როდესაც ეცნობიან დოკუმენტაციას მათი შვილის ზრდისა და სწავლის შესახებ. ბევრი ოჯახი ისე ამაყობს ამით, რომ ლამინირებას უკეთებს პორტფოლიოებს, ასკანერებს და შემდეგ ელექტრონული ფოსტით უგზავნის ბებია-ბაბუას ან აჩვენებს მათ კოლეგებს.

აღწერილობითი ჩანაწერები ან ეპიზოდები ქმნის ვიდეოს, რომლის წარმოსახვაც მკითხველის გონებაში ხდება. სურათები და ნამუშევრები ერთვის დაკვირვების ჩანაწერებს და მასწავლებლის დაკვირვების აღწერილობას. ანუ ეს სურათები ღირებული ნაწილია დაკვირვების ჩანაწერებისა. როდესაც დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას თან ერთვის პროცესის ამსახველი ფოტომასალა ან ნამუშევრები, ეს უფრო კვალიფიციური და ფაქტობრივი მასალის სხვადასხვა მიმართულების მომცველი დამდასტურებელი დოკუმენტიაა და ბავშვების ამა თუ იმ უნარის წარმოჩენის ინსტრუმენტი. ამ ტიპის დოკუმენტაციის გაზიარება ოჯახებთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი გზაა.

ქვემოთ წარმოდგენილია ოთხი წლის ბავშვის ნამუშევარი. იფიქრეთ, როგორ შეიძლება მისი, როგორც დოკუმენტის გამოყენება პორტფოლიოში.

ბავშვმა დახატა ასოები ან ასოების მსგავსი ფორმები და განალაგა ისინი ფურცლის გასწვრივ ხაზზე. თქვენ შესაძლოა მიხვდეთ, რომ ის ცნობს რამდენიმე ასოს და ხვდება შრიფტის მნიშვნელობას და კომუნიკაციისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობას. კარგად რომ უჭირავს და ფლობს ფანქარს, ანუ კარგად აქვს განვითარებული მცირე კუნთების მოტორიკა, ალბათ, ამასაც მიხვდებით. თუმცა, თქვენ მაინც მხოლოდ გამოცნობა შეგიძლიათ, რადგან ბავშვის ნამუშევრის გარდა, სხვა არაფერი გაქვთ. ის, რაც გაკლიათ, მასწავლებლის აღწერილობაა - მნიშვნელოვანია, რა თქვა და რას აკეთებდა ჯეინი ამ ნამუშევრის შექმნისას. წარმოგიდგენთ მასწავლებლის აღწერილ ეპიზოდს. გაეცანით და დაფქირდით, შეგიძლიათ თუ არა უფრო მეტის გაგება ჯეინის შესახებ - რა ესმის, რა იცის, რომ უნდა გააკეთოს.



ჯეინი (4 წლის)

დღეს, საწერ მაგიდასთან, ჯეინმა დაწერა ფურცელზე ფანქრით, მარჯვენა ხელის გამოყენებით და შესაბამისი დაჭერით. მან მომიტანა ნამუშევარი და მითხრა, „მე დავწერე ისტორია“. როდესაც ვკითხე, რა ეწერა, მან გამოიყენა საჩვენებელი თითი თითოეული სტრიქონის ქვემოთ მარცხნიდან მარჯვნივ გასაყოლებლად და თქვა, „არ ირბინოთ ჯგუფში. დედა, მე შენ მიყვარხარ. ვფიქრობ, რომ შენ ლამაზი ხარ. მინდა, ოდესმე შენთან ერთად ვიმუშაო. მე შენ გულით მიყვარხარ. მიყვარს ქანაობა. როდესაც მაღლა ავდივარ, ვხტები. შენ გეშინია. დასასრული“

მეთანხმებით, რომ მასწავლებლის ინფორმაცია იძლევა გაცილებით უფრო მეტ ინფორმაციას ჯეინის შესაძლებლობებისა და გაგების პროცესების შესახებ? მართლაც, მას ესმის, რომ ბეჭდურ ტექსტს აქვს მნიშვნელობა და შესაძლებელია მისი გამოყენება კომუნიკაციისთვის. მას მყარად უჭირავს საწერი საშუალება, იყენებს მარჯვენა ხელს და სწორად იჭერს საწერ საშუალებას. ის კარგად გამოხატავს საკუთარ აზრს გრძელ წინადადებებში და ისტორიებს მშვენივრად იაზრებს. გარდა ამისა, ნათელია, რომ ძალიან უყვარს დედა! ნამუშევრისა და მასწავლებლის დაკვირვების კომბინაცია იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას ჯეინის და მისი შესაძლებლობების შესახებ.

ჩვენი რჩევაა, ბავშვების შესახებ ფოტოებითა და ნამუშევრებით შევსებული დაკვირვების ჩანაწერები ოჯახებს მიაწოდოთ საოჯახო შეკრების (საბჭოს) დროს. წიგნი *„ფოკუსირებული პორტფოლიოები“* (გრონლუნდი და ენგელი 2001) აღწერს კონფერენციისადმი მიდგომას (საბჭოსადმი), რომელიც მოიცავს სპეციალურად შექმნილ კრებულის ფორმებს. ფორმაზე მასწავლებელი წერს (ან დაამატებს, დააკრავს) დაკვირვების ჩანაწერს, დაურთავს ფოტოებს ან ნამუშევრებს და მიუთითებს სტანდარტებს, გზამკვლევებს ან სასწავლო მიზნებს, რომლებიც აისახება ბავშვის ნათქვამსა და ქცევაში. სპეციალური საჭიროებების მქონე პატარა ბავშვებთან მომუშავე ყველა თქვენგანისთვის ბავშვების პროგრესის დოკუმენტირება ოჯახის მომსახურების ინდივიდუალური გეგმის (ომიგ) ან ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის (ისგ) მიზნებთან მიმართებით პორტფოლიოს ფორმატშიც შესაძლებელია. სპეციალურ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლები ხაზს უსვამენ ამგვარი დოკუმენტაციის გაზიარების მნიშნველობას ოჯახებისთვის, ვიდრე დიაგნოსტიკური ტიპის სტანდარტიზებული ინსტრუმენტის ქულის ან პროცენტილის შესახებ ანგარიშისა.

წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ, ადრეული განათლების გზამკვლევებთან მისასადაგებლად, ეს ფორმები ადაპტირებული ფორმით ბევრმა და ასხვადასხვა გარემოში გამოიყენა. ქვემოთ წარმოგიდგენთ ადაპტირებული ფორმის შევსებულ მაგალითს გრონლუნდის წიგნიდან *„დაგეგმვა თამაშისათვის, დაკვირვებისა და სწავლებისათვის სკოლამდელ და სკოლისათვის მოსამზადებელ (kindergarten) პერიოდში* „(2012). იხ. დანართი „ბ“ პორტფოლიოს ნაკრების მზა ფორმის გადასაკოპირებლად ან ჩამოტვირთეთ ის დისკზე რესურსების/ფორმების განყოფილებიდან.

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: __დევონი__ თარიღი: ____4-9__ დამკვირვებელი: _____ფილი____

სფერო(ები): _____მეტყველება და წიგნიერება_____

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები: _____უსმენს ისტორიებს, რომლებსაც ხმამაღლა კითხულობენ, სვამს კითხვებს და აკეთებს გააზრებულ, სწორ კომენტარებს. _____

მონიშნეთ, რა ასპექტებს აკვირდებით.

☐ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება ☐განახორციელა დამოუკიდებლად ☐დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)

☒მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება ☒შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ☒დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)

☐ახალი დავალება ბავშვისათვის ☒ შესრულდა თანატოლებთან ერთად ☐დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)

☒ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

დევონმა ბოლომდე უსმინა *ბლინის ისტორიას* (წიგნი სიტყვების გარეშე). ის დაეხმარა კეროლს ისტორიის მთლიანად მოყოლაში, გააკეთა ბევრი კომენტარი, რაც ქმნიდა ისტორიის მთელს აზრს. იგი დაჟინებით ჩაჰყურებდა სურათებს და აკეთებდა წინასწარ პროგნოზს, თუ რა შეიძლება მომხდარიყო.

ამ ინფორმაციის დევონის ოჯახის წევრებისთვის გაზიარების შემდეგ, მასწავლებლებმა განაგრძეს მეტყველებასა და წიგნიერებაში მისი პროგრესის დოკუმენტირება პორტფოლიოს სხვა ფორმებში იმგვარად, რომ შეძლებოდათ დროთა განმავლობაში მეტყველებასა და წიგნიერებაში წინსვლის შედარება. მათ დაგეგმეს, მიჰყოლოდნენ ბავშვის ინტერესს, გადმოეცა ისტორიები და მიეცათ ვარაუდის გამოთქმის, ამბის ხელახლა მოყოლისა და საკუთარის შეთხზვის შესაძლებლობა. პროცესში მასწავლებლებს შეიძლება დაედგინათ, იწყებდა თუ არა დევონი ზოგიერთი ბეჭდური ასოს ამოცნობას.

დოკუმენტაციის შერჩევა შეფასების პორტფოლიოსთვის

შეფასების პროტფოლიოსთვის ზოგიერთი დოკუმენტი სხვებზე უფრო ინფორმაციულია. ინდიკატორთა ჩამონათვალის ტიპის დოკუმენტაცია *არ* უნდა იყოს შეფასების პორტფოლიოს ნაწილი; მისი დოკუმენტირება მარტივადაც შეიძლება (როგორც იხილეთ მე-4 თავში) სწრაფი შემოწმების ჩანაწერის ცხრილში და ჩანაწერების შენახვის სხვა ტიპებში. მაგალითად, ბავშვების უხეშ მოტორიკაზე დაკვირვება და დოკუმენტირება ხშირად არის შესაძლებელი შესაბამის

ინდიკატორთა ჩამონათვალში „კი“ ან „არა“ უჯრის გასწვრივ მონიშვნის გაკეთებით. 4 წლის ასაკის ბავშვი ან ხტის ფეხზე, ან - არა. ბავშვი ინარჩუნებს წონასწორობას დგომისას ან - არა. ამისგან განსხვავებით, ზოგიერთი უნარი უკეთ ფასდება გარკვეული დროის განმავლობაში მიმდინარე დაკვირვების საშუალებით. მაგალითად ბავშვის ექსპრესიული მეტყველების მაგალითები - იქნება ეს სიტყვების ნუსხა 1,5-3 წლის ბავშვების შემთხვევაში ან სკოლამდელების გრძელი, აღწერილობითი ისტორიების ციტატები - უნდა ჩაიწეროს, როგორც პორტფოლიოს ნაწილები. ისინი გვიჩვენებენ ბავშვის ლექსიკის განვითარებას, თვითგამოხატვის და მისი საჭიროებების დაკმაყოფილების უნიკალურ გზებს, რომლებსაც ბავშვი იყენებს.

დოკუმენტირების ყველაზე ინფორმაციული ტიპების წინასწარ დაგეგმვა შეუფერხებლად წარმართავს ე.წ. პორტფოლიოს წარმოების პროცესს. გირჩევთ, გაითვალისწინოთ შემდეგი კითხვები შეფასების პორტფოლიოსთვის საუკეთესო ნაკრების განსასაზღვრად.

- უნარები, რომელთა დოკუმენტირებას ახორციელებთ, სად არის უკეთესად წარმოჩენილი - პორტფოლიოში თუ ინდიკატორთა ჩამონათვალში?
- პორტფოლიოს ნაწილი (დაკვირვების ჩანაწერი, რომელსაც შესაძლებელია ახლდეს სურათი ან ნამუშევარი) აჩვენებს თუ არა იმ უნიკალურ გზებს, რომელთაც ირჩევს ბავშვი რაიმეს გასაკეთებლად?
- აჩვენებს თუ არა პორტფოლიოს ნაწილი ბავშვის მიერ დროთა განმავლობაში განვითარებული მრავალი უნარისა და შესაძლებლობის ინტეგრაციას?

რობინ ს: როდესაც ვხვდები ოჯახებს და ვუზიარებ ჩემს დოკუმენტაციას მათი ბავშვის შესახებ, მშობლები ხედავენ მკაფიო სურათს, რა ხდება და როგორ აჩვენებს სამუშაო, რაზე ვსაუბრობ. ჩემთვის მშობლებს უთხოვიათ დოკუმენტაციის მათთვის დატოვება, რადგან ამაყობენ საკუთარი ბავშვით. მე ვიტოვებ ასლს, ხოლო ორიგინალს ვაძლევ მათ.

ეიპრილი: მშობლებს ვუზიარებ დოკუმენტაციას მათი შვილის პროგრესის საჩვენებლად დროში - ანუ საიდან დაიწყეს, როგორ ვითარდებიან/არ ვითარდებიან.

ინდიკატორთა ჩამონათვალი ძალიან კარგი ინსტრუმენტია ბევრი უნარის დოკუმენტირებისთვის. ბავშვის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშის შესრულებისას უნდა გამოიყენოთ სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი, მაგრამ თუ თვლით, რომ ბავშვის რომელიმე უნარი აღნიშვნის ღირსი და პორტფოლიოში შესატანია, გასათვალისწინებელია დეტალების აღწერაც, რაც არ გულისხმობს მხოლოდ ერთი უნარის ჩაწერას. მაგალითად, თუ თქვენ პორტფოლიოს ფორმაში მხოლოდ დაწერთ, „ითვლის ოთხამდე ერთი-ერთთან შესაბამისობით“, არ აჩვენებთ სხვა უნარებს, რომელიც ბავშვმა გამოავლინა. ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს კონტექსტი, რა სიტუაციაში დაითვალა - სადილობისას, წრეში ჯდომისას, ფერადი დათვებით თამაშისას თუ მეგობარს, აღმზრდელს ან სულაც საკუთარ თავს უზიარებდა, რას ითვლიდა? აჯგუფებდა საგნებს ფერისა და ზომის მიხედვით? იყენებდა მცირე კუნთების მოტორიკას დათვლისას? კარგი პორტფოლიოს დოკუმენტაცია სცდება ინდიკატორთა ჩამონათვალს ისეთი დეტალების გაზიარებით, რომლებიც აჩვენებენ, ინტეგრირებულად როგორ იყენებს ბავშვი მრავალ უნარს დღის განმავლობაში.

როდესაც ამოწურავთ უნარებს, რომელთა დოკუმენტირებასაც აპირებთ ინდიკატორთა ნუსხის ფორმატზე, დაეკითხეთ საკუთარ თავს: რომელია პორტფოლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტები იმ ასაკის ბავშვებისთვის, რომლებთანაც მუშაობთ? რას ავლენს პორტფოლიოს თითოეული პუნქტი ბავშვის განვითარების უნიკალური გზის შესახებ?

ჩვილებისა და ადრეული ასაკის ბავშვებისთვის პორტფოლიოების შედგენისას, გირჩევთ, გაითვალისწინოთ მათი მონაწილეობის ამსახველი დაკვირვების აღწერა ქვემოთ მოცემულ აქტივობებში :

- ყოველდღიური რუტინა
- ურთიერთობა აღმზრდელებთან და სხვა ზრდასრულებთან
- ურთიერთობა სხვა ბავშვებთან
- გარემოს კვლევა.

კვლავ გავიმეორებთ, რომ შეგიძლიათ ამ დაკვირვებების პორტფოლიოს ფორმაში ჩაწერა და განსაზღვრა ადრეული განათლების გზამკვლევებისა, რომლებიც აანალიზებენ, თუ რას აკეთებს ან რისკენ მიიღწვის ბავშვი. ეპიზოდისთვის ფოტოსურათის დართვა მშობლებს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის გარემოზე, ატმოსფეროზე, სადაც მის შვილზე საუკეთესოდ ზრუნავენ. ოჯახებს უყვართ ფოტოები და აფასებენ, როდესაც საკუთარ ბავშვს თქვენი მზრუნველობის ქვეშ ხედავენ.

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: _____კენდალი_____ ასაკი: __14 თვის_____

დამკვირვებელი: _____დეანა_____ თარიღი: ____9/10/08____

სფერო(ები): _____სხვებისადმი ინტერესი და კომუნიკაცია_____

ამ დოკუმენტში დემონსტრირებული სასწავლო მიზნები: ___აქტიურად გამოხატავს სიყვარულს ნაცნობი ადამიანის მიმართ და იკვლევს წიგნებს ინტერესით _____

მონიშნეთ, რა ასპექტებს აკვირდებით:

☒ ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება ☒განახორციელა დამოუკიდებლად ☒დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)

☐მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება ☐შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ☐დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)

☐ახალი დავალება ბავშვისათვის ☐ შესრულდა თანატოლებთან ერთად ☐დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)

☐ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

კენდალი ათვალიერებდა ჯგუფის წიგნს. ერთ-ერთ გვერდზე ჩემი და კონორის ფოტოს ნახვისას, თითი დაადო სურათს და გაიღიმა. როდესაც ვკითხე, „კენდელ, მიპოვე მე?“, აიღო წიგნი, გაიღიმა და აკოცა ჩემს სურათს.



სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის თქვენი შეფასების პორტფოლიოები უნდა მოიცავდეს დაკვირვების ჩანაწერებს, ფოტოსურათებს და ნამუშევრებს. გაითვალისწინეთ პორტფოლიოს შემდეგი პუნქტების შეგროვება ამ ასაკის ჯგუფისათვის:

- მეტყველების ნიმუშები
- ნაწერების ნიმუშები
- წაკითხულზე რეაგირება
- მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტა
- მასალები, რომელიც მოიცავს მათემატიკურ აზროვნებას (ნიმუშის მიხედვით შექმნა, გეომეტრიული ფიგურები)
- სამეცნიერო კვლევები
- თვითანალიზი
- ხელოვნების/ხატვის ნიმუშები

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: __ეტანი__ თარიღი: ____2/1/12__ დამკვირვებელი: _____დევისი____

სფერო(ები): _____მეცნიერება, ნატიფი მოტორიკა, სოციალურ-ემოციური. სწავლისადმი მიდგომა_____

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები: ___იყენებს გრძნობათა ორგანოებს გამოკვლევისთვის, იჭერს მცირე საგნებს, თამაშობს სხვებთან ერთად, ფოკუსირებას ახდენს ამოცანაზე, გადაჭრის პრობლემას_____

მონიშნეთ, რა ასპექტებს აკვირდებით:

☐ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება	☒განახორციელა დამოუკიდებლად	☐დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)
☒მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება	☐შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით	☐დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)
☒ახალი დავალება ბავშვისათვის	☒ შესრულდა თანატოლებთან ერთად	☒დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)
☐ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება		

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

ეტანი (3 წლის და 8 თვის) დარჩა „წამლების მაგიდასთან“ ერთი საათის განმავლობაში და ერთმანეთში ურევდა წყალს, ქვიშას, ზეთს, ჭუჭყს, წებოს, სიმინდის სახამებელს და საჭმელ სოდას. მუშაობისას არ ელაპარაკებოდა სხვებს და როცა სჭირდებოდა, მხოლოდ მასწავლებელს სთხოვდა წყლის დამატებას.



შეფასების პორტფოლიოების პუნქტები - როგორც დოკუმენტაცია ბავშვთა ჯგუფისთვის - არ უნდა იყოს ერთნაირი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ბავშვის დოკუმენტაციის ნაკრები სწორედ ამ იდივიდს აღწერდეს და ნათლად კვეთდეს დაკვირვების ასპექტებს. ეს იქნება ფასდაუდებელი მასალა თქვენთვის და ბავშვის ოჯახისთვის. შეფასების პორტფოლიოს პუნქტებზე მსჯელობისას, კოლეგებთან ერთად განიხილეთ შემდეგი:

- რა აინტერესებს და ხიბლავს ბავშვს?
- რა იქცევს და რაზე ამახვილებს ბავშვი ყურადღებას?
- რა უნარებს მოიცავს პორტფოლიოს ეს პუნქტი?
- როგორ ახდენს ბავშვი საკუთარი უნარების ინტეგრირებას და იყენებს ცოდნას?
- რას სწავლობთ ბავშვისა და მისი თვისებების, როგორც შემსწავლელის (სწავლის სუბიექტის) შესახებ?

ოჯახის წევრებისთვის ამგვარი დოკუმენტაციით შევსებული პოტფოლიო განძის ტოლფასია. ქვემოთ წარმოდგენილია სამი მაგალითი პორტფოლიოს პუნქტებისა, რომლებიც, ჩვენი აზრით, აჩვენებს თითოეული ბავშვის უნიკალურობას.

ლილიანი: მშობელთა და მასწავლებელთა ერთ- ერთ საერთო კონფერენციაზე ორმა მშობელმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ამ ტიპის შეხვედრებს, სადაც შვილების პორტფოლიოებს ეცნობიან. პორტფოლიოები არის პირადი საქმე თითოეული ბავშვის შესახებ და მოხსენების მსგავსი ზოგადი მონახაზი. მშობლები, ჩვეულებრივ, იღიმებოდნენ, როდესაც კითხულობდნენ ბავშვების კომენტარებს ან ნახულობდნენ ფოტოებს პორტფოლიოში.

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: __ეშლი__ თარიღი: ____4/16/12__ დამკვირვებელი: _____ბრუკ____

სფერო(ები): _____მათემატიკა, წიგნიერება, სწავლისადმი მიდგომა_____

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები: _____ახდენს დახარისხებას და კლასიფიკაციას, საუბრობს, ლექსიკა (ფერების აღმნიშვნელი სიტყვები), რეაგირებს წაკითხულ ისტორიებზე, ფოკუსირებას ახდენს ამოცანაზე, ავლენს ინიციატივას _____

მონიშნეთ, რა ასპექტებს აკვირდებით:

☒ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება	☒განახორციელა დამოუკიდებლად	☐დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)
☐მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება	☐შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით	☒დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)
☒ახალი დავალება ბავშვისათვის	☐ შესრულდა თანატოლებთან ერთად	☐დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)
☐ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება		

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

ეშლიმ ყველაფერი დამოუკიდებლად გააკეთა. იმუშავა დაახლოებით ათი წუთი, შემდეგ მიუტანა ნამუშევარი მასწავლებელს და უთხრა: „შეხედე, მე ყველა ფერი ერთად დავალაგე. აქ არის მწვანე, ყვითელი, წითელი და ლურჯი“. ჯგუფმა ახლახანს წაიკითხა საბავშვო წიგნი *ჩიკა ჩიკა ბუუმ ბუუმ.* მან თქვა, „ხედავ, ასოები ყველა ცვივა“.



პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: __ჯენელი__ თარიღი: ____11/28/11__ დამკვირვებელი: ____ტერეზა____

დარგ(ებ)ი: _____მათემატიკა, წიგნიერება, სწავლისადმი მიდგომა_____

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები: __ნატიფი მოტორიკა, ცნებების აგება, სწავლისადმი მიდგომა, ურთიერთობა სხვებთან_____

მონიშნეთ, რა ასპექტებს აკვირდებით:

☐ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება ☒განახორციელა დამოუკიდებლად ☒დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)

☒მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება ☒შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ☐დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)

☒ახალი დავალება ბავშვისათვის ☒ შესრულდა თანატოლებთან ერთად ☐დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)

☐ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

ჯენელი ცდილობდა პლასტიკატის ვარსკვლავების ერთმანეთზე დამაგრებას მათი დატრიალებით და ზეწოლით იქამდე, სანამ ისინი ერთმანეთზე არ მაგრდებოდა. შემდეგ, მან დაუმატა ვარსკვლავები იმ კონსტრუქციას, რომელსაც მასწავლებელი აკეთებინებდა დანარჩენ ბავშვებს.



პორტფოლიოს შეგროვების ფორმა

ბავშვის სახელი: __ლუკასი__ თარიღი: ____5/5/12__ დამკვირვებელი: ____მარგარეტი____

დარგ(ებ)ი: ნატიფი მოტორიკა, წიგნიერება,სწავლისადმი მიდგომა_____

ამ დოკუმენტში წარმოდგენილი სასწავლო მიზნები: __ ხელის შესაბამისი დაჭერა, წერს ამოცნობად ასოებს, ესმის, რომ ბეჭდურ ტექსტს აქვს მნიშვნელობა, საუბრობს, ლექსიკა (ცხრილი), კონცენტრირებას ახდენს დავალებაზე_____

მონიშნეთ, რას აკვირდებით:

☒ბავშვის მიერ ინიცირებული მოქმედება ☒განახორციელა დამოუკიდებლად ☐დახარჯული დრო (1-დან 5 წუთამდე)

☐მასწავლებლის მიერ ინიცირებული მოქმედება ☐შესრულდა მასწავლებლის ხელმძღვანელობით ☐დახარჯული დრო (5-დან 15 წუთამდე)

☐ახალი დავალება ბავშვისათვის ☐ შესრულდა თანატოლებთან ერთად ☒დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)

☒ამ ბავშვისთვის ნაცნობი დავალება

ეპიზოდური ჩანაწერი: აღწერეთ სიტუაცია, რას აკეთებდა ან/და ამბობდა ბავშვი (თან დაურთეთ ფოტო ან ნამუშევარი).

ლუკასს ჰქონდა მარკერები და ფურცელი. დაწერა დამოუკიდებლად, იმუშავა მარჯვენა ხელით და დასჭირდა თითქმის თხუთმეტი წუთი. მარკერი სწორად ეჭირა. შემდეგ მან მიუტანა ფურცელი მასწავლებელს და თქვა: „ეს არის ქვედა და ზედა რეგისტრის ასოების ცხრილი“.



დროის მენეჯმენტი და პორტფოლიოს შეგროვება

პორტფოლიოს დოკუმენტაციის შეგროვებისას სიფრთხილეა საჭირო. ბევრი მასწავლებელი აღნიშნავს, რომ დროის მენეჯმენტი საკმაოდ რთულია. მათ უჭირთ დროის გამონახვა დოკუმენტაციის მოსაწესრიგებლად და დასაორგანიზებლად. შესაძლებელია, რომ ეს საქმე სხვა დროისთვის გადადონ. ჩვენ რეკომენდაცია იქნება, არ დაელოდოთ მონაცემების შეგროვების პერიოდის დასასრულს დოკუმენტირების დასაწყებად. დაკვირვება და დოკუმენტირება მიმდინარე პროცესია. პორტფოლიოს დოკუმენტაცია არ არის იმისთვის, რომ გვიჩვენოს, სად იქნება ბავშვი მონაცემების შეგროვების პერიოდის დასასრულს. ის უფრო მეტად ორიენტირებულია გაკვეული დროის განმავლობაში ბავშვის ზრდისა და სწავლების პროცესის დოკუმენტირებაზე. თქვენი პორტფოლიო გაცილებით უფრო მეტად მნიშვნელოვანი და ინფორმაციული იქნება ოჯახებისთვის და თქვენთვის, თუ არჩეული სტრატეგიის ორგანიზებას განახორციელებთ დროთა განმავლობაში, ვიდრე კონფერენციების დაწყების წინა ერთ ან ორ კვირას დაელოდებით.

წარმოგიდგენთ რამდენიმე ეფექტურ მეთოდს პორტფოლიოს დოკუმენტაციის შესაგროვებლად:

- იქონიეთ გეგმა და მზად გქონდეთ დოკუმენტირების საშუალებები (კამერა, წებოვანი ფურცლები, პლანშეტები და ა.შ.)
- გამოაკარით თქვენი სტანდარტები ან გზამკვლევის მითითებები, რაც შეგახსენებთ, რას ეძებთ
- ჩამოწერეთ მეხსიერებისთვის „ბიძგის მიმცემი პუნქტები“ ან გადაიღეთ ფოტოები, თუ მხოლოდ ამის დრო გაქვთ
- გახსოვდეთ „შესვენება ხუთი წუთით“, რათა შეავსოთ დოკუმენტაციის დეტალები და ჩასვათ ისინი პორტფოლიოს ფორმებში.

კურიკულუმის კარგი დაგეგმვა უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორია პორტფოლიოს შეგროვებაში. ბავშვებს მიეცით საკმარისი დრო კვლევისა და თამაშისათვის ღირებული ნიმუშების შესაქმნელად. აღჭურვეთ ისინი მასალებით და მოიფიქრეთ აქტივობები, რომლებიც ყურადღებას იქცევენ და იზიდავენ ბავშვებს. შეადგინეთ ისეთი აქტივობები, რომლებიც აქტიურად ჩართავენ ბავშვებს პროცესში და ხელს შეუწყობს მათი მრავალი უნარის გამოვლენას. თუ თქვენ ეძებთ წერილობით, ნახატ ნიმუშებს ან მათემატიკურ გამოსახულებებს, უნდა გქონდეთ შესაბამისი მასალები და ინსტრუმენტები მათ შესაქმნელად.

წერილობითი შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება ოჯახებისთვის

პორტფოლიო უნდა იყოს ბავშვის შესაძლებლობებისა და განვითარების ეტაპებზე გამოვლენილი უნარების ამსახველი მტკიცებულება. შესაძლოა, განვითარების გარკვეული სფეროები ან უნარები არ აისახოს პორტფოლიოში, თუმცა ინფორმაცია მათ შესახებ ოჯახს მაინც უნდა მიეწოდოს. ეს დეტალები უნდა შეჯამდეს მოკლე წერილობით ანგარიშში,

რომელიც დაეხმარება ოჯახს სხვადასხვა სფეროში ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეებისა და იმ დამატებითი უნარების გააზრებაში, რომლებიც პორტფოლიოს დოკუმენტაციაში არ აისახა. ამ პროცესის ერთ-ერთი ნაწილია გეგმების შემუშავება იმ სფეროებში, რომლებშიც თქვენთან და სხვა კოლეგებთან ერთად ოჯახი და მათი შვილები იმუშავებენ.

ოჯახისთვის შემაჯამებელი ანგარიშის მომზადების საწყისი ეტაპი პროცესის გაანალიზებაა. გამოყავით დრო და გადახედეთ დოკუმენტაციას, რათა განსაზღვროთ ბავშვების ზრდისა და შესწავლის შედეგები, რაც დიდ დახმარებას გაგიწევთ ბავშვის წინსვლის გააზრებასა და პრობლემური სფეროების გამოვლენაში. რა თქმა უნდა, ანალიზის პროცესი თქვენთვის დოკუმენტაციის შეგროვებისასაც მიმდინარეობს, თუმცა ანგარიშის დაწერამდე მონაცემების შეგროვება უნდა შეწყდეს და მეტი ყურადღება გამახვილდეს უკვე არსებულ მონაცემებზე, რის საფუძველზეც განსაზღვავთ ოჯახისთვის მისაწოდებელ მასალას. ამ პროცესმა, შესაძლოა, ბავშვის შესახებ ახალ მოსაზრებებამდე მიგიყვანოთ.

არსებობს გამოქვეყნებული შეფასების სისტემები, რომლებიც ოჯახებთან საუბრისთვის გამოსაყენებელ ანგარიშებს მოიცავს. ზოგიერთი მასწავლებელი ანგარიშის საკუთარ ფორმას ქმნის. მაგალითად, დიანა ლამბი, რომელიც მუშაობს საბავშვო ბაღში „პატარა ბატკანი“, (ინდიანა, ლებანონი), საკუთარი დაკვირვებების ორგანიზებისთვის *ფოკუსირებული პორტფოლიოს* მიდგომას იყენებს. ოჯახის წევრებისთვის ანგარიშის მოსამზადებლად მან ქვემოთ მოცემული ფორმატი შექმნა:

საბავშვო ბაღი „პატარა ბატკანი“

ბავშვის სახელი: ---------- თარიღი: ----------

განვითარების ნიშანსვეტები

1. უხეში მოტორიკა

აქტიური ხტომა ხტუნვა

2. ნატიფი მოტორიკა

მაკრატელი ხატვა სახელი

დამოუკიდებლად მუშაობის უნარი

3. ემოციური და სოციალური კომპეტენცია

თამაშის ტიპი

სხვებთან ურთიერთობა

თვითდისციპლინა

თვითშეფასება

თვითმომსახურების უნარები

4. აზროვნება, პრობლემების გადაჭრა

რაოდენობრივი წარმოდგენები

ყურადღების კონცენტრაცია

ცნობისმოყვარეობა

იდეების გენერირება

5. მეტყველება და კომუნიკაცია

ესმის და მიჰყვება მითითებებს

მონაწილეობს ჯგუფურ საუბრებში

ლექსიკა

6. შემოქმედებითი განვითარება

ხელოვნება

მუსიკა

დრამატული თამაში

7. კითხვისა და წერის უნარების განვითარება

უსმენს ამბებს

დაინტერესებულია ასოებით, წიგნებით

ანგარიშში აუცილებლად უნდა შეჯამდეს ორი ელემენტი: ბავშვის ზრდა და მიღწევები ყველა სფეროში და მიზნები, რომლებზეც თქვენ და თქვენი კოლეგები ბავშვთან ერთად გააგრძელებთ მუშაობას. თავის ნაშრომში „თამაშის, დაკვირვებისა და სწავლების დაგეგმვა“ (2012) გრონლუნდი მასწავლებლებს ბავშვის პროგრესის ოჯახებისთვის შეტყობინების ფორმატს სთავაზობს. ოჯახის/მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიშის ნახვა „ბ“ დანართში შეგიძლიათ. მის გადმოწერას დისკიდან, რესურსების/ფორმების სექციიდანაც შეძლებთ. ქვემოთ მოცემულია შევსებული ანგარიში, რომელში ნახავთ ზემოთ მოცემულ ელემენტებსაც. ყურადღება მიაქციეთ, რომ ანგარიშისთვის გამოყოფილი გრაფები მცირე ზომისაა - ოჯახთან კომუნიკაციის ლაკონურობისა და სიცხადისათვის მხოლოდ ბავშვის განვითარების

უმთავრესი ასპექტების ხაზგასმაა საჭირო. გახსოვდეთ, განხილვისთვის თქვენ ბავშვის პორტფოლიოს დოკუმენტაციის წარდგენაც მოგიწევთ. მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშში მოცემული ინფორმაცია პორტფოლიოში მოცემულ მონაცემებს შეესაბამებოდეს. ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთს მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს. როგორც ქვემოთ მოცემულ ანგარიშში ჩანს, თქვენი შეჯამების დასადასტურებლად, მითითებულია „იხ. პორტფოლიოს ნაწილი.“

ოჯახის/მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში

ბავშვის სახელი: სიდნი ჰ. თარიღი: 11/4
მასწავლებელი: პეგი პროგრამა/დაწესებულება: საბავშვო ცენტრი „მხიარული მდელო“

სფერო: მათემატიკა და რაოდენობრივი წარმოდგენები

ზრდა და მიღწევები	ითვლის საგნებს, შეუძლია რაოდენობის დადგენა (7-მდე, ერთი-ერთზე კომუნიკაციისას) (იხ.პორტფოლიოს ნაწილი მათემატიკის შესახებ); ცნობს და ასახელებს ფიგურებს; ცდილობს გაზომოს.
გავაგრძელებთ მუშაობას	სიდნის მივცემთ შესაძლებლობას, განავითაროს თავისი ინტერესი რაოდენობრივ მიმართებებსა და თვლაში; დასათვლელად მივცემთ საგნებს და მათ რაოდენობას თანდათან გავზრდით; წავახალისებთ გეომეტრიის სამი განზომილების შესწავლას, მივცემთ გაზომვის მეტ საშუალებას.

სფერო: ფიზიკური განვითარება

ზრდა და მიღწევები	სიდნი ადვილად დახტის და დაცოცავს; ის სამი თითით იჭერს საწერ და სახატავ საგნებს და ხელების წვრილ კუნთებს მძივების, თავსატეხებისა და მაკრატლების მანიპულირებისთვის იყენებს.
გავაგრძელებთ მუშაობას	სიდნის მივცემთ შესაძლებლობას, თავისი უხეში მოტორიკა კიდევ უფრო კომპლექსურად გამოიყენოს, მაგალითად, დაბრკოლებების გადალახვით, როგორც შენობაში, ისე - ღია ცის ქვეშ, ნატიფი მოტორული უნარები კი გამოიყენოს- ხელოვნებისა და წერისთვის, აგრეთვე- მანიპულატივების ცენტრში.

სფერო: მეტყველება და წიგნიერება

ზრდა და მიღწევები	წერს ხშირად გამოყენებულ სიტყვებსა და სახელებს (საკუთარ სახელს, დედას, მამას, სიყვარულს) (იხ. პორტფოლიოს ნაწილი წერის შესახებ); მოსწონს წიგნები და საწყის დონეზე ესმის ბეჭდვის არსი
გავაგრძელებთ მუშაობას	მივცემთ წერის სხვადასხვა ინსტრუმენტს, წავახალისებთ, რათა საკუთარი ისტორიები შექმნას და რაც შეიძლება მეტი სიტყვა დაწეროს დამოუკიდებლად; მივცემთ კითხვის მეტ შესაძლებლობას, როგორც დიდ და პატარა ჯგუფებში, ისე ინდივიდუალურად.

სფერო: სოციალური მეცნიერებები

ზრდა და მიღწევები	სიდნის აინტერესებს სახლთან, სკოლასთან და თემტან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, როგორც ჩვენ მიერ დაგეგმილი აქტივობების დროს, ისე საკუთარი როლური თამაშებისას (განსაკუთრებით, სათამაშო ცხოველების ვეტერინარის როლის შესრულება მოსწონს!)
გავაგრძელებთ მუშაობას	დავეხმარებით სინდის, რომ ფართო საზოგადოების შესახებ საკუთარი ცოდნა ექსკურსიებისა და თემის წევრების ვიზიტების საშუალებით უფრო მეტად გააღრმავოს; დრამატულ თამაშებში მივცემთ სხვადასხვა როლის განსახიერების შესაძლებლობას.

სფერო: სოციალური და ემოციური

ზრდა და მიღწევები	თავს კომფორტულად გრძნობს ახალ ადამიანებთან და ახალ სიტუაციებში, მონაწილეობს ჯგუფურ თამაშებსა და საქმიანობებში; სწავლობს კონფლიქტების მოგვარებას წამოჭრისთანავე.
გავაგრძელებთ მუშაობას	დავეხმარებით სიდნის ახალ და რთულ სოციალურ სიტუაციებში; სხვა ბავშვებთან კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში, ხელს შევუწყობთ მას საკუთარი ემოციების სწორად გამოხატვაში.

სფერო:	მეცნიერება
ზრდა და მიღწევები	ჩანს გაზრდილი ცნობიერება და გააზრება ნივთიერებათა ცვლილებებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესახებ (იხ. პორტფოლიოს ნაწილი მეცნიერების შესახებ)
გავაგრძელებთ მუშაობას	წავახალისებთ ცოცხალი და არაცოცხალი სხეულების მეცნიერულ ჭრილში განხილვის სურვილს და მივცემთ მათი შესწავლის მეტ შესაძლებლობას წიგნების, ექსკურსიებისა და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის გზით.

სფერო:	შემოქმედებითი ხელოვნება
ზრდა და მიღწევები	მიზნობრივად იყენებს მრავალფეროვან გამომსახველობით საშუალებებს, ხშირ შემთხვევაში, უკვე წარმოდგენილი აქვს საბოლოო შედეგი (იხ. პორტფოლიოს ნაწილი შემოქმედებითი ხელოვნების შესახებ)
გავაგრძელებთ მუშაობას	წავახალისებთ სიდნის, რომ გამოსცადოს სხვადასხვა გამომსახველობითი საშუალება და მივცემთ საკმარის დროს საკუთარ შემოქმედებაზე სამუშაოდ.

ყურადღება მიაქციეთ, რა სიფრთხილით ივსება ანგარიში ბავშვების შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ. კომენტარებში აქცენტი კეთდება ბავშვის ზრდასა და გავითარებაზე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძება ამ მხრივ შეიძლება გადადგმულიყო მცირე ნაბიჯები, ნაცვლად გიგანტური ნახტომებისა. ბავშვის სუსტ მხარეებზე და გამოწვევებზე სასაუბროდ გამოყენებულია გრაფა „გავაგრძელებთ მუშაობას.“ ბავშვებთან მუშაობის გაგრძელების მიზნების დადგენისას, თქვენ ასახელებთ იმ სფეროებს, რომლებზეც თქვენ და თქვენი კოლეგები კონკრეტული ბავშვისათვის დამატებით მხარდაჭერას, აქტივობებს, უნარების განვითარების საშუალებას ან გამოწვევებს უზრუნველყოფთ. გარდა ამისა, ბევრი მასწავლებელი ოჯახებს სთხოვს, მიზნების დაგეგმვაშიც მიიღონ მონაწილეობა. ამ თავის მომდევნო სექციაში განვიხილავთ ოჯახისა და მასწავლებლის ურთიერთობაში ოჯახის უფრო აქტიურად ჩაბმის ხელშემწყობ გზებს.

ოჯახის წევრებთან პირისპირ შეხვედრა ინფორმაციის გაზიარების მიზნით

შესაძლოა, ოჯახის წევრებთან შვილებზე საუბარი საოცრად სასარგებლო და შინაარსიანი აღმოჩნდეს. ბავშვების განვითარების შესახებ ინფორმაციის ოჯახებისთვის გაცნობა და სიხარულისა თუ პრობლემების გაზიარება ორივე მხარეს ბავშვის საჭიროებების გააზრებასა და დაკმაყოფილებაში ეხმარება. ოჯახებს საკუთარი ბავშვების მიმართ განსაკუთრებული ხედვა აქვთ; ადრეულ მასწავლებლებთან შედარებით, მათ უკეთ იცნობენ და უფრო კარგად ესმით მათი. ბავშვები, როგორც წესი, სხვადასხვა გარემოში სხვადასხვანაირად იქცევიან. ოჯახებმა იციან შინაურ გარემოში ბავშვების ძილისა და ჭამის რეჟიმი და შეუძლიათ, მაგალითად, ტუალეტის პროცედურების სწავლისადმი მათი მიდგომის გაზიარება.

ანტონი: გამოხმაურებების უმეტესი ნაწილი, რომელსაც ვიღებ ოჯახებისაგან, ეხება სახლის პირობებში ბავშვებზე, განსაკუთრებით კი - მათ ქცევებზე დაკვირვებას. ცხადია, ოჯახებისგან მიღებული ინფორმაცია ძალიან დიდ დახმარებას მიწევს ბავშვის ზოგიერთი საჭიროების გაგებასა და სხვადასხვა ქცევის მიზეზების უკეთ გააზრებაში.

მათ შეუძლიათ, სკოლამდელი ასაკის ბავშვის ინტერესებისა და განვითარების შესაძლებლობების შესახებ ისეთი ინფორმაცია მოგაწოდონ, რომელიც თქვენთან გატარებული დროის განმავლობაში არ გამოჩენილა. ყველა ასაკის ბავშვებისთვის საჭიროა, ოჯახის წევრებს საკუთარი ტრადიციებისა და განსაკუთრებული კულტურული პრაქტიკის გაზიარება ვთხოვოთ.

პერსპექტივების გაცვლა კურიკულუმის ინდივიდუალიზების პროცესს თქვენთვის უფრო ეფექტიანს გახდის და ოჯახის წევრებს დაეხმარება, თავი პროცესში ჩართულად იგრძნონ. მაგალითად, ბავშვი, რომელიც სკოლამდელ დაწესებულებაში ჩუმია, შესაძლოა, სახლში ძალიან ენაწყლიანი იყოს. ამ ინფორმაციის მიღება თქვენ ბავშვის ვერბალურ უნარებში გარწმუნებთ და საშუალებას გაძლევთ, მას სხვა მხრიდან შეხედოთ. თქვენთან ერთად ყოფნისას ბავშვებმა, შესაძლოა, უფრო მეტად აკონტროლონ საკუთარი საქციელი, ვიდრე ამას სახლში გააკეთებდნენ. ამ ინფორმაციის გაზიარება დაარწმუნებს ოჯახებსაც, რომლებსაც სახლში გაცხარებისა და აფეთქების გადატანა უხდებათ.

როგორც ოჯახის წევრებს, ისე მასწავლებლებს სურთ, რომ ბავშვები განვითარდნენ და წარმატებას მიაღწიონ. ოჯახებს აინტერესებთ, რომელი პროგრამა ახდენს მათ ბავშვზე დადებით გავლენას. მათ სურთ, რომ ადრეული ასაკის პროგრამის პერსონალი საკუთარ ქცევაზე პასუხს აგებდეს; სურთ, რომ პროგრამის მიზნები ბავშვების ყოველდღიურ აქტივობებზე აისახოს. მათ აინტერესებთ, თუ როგორ ვითარდება მათი შვილი, რა აქტივობებში მონაწილეობს და სკოლაში რისი გაკეთება მოსწონს. მათ აინტერესებთ განვითარებისა და სწავლის რომელი ძლიერი მხარეები შეამჩნიეთ ბავშვში. ისინი, შესაძლოა, ნერვიულობდნენ იმ ნაწილებზე, რომლებიც პრობლემურ სფეროებად გამოყავით. ოჯახებთან ერთად დროის გამოყოფით თქვენ მათ ატყობინებთ, რომ ბავშვი კარგ პირობებშია და იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მას ზრდასა და სწავლაში ეხმარებიან.

შეხვედრების დაგეგმვა ოჯახებთან პოზიტიური ურთიერთობის დასამყარებლად

როზმერი: ხშირად მშობელს მხოლოდ იმიტომ ვესაუბრები, რომ ხაზი გავუსვა მისი შვილის იმდღევანდელ მიღწევებს.

დეანა: ოჯახის წევრებთან შეხვედრისას ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ სასწავლო მიზნების მშობლებთან ერთად დასახვის საშუალება მეძლევა. თითოეულ ოჯახს განსხვავებული კულტურა და სხვადასხვა წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ რა არის ბავშვისათვის მნიშვნელოვანი. ოჯახთან ურთიერთობის დამყარებისა და კომუნიკაციის გზით, ბავშვის, ოჯახის ინტერესებისა და ბავშვის ზრდასთან დაკავშირებული იმედებისა თუ ოცნებების შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას ვიღებ.

ინფორმაციის გაზიარების მიზნით, ოჯახის წევრებთან შეხვედრები რეგულარულად უნდა დაიგეგმოს. ბევრი პროგრამა წლის განმავლობაში ორ ან სამ კონკრეტულ თარიღს განსაზღვრავს მშობლებთან შესახვედრად, რათა მასწავლებლებმა ოჯახის წევრებთან ერთად ბავშვის განვითარებისა და სწავლების პროცესი განიხილონ. ადრეული ასაკის პროგრამების უმრავლესობა ამ ინფორმაციას პროცედურებშივე შეიცავს და ოჯახის წევრებს შესაბამისი დროის შესახებ აფრთხილებს. ურთიერთობის დამყარებისა და ყოველდღიური კომუნიკაციისთვის მნიშვნელოვანია ოჯახის წევრებთან დაუგეგმავი, ბავშვების დაწესებულებაში დატოვების ან მოკითხვის დროს შემდგარი შეხვედრები. თუმცა, ფორმალური შეხვედრები თქვენ და ოჯახის წევრებს გაძლევთ საშუალებას, უფრო სიღრმისეულად გაეცნოთ ბავშვის მიღწევებსა თუ პრობლემებს და განიხილოთ ბავშვის ინტერესებზე მორგებული ერთობლივი მუშაობის საკითხები. შეხვედრა აუცილებლად ისეთ დროს უნდა დანიშნოთ, რომ ყველა მშობელმა შეძლოს მოსვლა. ხშირ შემთხვევაში, ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ შეხვედრებზე მშობლების მოუსვლელობა პერსონალის გაღიზიანებას იწვევს, ამიტომ ოჯახებს უნდა ჰქონდეთ მათთვის ხელსაყრელი დროისა და ადგილის შერჩევის შესაძლებლობა. ოჯახების დღის განრიგი განსხვავდება ერთმანეთისგან. შეიძლება, ვერასდროს მოხერხდეს ყველა მშობლის ერთსა და იმავე დღის კონკრეტულ დროსა და ადგილზე შეხვედრის გამართვა, ამიტომ ისინი ინდივიდუალურად უნდა დაიგეგმოს. არ არის გამორიცხული, რომ შეხვედრა საღამოს საათებში რომელიმე ოჯახშიც კი შედგეს. მშობლებს, რომელთაც გადატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, შესაძლოა, საუზმის ან სადილის დროს რესტორანში, კაფეშიც შეხვდეთ და იქ ისაუბროთ.

რიგ შემთხვევებში, ერთადერთი გამოსავალი ე.წ. სატელეფონო კონფერენციაა, მაგრამ მსგავსი ტიპის ურთიერთობისას არ ჩანს სრული სურათი და ჩნდება პრობლემა - პორტფოლიოს ნაწილებსა და შემაჯამებელ ანგარიშს ერთობლივად ვერ განიხილავთ. თუ ოჯახის წევრებს ამ მასალას სატელეფონო კონფერენციამდე მიაწვდით, მაშინ ისაუბრებთ ბავშვის მხოლოდ იმ დრომდე მიღწეულ შედეგებზე (ასევე, შეგიძლიათ, განიხილოთ დოკუმენტების ასლების ელექტრონული ფოსტით გადაგზავნის ან დისკზე ჩაწერისა და შემდეგ ოჯახისთვის გადაცემის შესაძლებლობა; გამოყენება ვებ-კამერის ან ვიდეოკონფერენციის აპლიკაციისა, რომელიც

ერთმანეთის დანახვისა და მასალების ჩვენების შესაძლებლობას იძლევა). ოჯახებთან შეხვედრისა და მათთვის დოკუმენტების გაზიარების შემოქმედებითი გზების ძიება, ადამიანებს აფიქრებინებს, რომ აფასებთ და ზრუნავთ მათზე. მთავარია, გვახსოვდეს: თუკი ოჯახი ვერ ახერხებს დადგენილ დროსა და ადგილას შეხვედრაზე დასწრებას, თქვენ უნდა აიღოთ მათთვის ხელსაყრელ დროსა და პირობებში შეხვედრის გამართვის პასუხისმგებლობა.

სასურველია, რომ მშობლებთან დაგეგმილი შეხვედრის ხანგრძლივობა 30-45 წუთს არ აღემატებოდეს. ამაზე ნაკლები დრო პორტფოლიოსა და ანგარიშის დოკუმენტების სიღრმისეულად განხილვის საშუალებას არ მოგცემთ. ზოგიერთი პროგრამა შეხვედრის დროს ისე ათანხმებს, რომ ოჯახის წევრებმა დოკუმენტაციას თავდაპირველად მასწავლებლის გარეშე გადახედონ. ოჯახები მასწავლებელთან შეხვედრის დრომდე 15 წუთით ადრე მოდიან და ამ თხუთმეტ წუთს დაკვირვებების, ფოტოების, ნამუშევრებისა და შემაჯამებელი ანგარიშის დასათვალიერებლად იყენებენ. შემდეგ, მასწავლებელთან საუბრის დრო, შესაძლოა, ოციოდე წუთი იყოს. ჩამოყალიბებული დღის წესრიგის გაგზავნა, ორივე ნაწილისთვის საჭირო სავარაუდო დროის მითითებით, ოჯახის წევრებს წინასწარ აცნობს შეხვედრის მსვლელობისა და გეგმის დეტალებს. ჩვენი რჩევაა, ოჯახებთან საუბრისათვის 124-126 გვერდებზე მოცემული შემაჯამებელი ანგარიშის ფორმატი გამოიყენოთ; თავდაპირველად, განიხილეთ ბავშვის ზრდა და მიღწევები, შემდეგ კი - თქვენი მიზნები და პრობლემური სფეროები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ოჯახებისთვის პრობლემური სფეროების გარშემო საუბარი ბევრად მარტივია მაშინ, როდესაც ბავშვის წინსვლისა და ზრდის მაგალითებს უკვე იცნობს.

ოჯახებთან შეხვედრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გულდასმით მოსმენით უნარს. როდესაც თანამოსაუბრეს ყურადღებით უსმენენ, მას ექმნება განცდა, რომ მისი აზრები მნიშვნელოვანი და საინტერესოა. ბუნებრივია, ყოველთვის იოლი არ არის იმის მოსმენა და გაგება, რასაც ოჯახის წევრები ამბობენ. ზოგ შემთხვევაში, იმაზე ფიქრით ხართ გართული, თუ რა ინფორმაციის გაზიარება გსურთ ბავშვის განვითარებისა და ზრდის შესახებ. ამ შემთხვევაში, თქვენ, შესაძლოა, სათანადოდ ვერ ჩაუღრმავდეთ მშობელთა ამა თუ იმ მოსაზრებას, რათა მთელი ყურადღება გადატანილი გაქვთ და ფიქრობთ სხვა მნიშვნელოვან ასპექტზე, მაგალითად, ბავშვის განვითარების ეტაპებზე სხვადასხვა სფეროში და გსურთ ამ თემის განხილვა მშობელთან ერთად. თუმცა მშობელი სხვა თემაზე საუბარს ამჯობინებს - ვთქვათ, იმაზე, თუ რა გავლენა მოახდინა ბავშვზე ბებიის სიკვდილმა. ასეთ სიტუაციაში, ჭირს მშობლის მოსმენა და ოჯახის მოსაზრებებზე შესაბამისად რეაგირება - მით უფრო, შეხვედრის შეზღუდული დროის პირობებში. მშობელთა მოსაზრებების უფრო საფუძვლიანად განსახილველად, შესაძლოა, დამატებითი შეხვედრის დაგეგმვა გახდეს აუცილებელი. ამ შეხვედრებს შორის პერიოდი უფრო მეტ დროს გაძლევთ ფიქრისთვის და შესაძლებლობას - შემდგომი შეხვედრისთვის უკეთესად მოსამზადებლად. ყურადღებით მოსმენის უნარი არ გულისხმობს აუცილებლად ოჯახის როლის გაზრდას და კონტროლის აღებას დაგეგმილ შეხვედრაზე, რაც გამოიხატება მშობელთა მოსაზრებებისთვის მთელი დროის მიძღვნასა და მათი პრობლემების განხილვაში. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ თქვენ ნამდვილად ყურადღებით უსმენთ, გააზრებულად პასუხობთ და პატივს სცემთ მათ შეხედულებებს. ამგვარი მიდგომა დაარწმუნებს მშობლებს თქვენს კეთილგანწყობასა და მათთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარების სურვილში.

დარლისა: დაკვირვება ნამდვილად გვეხმარება შეხვედრების დროს მშობლებისთვის პასუხის გაცემაში. როდესაც ისინი ამბობენ: „მე ვერ ვხედავ, რომ ჩემი შვილი ურთიერთობს ან ბევრი მეგობარი ჰყავს“, ჩვენ შეგვიძლია, სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე დაკვირვებას გადავხედოთ და ვუთხრათ, „ეს დაკვირვება აჩვენებს, რომ თქვენს შვილს სხვა ბავშვებთან სასაუბროდ საკმარისი ვერბალური უნარები აქვს“

ოჯახის წევრებთან შეხვედრაზე ბავშვის პორტფოლიოს წარდგენისას, განიხილეთ პორტფოლიოში თავმოყრილი დოკუმენტაცია და მშობელთა შეხვედრისთვის შესრულებული შემაჯამებელი ანგარიში. აუცილებლად მოემზადეთ ამ ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვამდე. თუ გსურთ, ისაუბროთ ბავშვის განვითარებაზე მათემატიკასა თუ მეცნიერებაში, დარწმუნდით, რომ დოკუმენტები თქვენს მოსაზრებებს ადასტურებენ. მზად გქონდეთ დაკვირვების ჩანაწერები ან თუნდაც - ფოტოები / ნამუშევრები, რომლებითაც ამყარებთ ფაქტს, რომ ბავშვი მათემატიკით ან მეცნიერებით არის დაკავებული. თუ გსურთ, რეკომენდაცია გაუწიოთ ჩვილის კვების ან ძილის რეჟიმის შეცვლას, თან იქონიეთ რამდენიმე დღიური ანგარიში, რომელიც დაადასტურებს თქვენს დაკვირვებებს ბავშვის რეჟიმის შესახებ. მასწავლებლების დაკვირვებითა და გამოცდილებით, ასეთი დოკუმენტაცია მათ რეკომენდაციებს უფრო განამტკიცებს.

მას შემდეგ, რაც თქვენი პორტფოლიოს დოკუმენტაციასა და შემაჯამებელ ანგარიშს წარადგენთ, თქვენ და ოჯახი ბავშვისათვის განსაზღვრავთ მიზნებს - მისაღწევს, როგორც ოჯახში, ისე - სასკოლო გარემოში.

ეს კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ ოჯახმა ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის თანამონაწილედ იგრძნოს თავი და იცოდეს, რომ მათი წვლილი თქვენგან დაფასებული და პროგრამის მიზნებში ასახულია.

შეხვედრის დამასრულებელ ნაწილში მასწავლებლებმა უნდა გამოხატონ მადლიერება და პატივიცსემა მშობლების წინაშე ამ პროცესით დაინტერესებისა და მასში მონაწილეობის მიღების გამო. თქვენ ხაზი უნდა გაუსვათ გარემოებას, რომ მათი მონაწილეობა სამომავლო გეგმის შედგენაში ძალიან მნიშვნელოვანია. აუცილებელია, მშობლებს შეუქმნათ სათანადო პირობები და მისცეთ შესაძლებლობა, გაგიზიარონ ნებისმიერი მოსაზრება ან გადმოგცეთ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მადლობა გადაუხადოთ მშობლებს პროცესში თანამონაწილეობისა და საინტერესო შეხედულებების გაზიარებისთვის, რაც კიდევ ერთელ დაადასტურებს თქვენს პოზიტიურ და პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას მათი შვილებისადმი.

მასწავლებლებსა და ოჯახის წევრებს შორის გამართული წარმატებული შეხვედრა ყველა მხარისთვის სასარგებლოა. როდესაც თქვენი დაკვირვებების შეფასებისთვის მოცემულ ფორმატს იყენებთ, ოჯახის წევრები პროცესში უფრო მარტივად ერთვებიან და უფრო ნათლად ხედავენ, რით არის დაკავებული მათი ბავშვი. გარდა ამისა, ისიც იციან, რას აკეთებთ ბავშვთან ერთად და რამდენად კარგად იცნობთ მას. საერთო ენის გამონახვა უფრო მარტივია, როდესაც ბავშვის ზრდასა და სწავლას ზუსტად ასახავთ.

მომდევნო თავში განვიხილავთ თქვენი დაკვირვებებით შეტანილ წვლილს თითოეული ბავშვის კურიკულუმის შედგენაში. ოჯახის წევრებთან გამართული საუბრების, თქვენი შეფასების გაზიარებისა და თითოეული ბავშვის ქცევაზე მუდმივი დაკვირვების შედეგად, შეგიძლიათ, დაგეგმოთ აქტივობები და დააგროვოთ გამოცდილებები, რაც თითოეულ ბავშვს ზრდასა და განვითარებაში დაეხმარება.

დაკვირვების პრაქტიკა #15:

დაკვირვებისა და დოკუმენტაციის ინფორმაციის გამოყენება ოჯახებთან შეხვედრების დაგეგმვისთვის

მიზანი: მშობელთა შეხვედრისთვის მომზადება დაკვირვების დოკუმენტაციის გამოყენებით

რა უნდა გავაკეთოთ: ნახეთ დისკზე ჩაწერილი ნებისმიერი ვიდეორგოლი და ჩაინიშნეთ, რას ამბობს და აკეთებს ბავშვი. გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტებზე ორიენტირებული, საჭიროა აღწერა და არა - ინტერპრეტაცია.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, გადახედეთ თქვენს დოკუმენტაციას და დაფიქრდით, შეხვედრის დროს, როგორ იქნება უმჯობესი ამ ინფორმაციის ოჯახის წევრებისთვის წარდგენა? დაკვირვების რომელი კონკრეტული ნაწილების განხილვა გსურთ ოჯახის წევრებთან ერთად? თქვენი ვარაუდი: ინფორმაციის მიწოდებისას, რა რეაქცია ექნებათ ოჯახის წევრებს? როგორ უპასუხებთ მათ? თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ, იმსჯელეთ, რომელი ამბების მოყოლა იქნებოდა უკეთესი ოჯახთან შეხვედრისას. შესაძლოა, დაგჭირდეთ ამ დისკუსიების გათამაშებაც.

რეფლექსია

მიზანი: გააზრება - როგორ შეიძლება ოჯახთან ეფექტიანი კონფერენციის დასაგეგმად ინფორმაციული და შინაარსიანი პორტფოლიოს გამოყენება

- გადახედეთ დოკუმენტაციას ბავშვის შესახებ შეგროვილ ინფორმაციას (თუ არ გაქვთ თქვენი დოკუმენტაცია, გადახედეთ „ფოკუსირებული დაკვირვების“ დისკის ნახვისას შედგენილ დაკვირვების ჩანაწერებს).
- ამ თავში მოცემულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, განსაზღვრეთ, დოკუმენტაციის რა ნაწილებია სასარგებლო პორტფოლიოში გამოსაყენებლად. გახსოვდეთ, რომ საჭიროა ბავშვის ინდივიდუალობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გამოყენება.

- დაფიქრდით, რა გზით შეიძლება დოკუმენტაციის ორგანიზება პორტფოლიოს სახით და როგორ შეიძლება მისი წარდგენა ოჯახებისათვის.

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის მოძიება

მიზანი: ოჯახებთან გამართული შეხვედრების გამოცდილების გათვალისწინება და მომავალში დაგეგმილი წარმატებით ჩასატარებელი შეკრებისთვის საჭირო სტრატეგიებზე დაფიქრება.

- გაანალიზეთ ოჯახის წევრებთან ურთიერთობის გამოცდილება. რა აღმოჩნდა წარმატებული? რა გამოწვევას წააწყდით? როგორ გადალახეთ ეს გამოწვევები?
- გაიაზრეთ მასწავლებლისა და მშობლების შეხვედრა ოჯახის თვალთახედვიდან. რა შეიძლება იყოს მათი შიშისა და ნერვიულობის მიზეზი? რა სტრატეგიების გამოყენება შეგიძლიათ ამ შიშების დასაძლევად?
- როგორ ახერხებს შინაარსიანი და ინფორმაციული პორტფოლიო ოჯახის წევრებისთვის პოტენციურად რთული საკითხების თავიდან აცილებას და როგორ დაგეხმარებათ იგი უფრო ეფექტიანი გეგმის შედგენაში?

თავი 7: როგორ გამოვიყენოთ დაკვირვება და დოკუმენტირება კურიკულუმის დაგეგმვისთვის

კურიკულუმის დაგეგმვისას დაკვირვებისა და დოკუმენტირების გეკეთება ორი გზით არის შესაძლებელი: უშუალოდ დაკვირვებისას ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რამდენიმე დაკვირვების შემდეგ. ზოგჯერ ბავშვი რაღაცის გაკეთებას ცდილობს, თქვენ კი მაშინვე სთავაზობთ დახმარებას. ეს კურიკულუმის დაგეგმვაა და ხდება დაუყოვნებლივ. თქვენ იღებთ გადაწყვეტილებას იმ მოვლენის შესახებ, რომელსაც ხედავთ და შესაბამისად, სიტუაციის ადეკვატურად მოქმედებთ.

სხვა დროს, ბავშვს დამატებით რამდენჯერმე აკვირდებით, რაც საშუალებას გაძლევთ, განსაზღვროთ მისი შესაძლებლობები და დააკვირდეთ, რისი გაკეთება უჭირს მას. შესაძლოა, ცდილობდეთ ბავშვის კონკრეტული უნარების განსაზღვრას, რათა მათი განმავითარებელი აქტივობები დაგეგმოთ. შესაძლოა, დაკვირვებამ გაჩვენოთ, რომ ბავშვი განსაკუთრებულად ინტერესდება რაიმე საგნით, ან მისი ზოგადი ბუნებიდან გამომდინარე, შეატყოთ, რომ დღის გარკვეულ მონაკვეთებში ის უფრო წარმატებულია, ვიდრე სხვა პერიოდებში. თქვენ მას

გარკვეული დღეების განმავლობაში აკვირდებით და იწერთ, როგორ იქცევა სხვადასხვა სიტუაციაში. ასე თქვენ უკეთ გესმით ბავშვის და სთავაზობთ მოქმედებების ისეთ სპექტრს, რომელიც მის საჭიროებებს უფრო ზუსტად შეესაბამება. ესეც კურიკულუმის დაგეგმვაა, მაგრამ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, დაკვირვებასა და დოკუმენტირებას კონკრეტული ბავშვებისთვის კურიკულუმის დასაგეგმად იყენებთ. ყურადღების ერთ ბავშვზე გამახვილება გეხმარებათ ამ ბავშვის შესახებ შემდეგი ინფორმაციის მოპოვებაში:

- განვითარების უნარები და შესაძლებლობები
- ქცევა და დღის განმავლობაში მარცხთან გამკლავების ხერხები
- არჩევანი და ინტერესები
- მისი კულტურული კონტექსტის გამოხატულება
- სწავლის სტილი

ეიპრილი:
დაკვირვებებს ვიყენებ ბავშვების ინტერესების უკეთ შესასწავლად და მათი ინდივიდუალური სწავლის სტილის დასადგენად - შემდგომში ინდივიდუალური მიზნების კურიკულუმში შესატანად. თითოეულ ბავშვზე დაკვირვების შედეგად, შემიძლია გავიგო, გაიგეს თუ არა მათ გაკვეთილი და საჭიროა თუ არა სხვა ზომების მიღება.

დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენება იმ ბავშვების ჯგუფთანაც შეგიძლიათ, რომელთანაც მუშაობთ. აქაც ან მყისიერად მოქმედებთ, ან გარკვეული დროის განმავლობაში ინიშნავთ, როგორ იქცევა ჯგუფი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტთ, როგორ მოიქცეთ. როდესაც დაკვირვება მთელ ჯგუფზე ხორციელდება, თქვენი ფოკუსი უფრო ფართოა., სავარაუდოდ, ყურადღებას შემდეგ დეტალებზე გაამახვილებთ:

- როგორ იყენებენ ბავშვები ოთახის გარემოსა და მასალებს
- რამდენად წარმატებულია თქვენ მიერ დაგეგმილი აქტივობები
- რა საკითხები და აქტივობები აინტერესებთ ბავშვებს უფრო მეტად
- როგორ მიმდინარეობს დღიური რეჟიმი
- როდის და როგორ წარმოიშვება პრობლემები ქცევასთან დაკავშირებით
- როგორ აისახება ბავშვების კულტურული კონტექსტის გავლენა თქვენს აქტივობებსა და გარემოზე

მიუხედავად იმისა, დაკვირვებას, დოკუმენტირებასა და შესაბამისი ზომების მიღებას დაუყოვნებლივ გადაწყვეტთ თუ გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დაკვირვებასა და დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კურიკულუმის შედგენა წრიული და მიმდინარე პროცესია. თავდაპირველად, აკვირდებით და ინიშნავთ. ჩანიშვნასთან ერთად, საკუთარ თავს შეკითხვებს უსვამთ. თუ კონკრეტულ ბავშვს აკვირდებით, შესაძლოა, იკითხოთ, „რა შემიძლია გავაკეთო მის დასახმარებლად?“ თუ მთელ ჯგუფს აკვირდებით - „რა მუშაობს? რა არ მუშაობს?“ შემდეგ ადგენთ და ახორციელებთ გეგმას, რომელიც თქვენს შეკითხვებს შეესაბამება. დააკვირდით: თქვენ ისევ აკვირდებით და ინიშნავთ, რათა გამოსცადოთ, რამდენად ეფექტურად მუშაობს თქვენი გეგმა! ეს ციკლი კვლავდაკვლავ მეორდება.

სქემა: შეფასებისა და კურიკულუმის პროცესი



როგორია კურიკულუმი ადრეული ასაკის ბავშვებისათვის

რთულია კურიკულუმის განსაზღვრა ადრეული ასაკის ბავშვებისთვის, რადგან შესაძლოა, მასში შედიოდეს ყველაფერი, რაც დღის განმავლობაში ხდება. კურიკულუმი ბავშვის სწავლას ეხება, რაც ყველაფერს აერთიანებს - მათ შორის, ანბანის ასოებს, სხვა ადამიანების ნდობასა და კუბების ერთმანეთზე დაწყობას ისე, რომ არცერთი ჩამოვარდეს. სწორად დაგეგმილი და შედგენილი კურიკულუმი დაეფუძნება, შეინარჩუნებს და გააღრმავებს ბავშვების ინტერესს მათ გარშემო არსებული სამყაროსადმი. ნასწავლი მასალა დიდხანს ემახსოვრებათ, თუ კურიკულუმი ბავშვებისთვის ადეკვატური და შინაარსიანია. იმის დასადგენად, თუ რა არის ბავშვებისთვის ადეკვატური და შინაარსიანი, ისევ მათ უნდა დააკვირდეთ და ჩაინიშნოთ, რისი კეთება მოსწონთ.

ადრეული ასაკისა და უფრო მოზრდილ ბავშვებთან მუშაობისას სწავლების მეთოდები სხვადასხვანაირია. ადრეული ასაკის ბავშვების მასწავლებლები, ნაცვლად დარიგებისა და ვრცელი დავალებებისა, რომლებიც ფანქრებისა და ფურცლების გამოყენებას მოითხოვს, აღმზრდელობითი საქმიანობითა და წახალისებით არიან დაკავებულნი. თუ მუშაობა ახალშობილებსა და ჩვილებთან გიწევთ, თქვენი დროის დიდ ნაწილს მათთან

ჯოდი: ბავშვებზე დაკვირვებისას, შემიძლია განვსაზღვრო რა უნარებს იძენენ ისინი და რაზე სჭირდებათ მეტი მუშაობა. შესაბამისად, უკეთესად მესმის, რა აქტივობები უნდა დაიგეგმოს, რაზე უნდა იმუშაონ ბავშვებმა განვითარების შემდგომი ეტაპებისთვის.

ნდობით აღსავსე, მოსიყვარულე ურთიერთობის დამყარება
დაიკავებს, რაც
გულისხმობს მათთან საუბარსა და სიმღერას, საინტერესო და უსაფრთხო მასალების შეძენასა და ყოველდღიურ საქმიანობებს (ჭამა, საფენების გამოცვლა, ძილი). თუ სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან მუშაობთ, გარემო ისე უნდა მოაწყოთ, რომ მათ მასალების შესწავლის, სხვა ბავშვებთან თამაშისა და სიახლეების უსაფრთხოდ გამოცდის საშუალება ჰქონდეთ. დავალებების მიცემის მაგივრად, გაუძეხით და მხარი დაუჭირეთ მათ.

თქვენ ბავშვებს თამაშის, ყოველდღიური საქმიანობისა და მასწავლებლების მიერ შედგენილ აქტივობებში მონაწილეობის მიღებისას აკვირდებით, რადგან სწორედ ამ გზით ჩანს, რას სწავლობენ ისინი, რისი გაკეთება შეუძლიათ ან არ შეუძლიათ. შედეგად, თქვენ ცალკეულ ბავშვებზე უფრო მეტს იგებთ და მთლიან ჯგუფზეც დასკვნას აკეთებთ. დაკვირვების შედეგად იღებთ გადაწყვეტილებას, თუ როგორ მოიქცეთ.

ადრეული ასაკის ბავშვებისთვის შედგენილი კურიკულუმი ყურადღებას სახელმძღვანელოებზე არ ამახვილებს; მისი მთავარი დანიშნულება არ არის მასწავლებლის ცოდნის ბავშვებისთვის გადაცემა. კურიკულუმი არ ეხება რაიმე კონკრეტულ თემას ან კვირისთვის შერჩეულ ასოს. კურიკულუმი ეფუძნება იმას, რაც ბავშვების ჯგუფთან ყველაზე კარგად მუშაობს. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვების ასაკს და ინდივიდუალურ განსხვავებულობას.

ბავშვები კურიკულუმის შედგენის პროცესის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენენ. ნებისმიერ დროს, მასწავლებლები უნდა ითვალისწინებდნენ სწავლების მიზნებს ... ეს თითოეული ბავშვის ჯანსაღ განვითარებას შეუწყობს ხელს: სასწავლო მიზნები სამიდან ექვს წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არის შედგენილი. შესაძლოა, ეს მიზნები ადრეულ სასწავლო სტანდარტებს ან შეფასების ინსტრუმენტებს ეყრდნობოდეს. რა თქმა უნდა, იდეალურ შემთხვევაში, სასწავლო და კურიკულუმის მიზნები ერთნაირი იქნება, რათა მასწავლებლებს სხვადასხვა წყაროს განსხვავებულ მოლოდინებთან შეჯახება არ მოუხდეთ. (გრონლუნდი 2012, 19).

კარგი კურიკულუმი ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების საჭიროებებსა და სწავლის სტილს ასახავს, როგორც ეს ადრეული განათლების საუკეთესო პრაქტიკის რეკომენდაციებშია განსაზღვრული. საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის დროს, მასწავლებლებმა:

- უნდა დაგეგმონ შინაარსიანი აქტივობები, რომლებიც ბავშვებს წაახალისებს, აღმოჩენისა და შესწავლისაკენ უბიძგებს და აქტიური ჩართულობის შენარჩუნებას განაპირობებს;
- უნდა მოამზადონ მასალების, გამოწვევებისა და იდეების ფართო სპექტრი, რომელიც ბავშვების ყურადღებას მიიპყრობს;
- ბავშვებს გააზრებული არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა მისცენ. უხელმძღვანელონ და დაეხმარონ იმ ბავშვებს, რომლებიც საკუთარი არჩევანის დროს სათანადოდ ვერ იყენებენ და ვერ მხიარულობენ;
- უნდა მოახერხონ გრაფიკის ისე ორგანიზება, რომ ბავშვებს ხანგრძლივი პერიოდები ჰქონდეთ თამაშისთვის, აღმოჩენისთვის, შესწავლისა და ურთიერთობებისთვის (მოზრდილებსა და თანატოლებთან);

- ბავშვებს უნდა მისცენ საშუალება, ჩაერთონ ისეთ თამაშებში, რომლებიც მათ თვალსაწიერს მაქსიმალურად აფართოვებს (წარმოსახვის უნარში, ენაში, ურთიერთობასა და თვითრეგულაციაში, ახლადშეძენილი უნარების დანერგვაში) (ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია 2009)

ეს დაკვირვებები მეხმარება იმ მხრივაც, რომ მზად ვიყო ნებისმიერი განსაკუთრებული აღჭურვილობისთვის, რომელიც შესაძლოა, რომელიმე ბავშვს აქტივობაში მონაწილეობისთვის დასჭირდეს.

თუ ბავშვი განსაკუთრებულ ნიჭს ამჟღავნებს, მიზნები მას იმგვარად უნდა მოერგოს, რომ შეიცავდეს გამოწვევებსაც, რომელთა გადასალახადაც მზად იქნება. გარდა ამისა, განსხვავდება ბავშვების სწავლის სტილიც. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ბავშვის ამოცანის შესრულების საკუთარი მეთოდი შეისწავლოთ, რათა ყოველი მათგანისთვის შესაბამისი აქტივობის მომზადება მოახერხოთ.

მასწავლებლებისთვის არსებობს კურიკულუმის ბევრი მოდელი და მიდგომა. ზოგი დაკავშირებულია განვითარების ძირითად ეტაპებსა და კრიტერიუმებთან (სიმაღლე/მოცულობა; შეფასებისა და პროგრამირების სისტემა [AEPS]). ბევრი ემხრობა უფრო მეტად გარემოზე ორიენტირებულ მიდგომას, რომლის მიხედვითაც, ბავშვები სასწავლო სფეროებსა და აქტივობებს ფრთხილად შედგენილი და ორგანიზებული სიიდან შეარჩევენ. („კრეატიული კურიკულუმი“). მასწავლებელთა ნაწილი ხაზს უსვამს ბავშვის „გაყოლას“,

ელიზაბეტი: ჩემი დოკუმენტირებული დაკვირვებები საშუალებას მაძლევს, შევცვალო აქტივობები ისე, რომ თითოეული მოსწავლისსაჭიროებებს შეესაბამებოდეს.

კარგი კურიკულუმის დანერგვისას, მასწავლებლები ყურადღებას ინდივიდუალურ საჭიროებასა და განსხვავებებსაც აქცევენ. სხვადასხვა ბავშვის სასწავლო მიზნები, ისევე, როგორც სწავლების სტრატეგიები, შესაძლოა, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს. სწავლის მიზნები ერთი ბავშვისათვის, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს მის ქრონოლოგიურ ასაკს.

როდესაც კურიკულუმი ბავშვის ინტერესებს ითვალისწინებს (ახლად შედგენილი კურიკულუმი, პროექტის მიდგომა, რეჯიოთი შთაგონებული მიდგომა). ადრეული ასაკის ბავშვების ბევრი პროგრამა ზემოთ აღნიშნულთა კომბინაციას იყენებს და ერგება იმ ბავშვებისა და ოჯახების სოციალურ და კულტურულ, რომლებსაც ემსახურება. ზოგიერთი პროგრამის პერსონალი კურიკულუმს თავად ადგენს. მაგალითად, დასავლეთ მონტანას ბლეკპიტის ტომმა მშობლიურ ენაში იმერსიაზე დაფუძნებული პროგრამისთვის კურიკულუმი თავად შეადგინა. ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია უპირატესობას არცერთ მიდგომას ანიჭებს, თუმცა, კურიკულუმის შესაბამისობის შეფასებისთვის მომზადებული აქვს ჩარჩოები და რეკომენდაციები. „განვითარებისათვის შესაბამისი პრაქტიკა ადრეული ასაკის პროგრამებში“ (ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია 2009) შეიცავს მითითებებს, რომელთა გამოყენებაც ადეკვატური სტრატეგიების კურიკულუმის შედგენისას არის შესაძლებელი.

წიგნში „თამაშის, დაკვირვებისა და სწავლების დაგეგმვა სკოლამდელ დაწესებულებებსა და საბავშვო ბაღებში,“ გრონლუნდი (2012) გვთავაზობს დაგეგმვისა და ანალიზის ჩარჩოებს, რომლებიც კურიკულუმის სხვადასხვა მიდგომას მოიცავს. ეს ჩარჩოები გულისხმობს

კურიკულუმის დაგეგმვასა და ბავშვების ინტერესებისადმი გულისხმიერ დამოკიდებულებაში ინდივიდუალური ცვლილებების შეტანის ფორმალურ სტრატეგიებს.

ბავშვების კულტურული კონტექსტის გააზრება

კურიკულუმის დაგეგმვისთვის დაკვირვებისას ყურადღების გამახვილება ბავშვების მიერ საკუთარი კულტურული კონტექსტის გამოხატვაზეც შეიძლება. ეს დაგეხმარებათ, გაარვიოთ, როდის არ შეესაბამება კურიკულუმი კონკრეტული ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის კულტურასა და ოჯახურ ცხოვრებას. ამ შემთხვევაში, შეგიძლიათ, დაგეგმოთ, რომ ბავშვის მემკვიდრეობა და ოჯახური ცხოვრება თქვენს გარემოზე, მასალებსა და აქტივობებზე აისახოს. შეგიძლიათ, მოამზადოთ პოსტერები, წიგნები, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე სათამაშო თოჯინები და სათამაშო ნივთები, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის კულტურებსა და ხალხებს წარმოადგენენ. ასე თქვენ შეძლებთ, ბავშვებს მსოფლიო კულტურები გააცნოთ და ცალკეული ბავშვების ცხოვრებისეული გამოცდილება იმგვარად ასახოთ, რომ მათ თავი მისაღებ და აღიარებულ ადამიანად იგრძნონ, როგორც ეს ქვემოთ მოცემულ ამბავში ჩანს.

სტუმრობა

სამი წლის ლუსი და დედამისი ეწვივნენ დაწესებულებას (პროგრამას), რომელშიც ლუსის შეყვანას აპირებდნენ. პროგრამაში შედიოდ აპატარების თვალის სიმაღლეზე გამოქვეყნებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ბაავშვების პოსტერები და მრავალფეროვანი მრავალკულტურული, მათთვის ხელმისაწვდომი მასალები. როდესაც ლუსი და დედამისი შენობის დასათვალიერებლად წაიყვანეს, ლუსიმ სხვა ამერიკელი ინდიელი ბავშვის თანამედროვე სურათი შეამჩნია. მან პოსტერთან მიირბინა, ფოტოზე მოცემულ გოგონაზე მიუთითა და გულწრფელი ღიმილით თქვა: „დედა, შეხედე! ეს გოგო ზუსტად ჩემსავით გამოიყურება.“ ლუსის დედამ მოგვიანებით აღნიშნა, რომ ეს გამოცდილება აღმოჩნდა გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც მას ბავშვის პროგრამაში ჩართვის გადაწყვეტილება მიაღებინა.

ამ ამბიდან ჩანს, თუ რამდენად დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ ყველა კულტურისთვის მისაღებ და მოფიქრებულ გარემოს. აშშ-ში არსებულმა ადრეული ასაკის პროგრამებმა უნდა გაითვალისწინონ ჩვენი მოსახლეობის მრავალფეროვნება. ბავშვები და ოჯახები, რომლებსაც განსხვავებული გამოცდილებები, რელიგიები, ენები და ღირებულებები აქვთ, თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ და არაფერი უშლიდეთ ხელს ერთ ღია საზოგადოებად ჩამოყალიბებაში. თქვენ შეგიძლიათ კულტურული განსხვავებების ინტეგრაციაში მნიშვნელოვანი როლის თამაში და ამავდროულად, თითოეული ოჯახისა თუ ადამიანის უნიკალური თვისებების ხაზგასმა. აუცილებელია, რომ კულტურის ასახვა არტეფაქტების, დღესასწაულების, კერძების მომზადებისა და სამოსის მიღმაც ხდებოდეს. თქვენ ასევე უნდა ჩართოთ ის ღირებულებები და რწმენა, რომლებსაც ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაზე

დიდი ეფექტი აქვს. მხოლოდ ამ გზით შეძლებთ ბავშვების კულტურულად ადეკვატურ აღზრდას.

ზოგჯერ კულტურის ასეთი გამოხატულება ბავშვის ყოველდღიურ რეჟიმშიც იჩენს თავს.

ძილი

> სამხრეთაზიელი იმიგრანტების ოჯახმა ბავშვი ჩვილების ცენტრის პროგრამაში ჩარიცხა. ბავშვს იმ დრომდე თავისით არ დაუძინია და როდესაც იგი ჩუმ, ბნელ ოთახში მდებარე აკვანში დააწვინეს, ძალიან აღელდა, რაც არ იყო ბავშვის უძილობით გამოწვეული ჩვეულებრივი აღელვება. ეს იყო პანიკური რეაქცია ბავშვისა, რომელსაც სიტუაცია ძალიან აშინებს. ბავშვის მარტო დასაძინებლად პერსონალის მხრიდან გამოიყენებულმა არც ერთმა მეთოდმა არ იმუშავა. ბავშვი მხოლოდ მაშინ იძინებდა, როდესაც სათამაშო ოთახში ვინმესთან ახლოს იყო. დასაძინებლად მარტო დარჩენა მისთვის საშიში და უცხო სიტუაცია იყო. (გონსალეს-მენა 1993, 30).

სიახლოვესა და განცალკევებასთან დაკავშირებული შეხედულებები და ღირებულებები კულტურული მოლოდინების, რწმენებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების მიხედვით განსხვავდება. ზოგიერთი კულტურა ავტონომიასა და განცალკევებას უსვამს ხაზს, ზოგი კი - კავშირსა და სხვებზე დამოკიდებულებას. ღირებულებათა სისტემის მიხედვით, თითოეული ოჯახის საქციელი სიახლოვისა და განცალკევების მხრივ განსხვავებულად გამოიყურება.

ავი (3 წლის)

> ავი და მისი ოჯახი ისრაელიდან აშშ-ში ახალი ჩასულები იყვნენ. მაშინვე შევნიშნეთ, რომ ავის დედას მისი მარტო დატოვება არ უნდოდა. იგი ყოველდღე მთელი სამი საათის განმავლობაში რჩებოდა ბავშვთან. დავფიქრდით რა მისი ყოყმანის მიზეზებზე, ვიფიქრეთ, რომ მიზეზი, შესაძლოა, შუღლის შედეგად გახლეჩილი ქვეყანის დატოვება ყოფილიყო. ვივარაუდეთ, რომ ამ ოჯახისთვის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი იყო. გვინდოდა, რომ მისთვის და მისი ვაჟისათვის დიდი დრო მიგვეცა, რათა თავი უსაფრთხოდ ეგრძნოთ და მოგვნდობოდნენ. ამიტომ მას სკოლის პირველი სამი კვირის განმავლობაში დარჩენის ნება დავრთეთ. შემდეგ ვკითხეთ, ისურვებდა თუ არა ყოველდღიურად მოკლე გასეირნებას. ის ყოყმანით დაგვთანხმდა და გასეირნებამდე აუცილებლად იყურებოდა ფანჯარაში, რათა დარწმუნებულიყო, რომ ავი კარგად იყო. ნელ-ნელა მან უფრო და უფრო გრძელი პერიოდებით დაიწყო გასვლა. სკოლის პირველი 2 თვის შემდეგ, მან თავი იმდენად კომფორტულად იგრძნო, რომ ბავშვი მთელი დილით დატოვა. ავის დედა ერთ-ერთი ყველაზე მონდომებული მშობელი აღმოჩნდა, ვინც კი ოდესმე გვინახავს და ნებისმიერ დროს, როდესაც რაიმე დახმარება გვჭირდებოდა, შეგვეძლო, მისი იმედი გვქონოდა. ხშირად ვფიქრობ, როგორი განსხვავებული იქნებოდა ეს სცენარი, ჩვენ რომ სიახლოვისა და განცალკევების მხრივ ოჯახის უნიკალური საჭიროებებისადმი მგრძნობიარენი არ ვყოფილიყავით.

ზოგიერთი ოჯახი ბავშვთან უფრო მეტად ინარჩუნებს სიახლოვეს, ვიდრე ეს შეიძლება სხვა ოჯახებთან გქონდეთ გამოცდილი. შესაბამისად, ბავშვს, შესაძლოა, თქვენგან მეტი ფიზიკური კონტაქტისა და მხარდაჭერის მოლოდინი ჰქონდეს. ამ საკითხებისადმი მგრძნობელობა და ოჯახის წევრებისთვის მათი რწმენების, ღირებულებებისა და ცხოვრებისეული გამოცდილებების შესახებ კითხვების დასმა დაგეხმარებათ, უფრო მეტად გაუგოთ ბავშვს.

დაგეგმვა თითოეული ბავშვისთვის

თუ ყურადღებას კონკრეტულ ბავშვზე ამახვილებთ, თქვენ, შესაძლოა, გადაწყვიტოთ, რომ უფრო პასიური როლი ითამაშოთ და ბავშვს ინიციატივის გამოჩენის საშუალება მისცეთ. წარმოიდგინეთ, რომ პარტნიორებას უწევთ ერთმანეთს ცეკვაში და ბავშვი გკარნახობთ ნაბიჯებს. სხვა დროს, როდესაც უკვე იგრძნობთ, რომ აუცილებელია უფრო იაქტიუროთ ბავშვთან, შესაძლოა, თქვენ გახდეთ ლიდერი. ზოგჯერ, უმჯობესია, უკან დაიხიოთ, უყუროთ და გაამხნევოთ. სხვა დროს, უფრო სასარგებლოა, დაეხმაროთ, იყოთ საყრდენი - თქვენი თანადგომა დაეხმარება რაც მარტოს არ შეუძლია, იმის გაკეთებაში. რიგ შემთხვევებში აუცილებელია თქვენი მითითებები და განმარტებები, როგორ შეიძლება რაიმეს კეთება. თქვენ მონაცვლეობით, მეტად ან ნაკლებად ხართ ჩართული ბავშვის საქმიანობაში.

ქვემოთ მოცემულია სქემა, რომელიც გაჩვენებთ, სხვადასხვა სიტუაციიდან გამომდინარე, რომელი სტრატეგია უფრო ეფექტიანად იმუშავებს. ამ გრაფიკულ გამოსახულებაში ნახავთ, რომ ბავშვის ჩართულობა სწავლების სტრატეგიის ცვლილებასთან ერთად იცვლება.



ადრეული ასაკის ბავშვებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო სტრატეგიები და კურიკულუმის აქტივობები ყველაზე ხშირად ამ გრაფის მარცხენა ან შუა მხარეს ხვდებოდეს. რატომ არის ეს აუცილებელი? იმიტომ, რომ ადრეული ასაკის ბავშვები უფრო კარგად აქტიური ჩართულობის შედეგად სწავლობენ. როდესაც მასწავლებლები აცნობიერებენ, მაგალითს

აჩვენებენ ან ამარტივებენ ბავშვის საქმიანობას, ამით უხსნიან შესაძლებლობას, აქტიური როლი ითამაშონ და წარმართონ საქმიანობა. ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც ბავშვის ჩართულობა უსაფრთხო და შედეგიანია. თუ მასწავლებელი ქმნის საყრდენს, მხარს უჭერს ან თანამშრომლობს ბავშვთან, ის უერთდება ბავშვის მიერ მართულ საქმიანობას, როგორც თანამოთამაშე ან დამხმარე მეგობარი. საქმიანობის წარმართვაში ბავშვი აქაც აქტიურ როლს ასრულებს. დააკვირდით, როდესაც მასწავლებელი რისამე დემონსტრირებას ახდენს ან მითითებებს იძლევა, ბავშვი უფრო პასიურ როლშია. იმედია, ასეთი მომენტები ცოტა იქნება, რადგან ეს ნამდვილად არ წარმოადგენს ადრეული ასაკის ბავშვებისთვის ყველაზე ეფექტიან კურიკულურ მიდგომას. ბავშვები ყველაზე მეტს სწავლის პროცესში აქტიური მონაწილეობით იღებენ. რა თქმა უნდა, ისეთ სიტუაციებში, როდესაც ბავშვის საქციელი ამის საშუალებას იძლევა, მისი საქმიანობისთვის მასწავლებელს, შესაძლოა, მითითებების მიცემა დასჭირდეს.
თქვენი ამოცანაა, გაარკვიოთ, სწავლებისა და ჩარევის რომელი დონეა ყველაზე ადეკვატური დღის განმავლობაში, ნებისმიერი სიტუაციის შემთხვევაში. თქვენ მუდმივად იღებთ გადაწყვეტილებას და საკუთარ თავს ეკითხებით: „რომელი სტრატეგია იქნება ყველაზე ეფექტიანი თითოეული ბავშვისთვის ამა თუ იმ სიტუაციაში?“ თუ ადრეული ასაკის, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობთ, გაანალიზეთ თითოეული ბავშვის შესაძლებლობები და შესთავაზეთ აუცილებელი მოწყობილობა, რომელიც მას დაეხმარება. ტიპიურად განვითარებადი ბავშვებისთვის თითქმის იმავეს აკეთებთ და განსაზღვრავთ, რამდენად აქტიური უნდა იყოს თქვენი ჩართულობა. როდესაც ინდივიდუალურად ფიქრობთ ბავშვებზე, არჩევანის რამდენიმე საშუალება გაქვთ:

- დააკვირდეთ და წაახალისოთ ბავშვი, რათა გააგრძელოს საქმიანობა
- აირჩიოთ სხვა მასალები ან რამენაირად შეცვალოთ გარემო
- დაგეგმოთ მასწავლებლის ჩართულობა ან მითითებების მიცემა
- გამოიყენოთ თანატოლებთან ურთიერთობა
- მოამზადოთ სპეციალური აქტივობები
- მოიტანოთ დამატებითი რესურსები

ლილიანი: როდესაც ვამჩნევ, რომ ბავშვს რომელიმე სფეროში უჭირს, ვცდილობ, რომ დავამატო აქტივობები იმ ცენტრში, რომელშიც ყველაზე ხშირად მიდიან. ვგეგმავ ისეთ აქტივობებს, რომლებშიც ყველა ბავშვი მონაწილეობს. ჩემი დაკვირვებით, ბავშვები უფრო ადვილად იღებენ მონაწილეობას ისეთ აქტივობებში, რომლებშიც სხვებიც არიან ჩართული ან რომლებში ჩართვაც მეგობრებთან ერთად შეუძლიათ.

ერთადერთი გზა თქვენი გეგმის ეფექტიანობის დასადგენად დაკვირვებაა - რა მოხდება. ზოგიერთი მეთოდი უფრო ეფექტიანია მაშინ, როდესაც თქვენ ყურადღებას ბავშვის განვითარების უნარებზე ან საქციელზე ამახვილებთ. სხვა კი უფრო ადეკვატურია ბავშვის ინტერესებზე მორგებისთვის ან მისი კულტურული ფონის გამოხატვაზე რეაგირებისთვის. გახსოვდეთ, რომ თქვენი გეგმის გამოყენება დღის ნებისმიერ დროს შეგიძლიათ - ბავშვის თამაშის პროცესში, ყოველდღიურობაში, თქვენ მიერ სპეციალურად მომზადებული აქტივობისას.

ზოგიერთ შემთხვევაში, ბავშვს შესაძლოა, მხოლოდ თქვენი აღიარება და წახალისება სჭირდებოდეს. მხიარულ ბავშვთან ერთად სიცილი, სამუშაოთი დაკავებულ ბავშვთან ერთად

ჯდომა, კუბებთან მოთამაშე ბავშვის ჩუმად ყურება ან ბავშვის მიერ სენსორულ-მოტორულ მაგიდასთა წყლის ბორბლის პრობლემის გადაჭრის სიტყვიერად აღწერა ბავშვის წახალისების მაგალითებია. თქვენი საქციელით მას ეუბნებით: „მომწონს, რასაც აკეთებ. ასე გააგრძელე!“ ისეთ კომენტარებით კი, როგორიცაა: „შენ ბეჯითად მუშაობ ამ ნახატზე,“ „მგონი, ყუთიდან ყველა კუბი გამოიყენე,“ და „შენ ეს შეგიძლია,“ თქვენ გამოხატავთ, რომ გესმით, რას აკეთებს ბავშვი და მიანიშნებთ თქვენს მოლოდინზე, რომ საქმიანობას არჩეული მიმართულებით გააგრძელებენ.

ზოგჯერ ისე ხდება, რომ საერთოდ არაფრის გაკეთებაა საჭირო. ქვემოთ მოცემულ სიტუაციაში, კეილის მასწავლებლები დააკვირდნენ მას და ნახეს, რომ ჩართულობა არანაირად არ იყო საჭირო.

> **კეილი** (4 წლისა და 5 თვის)
>
> შუადღის ძილიდან გამოღვიძების შემდეგ, კეილი მივიდა რილისთან და უთხრა: „ჰეი, რილი, მოდი აქ. მე მასწავლებელი ვარ. აქ დაჯექი და ყურადღებით იყავი!“ რილი ამბობს: „არა, არ მინდა თამაში. დაკავებული ვარ, კარგი?“ კეილი კი ეუბნება: „კარგი რა, რილი. გთხოვ. მერე მეც ვითამაშებ შენთან ერთად. მაგრამ უნდა მითხრა ფერები ინგლისურად და ესპანურად. მოდი რა. დიდი დრო კი არ უნდა. გთხოვ, კარგი?“ და რილიც ამბობს: „კარგი. წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, იისფერი, თეთრი.“ კეილი კი ამბობს: „ახლა ესპანურად მითხარი!“ რილი ეუბნება: „თეთრი, ბლანკო.“
>
> ისინი თამაშს სადილის დაწყებამდე აგრძელებენ.

კეილიმ ვერბალური უნარები გამოიყენა რილის თამაშში ჩასართველად და წარმატებულად შეძლო შეთანხმების მიღწევა. მასწავლებლებმა აღნიშნეს მისი ინტერაქციის მაღალი დონე, ინტერესი ესპანური სიტყვების მიმართ, როლის შესრულების და სოციალური უნარები.

მომდევნო ნაბიჯების განსაზღვრა თითოეული ბავშვისთვის

კეილის მასწავლებლებმა ასევე განიხილეს, რა ნაბიჯების დაგეგმვა შეეძლოთ კეილისა და რილისთვის კურიკულუმში. ცხადი იყო, რომ ორივე მათგანს აინტერესებდა ესპანური სიტყვები. მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ მეტი ესპანური წიგნი მიეცათ, ესპანური სიმღერები, ლექსები ესწავლებინათ, უფრო მეტი როლური თამაში წაეხალისებინათ. ისინი ყურადღებით აკვირდებოდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ კეილის მიერ რილისთვის თამაშის შეთავაზების ნებისმიერ დროს ამ უკანასკნელსაც უნდოდა მონაწილეობის მიღება. ისინი არწმუნებდნენ რილის, რომ თუ ჯგუფის სხვა ნაწილში უნდოდა თამაში ან ხანდახან მასწავლებლის როლის შესრულებაც სურდა, კეილისთვის ამის შესახებ უნდა ეთქვა.

თქვენს დაკვირვებებზე დაყრდნობით ბავშვებისთვის ინდივიდუალური ნაბიჯების განსაზღვრა კურიკულუმის დაგეგმვის მნიშვნელოვანი ნაწილია. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ მაგალითს რობერტის შესახებ. ის აჩვენებს, თუ რისი გაკეთება შეუძლია სასურველი სათამაშოს მოპოვებისას პრობლემის გადასაჭრელად. როდესაც ამ ამბავს წაიკითხავთ,

დაფიქრდით, რისი დაგეგმვა შეგიძლიათ მომავალში რობერტისათვის მისი შესაძებლობების გათვალისწინებით.

რობერტი (10 თვის)

რობერტი მიცოცავს იმ თაროსკენ, რომელზეც მუსიკალური სათამაშოებია შენახული. ის ნელ-ნელა სწევს თავს და დგება იმ თაროს წინ, რომელზეც სათამაშო დოლი დევს. ერთი წუთის განმავლობაში დგას და დოლს უყურებს. შემდეგ წვდება დოლის ჩხირს, რომელიც დოლზეა მიმაგრებული. ჩხირის გამოყენებით, ის დოლს თავისკენ ექაჩება, სანამ მას თაროდან არ ჩამოიღებს. შემდეგ იატაკზე ჯდება და დოლით თამაშს იწყებს.

ცხადია, რომ რობერტს წონასწორობის დაცვა შეუძლია და სიარულისთვის მზადაა. ის მიზნობრივად იქცევა და წყვეტს დოლის თაროდან ჩამოღების პრობლემას. იგი ასევე ამჟღავნებს ინტერესს მუსიკალური ინსტრუმენტების მიმართ. თქვენ რომ მისი მასწავლებელი ყოფილიყავით, შემდეგი ეტაპების დასაგეგმად ქვემოთ მოცემულ ვარიანტებს გამოიყენებდით:

- მისცემდით უფრო მეტ შესაძლებლობას დადგომის, წონასწორობის დაცვის და თქვენი დახმარებით ნაბიჯების გადადგმისთვის.
- მისცემდით ერთმანეთზე დასალაგებელ რგოლებსა და სხვა სათამაშოებს, რომლებიც პრობლემების გადაჭრის უნარს მოითხოვს.
- გამოიტანდით სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ქსილოფონი, დასარტყამი ინსტრუმენტები ან შეიკერი, რომლებიც სხვადასხვა ხმას გამოსცემენ.

ზოგჯერ, როდესაც ბავშვები რაიმე საქმით არიან დაკავებულნი, თქვენ ხვდებით, რომ ისინი სხვა მასალების არსებობის პირობებში, უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდნენ. თქვენი მიზანი, შესაძლოა, იყოს მათი ყურადღების პერიოდისა და ჩართულობის გახანგრძლივება ან ხედავდეთ, რომ გამოვლენილი უნარები მათთვის მარტივია. შესაბამისად, შეგიძლიათ, განავითაროთ ეს აქტივობა ისე, რომ მათ ამოცანისადმი უფრო რთული მიდგომები გამოიყენონ ან საქმესთან დაკავშირებული ცნებების გააზრება უფრო მეტად გაიღრმავონ. თქვენ ასევე შეგიძლიათ, განავითაროთ ის ინტერესი, რომელსაც ბავშვი კონკრეტული მასალისადმი გამოხატავს. შეგიძლიათ, მისცეთ დამატებითი შესაძლებლობები, რათა ამ ინტერესს გაჰყვნენ. სწორედ ასეთ სიტუაციას ეხება ქვემოთ მოცემული ამბავი. წაიკითხეთ და დაადგინეთ, რა მასალების მიწოდება შეგიძლიათ ჰადსონისათვის, რათა მას დახარისხებისა და მოდელირებისადმი ინტერესი გაუღრმავოთ.

ჰადსონი (3 წლის)

ერთ დღეს ჰადსონი კუბიკებისკენ წავიდა და დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში ცდილობდა ფორმების დახარისხებას. შემდეგ მან ცილინდრის ფორმის ხუთი ბლოკისაგან კოშკი ააგო. „ნახე, რა გავაკეთე!“ - დამიძახა მან. კოლეგა მასწავლებელი და მე მივხვდით, რომ ჰადსონი ობიექტებს აჯგუფებდა და გადავწყვიტეთ, მისთვის დახარისხებისა და დაჯგუფებისთვის დამატებითი მასალები მიგვეცა. დიდ წითელ კალათში ფერადი პლასტმასის დათვები ჩავალაგეთ; მომდევნო დღეების განმავლობაში ჰადსონმა თაროდან რამდენიმე პატარა ყუთი

გადმოიღო და დათვები ფერების მიხედვით ისე დაახარისხა, რომ წითლები ერთად იდო, ყვითლები - ერთად და ა.შ. ლურჯები და იისფერები მან ერთ ყუთში ჩადო. მომდევნო დღეს მან პატარა ფერადი საკიდარები აიღო და იატაკზე გარკვეული სტრუქტურის მიხედვით დაალაგა.

ზოგჯერ შეიძლება შენიშნოთ, რომ ბავშვი ერთსა და იმავე მოქმედებას ზედიზედ, თუმცა, ცუდი შედეგით ასრულებს. რთულ მოქმედებებთან გამკლავება, შესაძლოა, ბავშვებთან თქვენი მუშაობის ყველაზე გამომწვევი ნაწილი გახდეს. შეიძლება იგრძნოთ, რომ კონკრეტული ბავშვის ასავალ-დასავალის შესახებ მუდმივად ინფორმირებული უნდა იყოთ. შეიძლება დაგჭირდეთ სხვა ბავშვების დაცვა და ჯგუფის კონკრეტული ადგილიდან ბავშვის გაყვანა. შეიძლება იმის აღიარებამდეც მიხვიდეთ, რომ ბავშვის საქციელის მნიშვნელობა არ გესმით. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ამბავი და დაფიქრდით, როგორ დაეხმარა მასწავლებელს სიტუაციაზე დაკვირვებისთვის დროის გამოყოფა ჯერემის საქციელის უკეთ გაგებასა და მისთვის დახმარების გაწევაში, რათა ბავშვს უფრო წარმატებულად შეძლებოდა თამაში.

ჯერემი (4 წლისა და 3 თვის)

ჯერემის კუბიკებით სათამაშო ადგილას რამდენიმე დღის განმავლობაში ვაკვირდებოდი. იგი ყოველდღე რამდენიმე წუთის განმავლობაში უყურებდა ბავშვებს, განსაკუთრებით - ორ ბიჭს, რომლებიც კუბიკებისგან რთულ კონსტრუქციებს აგებდნენ. შემდეგ, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, მიდიოდა მათთან და სტრუქტურას შლიდა.

ამ საქციელზე რამდენიმე დღიანი დაკვირვების შემდეგ, ჯერემის მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ ბავშვს სხვებთან ერთად თამაშის დაწყებისთვის საჭირო სოციალური უნარები არ ჰქონდა. ამიტომ მან ჰკითხა ჯერემის, უნდოდა თუ არა მასთან თამაში. ბავშვი სიხარულით დასთანხმდა. ამ დროიდან მოყოლებული, მასწავლებელი მასთან მუშაობდა, რათა ჯერემის თამაშის დაწყების ნორმალური გზები შეესწავლა. მასწავლებელმა ჯერემისთვის თამაშის დაწყების მოდელები შეიმუშავა. რამდენიმე დღის შემდეგ, ის უკვე ახლოს იჯდა, მაგრამ ძალიან აღარ ერეოდა ბავშვების ურთიერთობის პროცესში. რამდენიმე კვირის შემდეგ, ჯერემი და სხვა ბიჭები მეგობრულად თამაშობდნენ, მასწავლებლის მხრიდან ყოველგვარი დახმარების გარეშე. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ჯერემი რეგულარულად ეკითხებოდა სხვა ბავშვებს, შეიძლებოდა თუ არა მათთან თამაში ან დახმარებას მოზრდილებს სთხოვდა. მასწავლებელმა აღნიშნა: „მე რომ დაკვირვებისა და ვარაუდისთვის დრო არ დამეთმო და ნანახი არ ჩამენიშნა, შესაძლოა, მეფიქრა, რომ ჯერემი ისევ ცუდად იქცეოდა. მეტისმეტად სწრაფად რომ მემოქმედა, წარმომიდგენია, რამდენად განსხვავებული შედეგს მივიღებდით ჯერემისთვის.“

ჯერემის მასწავლებელმა მას ის დახმარება აღმოუჩინა, რაც მას სოციალური უნარების განვითარების შემდეგი ეტაპისთვის სჭირდებოდა. ამ პროცესს *საყრდენის მიცემა* ეწოდება და იგი ლევ ვიგოტსკის თეორიებს ეყრდნობა. როგორც მე-5 თავში განვიხილეთ, ეს გულისხმობს შესაბამისი დონის გამოწვევის მიცემას. თქვენვე მიხვდებით, როდისაა გამოწვევა ზუსტად საჭირო დონის, რადგან ბავშვი წარმატებული იქნება და თავისი უნარების განვითარებასთან ერთად, ამოცანაზე უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას აიღებს. იმ სიტუაციას, როდესაც ბავშვს დამოუკიდებელი უნარები არცთუ განვითარებული აქვს, მაგრამ ზრდასრულისა თუ თანატოლების დახმარებით შეუძლია, წარმატებული იყოს, განვითარების უახლოესი ზონა

ეწოდება. როდესაც ამოცანა ბავშვის განვითარების უახლოეს ზონაშია, ბავშვს შეუძლია, მისი განხორციელება უფრო და უფრო დამოუკიდებლად მოახერხოს.

> *როგორც ვიგოტსკი წერს, განათლების ფუნქციაა, რომ ბავშვებს თავიანთი განვითარების უახლოეს ზონაში მყოფი ამოცანები მიეცეთ - ეს ის აქტივობებია, რომლებიც ბავშვებისთვის გამოწვევაა და რომელთა მიღწევაც ყურადღებიანი ზრდასრულის მითითებითაა შესაძლებელი. შედეგად, ზრდასრულებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა, რომ განვითარების გზაზე აქტიური გაძღოლით ბავშვის სწავლების დონე მაქსიმალურად გაზარდონ. მასწავლებლის როლი, ბავშვებისთვის იმის მითითების ნაცვლად, თუ რისთვის არიან ისინი მზად ან მათთვის ისეთი დავალების მიცემის ნაცვლად, რომელთა შესასრულებლად საჭირო გონებრივი შესაძლებლობებიც უკვე განვითარებული აქვთ, ამოცანების განვითარების უახლოეს ზონაში ან მათი დამოუკიდებელი მოქმედების დონის (განვითარების აქტუალური ზონა) ოდნავ ზემოთ მოქცევაა. (ბერკი და ვინსლერი 1995, 26).*

ქვემოთ აღწერილია სიტუაცია, როდესაც მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ კურიკულუმის საუკეთესო სტრატეგია ბავშვის გამოწვევასთან ერთად, მათგან წამოსული დახმარება და საყრდენის მიცემა იქნებოდა, რათა ბავშვს წარმატების მიღწევისა და შიშის გადალახვის შესაძლებლობა ჰქონოდა.

კაილი (2 წლისა და 2 თვის)

ბოლო დროს, გარეთ გასვლისას, კაილი დიდ დროს უთმობს იმის ყურებას, თუ როგორ ადიან და სრიალებენ ბავშვები ადრეული ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილ სასრიალოზე. ჩვენ ვეკითხებით, უნდა თუ არა ზემოთ ასვლა. ის უარის ნიშნად იქნევს თავს, თუმცა, ყოველდღე მაინც ახლო-მახლო დგას და სხვებს უყურებს. მიუხედავად იმისა, რომ უარს ამბობს, გვგონია, რომ მას აძრომა და ჩამოსრიალება შეუძლია. დღეს ვუთხარი: „მიუხედავად იმისა, რომ უარს მეუბნები, მგონია, რომ ძალიან გინდა კიბეებზე ასვლა და ჩამოსრიალება. რას იტყვი, მე რომ ხელი მოგკიდო და ასვლასა და შემდეგ ჩამოსრიალებაში მოგეხმარო?“ მან გაფართოვებული თვალებით შემომხედა, ხელი ჩამკიდა და წავედით. პირველი ორი ცდისას მას ჩემი ხელი მაგრად ეჭირა, მესამე ცდისას სასრიალოზე თავისით ავიდა, მე კი ახლოს ვიდექი.

ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე განვითარების უახლოესი ზონაა ასახული.

მასწავლებლები დიდ ყურადღებას უთმობენ კონკრეტული ბავშვების განვითარების უახლოეს ზონას



ზოგ შემთხვევაში, ბავშვთან წარმატებული შედეგის მისაღწევად საუკეთესო გზა თანატოლებთან ურთიერთობის გამოყენებაა. კურიკულუმის ეს სტრატეგია, შესაძლოა, ეფექტიანი იყოს გაბრაზებული ბავშვის ყურადღების გადასატანად ან ჩუმი ბავშვის გასამხნევებლად. ქვემოთ მოცემულ მაგალითში ჩანს, რომ ზრდასრულები ოლივიას გარკვეული პერიოდის მანძილზე აკვირდებოდნენ და მის სოციალურ იზოლაციას ამჩნევდნენ. მათ გადაწყვიტეს, თანატოლებთან ურთიერთობა ოლივიას უფრო მეტი ჩართულობისა და სოციალიზაციისათვის გამოეყენებინათ.

ოლივია (4 წლისა და 10 თვის)

როგორც წესი, ოლივია მარტო თამაშობს და მუშაობს. ის არ ურთიერთობს სხვა ბავშვებთან. თუ სხვები გვერდით დაუსხდებიან, ის თავისთვის, ზედმეტი ურთიერთობის გარეშე აგრძელებს მუშაობას. გვინდოდა, გვენახა, შევძლებდით თუ არა ოლივიას დახმარებას, რათა იგი უფრო მეტად ჩართულიყო სხვებთან საუბარსა თუ სოციალურ ურთიერთობაში. დღეს, როდესაც ოლივია პლასტილინით სათამაშო მაგიდასთან მივიდა, სადაც დინოზავრების ფიგურები ეწყო, ლიდიას ვურჩიეთ, ოლივიასთან მისულიყო. ლიდია ხმამაღალი, ინტერაქტიული ბავშვია. ვიფიქრეთ, რომ ამ ორის დაწყვილება ოლივიას უფრო წაახალისებდა. პლასტილინსა და დინოზავრებთან თამაშისას, ორივე გოგონა ერთმანეთს ესაუბრებოდა თემაზე, რისი გაკეთება და ჭამა შეუძლიათ დინოზავრებს. შემდეგ, წახემსების დროს, ისინი გვერდიგვერდ დასხდნენ და საუბარი განაგრძეს! ჩვენი სტრატეგია წარმატებული გამოდგა!

ზოგჯერ თქვენი გეგმა მოითხოვს სპეციალური აქტივობების დაგეგმვას ან დამატებითი რესურსების შემოტანას. ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელშიც ჩანს, როგორ გადაწყვიტეს

აღმზრდელებმა, რომ ბავშვის მშობლიურ ენაზე უფრო მეტი რესურსი სჭირდებოდათ, რათა მისი კულტურა პროგრამაში აესახათ და კომუნიკაციის უნარები გაეუმჯობესებინათ.

იუტა (24 თვის)

როდესაც იუტამ ჩვენი პროგრამა დაიწყო, ის მხოლოდ ჟესტებით გვეკონტაქტებოდა. დედამისს ვთხოვეთ, ჩვენთვის რამდენიმე იაპონური სიტყვა ესწავლებინა და ვიყიდეთ წიგნი, რომელშიც იაპონური სიტყვები იყო მოცემული. ასევე შევიძინეთ დისკი, რომელზეც იაპონური მუსიკა იყო ჩაწერილი. ახლა იუტა უკვე გვპასუხობს იაპონურად და ინგლისურიც ნაწილობრივ ესმის. ის ხშირად ირჩევს იმ წიგნს და ჩვენთან მოაქვს, რომ წავუკითხოთ.

ქვემოთ მოცემულია მაგალითი, რომელშიც ჩანს, როგორ მიაწოდა ზრდასრულმა ბავშვს მისი ინტერესების შესაბამისი დამატებით მასალა, რესურსები და აქტივობები.

ტანეიშა (5 წლისა და 2 თვის)

ძლიერი წვიმის შემდეგ, ჯგუფის ოთახის ტროტუარი ჭიებით იყო სავსე. ავიღე კაფეტერიის ლანგარი, გავედი გარეთ, ლანგარზე რამდენიმე ჭია მოვაგროვე და შიგნით შემოვიტანე, ბავშვებს რომ ენახათ. ყველა ბავშვი დაინტერესდა, თუმცა ტანეიშა - ყველაზე მეტად. ის თხუთმეტიდან ოც წუთამდე ჩუმად იჯდა და უყურებდა, როგორ იკლაკნებოდნენ ჭიები ლანგარზე. ტანეიშას ვკითხე, ხომ არ უნდოდა პლასტილინისაგან ჭიები გაეკეთებინა. მას თვალები გაუბრწყინდა. პლასტილინით ჭიებიან ლანგართან თამაშობდა და ჭიების ბევრი სხვადასხვა ფორმა შექმნა. მეორე დღეს მოვუტანე რამდენიმე წიგნი ჭიების შესახებ. ტანეიშამ მათ თვალიერებას და სურათების ყურებას დიდი დრო დაუთმო. რამდენიმე წიგნი წავუკითხე და შევთავაზე, ჭიების შესახებ საკუთარი წიგნები გაეკეთებინა. მან მიკარნახა: „ზოგიერთი ჭია გრძელია. მათ სველი ბალახი არ მოსწონთ. ისე გამოიყურებიან, თითქოს თვალები საერთოდ არ აქვთ.“ მიუხედავად იმისა, რომ იმ წვიმიანი დღის ბოლოს ჭიები ისევ გარეთ გავიყვანეთ, ტანეიშას ეს ინტერესი მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაშიც არ დაუკარგავს.

დაგეგმვა ბავშვთა ჯგუფისთვის

როდესაც ბავშვების ჯგუფს აკვირდებით, შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ დღის გარკვეული მონაკვეთები სხვებთან შედარებით უფრო უპრობლემოდ მიმდინარეობს. დაკვირვება იმაზე, როგორ ახერხებენ ბავშვები ყოველდღიურ რეჟიმში დროის გადანაწილებას, დაგეხმარებათ, დაადგინოთ, არის თუ არა აქტივობები, რეჟიმები და დღის გარდამავალი პერიოდები დაბალანსებული და ცვლის თუ არა ერთმანეთს პასიური და აქტიური დროები. სავარაუდოდ, რეჟიმის მიმდინარეობას ყოველდღიურად, ქვეცნობიერად მაინც აკვირდებით. ალბათ, იმასაც ამჩნევთ, როდის სჭირდებათ ბავშვებს აქტივობის ტემპის შეცვლა. თუმცა, დაკვირვება მაინც

დაგეხმარებათ, შეამჩნიოთ, თუ რეჟიმის რომელიმე ნაწილი მუდმივად პრობლემატურია. დაახლოებით ერთი კვირის განმავლობაში დღის ამ რთულ მონაკვეთზე დაკვირვება პრობლემის მიზეზზე შეგიქმნით წარმოდგენას და საშუალება გექნებათ, დაფიქრებულად მოაგვაროთ იგი. განხორციელება ისეთი ცვლილებისა, რომელიც ბავშვებს ხალისით ჩართავს პროცესში, ნამდვილად ჭკვიანური გადაწყვეტილებაა.

ასევე, დაკვირვების გამოყენება შეგიძლიათ ბავშვთა მთელი ჯგუფისთვის, ვისთანაც მუშაობთ, პროცესის დასაგეგმად. როდესაც ამას აკეთებთ, კვლავ აკვირდებით ინდივიდუალურად ბავშვებს და იწერთ, რას სწავლობთ მათ შესახებ, მაგრამ ამ ცოდნას ისე აყალიბებთ, რომ შემდეგ სხვადასხვა მიზნით გამოიყენოთ. თქვენ პასუხობთ კითხვებს, რა მუშაობს კარგად ბავშვთა ამ ჯგუფისთვის? რა არ მუშაობს? შემდეგ, კითხვებზე მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, თქვენ შესაძლებელია განახორციელოთ:

- სხვაგვარად მოაწყოთ ოთახი და შეცვალოთ საშუალებები საჭიროების მიხედვით, ყურადღება მიაქციოთ ბავშვების არჩევანს და სად ჩნდება მათი ქცევის პრობლემები
- დაგეგმოთ აქტივობები, რომლებიც უფრო მეტად ჩართავს ბავშვებს
- დაგეგმოთ ბავშვების ინტერესებისა და პრობლემების საფუძველზე
- დარჩეთ მოქნილი დღის განრიგის განმავლობაში ბავშვების საჭიროებების მიხედვით
- გაანალიზოთ ბავშვების კულტურული კონტექსტი და გახდეთ უფრო მგრძნობიარე ბავშვის აღზრდისადმი მათი ოჯახების მიდგომის მიმართ

კურიკულუმის უფრო ღრმად გასააზრებლად, დაკვირვებებს მნიშვნელოვანი დახმარების აღმოჩენა შეუძლია. თქვენ უკეთესად ეცნობით ბავშვებს, მეტს იგებთ თითოეულის პიროვნული თვისებების შესახებ და ავლენთ მათ შესაძლებლობებსა თუ უნარებს. ეს ცოდნა გეხმარებათ თქვენც და ბავშვებსაც ადაპტირებასა და, საჭიროების შემთვევაში, ცვლილებების განხორციელებაში.

როზმარი: მოსწავლეებზე დაკვირვებით ვსწავლობ ყველაზე მეტს მათ შესახებ - როგორი პიროვნებები არიან, როგორ ურთიერთობენ მეგობრებთან და როგორ გრძნობენ ყველაზე კომფორტულად თავს (სხვებთან თუ მარტო თამაშის დროს). ვიცი მათი შესაძლებლობები - ფოკუსირება მოახდინონ ან არ შეეპუონ ამოცანას, მათი ენა და ლექსიკა, მათემატიკისა და ნუმერაციის უნარები, გარდა მხოლოდ დათვლისა. ამ ყველაფრის ცოდნა მეხმარება პროცესის დაგეგმვაში - როგორც თითოეულ ბავშვზე, ისე, ჯგუფებთან.

ოთახის გარემო და მასალები

ყოველდღიური დაკვირვებისას ინტუიციურად გრძნობთ, პასუხობს თუ არა ფიზიკური გარემო ბავშვების საჭიროებებს. თქვენ ხვდებით, რომ ბავშვის გამოვლენილი შეუფერებელი ქცევა, არასათანადოდ გამოყენებული მასალები ან იმედგაცრუება, გამაფრთხილებელი ნიშნებია პროცესის არასწორი მსვლელობისა. ხმაურიანი თამაში სასიამოვნო ზუზუნის ნაცვლად შეიძლება იყოს ერთგვარი მინიშნება, რომ ეს ადგილი, გარემო არაეფექტიანია.ზოგჯერ ბავშვები პერმანენტულად არიდებენ თავს კონკრეტულ ადგილს ან საშუალებების გარკვეულ წყებას, ხანაც ძალიან ბევრ ბავშვს სურს

პეგი ს: კვლავაც ვფიქრობ, რომ დაკვირვება და დოკუმენტირება არის ერთადერთი გზა, ვაკეთო ის, რისი კეთებაც მინდა ბავშვებისთვის და მათთან ერთად. თუ მსურს, დავრწმუნდე, ბავშვს ნამდვილად აქვს თუ არა პირობები და ეძლევა თუ არა დამოუკიდებლად სწავლის შესაძლებლობები, ვიყენებ დაკვირვებასა და დოკუმენტირებას თვალსაჩინოებისთვის და

რამდენიმე კონკრეტული საგნით ან მცირე სივრცეში ერთროულად თამაში.

სკოლამდელი დაწესებულების ბევრი ოთახი მოწყობილია ინტერესის სივრცეების ან სასწავლო ცენტრების მიხედვით. 1,3-4 წლის ბავშვებსა და სკოლამდელებს ყოველდღიურათ აქვთ საკმაოდ დიდი დრო ცენტრიდან ცენტრში გადასაადგილებლად, სხვადასხვა აქტივობის ასარჩევად და ადამიანებთან - ბავშვებთან თუ უფროსებთან - საურთიერთოდ. პროგრამების უმრავლესობაში შემდეგი ინტერესის სივრცეებია გამოკვეთილი:

ვიგებ, აღწევენ თუ არა ბავშვები მიზანს ან მუშაობენ მის მისაღწევად. ყოველთვის ვითვალისწინებ ბავშვის სურვილებს და მათ საჭიროებებს.

- ხელოვნება
- კუბურები
- დრამატული თამაშები
- მანიპულატივები
- მეცნიერება და მათემატიკა
- მოძრაობა და მუსიკა
- ბიბლიოთეკა
- სენსორული მაგიდა
- წერის ცენტრი

რობინ ჯ: მე ვარ ჯგუფში სამი წლის ასაკის ბავშვებთან ერთად. ფოკუსირებული დაკვირვება ცხადყოფს, რომ საჭროა გარემო მეტად მოერგოს პროცესს და მასზე იყოს ორიენტირებ ული, რათა უკეთესად და უფრო ყურადღებით დავაკვირდე ბავშვებს მათ შესახებ მეტი ინფორმაციის შესაგროვებლად.

მონიტორინგი, რომელიც გამოავლენს ბავშვების მიერ არჩეულ სათამაშო თუ სამუშაო, სხვებთან საურთიერთოდ მოსახერხებელ და მათთვის კომფორტულ სივრცეებს, დაგეხმარებათ ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნაში. ბავშვებზე დაკვირვებისას ჩაინიშნეთ და გამოიყენეთ ჩანაწერი (როგორც ეს ქვემოთაა წარმოდგენილი), სადაც შეიყვანთ მონაცემებს ბავშვების მიერ უფრო ხშირად შერჩეული ოთახის სივრცეების/ცენტრების შესახებ. გააკეთეთ ჩანაწერები სივრცის იმ ნაწილების შესახებ, სადაც ისინი დღის სხვადასხვა პერიოდში უფრო მეტ დროს ატარებენ. თუ ფოკუსირებულად ერთ ბავშვს აკვირდებით, დაგჭირდებათ მონაცემები მისი სხვადასხვა ცენტრში გატარებული დროის შესახებ. ჩაიწერეთ, რა სიხშირითა და რა დროის განმავლობაში რჩება ბავშვი ოთახის რომელიმე სივრცეში და რითაა დაკავებული. თუ თქვენ რამდენიმე ბავშვს ერთდროულად აკვირდებით, ჩამოწერეთ მათი სახელები იმ ცენტრების გასწვრივ, რომლებშიც მათ ხედავდით. გთავაზობთ ე.წ. ორი არჩევანის ჩანაწერის ფორმატს დანართში B და დისკზე - ერთი სკოლამდელებისთვის და მეორე - 1,5-3 წლის ასაკის ბავშვებისთვის.

სკოლამდელთა არჩევანის ჩანაწერი

(გამოყენება შესაძლებელია ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის არჩევანის მოსანიშნად)

თარიღი_____ბავშ(ებ)ი _____

_____

ხელოვნება	კუბურები	დრამატული თამაში
მანიპულატივები	**მეცნიერება/მათემატიკა**	**მუსიკა/მოძრაობა**
ბიბლიოთეკა	**სენსორული მაგიდა**	**წერის ცენტრი**

ახლადფეხადგმული ბავშვების არჩევანის ჩანაწერი

(გამოიყენება ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის არჩევანის მოსანიშნად)

თარიღი_____ ბავშ (ებ) ი _____

_____

სამხატვრო მოლბერტი	კუბურები	თამაშის სახლი
მანიპულატივები	**ცოცვის სივრცე**	**ასამრომი მოწყობილობა**
წიგნების კუთხე	**სენსორული მაგიდა**	**სარწეველა სკამი**

თქვენ ძალიან ბევრის სწავლა შეგიძლიათ ბავშვების შესახებ მათ მიერ შერჩეული აქტივობების მიხედვით და ასევე მათ მიერ დროის გასატარებლად ოთახის კუთხის შერჩევით. ხშირად ბავშვები ირჩევენ რაღაცას, რის გაკეთებასაც ან შესრულებასაც პერმანენტულად უბრუნდებიან. შესაძლებელია, თქვენთვის მათი არჩევანი განმეორებითი იყოს, მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობდეს მიზეზი იმისა, თუ რატომ არიან ისინი ჩართულნი ერთსა და იმავე აქტივობაში და ირჩევენ ერთსა და იმავე მასალებს. ქვემოთ გთავაზობთ პუნქტებს გასააზრებლად - რა შეიძება გაითვალისწინოთ დაკვირვებისას იმ ბავშვებზე, რომლებიც აქტივობებს იმეორებენ:

- შესაძლოა, ბავშვს მოსწონდეს რომელიმე აქტივობა და კომფორტულად იგძნოს თავი, რადგან ის მისთვის ნაცნობია. ან იქნებ, სახლიდან იცოდა ეს აქტივობა და ბევრჯერ გაუკეთებია.
- შესაძლოა, ბავშვს ჰქონდეს სიახლის შიში.
- შესაძლოა, თავს წარმატებულად მიიჩნევს, რადგან იოლად ახერხებს რაიმეს კეთებას - ანუ ეს მისთვის ერთგვ არი მიღწევაა.
- შესაძლოა, ბავშვმა თითქმის დაძლია რომელიღაც აქტივობა და შედეგის გაუმჯობესებას ცდილობს, რაც ითხოვდეს იმ საქმიანობისთვის საჭირო უნარების გამოყენებას.

როდესაც ბავშვები ირჩევენ ოთახის სივრცეებს/ცენტრებს ხელახლა მისაბრუნებლად, ეს მეტყველებს მათ პიროვნულ თვისებებსა და სიძლიერეზე. შესაძლოა, ხატვით დაინტერესებულმა ან მოყვარულმა ბავშვმა ყოველდღიურ საქმიანობად ხატვა და გაფერადება აირჩოს. ეზოში თამაშისას ჩვილი შეიძლება მუდმივად ცდილობდეს სპეციალურ სიმაღლეზე აძრომას, რაც კუნთების გამოყენებას მოითხოვს. კარგად განვითარებული ვერბალური უნარების მქონე ბავშვს შესაძლოა მოსწონდეს სხვა ბავშვების შემოერთება და წარმოსახვითი ტანსაცმლით ან თოჯინებით თამაში. ასეთი ბავშვი აფრქვევს იდეებს და ანაწილებს როლებს სამეტყველო უნარების ეფექტური გამოყენებით. გარკვეული კატეგორია ბავშვებისა,

რომლებსაც სუსტი მცირე კუნთების მოტორიკა აქვთ, თავს არიდებენ ისეთ ცენტრებს/სივრცეებსა და აქტივობებს, რომლებიც ხატვას, წერას ან მაკრატლის გამოყენებას მოითხოვენ.

ე.წ. არჩევანის ჩანაწერები არამხოლოდ გეხმარებათ ბავშვების ინტერესების განსაზღვრაში, არამედ ადგენთ, ეფექტურად როგორ იყენებენ ისინი გარემოს. თუ თქვენი ჩანაწერები გამოავლენს გამოყენების თვალსაზრისით უფრო პოპულარულ ან შედარებით აუთვისებელ ცენტრებს, მოგიწევთ ამ უკანასკნელის შეცვლა და ბავშვებისთვის სასარგებლო სივრცედ გადაკეთება. წარმოგიდგენთ ე.წ. არჩევანის ჩანაწერის ორ შევსებულ მაგალითს - პირველი - სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის, მათ შორის დროის მონიშვნით, ხოლო მეორე - ჩვილების ჯგუფისათვის.

სკოლამდელთა არჩევანის ჩანაწერი

(გამოყენება შესაძლებელია ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის არჩევანის მოსანიშნად)

თარიღი___10 თებერვალი_____ ბავშვ(ებ)ი _____მიგელი, 2 წ. 8 თვის_____

_____

ხელოვნება	კუბურები	დრამატული თამაში
10 წთ	0	5 წთ
მანიპულატივები	**მეცნიერება/მათემატიკა**	**მუსიკა/მოძრაობა**
9 წთ	0	0
ბიბლიოთეკა	**სენსორული მაგიდა**	**წერის ცენტრი**
0	15 წთ	0

კარგი იქნება, ყურადღება მიექცეს ბავშვის პრობლემურ ქცევას და დადგინდეს, უფრო ხშირად ოთახის რომელ სივრცეს უკავშირდება იგი. მსგავსი ნიუანსების აღმოჩენის შემთხვევები - უმეტესად სად ტირიან, ბრაზდებიან ან ჩხუბობენ ბავშვები - უნდა დააფიქსიროთ ჩანაწერებში და შემდგომ იფიქროთ ავეჯის, თაროების, მასალების და სხვ. გადაადგილებაზე. ოთახში ავეჯის შეცვლა ან ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, მასალების ორგანიზება და ხელმისაწვდომობა ხშირად განსაზღვრავს ბავშვების ქცევებს.

ახლადფეხადგმული ბავშვების არჩევანის ჩანაწერი

(გამოიყენება ერთი ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის არჩევანის მოსანიშნად)

თარიღი___15 აპრილი_____ ბავშ (ებ) ი ___მაკენრა 1 წ. 6 თვის; ჯესი 1 წ. 10 თვის_____

ჰურიელი 24 თვის_____

სამხატვრო მოლბერტი	კუბურები	თამაშის სახლი
ჰ	მ, ჯ.	მ, ჰ.
მანიპულატორები	ცოცვის სივრცე	ასაძრომი მოწყობილობა
ჯ	ჰ, მ	ჯ
წიგნების კუთხე	სენსორული მაგიდა	სარწეველა სკამი
	მ, ჯ, ჰ	მ

გარემოს გასაანალიზებლად და მიუღებელი ქცევის გამომწვევი გარემო-მიზეზების გასააზრებლად, საუკეთესო გზა არის ჩაწერა იმ ადგილისა თუ სივრცის ნაწილისა, სადაც პრობლემა იჩენს ხოლმე თავს. მასწავლებელთა რაღაც ნაწილი იყენებს პატარა წებოვან ქაღალდებს და აწებებს მათ კედლებზე მსგავსი „პრობლემური ადგილების“ თავზე (ბავშვებისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე). გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაგროვილი მონიშნული ცენტრები მიხედვას საჭიროებენ. შესაძლოა, აღმოაჩნოთ, რომ დერეფანი ან ბილიკი, რომლის გავლაც უწევთ თეატრალური თამაშების კუთხისკენ მიმავალ ბავშვებს, კვეთს სივრცეს, სადაც სხვები კუბებით თამაშით ერთობიან. ასეთ ვითარებაში, ბავშვები ძალაუნებრივად, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო უნგრევენ კონსტრუქციებს მეგობრებს. კუბებით სათამაშო სივრცის სხვაგვარად მოწყობა, მასალების გადალაგება ან ამ ცენტრის/სივრცის შემოფარგვლა მოაგვარებდა ამ პრობლემას. კიდევ ერთი ხერხი მუხლებზე დგომა და სივრცის ბავშვის სიმაღლიდან, მისი თვალთახედვის პერსპექტივიდან დანახვაა (ბავშვის სკამის სიმაღლეზე დაჯდომაც ხსნის საჭირო პერსპექტივას). ამ არეალიდან უკეთ დაინახავთ და შეაფასებთ უსაფრთხოების პრობლემებს, მაგალითად: არის თუ არა მონიშნული კარადების კუთხეები? საკმარისი ადგილია თუ არა გასავლელად სამხატვრო მოლბერტის გარშემო? რამდენად კარგადაა სტრუქტურირებული, დაგეგმარებული ჯგუფის ოთახი? რამდენად მიმზიდველია გარემო და ცენტრები ბავშვებისთვის? თუ ბავშვები თავს არიდებენ კონკრეტულ ცენტრს, ამის მიზეზი შეიძლება სიც იყოს, რომ ვერ ხედავენ ხელმისაწვდომ საშუალებებს იქ ან ცენტრი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული თაროებისა და მაგიდების განლაგების მიხედვით.

დიდი და პატარა ჯგუფების აქტივობები

როგორ გავიგოთ ბავშვისთვის დაგეგმილი აქტივობა არის თუ არა მათთვის წარმატებული? რა არის ამის ნიშნები? დაგეგმილის წარმატების შეფასებას ზოგჯერ სპონტანურად ახორციელებთ ბავშვებთან ერთად აქტივობებში მონაწილეობის პარალელურად. ხანაც აფასებთ მოგვიანებით, გაანალიზებისას. წარმატებულად აფასებთ აქტივობებს ქვემოთ ჩამოთვლილი პუნქტებიდან გამომდინარე. წარმატებულად აფასებთ აქტივობას, როდესაც ამჩევთ:

- ბავშვების თვალები გაბრწყინებულია; ისინი იღიმებიან და ავლენენ ენთუზიაზმს აქტივობაში მონაწილეობისას
- ბავშვები რჩებიან აქტივობაში უფრო დიდი ხნის განმავლობაში (ათიდან ოცდაათ წუთამდე, დამოკიდებულია მათ ასაკზე)
- გეუბნებიან, რომ მოსწონთ, რასაც აკეთებენ და, მაგალითად, ამბობენ: „ეს კარგი გასართობია!“, „მე მომწონს პლასტილინი!“
- კვლავ ითხოვენ აქტივობის გამეორებას ან საუბრობენ ამაზე მოგვიანებით
- აქტივობებში ჩართული ბავშვების ქცევების უმნიშვნელო პრობლემებს
- ბავშვები უფრო ართულებენ თქვენ მიერ დაგეგმილ აქტივობას და აღრმავებენ დონეებს, ამატებენ საკუთარ იდეებს, მასალებს ან იყენებენ საშუალებებს განსხვავებულად.

როგორ ვლინდება წარმატებული აქტივობა, ახლა კი განვიხილოთ დაგეგმილი აქტივობა როდის არის წარუმატებელი. ზოგჯერ თქვენ ამჩნევთ, რომ სირთულეები წარმოიშვება ზუსტად ერთ ადგილას და ჯგუფის ამოცანაზე ფოკუსირება თითქმის შეუძლებელი ხდება, როგორც ქვემოთ წარმოდგენილ მაგალითშია აღწერილი.

წრეში შეხვედრის დრო

> წრეში ჯდომის დროს მასწავლებელი კითხულობს წიგნს მხიარული სურათებით და მოკლე, განმეორებადი ტექსტით - სწორედ სამი წლის ასაკის თექვსმეტი ბავშვისათვის, რომლებიც სხედან ხალიჩაზე. მასწავლებელს აქვს ისტორიის წაკითხვის ძალიან ჩამთრევი მანერა. უმეტესობა ბავშვებისა უსმენს და უყურებს სურათებს, მაგრამ ორი ბავშვი აშკარად არ აქცევს ყურადღებას. მასწავლებელი წყვეტს კითხვას და აფრთხილებს, „ნათან, გასწორდი“, „ჯონათან, ჩაიცვი ფეხსაცმელი“. ორი გვერდის წაკითხვის შემდეგ ის კვლავ ჩერდება და ამბობს, „ჰოლი, ხელები გააჩერე“. ყველა ბავშვი უყურებს ჰოლის და იწყებენ კომენტარების გაკეთებას, თუ ვის ეხება ის და რატომ. როდესაც მასწავლებელი უბრუნდება კითხვას, უფრო მეტი ბავშვი ცქმუტავს და რამდენიმე იწყებს მათ უკან თაროზე განლაგებული სათამაშოებით თამაშს. სანამ დასასრულს მიუახლოვდება, მასწავლებელი ამბობს გაბრაზებული ხმით, „კარგი, ყველამ მომისმინეთ, ეს არის მოსმენის დრო და არა - თქვენს მეგობრებთან ან სათამაშოებით თამაშისა“. როდესაც ის აგრძელებს, ბავშვების უმრავლესობას უკვე დაკარგული აქვს ისტორიის მოსმენის ინტერესი. წრეში ჯდომის დრო სრულდება გაწბილებული მასწავლებლითა და დაკლაკნილი ბავშვებით (ლუმისი და ვაგნერი, 2005, 94)

პატარა ბავშვები დაუფარავად გულწრფელები არიან და აშკარად, ზოგჯერ სასტიკადაც კი გაგრძნობინებენ - რასაც მათთვის აკეთებთ, აბსოლუტურად არ აინტერესებთ! ისინი ამას, უმეტესად, საქციელით გამოხატავენ. ქვემოთ წარმოდგენილია ბავშვთა ქცევის მაგალითები/სიტუაციები, რომლებიც მიგახვედრებთ, რომ აქტივობა წარუმატებელია:

- ☐ ბავშვები განზე იყურებიან, ყურადღება ეფანტებათ და სხვაგან დაჰქრიან გონებით
- ☐ ირწევიან ან მოუსვენრად იქცევიან. შესაძლოა, დაკარგონ სხეულის კონტროლი, მოიქცნენ მოუქნელად ან უხეშად
- ☐ მოკლე პერიოდით ერთვებიან აქტივობაში, მალე ბეზრდებათ და სწრაფადვე გადადიან სხვა, მათთვის უფრო საინტერესო აქტივობაზე
- ☐ მათი ზოგადი ქცევა უარესდება
- ☐ არ ავლენენ ენთუზიაზმს, არ უბრწყინავთ თვალები, არ გამოხატავენ აღტაცებას, ინდიფერენტულობას იჩენენ და სვამენ კითხვებს: „რა უნდა გავაკეთო?“ ან „როდის შემიძლია წავიდე?“
- ☐ ბავშვები გეუბნებიან, „ეს მოსაწყენია“, ან „მე უკვე ვიცი, როგორ უნდა გავაკეთო ეს“.

როდესაც აფიქსირებთ ასეთ ქცევას, თქვენ უნდა განახორციელოთ ცვლილებები და რაც შეიძლება მალე! წრეში ჯდომის ზემოთ წარმოდგენილი მაგალითის შემთხვევაში,

მასწავლებელს შეეძლო შეეწყვიტა კითხვა და ეთქვა, „როგორც ვხედავ, დღეს თქვენ მოსმენის ხასიათზე არ ხართ. გადავდოთ წიგნი გვერდით და წავიკითხოთ სხვა დროს. ამის მაგივრად, მოდით, ვიცეკვოთ“. შემდეგ შეეძლო, ჩაერთო რომელიმე საყვარელი მუსიკა და მიეცა ბავშვებისათვის მხიარულების, გართობის, ენერგიის დახარჯვის საშუალება. ან უფრო ადრე დაესრულებინა წრეში ჯდომისა და კითხვის ატივობა და ეზოში გაეყვანა ბავშვები.

ზოგჯერ თქვენ ქმნით აქტივობებს, რომლებიც ამოწმებს ან ავითარებს სპეციფიკურ უნარებს. შესაძლოა დაგეგმოთ, ბავშვების მცირე ჯგუფთან ერთად მუშაობა, პროგრესის აღწერა და შეფასება. მაგალითად, გსურთ სამი წლის ბავშვებთან ფერთა შეხამებაზე მუშაობა და იწყებთ თამაშს შპალერის პატარა კვადრატებად დაჭრილი ნიმუშებით. თამაშის დაწმებამდე უხმობთ სამი წლის ასაკის რამდენიმე ბავშვს აქტივობაში ჩასართველად. თქვენს პლანშეტში გააკეთებთ ჩანაწერს ბავშვების უნარების შესახებ - ცნობს თუ არა ფერებს, ახერხებს თუ არა ფერების შეხამებას, უსადაგებს თუ არა ერთი ფერის ორ სხვადასხვა ნიმუშს ერთმანეთს და სხვა. ზოგიერთი ბავშვი, შესაძლოა, მაშინვე ჩაერთოს თამაშში, სხვამ კი ცოტა ხნით ან საერთოდ არ ისურვოს აქტივობაში ჩაბმა. თქვენ დაადგენთ, რამდენად წარმატებულია აქტივობა ბავშვების მოქმედებების გათვალისწინებით და უპასუხებთ ქვემოთ დასმულ კითხვებს:

- დაინტერესებულები და ჩართულები იყვნენ თუ არა ბავშვები? როგორ დავადგინე ეს?
- რამდენი ბავშვი მონაწილეობდა?
- მოსწონდათ ბავშვებს აქტივობა?
- აღმოვაჩნე, რაც უნდა გამეგო მათი უნარების შესახებ? (ლუმისი და ვაგნერი 2005)

მასწავლებლის მიერ ინიცირებული აქტივობების დანერგვა შესაძლებელია უფრო მეტად წარმატებული იყოს, თუ იფიქრებთ ბავშვების კონკრეტული უნარების შესწავლის თქვენი მიზნის მიღწევის სხვადასხვა გზებზე. კვლავ გაითვალისწინეთ ბავშვების ნატიფ მოტორიკაზე დაკვირვების სურვილის მაგალითი. ფერადი შპალერის ფერებით თამაშის გარდა, შეგიძლიათ ფერადი კუბების, თასების ან ლანგრების, ზონრების და მძივების, მარკერებისა და ფერადი ფურცლების გამოყენება. ან იქნებ, შესთავაზოთ ფერების დამთხვევის სხვადასხვა აქტივობა, რათა ბავშვებმა თავად აარჩიონ საშუალებები, რომლებიც მოსწონთ და უკეთ ერგება მათ ინტერესებს. შესაძლებელია, ასეთმა მიდგომამ უფრო ხანგრძლივი პერიოდით ჩართონ ბავშვები აქტივობებში, რაც თქვენ მეტი ინფორმაციის დაგროვების საშუალებას მოგცემთ განსასაზღვრად, რამდენად კარგად გამოსდით მსგავსებებისა და განსხვავებების ამოცნობა.

ბავშვების ინტერესები

ბავშვების ინტერესების გათვალისწინება თქვენს კულიკულუმს უფრო რელევანტურს ხდის. ზოგჯერ ბავშვთა ჯგუფი სრულიად იხიბლება ისეთი თემებით, როგორიცაა მატარებლები ან დინოზავრები და თამაშს ამ თემებს უკავშირებენ. ისინი სვამენ უამრავ კითხვას და ავლენენ აღფრთოვანებას, როდესაც თქვენ პასუხობთ და წარმოუდგენთ მათ ინტერესთან დაკავშირებულ საშუალებებსა თუ რესურსებს. ასეთ დროს ბავშვები უფრო მეტი

პეგი ს.: როდესაც ბავშვებს მივმართავ კითხვით: „არის რაიმე, რის შესახებაც უფრო მეტის გაგება გსურთ?“ ისინი, ჩვეულებრივ, სვამენ უამრავ კითხვას. მაგალითად, ფერმის შესახებ ჩვენი საუბრის შემდეგ, ისინი სვამენ ამ ტიპის კითვებს: „რატომ არის რძე ყოველთვის თეთრი, მიუხედავად იმისა, რომ ძროხები სხვადასხვა ფერის არიან?“, „საიდან ჩნდებიან ლეკვები, ჩემი მეგობრის ძაღლს

ხალისითა და ენთუზიაზმით ერთვებიან აქტივობებში და თქვენთვის მოულოდნელად, ზოგჯერ ავლენენ უფრო ღრმა ცოდნას საკითხის ირგვლივ. დაფიქრდით, რამდენ ადრეული ასაკის ბავშვს შეიძლება ჰქონდეს საფუძვლიანი ცოდნა დინოზავრების სახელების ან მატარებლების შესახებ და ესმოდეთ „გადაშენების“განსაზღვრება.
ბავშვების მიერ დასმული კითხვების გულდასმით მოსმენა და მათი თამაშის თემებისთვის ყურადღების მიქცევა დაგეხმარებათ მათი ღრმა ინტერესებისა და გრძნობების განსაზღვრაში. უფრო მეტს გაიგებთ იმ ცოდნის შესახებაც, რომელსაც ისინი იყალიბებენ. თქვენ შეგიძლიათ ღია კითხვების დასმა უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად და მათი ინტერესებისა და ემოციების უკეთ გასაგებად.

ჰყავს ლეკვები“. „მე მინდა მეტი ვიცოდე დიდი სქელი ბაყაყების შესახებ!“ და სხვა. შესაბამისად, ჩვენი ერთ-ერთი გეგმა არის ფერმაში ვიზიტი, რადგან ვცდილობთ მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ბავშვებს ინტერესების დასაკმაყოფილებლად და ცოდნის გასაღრმავებლად.

ცოტა რამ მათი ფიქრების შესახებ. ხუთი და ოთხი წლის ასაკის ბავშვების ერთმა ჯგუფმა გამოხატა სააბაზანოში ხელსაბანის ქვემოთ მილებით დაინტერესება. ერთმა ბავშვმა დაინტერესდა, სად მიდის წყალი. მასწავლებელმა სთხოვა, მისი მოსაზრება გამოეთქვა. ამ დიალოგმა ჯგუფს გამოძიების დაწყებისკენ უბიძგა. მათ დაათვალიერეს ცენტრის ყველა სააბაზანო და ხელსაბანი. მასწავლებელმა ჩაიწერა მილების რაოდენობა და ზომები. ისინი რეცხავდნენ უნიტაზებს და ამოწმებდნენ გარე წყალსადენის ონკანებს, პარალელურად - გამოთქვამდნენ ვარაუდებს და მსჯელობდნენ, სად მიდიოდა წყალი. მასწავლებელმა მოიტანა პლასტმასის მილები, რათა გამოეყენებინათ წყლით სათამაშო მაგიდასთან. მან იპოვა წიგნები, სადაც აღწერილი იყო წყალსადენისა და მიწისქვეშა კანალიზაციის სისტემები. ის მუდმივად პასუხობდა ბავშვების შეკითხვებს მათთვის კითხვის შებრუნებით, თუ რას ფიქრობდნენ, სად მიდიოდა წყალი და აწვდიდა ინფორმაციასა და შესაძლებლობას, რომ თავად გამოეკვლიათ ეს თემა.

ზოგჯერ თქვენ აფიქსირებთ ქცევას, რომელიც სულელური და არააშესაფერისია. ბავშვები, ცხადია, ვერაფრით ხსნიან ამგვარი ქცევის მიზეზებს. ერთმანეთის სხეულით აღტაცება და მათ მიერ გამოცემული ხმები მარტივად შეიძლება გადაიზარდოს ხითხითში ან დაბნეულობაში, სხვა დროს კი მიგვიყვანოს მიუღებელ ქცევამდეც. შესთავაზეთ ბავშვებს წიგნები ადამიანის სხეულის აგებულების შესახებ და ესაუბრეთ, წაუკითეთ საჭმლის მომნელებელი სისტემის შესახებ, რათა მათი უაზრო ქცევა ცოდნასა და გააზრებაში გადაიზარდოს. ხანდახან თქვენ ვერ იგებთ ბავშვების ქცევის მიზეზებს. ბავშვები იქცევიან ისე, როგორც თქვენ არ გესმით. ზოგჯერ ხედავთ მათ სახლობანას თამაშის დროს ოთახის რომელიმე ცენტრში და თამაშისას გამოვლენილი მათი ქცევა გაშფოთებთ. შესაძლოა, უწყინარი თამაში „სახლობანა“ წარიმართოსან ისეთი სცენარით, რომელიც სატელევიზიო შოუებისა და ტელეფილმების გავლენით თამაშდება. ეს თამაშები ხშირად არასასურველი შედეგით მთავრდება. ქვემოთ წარმოდგენილია მსგავსი ინციდენტის მაგალითი.

თოჯინების კუთხე

თოჯინების კუთხეში ოთხმა გოგონამ დაირიგეს როლები: დედა, და, შვილი, მოახლე... შარლოტა არის დედა, რადგან ის უთითებს სხვებს, ატარებს ვერცხლისფერ ფეხსაცმელს.

კარენი: მე მშია. (ტირილის იმიტაცია)

შარლოტა: დაწექი, შვილო.

კარენი: მე ვარ ბავშვი, რომელიც ჯდება.

შარლოტა: ჯერ უნდა დაწვე და დამ დაგაფაროს. შემდეგ გაგიკეთებ ფაფას და შენ ადგები.

კარენი: კარგი.

ციფრების დაფასთან მდგარი ტედი აკვირდება სცენას. შარლოტა იჭერს მის მზერას და ეუბნება: შენ შეგიძლია იყო მამა. იგი ასრულებს სამუშაოს დაფასთან და მიდის თოჯინების კუთხესთან.

- შენ მამა ხარ? - ეკითხება შარლოტა
- კი - პასუხობს ტედი
- გაიკეთე წითელი ჰალსტუხი.

მან ჯერ არ იცის ტედის სახელი, მაგრამ შეუძლია შეურჩიოს და შესთავაზოს ტანსაცმელი, რადგან ის დედაა.

გოგოები კმაყოფილები არიან. „ახლავე მოგიტან, ძვირფასო“ - ამბობს ჯენი ფალცეტით. ის მოახლეა. „ხომ ლამაზია ეს ბავშვი? ეს შენი მამაა, შვილო“. ტედი ჯდება მაგიდასთან. შემდეგ უხამებს ჭიქებსა და ლამბაქებს ისე ფრთხილად, როგორც ალაგებდა ფილებს ციფრების დაფაზე.

მოულოდნელად სიტუაცია იცვლება და სცენარი შემდეგნაირად ვითარდება: ენდრიუ, ჯონათანი, ჯერემი, პოლი შემოვარდებიან და ისვრიან თითებით. ყვირიან:

- ჩვენ ქურდები ვართ. გაქვთ სახლში ოქრო?
- არა - პასუხობს შარლოტა და ურევს ცარიელ ქოთანს.

ჯერემი ადის მაცივარზე და აგდებს პლასტმასის საჭმლის რამდენიმე ყუთს. „ხელები მაღლა. თქვენ ციხეში მიდიხართ!“.

„ჩვენ ვეუბნებით!“ გოგონები ფეხების ბაკუნით გარბიან გარეთ. (პეილი 1984, 1-2)

თამაში, რომელზეც მედია ახდენს ზეგავლენას, შესაძლებელია პრობლემატური იყოს ადრეული განათლების პროგრამებში. პრობლემაა, როდესაც თამაში იმიტაციური და არასასარგებლოა ბავშვისთვის და არა - საკუთარი წარმოსახვით მოფიქრებული. რიგ შემთხვევებში, ამგვარი თამაშები ზრდასრულის სერიოზულ ჩარევას მოითხოვს ბავშვების უსაფრთხოების დაცვის მიზნით. წაახალისეთ ისინი უფრო პოზიტიური ურთიერთობისკენ. რთულია, ყოველთვის და ყველაფერზე ფლობდე ინფორმაციას ბავშვების ინტერესების - ამ

შემთხვევაში, ომთან და სუპერგმირებთან დაკავშირებით - სფეროების შესახებ, მაგრამ სიძლიერისა და უსაფრთხოების ქვეცნობიერი თემები მნიშვნელოვანი და უნივერსალურია ბავშვებისთვის. „შესაძლოა, ომობანას თამაშისას გამოვლენილი ძალაუფლება და უფლებამოსილება, სუპერგმირების განუსაზღვრელი ძლევამოსილების დემონსტრირება ეხმარება ბავშვებს, თავი აღიქვან ძლიერებად ან წარმოდგენაში გაუთანაბრდნენ სუპერადამიანებს, რომლებსაც თავდაცვა შეუძლიათ“ (კარლსონ-პეაჟი და ლევინი 1987, 19).

როდესაც აკვირდებით თამაშში ჩართულ ბავშვებს, რომლებიც იმიტირებენ ადამიანი-ობობას ფილმის სიუჟეტს ან სატელევიზო შოუს რომელიმე სუპერგმირს, ბავშვებში ავლენთ განვითარების მნიშვნელოვან პრობლემებს. თუ თქვენ მხოლოდ ჩაერევით და ეცდებით თამაშის შეჩერებას ან აკრძალვას, გამოგრჩებათ ბავშვების აუცილებელი საჭიროება, იგრძნონ თავი ძლიერად, რიგ შემთვევებში, საშიშ და ძალადობრივ სამყაროში. უმჯობესი იქნება, განსაზღვროთ თამაშის თემა, როგორც მნიშვნელოვანი, და ეცადოთ სიუჟეტის უბრალო იმიტაციიდან უფრო რთულ და კომპლექსურ თამაშამდე მიიყვანოთ ბავშვები. ამგვარი მიდგომით, მოთოკავთ არასწორ საქციელს და დაეხმარებით ბავშვებს თვითკონტროლში ისეთნაირად, რომ იგრძნონ თავი ძლიერად ან შეინარჩუნონ სიმტკიცის შეგრძნება (კარსლონ-პეაჟი და ლევინი 1987).

ადრეული განათლების ბევრი სპეციალისტი თვლის, რომ ბავშვების წასახალისებელი ერთ-ერთი გზა, გასცდნენ მედიის გავლენის ქვეშ მოქცეულ თამაშებს, არის ძალის, უსაფრთხოებისა და კონფლიქტების მოგვარების განვითარებადი თემების კვლევა საბავშვო წიგნებიდან მონსტრების, კოსმოსის ქმნილებების, დინოზავრების და ა.შ. შესახებ. ბავშვების დინოზავრებით მოხიბვლა, სავარაუდოდ, მოდის უსაფრთხოების ღრმა, შიდა საჭიროებიდან. ისინი დინოზავრებს აღიქვამენ, როგორც უსაფრთხო მონსტრებს, რადგან ისინი გადაშენდნენ და აღარ არსებობენ.

ბავშვებთან ერთად სუპერგმირების თამაშის დროს მუშაობის მცდელობის აღწერისას, გრონლუნდმა (1992, 23-24) საკუთარი შედეგების შესახებ დაწერა:

> *თამაშის აგრესიულობა შემცირდა. როდესაც ვაკვირდებოდი უფრო ახლოდან, მივხვდი, რომ დარტყმებისა და კარატეს ილეთების უმეტესობა ნამდვილად იყო „ყალბი ჩხუბის“ მცდელობა...*
>
> *თუ თამაში გადამღლელი ხდებოდა ბავშვისთვის ან თუ მოქმედებებს მივყავდით უკონტროლო ქცევებისკენ, მე კვლავ ვაკავებდი ამ თამაშით ბავშვებს მათი ჟარგონის გამოყენებით...*
>
> *თანდათანობით გავიაზრე, რომ ბავშვებისთვის ზღაპრების ან მათი გმირების გათამაშება გამოხატვის საშუალებაა ყველაფრის გამოსაკვლევად. ზუსტად ისე, როგორც კუ ნინძები აკეთებდნენ... დინოზავრების სვლა; ტროლის ხიდის აშენება - „სამი თხა გრაფის“ დასადგამად; მონსტრების ნიღბების გაკეთება და მათ შესახებ დაწერილი საყვარელი წიგნების ხშირი კითხვა... ეს ყველაფერი იქცა რეგულარულ საქმიანობად ჩვენს ჯგუფში.*
>
> *ბავშვების საყვარელი შოუების გათამაშების ჩემ მიერ მიცემულმა უფლებამ საშუალება მისცა ყველას საკუთარი გრძნობების უფრო ღიად გამოსახატად...*

მე, როგორც მასწავლებელს, მსურდა, გამერკვია გზები, რომელთა საშუალებითაც ბიჭები და გოგონები უმკლავდებიან ძალის, აგრესიის და ძალადობის პრობლემებს სხვადასხვაგვარად, მაგრამ ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და დავხმარებოდი ბავშვებს, დაენახათ ეს კავშირი.

ადრეული განათლების დაწესებულებებში ბავშვებთან მუშაობისას სუპერ-გმირებისა და ფენტეზის თემის პრობლემებთან დაკავშირებით უფრო მეტი ცოდნის შესაძენად, იხილეთ ერიკ ჰოფმანის წიგნი *„ჯადოსნური მოსასხამი, გასაოცარი ძალა“* და დაიან ლევინის *„ძალადობრივ დროში ადრეული ასაკის ბავშვების სწავლება: მშვიდობიანი ჯგუფის ჩამოყალიბება“.*

შემდეგი ორი მაგალითი არის ბავშვების შესახებ, რომლებიც დგამენ თამაშებს ძალის შესახებ. როდესაც წაიკითხავთ მათ, იფიქრეთ, თუ როგორ შეძლებდით ურთიერთობას ამ ბიჭებთან ისე, რომ პატივი სცეთ მათ მიერ გამოკვლეული პრობლემების მნიშვნელობას და დაეხმაროთ მათ თამაშის უფრო პროდუქტიულად და მათთვის სასარგებლოდ წარმართვაში.

ვაიატი (3 წლის და 6 თვის) და **სალიმუ** (3 წლის და 8 თვის)

სალიმუ და ვაიატი თამაშობენ სილის მაგიდასთან. ისინი სილას ერთად ყრიან კონტეინერში.

ვაიატი: - მოდი, გავაკეთოთ ნამცხვარი.

სალიმუ: - კი, ცუდი ნამცხვარი.

ვაიატი: - ჰო, იმიტომ, რომ ჩვენ ცუდი ბიჭები ვართ.

ვაიატი: - ცუდი ბიჭები აკეთებენ ცუდ ნამცხვრებს.

სალიმუ: - მართალია. აკეთებენ ცუდ ნამცხვრებს ზემოდან ხალხით. ისინი ჩემს პირში გაიჭედებიან.

ვაიატი: - ცუდი ხალხი არის ნამცხვრის თავზე.

სალიმუ: - ნამდვილად! ჩვენ მათ შევჭამთ.

ვეილონი (4 წლის და 8 თვის)

ვეილონი არის სხვენში დანარჩენ ოთხ ბიჭთან ერთად და თამაშობენ მეხანძრეობანას. ის დგას ორი ბიჭის წინ და ამბობს: „წავედით. იქ ცეცხლია!“ ერთი ბიჭი მიიწევს წინ და ვეილონი ეუბნება მას: „უკან დაბრუნდით, ბიჭებო, უკან დაბრუნდით. თქვენ უკან უნდა იყოთ. თქვენ ხართ მძღოლის ადგილას“. შემდეგ ყვირის: „წავედით, იქ კიდევ ცეცხლია!“. ის მიდის ხელოვნების ცენტრში, წარმოსახვითი შლანგით ასხამს წყალს ცეცხლს და კვლავ ყვირის: „იქაც ცეცხლია!“. ისინი გარბიან უკან სხვენში. ვეილონი კვლავ იყურება წინ და ეუბნება ერთ-ერთ ბიჭს: „არა, ის მძღოლის ადგილია“. სხვა ბიჭი ეუბნება მას, რომ არის კუ ნინძა, ვეილონი კი ამბობს: „კუ ნინძები არ არიან მეხანძრეები. ეს არის სახანძრო მანქანა. წადი და იპოვე კუ ნინძის მანქანა“.

შემდეგ თავში ვისაუბრებთ დოკუმენტირებული დაკვირვებისთვის შესაგროვებელი მასალების კრებულზე და მისი გაკეთების ხერხებსა თუ გზებზე, რაც დაგეხმარებათ ბავშვის შესახებ სწორად სტრუქტურირებული და ინფორმაციული საქმის შექმნაში. აქვე მიმოვიხილავთ რამდენიმე მსგავსი კრებულის ნიმუშს, განვიხილავთ თითოეული ბავშვის განვითარების შესაძლებლობებს და ყოველისთის ინდივიდუალურად დასაგეგმ ეტაპებსა თუ ნაბიჯებს.

დაკვირვების პრაქტიკა #16:

ბავშვისთვის საუკეთესო კურიკულუმის მიდგომების განსაზღვრა

მიზანი: ბავშვის მხარდაჭერის საუკეთესო გზების განსაზღვრა

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #16 ჩვილის შესახებ, რომელიც მუშაობს თავსატეხზე მისი მასწავლებლის დახმარებით. კლიპის ყურების დროს დაწერეთ, თუ რას აკეთებს და ამბობს ბავშვი. გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტობრივი და აღმწერი, არა - ინტერპრეტატორი.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ მიმოიხილეთ თქვენი ჩანაწერები და განსაზღვრეთ, როდის იყო ბავშვი ყველაზე მეტად ჩართული. როგორ დაეხმარა ბავშვს მასწავლებლის მხარდაჭერა მოქმედების დროს? იფიქრეთ, როგორ დაეხმარებოდით ბავშვს ახალი ურთიერთობების უფრო წარმატებით დასამყარებლად. თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ, იმსჯელეთ სხვა წევრების მიერ ჩამოწერილ ეპიზოდებზე - როგორ დაეხმარა მასწავლებლის ჩარევა ბავშვის აქტივობაში ჩართვას.

დაკვირვების პრაქტიკა #17:

ბავშვის ინტერესების წახალისება და გაფართოება

მიზანი: ბავშვზე ორიენტირებული და მათი ინტერესების გასავითარებელი გარემოს შექმნისთვის აუცილებელი რესურსების გამოყენების გზების ძიება.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #17 სამი წლის სხვადასხვა მასალებთან მომუშავე ბავშვების შესახებ „წამლების“დამზადების პროცესში. კარგად დააკვირდით თითოეულ დეტალს - რითი ინტერესდებიან ბავშვები და რისი კეთება შეუძლიათ. ფოკუსირება მოახდინეთ რესურსებზე, საშუალებებსა და მასალებზე, რომლითაც გარემოა მოწყობილი.

დააკვირდით მასწავლებლებს და ნახეთ, რას აკეთებენ ბავშვების ინტერესებისა და სწავლის წასახალისებლად.

საორიენტაციო კითხვები: როგორ უწყობს ხელს ფიზიკური გარემო ბავშვების ინტერესების დაფიქსირებას? რა დამატებითი სტრატეგიის გამოყენება შეიძლება მათი ინტერესებისა და აღმოჩენების გასაფართოებლად? თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ, იმსჯელეთ სხვა წევრების მიერ ჩამოწერილ ეპიზოდებზე და სამომავლოდ დასაგეგმ სტრატეგიებზე - როგორ გაუღრმაოთ ინტერესები ბავშვებს.

რეფლექსია

მიზანი: ანალიზი - როგორ ეხმარება დაკვირვება კურიკულუმის დაგეგმვას.

რა უნდა გავაკეთოთ: გაიხსენეთ თქვენი ბავშვებისთვის *განვითარების უახლოესი ზონის* (გუზ) შექმნის მაგალითები. რა იყო კონკრეტული აქტივობა? როგორ ცდილობდით ბავშვის მხარდაჭერას წარმატების მისაღწევად? რა იყო შედეგი?

შემდეგ გამოიყენეთ ეს კითხვები თქვენს ჯგუფში ინდივიდუალური კურიკულუმის დასაგეგმად: როგორ ზრუნავთ და ახერხებთ ბავშვების ინტერესების ინტეგრირებას კურიკულუმთან? როგორ დაადგენთ კურიკულუმისა და თითოეული ბავშვის კულტურული კონტექსტის ერთმანეთთან თავსებადობასა და შესაბამისობას? რას დაგეგმავთ გარემოს, მასალებისა და ურთიერთობისთვის?

დაკვირვების თქვენი მეთოდის/სტილის ძიება

მიზანი: გააზრება - **როგორ უკავშირებთ ერთმანეთს დაკვირვების სტილს/მეთოდსა კურიკულუმის დაგეგმვას.**

რა უნდა გავაკეთოთ: თქვენს ჟურნალში უპასუხეთ ამ კითხვებს:

> დაგეგმვისას რა კომპონენტებს ეყრდნობით ყველაზე ხშირად და რის მიხედვით განისაზღვრება შემდგომი ნაბიჯები:
>
> - თამაშზე დაკვირვება
> - ყოველდღიურობაზე დაკვირვება
> - მასწავლებლების მიერ ინიცირებულ აქტივობებზე დაკვირვება

- ზემოთ ჩამოთვლილთაგან რომელში ერთვებიან ბავშვები სრულად? რატომ ხდება ასე?
- როგორ უკავშირებთ და ასახავთ თქვენს დოკუმენტირებას კურიკულუმის დაგეგმვაში?
- რა სიახლეებს ცდით თქვენს გეგმებში?

თავი 8: როგორ ვქმნით და ვაწარმოებთ ბავშვის საქმეს?

ეს თავი ბავშვების შესახებ ინფორმაციის შეგროვების საშუალებას იძლევასა, რათა შევაფასოთ მათი განვითარება და დავგეგმოთ კურიკულუმი, რომელიც საუკეთესო ფორმით უპასუხებს მათ საჭიროებებს. გიზიარებთ რამდენიმე დაკვირვებას სკოლამდელი და ადრეული ასაკის ბავშვების შესახებ, პრაქტიკული რჩევები მოგცეთ ბავშვების ძლიერი და სუსტი მხარეების შესაფასებლად, აქტივობების გონივრულად დასაგეგმად და მათთვის სწავლების ხელშემწყობი სტრატეგიების მოსაფიქრებლად. ადრეული განათლების სპეციალისტის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანებია: ფიქრი - რა ინფორმაციას ფლობთ ბავშვის შესახებ; განსაზღვრა - თუ რას დაგეგმავთ მისთვის, პირობა - გეგმის სრულყოფა და მასზე ხელახალი დაკვირვება.

როდესაც გადახედავთ დაკვირვების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, ჰკითხეთ და შეეცადეთ, უპასუხოთ საკუთარ თავს:

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტულ უნარებს ფლობს?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? ჯერ კიდევ რისი გაკეთება არ შეუძლია მას?
- რის გაკეთებას აპირებთ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალებს, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?
- დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

გასაგებია, რომ ამ თავში მოცემული დაკვირვების ჩანაწერები გაწვდით მწირ ინფორმაციას ბავშვების შესახებ, რადგან, მათი მასწავლებლებისგან განსხვავებით, არ იცნობთ და არ გიმუშავიათ მათთან. თუმცა, გვწამს, რომ მათი გამოცდილება და პრაქტიკული რჩევები მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ უკეთეს დამკვირვებლად, დოკუმენტატორად ჩამოყალიბებასა და დაკვირვების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებაში.

კლაუდია, 4 წლის

ქვემოთ მოცემული დაკვირვების ჩანაწერები დოკუმენტურად აღრიცხავს კლაუდიას განვითარებას რამდენიმე მიმართულებით. ყველა დაკვირვება განხორციელდა შემოდგომის სამი თვის განმავლობაში. წაიკითხეთ ჩანაწერები კლაუდიას შესახებ და ამ თავის დასაწყისში დასმული შეკითხვების საპასუხო რეფლექსიები.

კლაუდიას მეტყველებაზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 1თვე)

კლაუდია აცხადებს: „მე მივდივარ ტუსონში ჩემს ოჯახთან - დედასთან და მამასთან და დასთან ერთად. ჩვენ გავჩერდებით აუზიან სასტუმროში.“ შემდეგ ის ყურადღებით არჩევს წითელ, ყვითელ, ლურჯ და მწვანე მარკერებს და აკეთებს ცისარტყელას. ის ხატავს ოთხ ადამიანს და ამბობს: „შეხედეთ! ეს ჩემი ოჯახია ცისარტყელაში“.

კლაუდიას წერის უნარზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 1თვე)

კლაუდია ხშირად ითხოვს მძინარე მზეთუნახავის ვიდეოს, რათა გათამაშოს იგი. დღეს ის იღებს ცალხაზიან საწერ ფურცელს და ამბობს: „მე დავწერ მძინარე მზეთუნახავის ამბავს“. შემდეგ ის იწყებს ხატვას შავი კალმით და აფერადებს წყლის საღებავებით. „ეს მისი სურათია, საწოლზე რომ ძინავს“ (იხ. ნიმუში).

კლაუდიას პრობლემების გადაჭრის უნარზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 2 თვე)



შუადღის ძილის შემდეგ, აღმოჩენების დრო. დიდი სხვადასხვა ფორმის კუბიკები აწყვია მაგიდაზე. ბავშვები სწავლობდნენ მათ ბოლო ორი კვირის განმავლობაში. კლაუდია მარტო დგას მაგიდასთან. ის იღებს დიდ ყვითელ ექვსკუთხედს და ამატებს სამ სამკუთხედს. შემდეგ იწყებს ფორმების აწყობას. ცოტა ხანი აქ თამაშობს. სახლში წასაყვანად აკითავს მამა. „მამი, მოდი ნახე რა გავაკეთე“ - უხმობს მშობელს კლაუდია. ის შლის ნამუშევარს და ხელახლა აკეთებს ზუსტად ისე, როგორც იყო.

კლაუდიას სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 2 თვე)

კლაუდია ცოტა შეეგუა მშობლებთან დაშორებას დაწესებულებაში მოყვანისას. დღეს ის ანუგეშებს მილიას, რომელიც ტირის დედის წასვლისას. კლაუდია ამბობს: „არა უშავს, დედა დაბრუნდება“. შემდეგ მე მიყურებს და ამბობს: „დედა ყოველთვის ბრუნდება, ასე არაა, მაიკლ?“ მე ვიღიმი და თავს ვუქნევ თანხმობის ნიშნად. კლაუდია ნაზად ხვევს ხელს ემილიას და ეუბნება: „მე მენატრება დედაჩემი, მაგრამ იცი რა? არ ვტირი“. წაყვანის დროს კლაუდია ემილიას დედას ეუბნება: „ემილია გამოგეტირა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ დაბრუნდებოდი“.

კლაუდიას უხეშ მოტორიკაზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 2 თვე)

კლაუდია თამაშობს ასაძრომ მოწყობილობაზე ქუინთან და ფერნანდოსთან ერთად. სამივე ძალიან ხმაურობს. კლაუდია ადვილად ცოცდება კიბეზე პლატფორმამდე. ქუინი ამბობს:

„კარგი, მე პატარა იაგუარი ვარ“. ის თათების მოძრაობას აკეთებს კლაუდიას წინ. კლაუდია ამაზე პასუხობს: “ახლა ორი პატარა იაგუარია აქ”. ის სწრაფად მოძრაობს პლატფორმის გარშემო, ახტება სასრიალოზე და სრიალდება დაბლა. შემდეგ წრეს არტყამს და ისევ მაღლა ადის.

რას აკეთებს კლაუდია?

აქ შემდეგი შეკითხვებია გასათვალისწინებელი: რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ეს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტული უნარები გააჩნია მას? მომდევნო აბზაცის წაკითხვამდე შეეცადეთ უპასუხოთ ამ შეკითხვებს.

კლაუდია იყენებს მეტყველებას ოჯახზე და ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე სასაუბროდ და სხვებთან კომუნიკაციის დასამყარებლად. მან გვაჩვენა კომპლექსურობა კუბების/კუბიკების დიზაინთან დაკავშირებით, ამაყად აჩვენა მამას, რისი გაკეთება შეეძლო და ხელახლა შექმნა დიზაინი აბსოლუტური სიზუსტით. მას ასევე აინტერესებს მიბაძვით თამაში და წერა. ის ქმნის ასოების მსგავს ფორმებს წერის დროს და ჯერ კიდევ ვერ წერს ყველა ასოს სწორად. კლაუდია ფლობს საკუთარ სხეულს ბალანსის დაცვითა და მოქნილობით სირბილისა და მაღლა ცოცვისას. ის აღიქვამს საკუთარ და სხვათა ემოციებს, შეუძლია თანაგრძნობის გამოხატვა.

შემდეგი ნაბიჯები კლაუდიასთვის

რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? რას არ აკეთებს ჯერ კიდევ?

შემდგომი ნაბიჯები იქნება წარმატებული მიღწევების გაძლიერება; დახმარების გაწევა მეტყველების უფრო ეფექტურად გამოსაყენებლად; მსხვილი კუნთების მეტად განვითარება დაბრკოლებებისა და რთული ბარიერების გადასალახად’ მისი წერისადმი ინტერესის შენარჩუნება და გაღრმავება.

დაგეგმვა კლაუდიასთვის

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტულ უნარებს ფლობს?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? ჯერ კიდევ რისი გაკეთება არ შეუძლია მას?
- რის გაკეთებას აპირებთ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალებს, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?
- დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

ერთ-ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს: კლაუდიას მეტყველების უნარის გამოყენების წახალისება და მისი ლექსიკის გამდიდრებაზე, გამრავალფეროვნებაზე მუშაობა. ბავშვისვის უფრო მეტი და ხელშემწყობი რესურსისა და მასალების მიცემა იდეების ფორმირებისთვის. ახალი ბარიერების მოფიქრება სირთულეების გადალახვისა და პრობლემების მოგვარების უნარების გამოსავლენად. კლაუდიას შეიძლება მოეწონოს მექანიზმებთან ან ლეგოს ასაწყობ სათამაშოებზე მუშაობა. ამ ტიპის გასართობები მოითხოვს დაგეგმვის უნარს წარმატების მისაღწევად. თქვენ შეიძლება იმუშაოთ მის ინტერესზე იაგუარების და სხვა ცხოველების მიმართ და მისცეთ საინფორმაციო წიგნები მათ შესახებ. ბარათები, რომლებზეც ეწერება მისთვის ნაცნობი სიტყვები, მაგალითად „მე შენ მიყვარხარ“, შეიძლება, გამოვიყენოთ, როგორც ხარაჩო წერის შემდეგ დონეზე გადასასვლელად. მას შეუძლია, აარჩიოს სიტყვები და ფრაზები, რომელთა დაწერასაც ისურვებდა ბარათებზე. თქვენ შეგიძლიათ კვლავაც მოუწოდოთ მას, გამოხატოს თანაგრძნობა სხვა ბავშვების მიმართ და იყოს ემილიას სპეციალური დამხმარე მისი მოსვლისას.

თქვენი აზრით, სხვა რა სტრატეგიები შეუწყობს ხელს კლაუდიას განვითარებას ამ სფეროებში?

კორი (ახლადფეხადგმული)

ქვემოთ მოცემული დაკვირვების ჩანაწერები დოკუმენტურად აღრიცხავს კორის განვითარებას შემოდგომასა და გაზაფხულზე. ჩანაწერები დაწყვილებულია კონკრეტული მიზნით - კორის პროგრესზე დასაკვირვებლად განვითარების რამდენიმე სფეროში. წაიკითხეთ ჩანაწერები კორის შესახე. შემდეგ დაამატეთ თქვენი პირადი მოსაზრებები იმ პასუხებს, რომლებიც ზემოთ მოცემულ რეფლექსიის შეკითხვებზე ჩვენ მოგაწოდეთ.

კორის მეტყველებაზე დაკვირვება, შემოდგომა (1 წელი, 2 თვე)

კორი ზის ცენტრში და თამაშობს კუბებით სავსე სათლით. შემოდის ჯგუფის მეორე მასწავლებელი, კორი მას ახედავს და ამბობს, „გამარჯობა“. მე ასევე მოსმენილი მაქვს, თუ როგორ ამბობს ის შემდეგ სიტყვებს: „დედიკო“, „მამიკო“, „ფისო“, „იშ“ (ანუ „ის“), და „ბურთი“.

კორის მეტყველებაზე დაკვირვება, გაზაფხული (1 წელი, 6 თვე)

კორი ბიბლიოთეკის ცენტრიდან ირჩევს წიგნს „შეგიძლია ხტუნვა?“. წიგნი მიაქვს მის დოროთისთან, რომელიც სარწეველა სავარძელში ზის. ის ტრიალდება ისე, რომ მის დოროთიმ აიყვანოს და ამბობს „ამიყვანე, გთოოოვ“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც მისგან მოვისმინეთ სიტყვების კომბინაცია. ის ასევე ხშირად მიუთითებს საგნებზე და კითხულობს: „იშ?“ და ზოგჯერ იმეორებს ჩვენგან გაგონილს.

კორის პრობლემების გადაჭრის უნარზე დაკვირვება, შემოდგომა (1 წელი, 2 თვე)

კორი ხედავს როგორ თამაშობს სხვა ბავშვი ასაწყობი რგოლებით. ის მიცოცავს ბავშვისკენ, ხელს იწვდის რგოლებისაკენ. მე მას მეორე კომპლექტს ვაძლევ. ის სათითაოდ აცლის რგოლებს. ისევ ღერძზე აცვამს შემთხვევითი თანმიმდევრობით. ის დაახლოვებით სამი წუთი აგრძელებს თამაშს. შემდეგ მიცოცავს წიგნებს თაროსკენ, საიდანაც იღებს წიგნს და უყურებს მას, თან გვერდებს თვითონ ფურცლავს.

კორის პრობლემების გადაჭრის უნარზე დაკვირვება, გაზაფხული (1 წელი, 7 თვე)

დღეს კორი იღებს ასაწყობი რგოლების მთელ კომპლექტს და ამოატრიალებს მას. ყველა რგოლი ჩამოცვივდა ღერძიდან. შემდეგ ხელახლა აწყობს რგოლებს შემთხვევითი თანმიმდევრობით და ამას მარჯვენა ხელით აკეთებს. ის იღებს სათამაშოს და ისევ ყველა რგოლს ჩამოყრის დაბლა. შემდეგ ისევ იწყებს რგოლების აცმას მარჯვენა ხელით. შემდეგ იგივე ხელით იღებს სათამაშო გველს. სათამაშოთი ხელში ის ბოლო რგოლს ადებს მარცხენა ხელით. ის წარმატებით აკეთებს ამას, თუმცა მისი რგოლები რაიმე რიგის მიხედვით არ არის აცმული.

კორის სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, შემოდგომა (1 წელი, 1 თვე)

როდესაც კორი დილით მოდის და მე მხედავს, გულწრფელად იცინის. შემდეგ ჩემკენ იწევს, რომ ხელში ავიყვანო. ის მხრებზე მითათუნებს ხელებს და მკოცნის სახეზე.

კორის სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, გაზაფხული (1 წელი, 5 თვე)

ერთ-ერთი ბავშვი კალთაში მიზის. ის თავს ცუდად გრძნობს. კორი მოდის და მუხლზე ეფერება ბავშვს. შემდეგ აძლევს ბავშვს სათამაშოს, რომელიც ხელში უჭირავს.

კორის ნატიფ მოტორიკაზე დაკვირვება, შემოდგომა (1 წელი, 3 თვე)



კორი მოდის მაგიდასთან და ხედავს, სხვა ბავშვები როგორ აფერადებენ სახატავს. ის ირჩევს იასამნისფერ მარკერს. მარკერი უჭირავს მარჯვენა ხელში, თითებით. ის აკეთებს რამდენიმე შემთხვევით ხაზს ზევით-ქვევით და აქეთ-იქით (იხ. პირველი ნიმუში).

კორის ნატიფ მოტორიკაზე დაკვირვება, გაზაფხული (1 წელი, 8 თვე)

შემოდგომაზე კორი მარკერებს იყენებს და მცირედით აკონტროლებს ხაზების გავლებისას - უფრო მეტად, როცა ჰორიზონტალურ ხაზებს ავლებს. დღეს იგი ირჩევს ლურჯ მარკერს და იჭერს მარჯვენა ხელში, შეკრულ მუშტში და აკეთებს რამდენიმე ხაზს წინ და უკან მოძრაობით. შემდეგ გადადის მარცხენა ხელზე, რომელიც მუშტად შეკრული უჭირავს და რამდენიმე ხაზს აკეთებს. ისევ უბრუნდება მარჯვენა ხელს და ამჯერად უჭირავს თითებით, როგორც ფანქარი და ავლებს რამდენიმე ჰორიზონტალურ ხაზს. შემდეგ არტყამს ფურცელზე და სვამს წერტილებს. ჩანს, რომ ცდილობს წრეების დახატვას (იხ. მეორე ნიმუში).

კორის უხეშ მოტორიკაზე დაკვირვება, შემოდგომა (1 წელი, 2 თვე)

კორი ახლა იწყებს დამოუკიდებლად სიარულს. ცდილობს არაფერს და არავის მოკიდოს ხელი სიარულისას. ის დროგამოშვებით ეცემა, თუმცა - არა ხშირად. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბალანსი მყარია, მაინც მეტ წილ დროს სწრაფად დახოხავს. დღეს ის „მოგზაურობს“ მაგიდიდან აკვარიუმისკენ. საჯდომით ეცემა და სწრაფი ხოხვით გაივლის დარჩენილ გზას.

კორის უხეშ მოტორიკაზე დაკვირვება, გაზაფხული (1 წელი, 7 თვე)

კორიმ თითქმის მთლიანად შეწყვიტა ხოხვა. ის თავისუფლად დადის და დარბის კიდეც დაცემის გარეშე. დღეს გარეთ მისი აღტაცება გამოიწვია ხის ნაფოტებმა. ის გარბის ცოცვის სივრცისკენ, ჩაჯდება და იღებს რამდენიმე ნაფოტს. შემდეგ მათ ჰაერში აყრის და იცინის, როცა ნაფოტები დაბლა მის გარშემო ეცემა.

რას აკეთებს კორი?

კითხვის გაგრძელებამდე, შეეცადეთ უპასუხოთ შემდეგ შეკითხვებს კორის შესახებ: რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტული უნარები გააჩნია მას?

კორი იარლიყებს ადებს საგნებს, რომლებიც მის გარემოცვაშია და მასწავლებელს სთხოვს ამ საგნების დასახელებას. მას შეუძლია ორი სიტყვის გადაბმა და მასწავლებელს სთხოვს წაკუთხვას. მიაქვს წიგნი და ამბობს: „ამიყვანე, გთოოოვ“. კორი თანდათან ხვდება მიზეზსა და შედეგს შორის კავშირს, ხსნის რგოლებს და ხელახლა აცვამს მათ. ჯერ კიდევ არ აცვამს სწორი თანმიმდევრობით, მაგრამ უკვე ესმის რგოლების აწყობის კონცეფცია და ყველა რგოლს უკან აცვამს. კორი უკვე ენდობა მასწავლებელს და ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს მასთან.

კორი ადვილად შორდება ოჯახის წევრებს. ასევე ხვდება სხვების გრძნობებს, რაც თვალსაჩინოა, როცა სხვა ბავშვებს ანუგეშებს. კორის დრო სჭირდება ხატვისას მარკერების გამოყენებისთვის. ქაღალდზე შემთხვევითი ლაქების დახატვიდან ის გადავიდა სხვადასხვა ექსპერიმენტზე - წრის დახატვასაც კი სცადა ფურცელზე. მას შეუძლია სირბილი და მცირე საგნების სროლა.

შემდეგი ნაბიჯები კორისთვის

კითხვის გაგრძელებამდე, უპასუხეთ შეკითხვებს: რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? რას არ აკეთებს ის ჯერ კიდევ?

შემდეგი ნაბიჯები იქნება მისი ზრდის და განვითარების ხელშეწყობა. ამისთვის უნდა მივცეთ მეტყველების, პრობლემების გადაჭრის, წვრილი და მსხვილი კუნთების გამოყენებისა და სხვა ბავშვებთან თუ უფროსებთან ურთიერთობის შესაძლებლობები.

დაგეგმვა კორისთვის

ბოლოს წინა დაკვირვებების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იფიქრეთ კორისთვის გეგმის შედგენაზე. რის გაკეთებას აპირებთ ამ ბავშვის ძლიერი მხარეების და ინტერესების გასაღრმავებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც იგი ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალას, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით? დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

კიდევ ერთი სტრატეგია შეიძლება იყოს: ახალი, ილუსტრირებული წიგნები იმ საგნების სურათებით, რომლებისთვისაც მას იარლიყების მინიჭება შეუძლია; კითხვის გაგრძელება და მასთან საუბარი მოკლე, მარტივი წინადადებების მეშვეობით და მისი წახალისება უფრო რთული წინადადებების გამოსაყენებლად. სხვა სტრატეგია შეიძლება იყოს სხვადასხვა მიზეზ-შედეგობრივი სათამაშოების მისთვის მიცემა. მაგალითისთვის, სხვადასხვა ასაწყობი ან დასახარისხებელი ფორმები. შეგიძლიათ, შესთავაზოთ კონტეინერებიც, რომლებიდანაც საგნები უნდა გადმოცალოს და ისევ შეავსოს - მაგალითად, სხვადასხვა ზომის ბურთებით სავსე კალათა. სხვათა გრძნობებისა და ემოციების მისთვის უკეთ გასააზრებლაად, ესაუბროთ სხვა ბავშვების განცდებზე. სთხოვეთ, საკუთარ და სხვის ემოციებს რაიმე სახელები შეურჩიოს. რადგანაც ხატვის მიმართ კორის ინტერესი იზრდება, საჭირო იქნება მისი აღჭურვა საწერი და სახატავი საშუალებებით და სათანადო პირობების შექმნა. არ დაუშალოთ სიარული, სირბილი, ცოცვა, პირიქით - წაახალისეთ მსგავს აქტივობებში, რათა დაეხმაროთ მას უხეში მოტორიკის უნარების განვითარებაში.

თქვენი აზრით, კიდევ რა სტრატეგიები დაეხმარება კორის ამ მიმართულებებით განვითარებაში?

გლენდა, 2 წლის

აქ მოცემული დაკვირვების ჩანაწერები გაკეთებულია პროგრამით გათვალისწინებული ვიზიტისას ოჯახში. მასწავლებელი ეწვია ბავშვს სახლში ან სათამაშო მოედანზე. აქ მოცემულია გაზაფხულის დაკვირვებები. გაეცანით მათ და უპასუხეთ შეკითხვებს გლენდას შესახებ. რამდენად ახდენს ზეგავლენას გლენდას თქვენეულ აღქმაზე ინფორმაციის მხოლოდ ერთი წყება?

გლენდას უხეშ მოტორულ უნარებზე დაკვირვება, გაზაფხული (2 წელი, 6 თვე)

დღეს, ოჯახში ვიზიტისას, მე და გლენდა გავდივართ უკანა ეზოში და ვთამაშობთ საქანელაზე. გლენდა ჯდება საქანელაზე და მთხოვს, რომ ხელი ვკრა და გავაქანო საქანელა. ასეც ვიქცევი, ის კი ყვირის: „არა, ასე მაღლა არა!“ და იწყებს ტირილს. მე ვაჩერებ საქანელას და ვეხმარები მას ჩამოსვლაში. შემდეგ ვეკითხები, სასრიალოზე ხომ არ სურს წასვლა. „არა, მეშინია“ - ამბობს ის. „დაგეხმარები“ - ვთავაზობ მე. „არა, მოდი ცოტა საქანელაზე ვიქანაოთ“. ის ისევ ჯდება საქანელაზე და მე ვარწევ ძალიან ნაზად ისე, რომ საქანელა ოდნავ გაინძრეს. ეზოში გატარებული ხუთ წუთის შემდეგ ის სახლში შესვლას მთხოვს.

გლენდას პრობლემების გადაჭრაზე დაკვირვება, გაზაფხული (2 წელი, 7 თვე)

გლენდა თამაშობს კუბებით და მეუბნება: „სკამს ვაკეთებ ჩემი პატარასთვის“. თავიდან ის მწკრივში აწყობს კუბებს. შემდეგ რამდენიმე კუბს ზემოდან ალაგებს. კუბები ვარდება, ის იღებს და ხელახლა აშენებს. ბოლოს დედას ეუბნება: „ნახე მაგიდა და სკამი გავუკეთე ჩემს პატარას“. ის იღებს თოჯინას და სვამს სკამზე, რომელიც კუბებისაგან გააკეთა.

გლენდას მეტყველებაზე დაკვირვება, გაზაფხული (2 წელი, 7 თვე)

სათამაშო მოედანზე ყოფნის დროს გლენდა და მე ვთამაშობთ მისტერ კარტოფილით. ოთახში შემოდის გლენდას მეგობარი და გლენდა ამბობს: „ეს სად მიდის?“

გლენდას ნატიფ მოტორულ უნარებზე დაკვირვება, გაზაფხული (2 წელი, 7 თვე)

ოჯახში ვიზიტის დროს მე ვთავაზობ გლენდას ფანქარს, ფერად მარკერს და მშრალ მარკერს. ის ირჩევს მშრალ მარკერს და დაფას. მას მარკერი სამი თითით უჭირავს. ის ხატავს რამდენიმე მცირე წრეს დაღმავალი ხაზით და მეუბნება, რომ საჰაერო ბურთები დახატა.

გლენდას სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, გაზაფხული (2 წელი, 8 თვე)

თამაშის დროს სხვა ბავშვი იწყებს ტირილს და ითხოვს დედას, რომელიც მშობელთა კრებას ესწრება გვერდით ოთახში. გლენდა ხედავს მტირალა ბავშვს და მიდის თაროსთან. ის იღებს ქაღალდის ხელსახოცს ყუთიდან და აძლევს ბავშვს. ბავშვი იღებს ხელსახოცს და იწმენდს ცრემლებს. გლენდა იღიმება და ზურგზე ხელს უსვამს.

სცადეთ ინფორმაციის გაერთიანება და გლენდას ქეისის შექმნა. გინდათ გქონდეთ დაკვირვებები, რომლებიც გიჩვენებდათ პროგრესს ან მის არარსებობას გარკვეული დროის გასვლის შემდეგ? იფიქრეთ იმ დაკვირვებებზე, რომლებსაც ეხლა გაეცანით და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს. ასევე, გაითვალისწინეთ სხვა შესაძლებლობები გლენდას განვითარების შესაფასებლად და დაგეგმეთ შესაფერისი კურიკულუმი მისთვის.

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტულ უნარებს ფლობს?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? ჯერ კიდევ რისი გაკეთება არ შეუძლია მას?
- რის გაკეთებას აპირებთ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალებს, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?
- დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

ნიკო, 4 წლის

ნიკოს შესახებ მოცემული დაკვირვების ჩანაწერები მოიცავს შემოდგომის და გაზაფხულის დაკვირვებებს. მათი დახმარებით შეძლებთ დროის სვლასთან ერთად მიღწეული პროგრესის ამოცნობასაც.

ნიკოს მეტყველებაზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 6 თვე)

ნიკო თამაშობს სათამაშო კაცუნებით თოჯინების სახლთან. მე ვეკითხები: „შეგიძლია გააღო სახლი, ბავშვი ლოგინში ჩააწვინო და პატარა ბიჭუნა ღამის ქოთანზე დასვა?“ ის ყველა ინსტრუქციას სწორად ასრულებს, შემომხედავს და მეკითხება: „ახლა რა ვქნა?“ ჩვენ ვასრულებთ სამი დირექტივის კიდევ ერთ კომბინაციას და ის ისევ ყველა ინსტრუქციას სწორად ასრულებს. ის ამბობს: „ადვილია, მის ქეითი! ამის გაკეთება შემიძლია“.

ნიკოს მეტყველებაზე დაკვირვება, გაზაფხული (4 წელი, 11 თვე)

მათეო და ნიკო აშენებენ კუნძულს ფუტურო კუბებით. შემდეგ სამაგრი დაფის, ფურცლის და ფანქრის მეშვეობით ისინი რიგ-რიგობით ხატავენ რუკას, რომელზეც ნაჩვენებია კუნძულის მდებარეობა. მათეო ეუბნება ნიკოს რომ გადახტეს კუნძულიდან და ჩახტეს წყალში.

ნიკო: თევზები არიან მანდ?

მათეო: შენ ეხლა დედა ხარ.

ნიკო: არა, არ ვარ. მე კაპიტანი ვარ.

სხვა ბავშვები ერთვებიან თამაშში.

მათეო: ჩვენ მეკობრეები ვართ.

ნიკო: კი, კი, მათე.

თამაშის ბოლოს უკვე აქვთ საგანძური (მოსართავი მძივები), საკვები და საზომი ლენტი.

ნიკოს პრობლემების გადაჭრაზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 7 თვე)

მცირე ზომის სხვადასხვა ფორმის სათამაშოებით გართობისას, ნიკოს ვთხოვ ერთიდაიგივე ფორმის ყველა სათამაშოს მოძებნას. ის ჯერ ფერზე ამახვილებს ყურადღებას. მას შემდეგ, რაც ვაჩვენებ სხვადასხვა ფორმების მოძიების ხერხებს, ის ახარისხებს მათ ფორმების მიხედვით. შემდეგ ისევ ახარისხებს ფერის მიხედვით. დონალდი აღნიშნავს ამას და ნიკო სათამაშოებს შესაბამის ყუთში ფორმის მიხედვით დებს.

ნიკოს პრობლემების გადაჭრაზე დაკვირვება, გაზაფხული (4 წელი, 11 თვე)

ნიკო არჩევს თამაშს სათამაშო ცენტრიდან კვირაში ორჯერ ან სამჯერ. მისი საყვარელი თამაშია „კენდილენდი“. ნიკო ხშირად თამაშობს მარტო, საგნებს შემთხვევითი თანმიმდევრობით გადაადგილებს ან ფერად ბარათს ამთხვევს დაფაზე არსებულ სივრცეს. მასწავლებლის შეთავაზების შემდეგ, იგი მეგობარს მოიწვევს მასთან სათამაშოდ და ითამაშებენ ხუთი-ათი წუთის განმავლობაში.

ნიკოს წერაზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 8 თვე)

დღეს ნიკო გადაწყვეტს ხატვის ოთახში მისვლას. ის იღებს ლურჯ მარკერს და ქაღალდს. ზის სახატავ მაგიდასთან და უყურებს, რას ხატავენ სხვა ბავშვები ქაღალდზე. იგი ამოძრავებს მარცხენა ხელს და ქმნის ასოების მსგავს ფორმებს ფურცლის თავში. „ეს ჩემი სახელია“ - ამბობს ნიკო. შემდეგ იყენებს მარჯვენა ხელს, რომელშიც მარკერი ცერა, საჩვენებელი და შუა თითებით უჭირავს (იხ. პირველი ნიმუში).



ნიკოს წერაზე დაკვირვება, გაზაფხული (5 წელი, 1 თვე)

ნიკო ახლა ხშირად დადის წერის ცენტრში და წერს ხაზიან და უხაზო ფურცლებზე. დღეს ის წერს ასოების ჯაჭვებს სპირალურ რვეულში. როდესაც ვეკითხები ნაწერის შესახებ, მპასუხობს: „დავწერე დედაჩემის, დეიდაჩემის, მამაჩემის და ჩემი ძმის სახელები“. ნიკოს მითითებისამებრ, მოვნიშნავ თითოეულს. ის იყენებს მარჯვენა ხელს, მარკერი სწორად უჭირავს (იხ. მეორე ნიმუში).

ნიკოს სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 7 თვე)

ერთ-ერთი აქტივობა, რომელსაც ნიკო გარეთ ყოფნისას ირჩევს, ველოსიპედის ტარებაა. როდესაც მიატოვებს ველოსიპედს სასურველ ადგილას თამაშში ჩასართველად და სხვა ბავშვი ისარგებლებს მისი ველოსიპედით, ნიკო ამბობს: „ჰეი, ეგ ჩემი ველოსიპედია“.

მეორე ბავშვი არ თმობს და ამბობს: „არა ,ჩემია!“.

ნიკო მიდის მასთან, ველოსიპედს სახელურში ჩაავლებს ხელს, მოქაჩავს და ამბობს: „ჩამოდი. ჩემია.“

მე მივდივარ და ვეკითხები, „რა ხდება?“

ნიკო: „ეს ჩემი ველოსიპედია“

მეორე ბავშვი: „არა, ეს ჩემია!“

მე ვეკითხები: „როგორ ფიქრობთ, რა უნდა გავაკეთოთ?“

ნიკო: „გაცოფებული ვარ, რომ მან ჩემი ველოსიპედი აიღო“

„ სად იყავი, როდესაც მან შენი ველოსიპედი აიღო?“ - ვეკითხები მე.

„აი იქ“ - ამბობს ის, ხელს იშვერს ქვიშის ყუთისკენ. ამ დროისთვის მეორე ბავშვს უკვე დაეკარგა ინტერესი ველოსიპედის მიმართ, ნიკო სარგებლობს მომენტით, ჯდება მასზე და მიდის.

ნიკოს სოციალურ-ემოციურ მხარეზე დაკვირვება, გაზაფხული (5 წელი)

დღეს ეზოში თამაშის დროს ნიკო და კიდევ ერთი ბავშვი თამაშობენ წყლის მაგიდასთან პატარა მანქანებით. სხვა ბავშვი ცდილობს, შეუერთდეს მათ თამაშს და მოაქვს ტალახიანი მანქანა. ნიკო ამბობს: „ნუ მოგაქვს ეგ დიდი მანქანა აქ, ის ჭუჭყიანია.“ მეორე ბავშვი ყურადღებას არ აქცევს მას. ნიკო ხელს ჩაავლებს მანქანას და ამბობს: „შენ წყალს სულ ატალახიანებ. შეხედე.“ რამდენიმე წამის განმავლობაში ისინი წინ და უკან ექაჩებიან მანქანას და შემდეგ ნიკო ხელს უშვებს მას. ის იღებს მეორე პატარა მანქანას, რომელიც წყალშია და აძლევს ბავშვს, თან ეუბნება: „გინდა ამით ითამაშო? ეს სუფთაა.“ ბავშვი იღებს სუფთა მანქანას და ჭუჭყიან მანქანას დებს ქვემოთ, მაგიდის გვერდით. ისინი განაგრძობენ თამაშს 10 წუთის განმავლობაში.

ნიკოს უხეშ მოტორულ უნარებზე დაკვირვება, შემოდგომა (4 წელი, 8 თვე)

ახლა ნიკოს ჯერია და მან ალიგატორივით უნდა იცოცოს ერთ-ერთი ჯგუფური აქტივობის დროს. ის მუცლით იატაკზე წევს და დაცოცავს ხელების გამოყენებით ჯგუფის ოთახში. სახეზე დიდი ღიმილი ახატია.

ნიკოს მსხვილ მოტორულ უნარებზე დაკვირვება, გაზაფხული (5 წელი)

ვაკვირდები ნიკოს, რომელიც საქანელას გარშემო დადის და იცავს წონასწორობას ხის ძელებზე, რომლებიც გარს ევლება სათამაშო მოედანს. ის კონცენტრირებულია თითოეულ ნაბიჯზე და ისე შემოუვლის მთლიან წრეს, რომ ერთხელაც არ ჩამოვარდება.

ახლა კი შეეცადეთ ინფორმაციის გაერთიანებას და შექმენით ნიკოს ქეისი. ამჩნევთ, რომ უფრო მეტის გაგება შეგიძლიათ, როდესაც გაქვთ დაკვირვებების სულ მცირე ორი წყება, რომლებიც გიჩვენებთ პროგრესს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ? იფიქრეთ იმ დაკვირვებებზე, რომლებსაც ეხლა გაეცანით და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს. ამავდროულად, გაითვალისწინეთ სხვა შესაძლებლობები ნიკოს განვითარების შესაფასებლად და დაგეგმეთ შესაფერისი კურიკულუმი მისთვის.

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტულ უნარებს ფლობს?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? ჯერ კიდევ რისი გაკეთება არ შეუძლია მას?
- რის გაკეთებას აპირებთ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალებს, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?

- დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

* * *

დასასრულ, წიგნის შემდეგ თავში ყურადღებას გავამახვილებთ სხვადასხვა შესაძლებლობებზე, რომელთა გამოყენებაც გაქცევთ უფრო კვალიფიციურ დამკვირველად და გაგწრთვნით დოკუმენტაციის სწორად წარმოებაში. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენი სამუშაო გარემო და ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება განსხვავებულია ერთმანეთისგან, ამიტომ გთავაზობთ რჩევების ფართო სპექტრს დაკვირვებისა და დოკუმენტირების სრულყოფილად და წარმატებით განსახორციელებლად.

* * *

დაკვირვების პრაქტიკა #18:
ბავშვზე საქმის შექმნა/წარმოება

მიზანი: დახელოვნება და გაწრთვნა ბავშვის შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში მისი განვითარების შესაფასებლად და დასაგეგმად ისეთი კურიკულუმისა, რომელიც საუკეთესოდ უპასუხებს მის საჭიროებებს.

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ ვიდეორგოლს #18.ა-18.ზ-ს ჩათვლით, სადაც ნაჩვენებია სამი ბავშვი (3 წლის ლონდონი, 4 წლის მარიცელა და 5 პიტერი) სკოლამდელ დაწესებულებაში სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის დროს. დააკვირდით, თუ როგორ ასრულებენ ბავშვები სხვადასხვა მოქმედებებს და ჩაინიშნეთ, რას აკეთებენ ისინი. შეგიძლიათ, ყურადღება გაამახვილოთ მხოლოდ ერთ ბავშვზე ან წეროთ სამივეზე. დაიმახსოვრეთ, აქცენტი კეთდება ფაქტებზე, აღწერილობაზე და არა - ინტერპრეტაციებზე.

საორიენტაციო შეკითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ გამოიყენეთ დაკვირვების ჩანაწერები და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს ერთ ან სამივე ბავშვთან დაკავშირებით:

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა კონკრეტულ უნარებს ფლობს?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? ჯერ კიდევ რისი გაკეთება არ შეუძლია მას?
- რის გაკეთებას აპირებთ ბავშვის ძლიერი მხარეებისა და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა ტიპის მასალებს, აქტივობებს, სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?
- დაიხმარდით თუ არა მასწავლებელს ან კოლეგების ჯგუფს?

იფიქრეთ ბავშვის მიღწევებზე, ინტერესებზე, საჭიროებებსა და მისთვის დაგეგმილ მომდევნო ნაბიჯებზე. თუ მონაწილეობთ დისკუსიაში, ჯგუფს გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები ბავშვის მიღწევების, ინტერესების და საჭიროებების შესახებ. შეადარეთ მისთვის დაგეგმილი მომდევნო ნაბიჯები ერთმანეთს.

რეფლექსია

მიზანი: დროთა განმავლობაში ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე დაკვირვების უპირატესობებზე ფიქრი.

რა უნდა გავაკეთოთ: იფიქრეთ ბავშვის შესახებ თქვენ მიერ შექმნილი დოკუმენტების გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გადაკითხვის მნიშვნელობაზე.

- როგორ გვეხმარება კონკრეტული სფეროს შესახებ შექმნილი დოკუმენტაციის წელიწადში ორჯერ გადახედვა ბავშვის განვითარებასა და სწავლის საჭიროებებზე მორგებული გეგმის შედგენაში?
- როგორ გვეხმარება ამ ტიპის დოკუმენტაციის პერიოდული გადათვალიერება თითოეული ბავშვის სუსტი და ძლიერი მხარეების გააზრებაში?
- როგორ გეხმარება ბავშვის შესახებ საქმის შექმნა/წარმოება უფრო ეფექტურ დაგეგმარებაში?

იპოვეთ დაკვირვების თქვენეული მეთოდი/სტილი

მიზანი: ბავშვის შესახებ საქმის შექმნა/წარმოების გზების მოძიება.

რა უნდა გავაკეთოთ: იფიქრეთ და დაწერეთ ამ ტიპის დოკუმენტაციიასთან მუშაობის თქვენი გამოცდილების შესახებ; როგორ გეხმარებათ ეს ბავშვებისთვის გეგმების შედგენის პროცესში? თუ აქამდე არ გამოგიყენებიათ და გიმუშავიათ ამგვარი მიდგომებით, როგორ შეიტანდით მას თქვენს პრაქტიკაში და როგორ ან რისთვის გამოიყენებდით ამ დოკუმენტაციას?

თავი 9: როგორ ვვითარდებით, როგორც დამკვირვებელი

ამ წიგნში გაგაცანით დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენების სხვადასხვა გზები, რომლებიც დაგეხმარებათ ბავშვების უკეთ გაცნობაში. იმედი გვაქვს, რომ ბავშვებზე დაკვირვების შედეგად მიღებულ ცოდნასა და ინფორმაციას გამოიყენებთ მათთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად და მათი განვითარების ხელშესაწყობად.

აღმოაჩინეთ დაკვირვების თქვენეული სტილი და შეისწავლეთ გარემო, სადაც ბავშვებთან მუშაობა და ურთიერთობა გიწევთ. ეს დაგეხმარებათ, გახდეთ უფრო ეფექტური დამკვირვებელი. თუ იქნებით მზად ბავშვებთან საურთიერთოდ და შექმნით მათთზე მორგებულ, მიმზიდველ გარემოს, სადაც გამოავლენენ საკუთარ თვისებებს, უნარებსა და საჭიროებებს, მეტს გაიგებთ მათ შესახებ.

გირჩევთ, გამოიყენოთ სამაგრიანი დაფები (ე. წ. კლიპბორდები), წებოვანი ფურცლები, მულტი-თაჩ მობილური მოწყობილობები და ამგვარად ჩამოიყალიბოთ დოკუმენტირების თქვენეული სტილი. წერის სხვადასხვა საშუალებები, კლიპბორდები, დოკუმენტაციის ფურცლები დაგეხმარებათ ჯგუფში აქტივობებში ჩართული ბავშვების შესახებ ინფორმაციის დოკუმენტირებაში. თუ მეხსიერება არ გღალატობთ და ზედმიწევნით იმახსოვრებთ ყველაფერს, ზუსტად გეცოდინებათ, როდის რა უნდა ჩაწეროთ - მაგალითად, დაელოდებით ბავშვების შუადღის ძილის პერიოდს და სრული იდილიის პირობებში გააკეთებთ ჩანაწერებს. თუ ვერ დაიკვეხნით ბრწყინვალე მეხსიერებით და გულმავიწყი ხართ, ჩაიწერთ დაკვირვებისთანავე ან შეძლებისდაგვარად უახლოეს პერიოდში.

აუცილებლად განსაზღვრეთ დაკვირვების მიზანი. ეს მნიშვნელოვნად დაგეხმარებათ, ყურადღება გაამახვილოთ მასალაზე, რაც უნდა აისახოს დოკუმენტაციაში და რა მიზნებისთვის უნდა გამოიყენოთ ეს ინფორმაცია:

- აკვირდებით კონკრეტულ ბავშვს მისი განვითარების შესაფასებლად?
- თქვენი დაკვირვების მიზანია, ნახოთ, როგორ იყენებს ბავშვების ჯგუფი ოთახის წყობას და არსებულ მასალას?
- ცდილობთ, დაადგინოთ, ემთხვევა თუ არა თქვენი სამომავლო გეგმები ა ნდაგეგმილი აქტივობები კონკრეტული ბავშვის საჭიროებებს?
- თუ უბრალოდ ცდილობთ თქვენს პროგრამაში მონაწილე ბავშვების ინტერესებში გარკვევას შემდგომში მათი ინტერესების გათვალისწინებით სამოქმედოდ?

დაკვირვებების დროს მოპოვებული ინფორმაცია შეგიძლიათ გამოიყენოთ შეფასებისთვის და კურიკულუმის დასაგეგმად.

თამაშის და ურთიერთობის პროცესებში ბავშვების ზრდისა და სწავლის შესაძლებლობის დანახვის უნარის, მათთან ურთიერთობის გულწრფელი სურვილისა და გულისხმიერების გაღრმავება-განვითარება არის უწყვეტი, მიმდინარე პროცესი. თუ ახალბედა ხართ ადრეული განათლების სფეროში, შეიძლება, ისე მკაფიოდ ვერ დაინახოთ ბავშვის შესაძლებლობები, როგორც ამას გამოცდილი მასწავლებელი შეძლებს. დრო დაუთმეთ ბავშვებზე დაკვირვებას და

შეისწავლეთ განვითარების / პროგრესის აღქმა დროთა განმავლობაში. საკუთარ თავს მიუდექით, როგორც მკვლევარს ბავშვთა განვითარების სფეროში. გაიაზრეთ, რას გაჩვენებენ ბავშვები და რისი გაკეთება შეუძლია თითოეულ მათგანს? მხოლოდ ფაქტები (ინტერპრეტაციის გარეშე) გამოყენებული იქნება მტკიცებულებებად თქვენი კვლევისთვის. ამ მტკიცებულებების შეკავშირება ადრეული სწავლის გზამკვლევებთან, განვითარების ნუსხებთან ან რესურსებთან დაგეხმარებათ გონივრული მოლოდინების განსაზღვრაში სხვადასხვა ასაკის ბავშვების მიმართ.

ადრეული განათლების გამოცდილი სპეციალისტიც კი იზრდება და ვითარდება როგორც დამკვირვებელი და დოკუმენტატორი. ზრდის პროცესის მნიშვნელოვანი და პირველი ეტაპია დადგენა ფილტრებისა, რომელთა მიღმაც უყურებთ სამყაროს. ზოგჯერ, ამგვარი ეტაპები ბევრ სირთულეს შეიცავს. თვითრეფლექსია და კოლეგებთან მიკერძოებულობის და წინასწარ შექმნილი განწყობების პრობლემებზე საუბრის სურვილი და მზაობა გაგიუმჯობესებთ სიმართლეზე და არა წინასწარ შექმნილ სტერეოტიპზე ან ბავშვების მცდარ შეხედულებებზე დაფუძნებული დაკვირვებების ჩაწერის უნარს.

ადრეული ბავშვობის სხვადასხვა სამუშაო გარემოსთან ადაპტირება

ადრეული ბავშვობის თითოეული გარემო უნიკალურია. თქვენ შეიძლება იმუშაოთ ბავშვზე ზრუნვის დიდ ცენტრში ან პატარა სკოლამდელ დაწესებულებაში. შესაძლოა, გქონდეთ ბავშვზე ზრუნვის საოჯახო ბიზნესი ან მუშაობდეთ „Head Start“ პროგრამაში. შეიძლება რეგულარულად ახორციელებდეთ ოჯახში ვიზიტებს ან მიმაგრებული იყოთ საჯარო სკოლის სტრუქტურაზე. არ აქვს მნიშვნელობა კონტექსტს - თქვენ უნდა განსაზღვროთ, როგორ განახორციელებთ დაკვირვებას და დოკუმენტირებას და როგორ მისცემთ ამას მდგრადი სისტემის ფორმას.

თუ გუნდში მუშაობთ, კარგი იქნება ამოცანის გადანაწილება გუნდის წევრებზე. დარწმუნდით, რომ დაკვირვება ყველა ბავშვზე ხორციელდება და განვითარების ყველა სფერო დოკუმენტირებულია. ამისთვის საჭიროა სისტემატური კომუნიკაცია პერსონალს შორის. აუცილებელია, გარკვეული დრო დაუთმოთ მსჯელობას, თუ ვინ განახორციელებს დაკვირვებას და როდის ჩაიწერება დაკვირვების შედეგები. გუნდის რეგულარული დისკუსიები/შეხვედრები, თუნდაც ხუთ-ათ წუთიანი (გაიხსენეთ ჩვენი რეკომენდაცია „TAKE FIVE“ გუნდის შეხვედრების თაობაზე), ყველას მისცემს თანაბარად ინფორმირებულობის შესაძლებლობას და საშუალებას მოგცემთ, ერთმანეთს გაუზიაროთ დაკვირვების შედეგები და სამომავლო ნაბიჯები. რეფლექსიები და გაზიარება არსებითი მნიშვნელობისაა კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

თუ მუშაობთ ბავშვზე ზრუნვის საოჯახო პროგრამაში ან ისეთ პირობებში, როდესაც მარტო გიწევთ ბავშვებთან ყოფნა, აუცილებლად დაგჭირდებათ სამუშაო პროცესში დაკვირვებისა და დოკუმენტირებისთვის ადგილის მოძებნაზე ზრუნვა. გაითვალისწინეთ რომ თქვენი მთავარი ამოცანა ბავშვებზე სათანადოდ ზრუნვაა - ეს დაგეხმარებათ პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში. იქონიეთ ჩასაწერი საშუალებები თქვენ მიერ დანახული ბავშვების

მოქმედებების აღსაწერად. ამგვარად, მომზადებული იქნებით დოკუმენტირების პროცესისთვის. დაუთმეთ დრო რეფლექსიებს, რაც დახმარებას გაგიწევთ მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის შესაფერისი აქტივობებისა და მათ ინტერესებზე, შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიების დაგეგმვაში.

მიუხედავად იმისა, ახლა იწყებთ თუ დიდი ხანია იყენებთ დაკვირვების და დოკუმენტირების მეთოდებს, შემდეგი რეკომენდაციები დაგეხმარებათ წარმატებული სისტემის შექმნასა და მათ პრაქტიკულ გამოყენებაში:

- ივარჯიშეთ დაკვირვებასა და დოკუმენტირებაში;
- ნუ აჩქარდებით - ახლის შესწავლას დრო სჭირდება;
- გამოსცადეთ დოკუმენტირების სხვადასხვა მეთოდები და აღმოაჩინეთ ის, რომელიც თქვენთვის ყველაზე ხელსაყრელია;
- კოლეგებთან ისაუბრეთ მათი დაკვირვების და დოკუმენტირების წარმატებულ პრაქტიკაზე;
- სიამოვნება მიიღეთ იმ ცოდნისგან, რასაც იძენთ ბავშვებზე დაკვირვების და დოკუმენტირების პროცესში;
- ნასწავლი გაუზიარეთ ოჯახებს, კოლეგებს და თავად ბავშვებს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში გთხოვეთ, რომ გეწარმოებინათ დავთარი თითოეული თავის ბოლოს მოცემულ აქტივობებსა და შეკითხვების ირგვლივ. ჩვენი მიზანია, დაგეხმაროთ დაკვირვების თქვენი უნიკალური სტილის მოძებნაში. მოგიწოდებთ, რომ განაგრძოთ ჟურნალის გამოყენება დაკვირვებებსა და დოკუმენტირებაზე მსჯელობისას. რეფლექსიების უწყვეტი პროცესი დაგეხმარებათ დაკვირვებების ყოველდღიურ საქმიანობაში დანერგვაში. დავთრის წარმოება დაგეხმარებათ თქვენი იმპლემენტაციის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში, იდეების და მეთოდების ძიებაში წარმატების მისაღწევად. ცვლილება მოდის პრაქტიკასთან ერთად. ყველაზე კარგად ვსწავლობთ, როდესაც ვლამობთ მცდელობების და შეცდომების შედეგად წარმოშობილი პრობლემის გადაჭრას.

ბავშვებთან ერთად აწმყოში ყოფნა

ბავშვები დიდ პატივს გვდებენ, როდესაც გვაჩვენებენ, სინამდვილეში როგორები არიან, როდესაც ადგილს იმკვიდრებენ გარემოში, საკუთარი სხეულით და გონებით სწავლობენ სამყაროს და ადამიანებს. ადრეული ბავშვობა ალბათ ერთადერთი დროა მათი ცხოვრების ციკლში და, ბუნებრივია, - ბავშვობის მთელი პერიოდის განმავლობაში, როდესაც ბავშვები ლაღი და თავისუფალები არიან თამაშის და ურთიერთობების დროს. ჩვენთვის პირველწყაროდან ცნობილია, რომ ადრეული განათლების სპეციალისტებს ძალიან გაუმართლათ, რადგან თავად შეუძლიათ ამ პროცესზე თვალყურის დევნება. იმისათვის, რომ სრულად დატკბეთ თქვენი ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების ზრდისა და სწავლის პროცესით, იფიქრეთ ბავშვებზე და ყველაზე მთავარი - ისწავლეთ ბავშვებთან ერთად ყოფნა სიტუაციებში.

კურტისი და კარტერი (2011, 301-4) გვთავაზობენ რამდენიმე სასარგებლო რეკომენდაციას, რომლებიც უნდა აითვისოს ადრეული განათლების სპეციალისტმა პირადი და პროფესიული განვითარების პროცესში. ეს დისპოზიციები ასევე შეეხება განვითარებას დაკვირვების დარგშიც:

- დაინტერესდით ბავშვების სწავლის და განვითარების პროცესებით;
- დააფასეთ ბავშვების თამაში;
- იქონიეთ უწყვეტი ცვლილების და გამოწვევების მოლოდინი;
- წადით რისკზე და მზად იყავით იმისთვის, რომ შეცდომებს დაუშვებთ;
- რეგულარულად დაუთმეთ დრო რეფლექსიებს და თვითშემეცნებას;
- მოითხოვეთ თანამშრომლობა, მენტორის და კოლეგების მხარდაჭერა;
- იყავით პროფესიონალი თქვენი საქმის სადარაჯოზე და პირველი განგაშის ამტეხი.

ბოლო რეკომენდაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც დაკვირვების ეფექტური გამოყენება შესაძლებლობას გაძლევთ, იქცეთ ბავშვების დამცველად და პროფესიონალად ადრეული ასაკის სპეციალობაში. როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოში აღინიშნა, განათლების სფეროს მიერ შემოთავაზებული პროფესიონალური რეკომენდაციები მხარს უჭერენ დაკვირვებაზე დამყარებულ შეფასებას და არა ბავშვების ტესტირებას. ადრეული ასაკის ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებმა უნდა იმოქმედონ ბავშვების სახელით და ასწავლონ სხვებს ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების მეთოდები. ჩვენ ერთად შეგვიძლია წარმოვაჩინოთ დაკვირვებაზე დაფუძნებული შეფასების შედეგიანობა, რაც ემყარება ობიექტურ დოკუმენტირებას და მჭიდროდ უკავშირდება საყოველთაოდ მიღებულ და კულტურულად სენსიტიურ გზამკვლევებს განვითარების შესახებ. თქვენ მიერ შეძენილი ცოდნისა და შეფასების გამოცდილების კოლეგებს შორის გაზიარების გზით შეძლებთ ცვლილების მიღწევას ბავშვების ცხოვრებაში.

ზოგიერთ კონტექსტში/გარემოში შეიძლება არ მოგეცეთ შეფასების ინსტრუმენტის ან მეთოდოლოგიის შერჩევის შესაძლებლობა. ბევრი სახელმწიფო ან ფედერალური პროგრამა სავალდებულო წესით იყენებს შეფასების კონკრეტულ სისტემას. თუ ამგვარ სიტუაციაში აღმოჩნდით, მაინც ეცადეთ იმუშაოთ და გააკეთოთ ის, რაც საუკეთესოა ბავშვებისთვის. შეიძლება მანდატით გათვალისწინებული, სავალდებულო სისტემები არ იყოს დაკვირვებაზე ორიენტირებული, თუმცა თქვენ მაინც შეგიძლიათ დაკვირვება და დოკუმენტირება აქციოთ თქვენი პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად. განაგრძეთ ბავშვებზე დაკვირვება, მოკლე ჩანაწერების კეთება. თქვენ იცით, რომ აგროვებთ მნიშვნელოვან ინფორმაციას ბავშვების და მათი განვითარების შესახებ.

ბავშვების ზრდითა და განვითარებით ტკბობა

წარმოიდგინეთ სამი წლის გოგონა, რომელიც ლაღად დაჰქრის სათამაშო მოედანზე გაზაფხულის მშვენიერ დღეს. გოგონა შვედური კედლიდან გადადის სასრიალოზე, შემდეგ - აიწონა-დაიწონაზე და საქანელებზე. მთელი ამ დროის განმავლობაში მის სახეს ღიმილი არ შორდება, მოძრაობები სიხარულით არის აღსავსე და დარწმუნებულია საკუთარ ფიზიკურ შესაძლებლობებში. ვიმედოვნებთ, გახსოვთ, რომ ზოგჯერ ბავშვებზე დაკვირვებისას ყველაზე

მნიშვნელოვანი ამოცანა არის ამ პროცესით სიამოვნების მიღება. ბავშვებს ყოველთვის არ ესაჭიროებათ ინტერვენციები და სპეციფიკური კურიკულუმების დაგეგმვა. დიახ, ამ გოგონას ფიზიკური შესაძლებლობები შეიძლება შევაფასოთ მის მოქმედებებზე დაკვირვებით. თუმცა, ის ისეთ სიამოვნებას იღებს სირბილის, ცოცვის, საქანელაზე ქანაობის და წონასწორობის შენარჩუნების დროს, რომ მისი შესაძლებლობების ფორმალური შეფასება აზრს მოკლებულია. ამ დროს ყველაზე უპრიანია მის მოქმედებებზე დაკვირვებით სიამოვნების მიღება.

ახლა დროა დავუბრუნდეთ სიტყვა „შეფასების“ მნიშვნელობას. მე-5 თავში ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სიტყვა წარმოიშვა ლათინური „assidere“-დან, რაც „თან ჯდომას“ ნიშნავს. ბავშვებისგან სიხარულის მიღება, მათთან ერთად სიტუაციებში ყოფნა, სხვადასხვა საჭიროებების გამო მათ მოქმედებებზე დაკვირვება მართლაც შეიძლება ჩაითვალოს „მათთან ჯდომის“ ნაირსახეობა. შემფასებელს - მას ვინც გვერდით ზის - ალტერნატიული მნიშვნელობაც აქვს - „ის, ვინც სხვის წოდებას ან ღირსებას იზიარებს“ (Wiggins 1993 in Marzano and Kendall 1996, 123). როდესაც სიამოვნებით ვაკვირდებით სხვადასხვა აქტივობაში ჩართულ ბავშვებს, თითოეულმა ჩვენგანმა გულში მადლობა უნდა გადაუხადოს მათ იმ პატივის გამო, რომელიც დაგვდეს და საკუთარი ცხოვრების პერიოდის მცირე ნაწილი გაგვიზიარეს. უყურეთ, გაიღიმეთ, იმხიარულეთ თქვენი მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებთან ერთად ისე, როგორც ისინი ხარობენ მთელი არსებით. იზეიმეთ ბავშვობა. გაიზიარეთ სიტუაციები ბავშვებთან ერთად. დაფიქრდით, როგორ სწავლობთ და იზრდებით ბავშვებზე დაკვირვებით და რამდენს იძენთ თავად ბავშვებისგან.

****

დაკვირვების პრაქტიკა # 19 .
ბავშვებთან ერთად ზეიმობა და აწმყოში ყოფნა

მიზანი: ისწავლეთ როგორ დატკბეთ ბავშვების ენთუზიაზმით და სასიცოცხლო ენერგიით.

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ #19 ვიდეორგოლს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა აქტივობებში ჩართული ბავშვების კლიპების მონტაჟს. ნუ შეიწუხებთ თავს დაკვირვებით ან კურიკულიმის დაგეგმვაზე ფიქრით. ნუ ჩაიწერთ შენიშვნებს და ნუ დაიწყებთ რაიმე ფორმით დოკუმენტირებას. იყავით თითოეული ბავშვის გვერდით, როდესაც ის ღიად გაგიზიარებთ ენთუზიაზმსა და ენერგიას. დააფასეთ ისინი და მათი ბავშვობით ტკბობა. იზეიმეთ და ისიამოვნეთ მათი არსებობით.

საორიენტაციო შეკითხვები: თუ მონაწილეობთ ჯგუფურ დისკუსიაში, წევრებს მოუყევით განცდების შესახებ, რომლებიც დაგეუფლათ ბავშვების ცქერისას. ისაუბრეთ ბავშვებთან ერთად სიტუაციებში ყოფნის მნიშვნელობაზე და მათი სასიცოცხლო ენერგიით ტკბობის გამო განცდილ მადლიერებაზე.

რეფლექსია

მიზანი: რეფლექსია საკუთარ ზრდასა და სწავლაზე.

რა უნდა გავაკეთოთ: განაგრძეთ დავთრის გამოყენება თქვენი ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებზე დაკვირვებისას საკუთარი ზრდისა და სწავლის გასაანალიზებლად. გამოიყენეთ დავთარი, რათა მუდმივად გახსოვდეთ დაკვირვების მნიშვნელობა როგორც შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვისთვის, ისე ბავშვებზე დაკვირვებით და მათთან ერთად ყოფნით სიამოვნების მიღებისათვის. ისწავლეთ მათი დაფასება იმ გულწრფელობისთვის, რომელსაც ასხივებენ.

იპოვეთ თქვენი მეთოდი/სტილი

მიზანი: ბალანსის დაცვა ბავშვებზე დაკვირვების დროს.

რა უნდა გავაკეთოთ: დავთარში - იმსჯელეთ და უპასუხეთ შემდეგ შეკითხვებს:

- რისი გაკეთება შეგიძლიათ იმისთვის, რომ გამონახოთ დრო და სრულად დატკბეთ ბავშვებთან ყოფნით დატვირთული სამუშაო დღის მანძილზე?
- რა მეთოდები დაგეხმარებათ დაკვირვებასა და დოკუმენტირებას შორის ბალანსის დაცვაში, რათა დაგეგმოთ განვითარება/სწავლება და მონაწილეობა მიიღოთ სიტუაციებში, რომლებიც დაგეხმარებათ თითოეული ბავშვის უნიკალური ბუნების აღმოჩენასა და გაცნობაში?
- ყველაზე მეტად რომელ საკითხზე ისურვებდით მუშაობას?

დანართი ა: დაკვირვების ეპიზოდური ჩანაწერები განხილვისა და პრაქტიკისთვის

ქვემოთ მოცემულ დაკვირვების ჩანაწერებს შეგიძლიათ გაეცნოთ ბევრი სხვადასხვა მიზეზის გამო. სურვილისა და საჭიროებისამებრ, გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი:

- კარგად გაეცანით მათ, როგორც სხვადასხვა ასაკის ბავშვების შესახებ ხარისხიანად მომზადებული დოკუმენტაციის მაგალითებს.
- დაადგინეთ ადრეული სწავლის გზამკვლევების რა ორიენტირები ჩანს ბავშვის ქმედებებში.
- აღწერილობა დააკავშირეთ თქვენთვის კარგად ნაცნობ განვითარების შეფასების ინსტრუმენტთ.
- იფიქრეთ შემდგომ ნაბიჯებზე - რას დაგეგმავთ ბავშვისთვის დაკვირვების ჩანაწერზე (ბავშვის შესაძლებლობების შესახებ) დაყრდნობით?
- იფიქრეთ, როგორ გამოიყენებდით დაკვირვების ჩანაწერებს ბავშვის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციისთვის ისე, რომ ერთად უკეთ შეისწავლოთ ბავშვის შესაძლებლობები და დასახოთ გეგმები.

ჩვილ და ახლადფეხადგმულ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები

ლაილა (3.5 თვის)

ლაილა იწვა ზურგზე, შემდეგ მიბრუნდა გვერდზე და კინაღამ გადაგორდა. კომენტარი გავაკეთე ლაილას ქმედების შესახებ, მან კი შემომხედა და გამიღიმა.

ჯორჯი (2 წლის, 10 თვის)

დღეს, როდესაც ბავშვები გარეთ იყვნენ, პოლინა ბალახზე დაეცა და ტირილი დაიწყო. მაქსი შენობაში შევარდა, დათუნია მოუტანა მას და ჰკითხა: „გეტკინა? აი, შენ დათუნია, თავს უკეთ იგრძნობ“. შემდეგ მაქსმა პოლინას მისცა დათუნია, თავზე ხელი გადაუსვა და დაინტერესდა: „ახლა ხომ უკეთესად ხარ?“

მარკუსი (10 თვის)

მარკუსი აცოცდა პატარა, ხალიჩით დაფარულ პანდუსზე და შემდეგ ცოცვით ჩამოვიდა სამ პატარა, ხალიჩით დაფარულ საფეხურზე. მან ეს გაიმეორა ხუთჯერ თუ ექვსჯერ, სახეზე ღიმილი არ მოშორებია.

ადრიანა (2 წელი, 6 თვის)

ერთ დილას ადრიანა პერმანენტულად იმეორებდა: „ქეინი აქაა? ქეინი აქაა?“ როდესაც ვკითხე, უნდოდა თუ არა ქეინის მოსვლა, თავი დამიქნია და გაიღიმა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, როდესაც ქეინი შემოვიდა ოთახში მამასთან ერთად, ადრიანა გაიქცა და მკლავები მოხვია მას, თან იძახდა: „ქეინი აქაა!“

ჯულიანა (17 თვის)

ჯულიანა ბარბაცით მივიდა მასწავლებელთან, ერთ ხელში თოჯინა ეჭირა, მეორეში - საბანი. მან თოჯინა და საბანი მასწავლებელს მისცა და უთხრა: „გაახვიე ბავშვი“. მასწავლებელმა გახვეული თოჯინა უკან დაუბრუნა გოგონას. ის ჩაეხუტა თოჯინას და რწევა დაუწყო.

ალენი (20 თვის)

ალენი კარის ფანჯრიდან გაჰყურებდა სათამაშო მოედანს, თან წიოდა, ფეხებს აბაკუნებდა და თითს იშვერდა გარეთ. ვკითხე, რას ხედავდა გარეთ. ის ჩემკენ გამოიქცა, ხელი ჩამავლო და კარისკენ წამიყვანა, ისევ ფანჯრიდან ხელი გაიშვირა და იძახდა: „ცუგა! ცუგა!“ მე ვუპასუხე - „ვაუ, დიდი ძაღლია!“ ალენმა კი თქვა: „კაი ცუგა! კაი „ცუგა!“ მე ვუპასუხე: „ჰო, შენი მამიკო ყოველთვის ამბობს „კარგი ცუგა!“

ვრენი (8 თვის)

ვრენი ზურგზე იწვა იატაკზე და ხელში რბილი კუბი ეჭირა. დავინახე ვრენის ძმა ჰადენი, რომელიც ჩვენს კარებთან იდგა. ვკითხე შემოსვლა ხომ არ უნდოდა. მან მითხრა, რომ პატარა დის სანახავად იყო მოსული. როდესაც კარი გააღო და დაიყვირა „ვრენ“, პატარა გოგომ სწრაფად მიატრიალა თავი მისი მიმართულებით, დააგდო კუბი და დაიწყო ფეხების ქნევა. ბიჭი მიუახლოვდა და რამდენჯერმე აკოცა სახეზე და კისერში. გოგო ხითხითებდა.

ჩინი (14 თვის)

დღეს პირველად დავდგით ე.წ. მანათობელი მაგიდა. ჩინი ბარბაცით მიუახლოვდა და ფერადი ფიგურები გადაადგილა მაგიდის ზედაპირზე. მან ხუთ წუთზე მეტი დაჰყო იქ. იღიმებოდა და ბურდღუნებდა თავისთვის მთელი ამ დროის განმავლობაში.

კაცუ (24 თვის)

მთელი კვირის განმავლობაში კაცუ მეკითხება: „მე დახმარება?“ ეზოში გასვლის წინ, როდესაც დერეფანში ბავშვების პალტოების ასაღებად გავდივარ, სათითაოდ ვხსნით პალტოებს საკიდებიდან და ერთ გროვად ვალაგებთ კართან. დღეს ავწიე მეწამული ფერის პალტო და ვიკითხე: „ხომ არ გახსოვს ვისი პალტოა ეს?“ კაცუმ მითხრა: „ავა“. მერე ავწიე ლურჯი პალტო და იგივე შეკითხვა დავუსვი. მიპასუხა - „კეიკო“. მესამე პალტო ავწიე და მან სწრაფად დაიძახა „ჩემი“.

ბენი (6 თვის)

ბენი ზურგზე იწვა, როცა ვესტონი, სათამაშო ჟღარუნათი პირში, მასთან მიცოცდა. ბენმა ახედა ვესტონს და მარცხენა ხელი გაიწვდინა მისი მკერდის მიმართულებით. მან თითები გაშალა და გაიწოდა სათამაშოსკენ, თან მარჯვენა მხარეს მიტრიალდა. შემდეგ კიდევ უფრო წინ წაიწია, მარცხენა ხელი ჩაავლო სათამაშოს და გამოსტაცა ვესტონს პირიდან. მერე ზურგი აქცია და ხელის მაღლა-დაბლა მოძრაობით დაიწყო ჟღარუნას ქნევა.

დანი (20 თვის)

ერთ დღეს ეზოში დანი და მისი ექვსი წლის და ერიკა თამაშობდნენ ფეხბურთის ბურთით. ერიკამ ჰკითხა: „დანი, შეგიძლია ფეხი დაარტყა? აი, ასე, ჯერ მე შემომხედე“. ერიკამ ფეხი დაარტყა ბურთს. დანი გაეკიდა ბურთს, გაჩერდა ზუსტად მის წინ, მარჯვენა ფეხი გასწიაა უკან და შემდეგ წინ - ბურთზე დასარტყმელად. ერიკამ უყურ,ა ბურთი როგორ გაგორდა და მისგან ერთ მეტრში გაჩორდა. მან მიირბინა, გაჩერდა, მარჯვენა ფეხი გაიქნია უკან და კიდევ ერთხელ დაარტყა. და ეს გაიმეორაკიდევ ხუთჯერ. ერიკა ყვიროდა: „ახლა ჩემსავით შეგიძლია ფეხბურთის თამაში.“

ჩვილ და ახლადფეხადგმულ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები და ადრეული სწავლის გზამკვლევების (სწავლის და განვითარების სტანდარტები) სავარაუდო სფეროები/მიმართულებები

ჩვენ დავადგინეთ, რომ ზემოთ მოცემულ დაკვირვების ჩანაწერებში ბავშვებმა წარმოაჩნეს სწავლების შემდეგი სფეროები ან მიმართულებები. 3 წლამდე ასაკის ბავშვების შემთხვევაში, ჩვენ გამოვიყენეთ „მონტანას ადრეული სწავლის გზამკვლევები 3 წლამდე ბავშვებისთვის“. გირჩევთ, გამოიყენოთ თქვენს შტატში/სახელმწიფოში მიღებული ადრეული განვითარების გზამკვლევები (ე.წ. განვითარების სტანდარტები) ან განვითარების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება თქვენი პროგრამის შეფასების ინსტრუმენტში.

ლაილა (3.5 თვის)

ფიზიკური უხეში მოტორული უნარები: გვერდზე გადაგორება;

ემოციური თვითაღქმა: რეაგირებს სხვების ყურადღებაზე;

ენის რეცეპტორი: იღიმის, როცა ესაუბრებიან.

ჯორჯი (2 წლის 10 თვის)

სოციალური: ანუგეშებს და ამისათვის აძლევს საყვარელ სათამაშოს ან პლედს;

მეტყველების ექსპრესია: იყენებს სიტყვებს ან ჟესტებს ამბების გადმოსაცემად.

მარკუსი (10 თვის)

ფიზიკური უხეში მოტორული უნარები: ცოცავს;

აზროვნების/ფიქრის უნარი და ცნობიერება: პრობლემების მოგვარება.

ადრიანა (2 წელი, 6 თვის)

სოციალური - თანატოლებთან ურთიერთობა: ურთიერთობას ანიჭებს ერთ ან ორ თანატოლთან თამაშს.

მეტყველების ექსპრესია: იყენებს სიტყვებს ან ჟესტებს ამბების გადმოსაცემად;

ჯულიანა (17 თვის)

სოციალური: ითხოვს დახმარებას სიტყვიერად ან ჟესტებით, როცა საჭიროა;

კოგნიტური პრობლემების მოგვარება: წარმოადგენს, როგორ შეიძლება ნაცნობი საგნების კომბინირებული გამოყენება.

ალენი (20 თვის)

მეტყველების ექსპრესია: საუბრობს საკმაოდ მკაფიოდ და გასაგებად ნაცნობი მსმენელისთვის;
სოციალური: ურთიერთობს ნაცნობ უფროსებთან საუბრის მეშვეობით.

ვრენი (8 თვის)

მეტყველების ექსპრესია: რეაგირებს სახელზე, თავს ატრიალებს მოსაუბრის მიმართულებით;
სოციალური: რეაგირებს სხვების ყურადღებაზე;

ჩინი (14 თვის)

კოგნიტური პრობლემების მოგვარება: შედეგის მისაღწევად ატარებს ექსპერიმენტებს, იყენებს საგნებსა და ამოცანებს.

ფიზიკური უხეში მოტორული უნარები: მოძრაობს საინტერესო სანახაობების მიმართულებით;

ემოციური: წარმოაჩენს, რა მოსწონს და რა არ მოსწონს.

კაცუ (24 თვის)

კოგნიტური: კლასიფიცირება სათამაშოების ან სხვა საგნების დახარისხების დროს; მეტყველების ექსპრესია: რეაგირებს შეკითხვებზე ან მარტივ თხოვნებზე ვერბალური ან არავერბალური პასუხებით.

ბენი (6 თვის)

ფიზიკური ნატიფი მოტორული უნარები: იწვდის ხელს და ეჭიდება სათამაშოს, საგანს, პიროვნებას.

სოციალური: რეაგირებს სხვების ყურადღებაზე.

დანი (20 თვის)

ფიზიკური უხეში მოტორული უნარები: დადის და დარბის.

სოციალური: ავლენს ენთუზიაზმს სხვა ბავშვებთან ერთად ყოფნის დროს.

მეტყველების ექსპრესია: მოქმედების ამსახველ სიტყვებზე რეაგირებს ამ მოქმედებების შესრულებით.

სკოლამდელთა დაკვირვების ჩანაწერები

ლიდია (3 წლის და 2 თვის)

ლიდია იყენებს ფერად მარკერებს სახატავად: ის ხშირად იცვლის ხელს, მარკერები უჭირავს მუშტით და ურტყამს ფურცელზე. „ნახე, მე წერტილები დახატა“. როდესაც მასწავლებელი აჩვენებს, როგორ უბრტყელებს მარკერს წვერს, ის უფრო ნაზად ხატავს წერტილებს. ერთ დღეს კვლავ ხატავს მარკერებით. ამჯერად, მარკერები მხოლოდ მარჯვენა მუშტით უჭირავს. ის ამბობს: „ნახე მასწავლებელო, მე ნაზად დახატა“, თან პატარა წრეებს ავლებს ფურცელზე. ზოგი წრე შევსებულია, ზოგი - არა.

თომასი (4 წლის და 4 თვის)

დღეს, კუბებით თამაშისას, თომასმა ხუანთან ერთად ააშენა ორი სიმეტრიული კოშკი. „ისე უნდა ააწყო რომ, არ ჩამოინგრეს, ჰო, ხუან?“ ის დიდი სიფრთხილით დებდა თითოეულ კუბს. ბოლოს, დალაგებისას, ორივე ბიჭმა კუბები თაროზე დააწყო, თაროებზე მითითებული ფერების და ზომების მიხედვით.

იუნ ჯო (4 წლის და 8 თვის)

იუნ ჯო ხშირად ირჩევს ხელოვნების სივრცეს, სადაც მუშაობს ათი-თხუთმეტი წუთის განმავლობაში. ის მოლბერტთან ხატავს დეტალურ სურათებს მრავალი ფერით, ფუნჯი მარცხენა ხელში უჭირავს. ის ასევე დროს ატარებს აუდიოცენტრში და უსმენს რამდენიმე ამბავს მიყოლებით. როდესაც პრობლემა აქვს, ზოგჯერ თავად ცდილობს მის მოგვარებას, ზოგჯერ კი უფროსებს სთხოვს დახმარებას. დღეს მას სჭირდებოდა დახმარება ყურსასმენებთან და ხმის ჩამწერთან დაკავშირებით, იუნ ჯომ მასწავლებელს სთხოვა დახმარება. მან თქვა: „ვერ ვრთავ ამას, მის ელენ, შეგიძლიათ დამეხმაროთ?“

ჯენიფერი (3 წლის და 1 თვის)

ჯენიფერი მწკრივში ალაგებს ფერად დათუნიებს, მანქანებს და დინოზავრებს (რაიმე კონკრეტული რიგითობის გარეშე) და შემდეგ პლედს აფარებს მათ. „მათ სძინავთ“ - ამბობს ის. როდესაც პლედს გადახდის, გოგონა გამოაცხადებს, „გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ!“ ის აგრძელებს და კიდევ სამჯერ იმეორებს ამ თამაშს და შემდეგ გადადის სხვა აქტივობაზე. ლესტერი ჯენიფერის გვერდით ზის და უყურებს, როგორ ალაგებს საგნებს გოგონა. შემდეგ ის იწყებს თავისი პატარა საგნების - ნიჟარების, ღილების და ფერადი კუბების - მწკრივში ჩალაგებას. როდესაც ჯენიფერი თავის საგნებს პლედს აფარებს და აცხადებს, „მათ სძინავთ!“, ლესტერი ამბობს „მეც!“ და თავის კოლექციას პლედს აფარებს. როდესაც გოგონა ამბობს, „გაიღვიძეთ! გაიღვიძეთ!“, ის ჰბაძავს გოგონას, პლედს იღებს და ამბობს, „გაიღვიძეთ“. როდესაც გოგონა შორდება მაგიდას, ისიც მიდის.

სპენსერი (4 წლის და 6 თვის)

დღეს პენსერმა წაიღო პატარა მანქანებით სავსე ყუთი კუბების ტერიტორიაზე. „გზას ვაკეთებ“, განაცხადა მან. რამდენიმე მცირე კუბი იატაკზე დადო და შეეცადა მანქანების „ტარებას“ მათზე, რისთვისაც აწვებოდა მათ და უყურებდა, რამდენად შორს წავიდოდნენ. მანქანები რამდენიმე სანტიმეტრის გავლის შემდეგ ჩერდებოდნენ. „ვიცი“- თქვა მან. შემდეგ ააშენა გზის ერთი ბოლო ორი პატარა ბლოკით და ზემოდან ერთი გრძელი ბლოკი დაადო ისე, რომ პანდუსი გამოსულიყო. შემდეგ მან მანქანები პანდუსზე დაუშვა. „ვაშაა! ეხლა სწრაფად მიდიან!“ - თქვა მან. მარკუსი (4 წლის, 10 თვის) შეუერთდა სპენსერს და შესთავაზა: „მოდი, დიდი ხიდი ავაშენოთ“. სპენსერი დაეთანხმა. და ორივე დიდხანს მუშაობდა. საუბრობდნენ, თუ რა

სჭირდებოდათ ხიდისთვის. „მაღალი უნდა ავაშენოთ“ - თქვა სპენსერმა. „კარგი, მოდი ორი მაღალი კოშკი ავაშენოთ“- თქვა მარკუსმა.

ქოული (5 წლის და 2 თვის)

ქოული და სამი ბავშვი თამაშობდნენ, თითქოს, თვითმფრინავში ადიოდნენ, რა დროსაც ქოულმა გამოაცხადა: „ბილეთები გვჭირდება“. იგი წავიდა ხელოვნების სივრცეში, იპოვა ფერადი ქაღალდი, მაკრატელი, მარკერები და დაბრუნდა ცენტრში, სადაც ბავშვებს სკამებისგან თვითმფრინავი ჰქონდათ მოწყობილი. მარჯვენა ხელით მან ზოლებად დაჭრა ქაღალდი და თითოეულს დააწერა ნომერი. „შენ ხარ პირველი ნომერი, შენ ხარ თექვსმეტი და შენ - ნომერი ოთხი (ნომრები სწორად ეწერა)“ - გამოაცხადა მან. შემდეგ ბავშვებს მიუთითა მათი „ადგილებისკენ“ და შეაგროვა ბილეთები.

პიტერი (3 წლის და 3 თვის)

პიტერმა მიირბინა ფანჯარასთან და ხელი გაიშვირა ფიფქებისაკენ, რომლებიც ციდან ცვიოდა. მან გაიღიმა, ტაში შემოჰკრა და ადგილზე ხტუნვა დაიწყო. გასულ კვირას ვთხოვე, სენსორულ მაგიდაზე შეემოწმებინა, ქვიშა ისევ სველი იყო თუ არა. ის მივიდა სენსორულ მაგიდასთან, დახედა, თუმცა არ შეჰხებია. როდესაც ის თამაშობს სველი ქვიშით, იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტს და ხელით არ ეხება მას.

მარიო (4 წლის და 11 თვის)

მარიოს ხშირად აქვს ახალი იდეები ჯგუფში სხვადასხვა საქმიანობის შესრულებასთან დაკავშირებით. ერთ დღეს, როდესაც ბავშვების დიდ ჯგუფში მოთხრობას ვკითხულობდით, ზოგიერთმა ბავშვმა დაიჩივლა, რომ ვერ ხედავდნენ. მარიომ თქვა, „უკან რიგებში ვინც არიან, მუხლებზე რომ დადგნენ? ასე დაინახავენ“. დღეს შემოგვთავაზა გოგონების და ბიჭუნების განლაგების სქემის შექმნა სასადილო მაგიდასთან. სხვა ბავშვებიც დასთანხმდნენ. მარიომ უხელმძღვანელა ყველას განთავსებას და მორიგეობით დასვა გოგონები და ბიჭუნები. ბოლოს ორ გოგონას მოუწია გვერდიგვერდ ჯდომა და მარიომ თქვა, „არა უშავს, სხვა დროს სხვანაირად გავაკეთებთ.“

კორი (3 წლის)

კორი ხშირად თამაშობს მარტო ან უყურებს სხვების თამაშს. დღეს ის იდგა წყლის მაგიდასთან და უყურებდა, როგორ ასხამდნენ სხვა ბავშვები წყალს მილებში, ფინჯნებში, წყლის წისქვილში. როდესაც ვკითხე, ხომ არ სურდა წყლით თამაში, მან უარის ნიშნად თავი გააქნია. შევთავაზე, მე და შენ დავხატოთ-მეთქი. დავსხედით სახატავ მაგიდასთან გვერდიგვერდ და ვხატეთ. კორის სახატავი ფანქრები მარცხენა ხელით ეჭირა - ხან მუშტით, ხან თითებით და

მთელს ფურცელზე ნიშნებს სვამდა. ვკითხე, რამეს ხომ არ წერდა და მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

ჯოელი (4 წლის და 3 თვის)

თითქმის ყოველდღე სკოლაში მოსვლისას ჯოელი ეძებს თავის საუკეთესო მეგობარს, მარიას. „გინდა სახლობანა ვითამაშოთ, მარია?“ - ეკითხება ხოლმე მას. უმეტესწილად, მარია ეთანხმება ხოლმე. ისინი თამაშობენ - ვითომ საჭმელს აკეთებენ და ბავშვებს უვლიან. ჯოელი არის თამაშის სცენარის ხელმძღვანელი, ხოლო მარია მითითებებ ასრულებსს. დღეს ჯოელმა თქვა: „კარგი დაო, ბლინების გამოცხობის დროა. პატარებს საუზმე ხომ უნდა ვაჭამოთ?“ მარიამ დაათვალიერა სათამაშო მაცივარში არსებული საკვები და იპოვა ბლინები. ჯოელმა მაგიდაზე დაალაგა თეფშები და თითოეულზე დადო ბლინი. „ჩვენ გვაქვს ოთხი, ერთი, ორი, სამი, ოთხი ბლინი, ჰო?“

ლინი (3 წლის და 2 თვის)

ლინი თამაშობდა ქსილოფონით მუსიკალურ სივრცეში, როდესაც მას სუზანა შეუერთდა და დაიწყო დაკვრა მეორე ჯოხით. „არა!“ - დაიყვირა ლინიმ. „ჩემია! მასწავლებელო!“ - თქვა სუზანამ. მივედი და ორივე გოგონას დაველაპარაკე, რომ რიგ-რიგობით შეიძლებოდა დაკვრა. ლინიმ ისევ თქვა: „არა, ახლა ჩემი ჯერია“ და სუზანას ხელი ჰკრა. სუზანამ ტირილი დაიწყო, მე დავამშვიდე და ლინის დაველაპარაკე სუზანას განაწყენების თაობაზე. ვთხოვე, რომ სუზანასთვის ეჩვენებინა, რომ ის მისი მეგობარი იყო. ლინი დაიხარა, სუზანას მკლავზე ხელი მოუთათუნა და უთხრა: „მაპატიე“. შემდეგ გოგონებს ავუხსენი და ვაჩვენე, როგორ დაეკრათ მაღალი და დაბალი ნოტები და ისინი რამდენიმე წუთის განმავლობაში ქსილოფონზე უკრავდნენ ერთად.

ანდრე (4 წლის)

ანდრეა სკოლაში იმ დროს მოვიდა, როდესაც ღუმელში საუზმისთვის ფუნთუშები გამოცხვა. „რაღაცას მართლაც კარგი სუნი აქვს“ - თქვა მან - „მოცხარის სუნი მცემს! იფ, იფ“. ის მეგობრებს შეუერთდა მაგიდასთან და თბილი ფუნთუშა ცხვირთან მიიტანა. „თბილია როგორც მზე“ - თქვა მან.

როუზი (4 წლის და 5 თვის)

როუზმა მოისურვა პლასტილინით (ფერადი ცომისებრი მასა) თამაში და გამომყვა კარადასთან მასალების ასაღებად. მან სათამაშო პლასტილინის დიდი ჯამი წაიღო მაგიდისკენ, რომელზეც სხვა ბავშვები ფაზლებით და მანიპულაციის სათამაშოებით ერთობოდნენ. „აქ ადგილი არ არის“ - მითხრა, როდესაც ორცხობილის საჭრელები და გასაბრტყელებლები მოვიტანე ჯამით. „შეგიძლია, სთხოვო ბავშვებს, რომ მაგიდის ერთი კუთხე დაგითმონ?“ ვუთხარი მას. მან

იკითხა: „ბავშვებო, შეიძლება აქ სათამაშო ცომით ვითამაშო?“ ბავშვებმა სათამაშოები გაწიეს. როდესაც მან დაიწყო ცომით და საჭრელებით თამაში, სხვებიც შეუერთდნენ. ბოლოს ყველა მანიპულატორი და ფაზლი გვერდზე გადადეს და მხოლოდ ცომით თამაშობდნენ. როუზი აბრტყელებდა ცომებს და საჭრელებით სხვადასხვა ფორმებს აძლევდა მათ.

სკოლამდელთა დაკვირვების ჩანაწერები და სავარაუდო ინდიკატორები ადრეული სწავლის გზამკვლევებიდან (სწავლის და განვითარების სტანდარტები)

დავადგინეთ, რომ ზემოთ მოყვანილ დაკვირვების ჩანაწერებში ბავშვებმა წარმოაჩინეს სწავლის შემდეგი სფეროები. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის ჩვენ ვიყენებთ ნიუ მექსიკოს ადრეული სწავლის გზამკვლევებს. გირჩევთ გამოიყენოთ თქვენს შტატში/სახელმწიფოში მიღებული ადრეული განვითარების გზამკვლევები ან განვითარების შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება თქვენს პროგრამაში.

ლიდია (3 წლის და 2თვის)

ზეპირი მეტყველება, სმენის უნარი, მითითებების შესრულება/მიდევნება, ნატიფი მოტორული უნარები, წერა/ხატვა.

თომასი (4 წლის და 4 თვის)

ზეპირი მეტყველება, ერთობლივი თამაში, ნატიფი მოტორული უნარები, დახარისხება და კატეგორიზაცია, პასუხისმგებლობა ჯგუფში.

იუნ ჯო (4 წლის, 8 თვის)

დავალებაზე ფოკუსირება, შემოქმედებითობა, ნატიფი მოტორული უნარები, დაინტერესება წიგნებით, პრობლემების გადაჭრა, უფროსების დახმარების მოთხოვნა, ზეპირი მეტყველება.

ჯენიფერი (3 წლის და 1 თვის)

მიზნობრივი თამაში, ზეპირი მეტყველება, ნატიფი მოტორული უნარები, იმიტაცია.

სპენსერი (4 წლის და 6 თვის)

ზეპირი მეტყველება, ერთობლივი თამაში, პრობლემების გადაჭრა, შემოქმედებითობა, ფოკუსი, სამეცნიერო ექსპერიმენტები.

ქოული (5 წლის და 2 თვის)

როლური თამაშები, ინიციატივა, ზეპირი მეტყველება, ნატიფი მოტორული უნარები, მათემატიკური გადმოცემა, ერთობლივი თამაში, ფოკუსი.

პიტერი (3 წლის და 3 თვის)

სამეცნიერო მოვლენაზე დაკვირვება, მოსმენის უნარი, მითითებების შესრულება, პრობლემების გადაჭრა.

მარიო (4 წლის და 11 თვის)

პრობლემების გადაჭრა, შემოქმედებითობა, ზეპირი მეტყველება, მოდელების შექმნა, ინიციატივა.

კორი (3 წლის)

მარტო თამაში, კომუნიკაციის დამყარება, მოსმენა, ნატიფი მოტორიკა, წერა.

ჯოელი (4 წლის და 3 თვის)

ცნობს მეგობრებს, ასოცირებული თამაში, ზეპირი მეტყველება, როლური თამაშები, დახარისხება, რაოდენობების დათვლა ერთი-ერთზე შესატყვისობით.

ლინი (3 წლის და 2 თვის)

ზეპირი მეტყველება, კონფლიქტების გადაჭრა, ემპათიის გამოხატვა, თამაში სხვებთან ერთად.

ანდრე (4 წლის)

ზეპირი მეტყველება, სამეცნიერო ძიება, შედარებები.

როუზი (4 წლის და 5 თვის)

ინიციატივა, უფროსების დახმარების თხოვნა, ზეპირი მეტყველება, პრობლემების გადაჭრა, ნატიფი მოტორული უნარები, ერთობლივი თამაში.

დანართი ბ: ფორმები და ფორმატები

---

1. სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ და/ან თავი ავარიდოთ
2. ფაქტების / ინტერპრეტაციის ფორმა
3. დაკვირვების ჩანაწერი სკოლამდელთა ძირითადი სფეროების შესახებ
4. დაკვირვების ჩანაწერი
5. სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი
6. მოკლე შენიშვნების სააღრიცხვო ფურცელი
7. მცირე ჯგუფზე დაკვირვების ფორმა
8. შეგროვებული დოკუმენტაციის ჩანაწერები
9. პორტფოლიოს შეგროვების ფორმა
10. ოჯახის / მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში
11. სკოლამდელთა არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი
12. ახლადფეხადგმული ბავშვების არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი

სიტყვები და ფრაზები, რომლებსაც უნდა მოვერიდოთ	სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა გამოვიყენოთ
ბავშვს უყვარს . . .	ის ხშირად ირჩევს . . .
ბავშვს მოსწონს . . .	მე დავინახე, რომ ის . . .
მას სიამოვნებას ანიჭებს . . .	გავიგონე, რომ მან თქვა...
ის ბევრ დროს ატარებს . . .	ის ხუთ წუთს უთმობს .....ს
ჩანს, თითქოს...	მან თქვა . . .
როგორც ჩანს...	ის თითქმის ყოველდღე . . .
მე ვიფიქრე . . .	ის თვეში ერთხელ ან ორჯერ . . .
მე ვიგრძენი . . .	ყოველ ჯერზე, როცა ის . . .
მე მაინტერესებს . . .	ის გამუდმებით/ზედმიწევნით . . .
ის ძალიან კარგად აკეთებს . . .	ჩვენ დავაფიქსირეთ .....-ის მოდელი
მას ცუდად გამოსდის . . .	
ეს რთულია ...თვის	

ფაქტების / ინტერპრეტაციის ფორმა	
თარიღი ---------- ბავშვის სახელი ----------	
ფაქტები	ინტერპრეტაცია

დაკვირვების ჩანაწერი სკოლამდელთა ძირითადი სფეროების შესახებ	
ბავშვის სახელი ----------	
მეტყველება	სოციალურ-ემოციური
ფიზიკური (ნატიფი და უხეში მოტორიკა)	შემოქმედებითი
კოგნიტური (მათემატიკა, პრობლემების გადაჭრა)	ადრეული წიგნიერება (წერა, კითხვა)

დაკვირვების ჩანაწერი	
ბავშვის სახელი ----------	

სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილი				
ბავშვის სახელი	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა	თარიღი და აქტივობა

მოკლე შენიშვნების სააღრიცხვო ფურცელი	
ბავშვების სახელები	თარიღი და აქტივობა

მცირე ჯგუფზე დაკვირვების ფორმა
თარიღი ---------- აქტივობა: ----------   მიზანი/ მიზნები: ----------

ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:
ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:	ბავშვის სახელი:

შეგროვებული დოკუმენტაციის აღრიცხვა

მასწავლებელი ----------შეგროვების პერიოდი: ----------

ბავშვის სახელი	სფერო:	სფერო:	სფერო:	სფერო:	სფერო:	სფერო:	სფერო:
	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები	მონაცემების შეგროვების თარიღები

პორტფოლიოს შეგროვების ფორმა
ბავშვის სახელი ---------- თარიღი: ----------დამკვირვებელი: ---------- სფეროები: ---------- ამ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი სწავლის მიზანი (მიზნები): ---------- ---------- ----------

მონიშნეთ ის, რაც ეხება ამ დაკვირვების კონტექსტს:

☐ ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები ☐ მასწავლებლის მიერ ინიცირებული აქტივობები ☐ ახალი დავალება ამ ბავშვისთვის ☐ ნაცნობი დავალება ამ ბავშვისთვის	☐ შესრულებული დამოუკიდებლად ☐ შესრულებული უფროსის მითითებებით ☐ შესრულებული თანატოლებთან ერთად	☐ დახარჯული დრო (1-5 წუთი) ☐ დახარჯული დრო (5-15 წუთი) ☐ დახარჯული დრო (15 წუთზე მეტი)

<u>ეპიზოდური ჩანაწერი:</u> აღწერეთ თქვენ მიერ დანახული ბავშვის ქმედებები ან/და უშუალოდ ნათქვამი (დაურთეთ ფოტო ან სამუშაო ნიმუში, თუ ეს შესაძლებელია).

ოჯახის / მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში	
ბავშვის სახელი: ---------- თარიღი: ---------- მასწავლებელი: ---------- პროგრამა: ----------	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	
სფერო:	
ზრდა და მიღწევები	

ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სფერო:	
ზრდა და მიღწევები	
ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას შემდეგ საკითხებზე:	

სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი

(შეიძლება გამოვიყენოთ ერთი ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის აღრიცხვისთვის)

თარიღი: ---------- ბავშვის სახელი: ----------

ხელოვნება	კუბურები	დრამატული თამაში
მანიპულატივები	**მეცნიერება / მათემატიკა**	**მუსიკა/მოძრაობა**
ბიბლიოთეკა	**სენსორული მაგიდა**	**წერის ცენტრი**

ახლადფეხადგმული ბავშვის არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი (ვიყენებთ ერთი ბავშვის ან ბავშვების ჯგუფის არჩევანის აღრიცხვისთვის)
თარიღი: ---------- ბავშვის სახელი: ---------- ----------

სამხატვრო მოლბერტი	კუბურები	სათამაშო სახლი
მანიპულატივები	ცოცვის სივრცე	ასაძრომი კონსტრუქცია
წიგნების კუთხე	სენსორული მაგიდა	სარწეველა სკამი

დანართი გ: დამატებითი რესურსები ადრეულ ასაკში შეფასების საკითხებზე

Council of Chief State School Officers. 2011. "Moving Forward with Kindergarten Readiness Assessment Effort: A Position Paper of the Early Childhood Education State Collaborative on Assessment and Student Standards." http://www.ccsso.org/Documents/CCSSO_K-Assessment_Final_7-12-11.pdf.

National Association of the Education of Young Children (NAEYC) and National Association of Early Childhood Specialists in State Departments of Education (NAECS/SDE). 2003 წელს NAEYC-მ და NAECS/SDE-მ გამოსცეს სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „Early Childhood Curriculum, Assessment and Program Evaluation" (ადრეული ასაკის ბავშვებისთვის კურიკულუმი, შეფასება და პროგრამის შეფასება), რომელშიც მოცემულია ადრეულ ასაკში შეფასების ეფექტურობის ინდიკატორები. http://www.naeyc.org/positionstatemets.

ადრეული ასაკის ბავშვების განათლების ეროვნული ასოციაცია (NAEYC)

www.naeyc.com

NAEYC არის უმსხვილესი პროფესიული ორგანიზაცია ადრეული განათლების სპეციალისტებისათვის, რომელსაც გააჩნია „განვითარების შესაბამისი" შეფასებების მდგრადი სისტემა ადრეული ასაკის ბავშვებისათვის. „*Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs*" (Copple and Bredekamp 2009) მესამე გამოცემაში, რომელიც წარმოადგენს ამ ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ მნიშვნელოვან პუბლიკაციას, ავტორები გვთავაზობენ მართებული და ხარისხიანი შეფასების აღწერილობას.

Snow, Kyle P. 2011. *Developing Kindergarten Readiness and Other Large-Scale Assessment Systems: Necessary Considerations in the Assessment of Young Children.* Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

შეფასების პროცესის გამოყენება სწორი მიზნისთვის

შტატის სკოლის მთავარი ოფიცრების საბჭოს ადრეული ასაკის განათლების შეფასების ერთობლივი დოკუმენტი, რომელიც ადგენს, თუ რა ტიპის შეფასების პროცესი უნდა გამოვიყენოთ სხვადასხვა მიზნებისთვის. ეს ინფორმაცია დაეხმარება ადრეული ასაკის განათლების სპეციალისტებს ბავშვის სწავლის მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შესრულებისას. საყურადღებოა, რომ დაკვირვებითი შეფასება დაკავშირებულია კრიტერიუმებთან და განმავითარებელი შეფასების პროცესია - ის არ აკმაყოფილებს სხვა შეფასების მიზნების ან გაზომვის ტიპების მოთხოვნებს. მნიშვნელოვანია, მკაფიოდ განისაზღვროს, თუ რატომ აკვირდებით და აღრიცხავთ დოკუმენტურად, რა მიზნები გაქვთ,

როგორ აპირებთ ბავშვების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას - ეს მნიშვნელოვანია ადრეული ასაკის განათლების პროფესიონალისთვის.

საბავშვო ბაღში (kindergarten - ამერიკულ სკოლებში სავალდებულო ჯგუფი, დაწყებითი საფეხურის პირველ კლასამდე) შეფასების, გაზომვის ტიპების და მიზნების მისაღები/მართებული მიზნები

შეფასების მიზანი	**გაზომვის ტიპები**	**მიზნები**
ბავშვთა ჯგუფების იდენტიფიცირება, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ განვითარებასთან ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჭიროებები	**სკრინინგი**	• ინფორმაციის შეგროვება რაც შეიძება მეტი ბავშვის შესახებ • დამატებითი დიაგნოსტირების საჭიროების განსაზღვრა
ბავშვების იდენტიფიცირება, რომლებსაც ესაჭიროებათ სპეციალიზებული მომსახურებები ან ინტერვენციები	**დიაგნოსტიკა**	• განვითარების ან სამედიცინო საჭიროებების დადგენა • კონკრეტული ინტერვენციის საჭიროების დადგენა • ბავშვის მომსახურებასთან შესატყვისობის დადგენა
სხვადასხვა პროგრამებში, სკოლებში, რეგიონებში და შტატებში ბავშვების გაკვლევა შედარების და სოციალური ნიშნულების აღწერის მიზნით	**ნორმასთან მიმართება/რეფერირება**	• დროის კონკრეტულ მომენტში კონკრეტული ბავშვის ცოდნის სხვა ბავშვების ცოდნასთან შედარების მდგომარეობის დაფიქსირება • სხვადასხვა პროგრამების, სკოლების, თემების ბავშვების შედარება ნორმასთან • მიუთითეთ ბავშვის დონეზე - ეფექტიანობის მაჩვენებლის შედარება მოსახლეობის ნორმასთან ან იგივე ასაკის/მდგომარეობის სხვა ბავშვებთან,
დადგენა, აკმაყოფილებენ თუ არა ბავშვები კონკრეტულ აკადემიურ სტანდარტებს ან ეფექტიანობის განსაზღვრულ დონეებს	**კრიტერიუმთან მიმართება**	• დროის კონკრეტულ მომენტში ბავშვის ცოდნის დადგენილ სტანდარტთან ან კონკრეტულ კრიტერიუმებთან შედარების მდგომარეობის დაფიქსირება • აღრიცხეთ ბავშვის პროგრესი კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებაში, დროის კონკრეტული მონაკვეთის მანძილზე
პროგრამის, ჯგუფის ან/და ბავშვის დონის შესატყვისი სწავლების უზრუნველყოფა	**განმავითარებელი**	• დოკუმენტურად დააფიქსირეთ ბავშვის სწავლის და ცოდნის მაჩვენებელი, შეაფასეთ ბავშვის აღქმა/გაგება და კომპეტენციები • დაადგინეთ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები

		• თვალყური ადევნეთ თითოეული ბავშვის სწავლების პროგრესს დროთა განმავლობაში
პროგრამების შეფასება	**შემაჯამებელი** **ნორმასთან მიმართება** **კრიტერიუმთან მიმართება** **აღწერილობითი**	• შეაგროვეთ ინფორმაცია სანიმუშო (შერჩეულ) ბავშვებზე • დაადგინეთ და განმარტეთ პროგრამის ან მომსახურების ზემოქმედება განსაზღვრულ შედეგზე • უპასუხეთ პროგრამული ინვესტიციების შესახებ შეკითხვებს • მოიპოვეთ ინფორმაცია ბავშვების, ოჯახების, მასწავლებლების, პროგრამების და სასწავლო გარემოს სხვა ცვლადების სტრუქტურული და პროცესუალური მახასიათებლების თაობაზე

დანართი დ: შეფასების ტერმინების და ფრაზების ლექსიკონი

შეფასების ტერმინების და ფრაზების ეს ლექსიკონი აღებულია NAEYC და NAEYC/SDE (2003, 27-28) პროგრამის დოკუმენტიდან. ჩვენ შევიტანეთ ეს ტერმინები წინამდებარე სახელმძღვანელოში, რათა დაგხმარებოდით რეკომენდაციების შესრულებაში. იმედი გვაქვს, ამ ტერმინების ცოდნა ხელს შეუწყობს დაკვირვების გამოყენებას შეფასების მიზნებისათვის.

★*შეფასება:* ბავშვის შესახებ ინფორმაციის მოპოვების პროცესი, რათა დავადგინოთ მათი მახასიათებლები და მივიღოთ გადაწყვეტილება შესაბამისი სწავლებისა და ზრუნვის შესახებ.

ბავშვის განვითარება: ბავშვებში სოციალური, ემოციური, ფიზიკური და კოგნიტური ცვლილებები, რომელთა ბიძგის მიმცემიც არის ბიოლოგიური სიმწიფის და გამოცდილების ურთიერთქმედება.

★*კრიტერიუმზე ან მიღწევაზე ორიენტირებული შეფასება*: შეფასება, სადაც პიროვნების ეფექტიანობა (მიღწევა) (იგივე ქულა) განმარტებულია მისი შედარებით წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტთან ან კონკრეტულ შინაარსთან ან/და უნარებთან.

★*განვითარების შესაბამისი:* პრაქტიკები, რომელებსაც საფუძვლად უდევთ პროფესიონალების მიერ ბავშვების კეთილდღეობის და განათლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებულია, სულ მცირე, სამ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ან ცოდნაზე: რა არის ცნობილი ბავშვის განვითარებასა და სწავლებაზე; რა არის ცნობილი ძლიერ მხარეებზე, ინტერესსა და ინდივიდუალურად თითოეული ბავშვის საჭიროებებზე ჯგუფში; იმ კულტურული და სოციალური კონტექსტის ცოდნა, რომელშიც ცხოვრობს ბავშვი.

★*დოკუმენტირება:* ბავშვების მუშაობაზე - როგორც მათი პროგრესის მტკიცებულებაზე - დაკვირვების და აღრიცხვის პროცესი.

★*ადრეული სწავლის სტანდარტები:* დებულებები, რომლებიც ასახავენ ბავშვების სწავლასა და განვითარებასთან დაკავშირებულ მოლოდინებს.

★*ნორმაზე ორიენტირებული*: ტესტის ჩატარების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც განიმარტება პიროვნების მიღწევის მაჩვენებლი იმავე ასაკის/პროფესიის, უკვე ტესტირებული ჯგუფის მიღწევის მაჩვენებლთან მიმართებით - „ნორმირებული“ ჯგუფი.

დაკვირვებითი შეფასება: შეფასება, რომელიც დაფუძნებულია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მასწავლებლის მიერ ბავშვების ქცევის სისტემატურ აღრიცხვასა და ანალიზზე.

სანდოობა: შეფასების ინსტრუმენტის კონსისტენტურობა (შინაგანი შეთანხმებულობა, ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა); მნიშვნელოვანი ასპექტი ბავშვების სწავლის და განვითარების სფეროში მიღებული მონაცემების განზოგადებისათვის.

★*სკრინინგი:* მოკლე პროცედურის ან ინსტრუმენტის გამოყენება ბავშვების დიდი ჯგუფში/პოპულაციაში, იმ ბავშვების იდენტიფიცირებისთვის, რომლებსაც შესაძლოა ესაჭიროებათ დამატებითი შეფასება განვითარების ან/და ჯანმრთელობის რისკების დასაზუსტებლად.

სტანდარტიზებული: შეფასება, რომელსაც აქვს მკაფიოდ განსაზღვრული ჩატარების და ქულების მინიჭების წესი და ნორმატიული მონაცემები.

ვალიდობა: ის, თუ რამდენად (რა ხარისხით) ზომავს შეფასების ინსტრუმენტი ან რაიმე სხვა საზომი იმას, რის გასაზომადაც ის შეიქმნა.

★ ტერმინები ადაპტირებულია „The Words We Use: A Glossary of Terms for Early Childhood Education Standards and Assessment" („სიტყვები რომლებსაც ვიყენებთ: ადრეული ასაკის ბავშვების განათლების სტანდარტების და შეფასების ტერმინების ლექსიკონი") შტატის/სახელმწიფო სკოლის უფროსი ოფიცრების საბჭოს მიერ. საავტორო უფლება © 2003 შტატის/სახელმწიფო სკოლის უფროსი ოფიცრების საბჭო. www.ccso.org. დაბეჭდილია ნებართვით.

დანართი ე: რეკომენდაციები ტრენერებისთვის „*ფოკუსირებული დაკვირვების*“ გამოყენებისთვის

ჩვენ შევქმენით ეს წიგნი, როგორც დაკვირვებისა და დოკუმენტირების პრაქტიკული განმარტება ყველა მიმართულებისთვის. ჩვენთვის ცნობილია, რომ ადრეული ასაკის განათლების საკითხებთან დაკავშირებული პროფესიონალური რეკომენდაციები აქტიურად უჭერენ მხარს დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოყენებას შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვაში. ვიცით, რომ ადრეული ასაკის პედაგოგები მთელს მსოფლიოში ცდილობენ, ეს პრაქტიკა დანერგონ ადრეული ასაკის სხვადასხვა სამუშაო გარემოში. ამ პროცესში ისინი დგებიან გამოწვევების, დროის სიმცირისა და ეფექტური იმპლემენტაციის სხვა ბარიერების წინაშე. როდესაც მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა წაკითხულისა და აღმოჩენილის გამოყენებისა, ახალი იდეებისა და სტრატეგიების გამოცდისა, ანალიზისა - რა ისწავლეს დაკვირვებისა და დოკუმენტირების გამოცდილების მეშვეობით, მტკივედ გვჯერა, რომ ისინი კარგად გაუგებენ ბავშვებს და პროფესიულად გაიზრდებიან პროცესის მიმდინარეობისას. ამგვარად, ჩვენ შევქმენით წიგნი და ინტერაქტიული დისკი (CD-ROM), რათა მივყვეთ იმ ინფორმაციას, რომელიც დაწყვილებულია პრაქტიკასა და იმპლემენტაციასთან. მსგავსი პრაქტიკა შეიძლება განხორციელდეს მოწოდებული ვიდეორგოლების ან მონაწილეთა/მოსწავლეთა ცხოვრების პარამეტრების მეშვეობით. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრაქტიკა! ვფიქრობთ, წიგნის წერისას ყველაფერი გავითვალისწინეთ და დამატებით დისკიც (CD-ROM) დავურთეთ. გარდა ამისა, თქვენთვის შევქმენით სლაიდ-პრეზენტაცია, რომლის გამოყენებასაც შეძლებთ სამუშაო პროცესში. ეს სლაიდები მოიცავს თითოეული თავის მნიშვნელოვან/საკვანძო საკითხებს. თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ პრეზენტაცია ვებ-გვერდზე www.redleafpress.org.

გვსურს, რომ თქვენ, როგორც ინსტრუქტორმა ან პერსონალის განვითარების ლიდერმა, მარტივად გამოიყენოთ ეს ინსტრუმენტები დაკვირვებისა და დოკუმენტირების უნარების სწავლებისას. ყოველი თავის ბოლოს, გთავაზობთ ვიდეორგოლებს დაკვირვებისთვის და გაწვდით აქტივობებს ამა თუ იმ თავში განხილული საკითების საილუსტრაციოდ. წიგნის გამოყენება დისკის (CD-ROM) გარეშეც შესაძლებელია. შესაძებელია აქტივობების ადაპტირება, მასწავლებელმა განახორციელოს დაკვირვება პრაქტიკული მუშაობისას ან ოჯახურ გარემოში. ყველა აქტივობის გამოყენება შეიძლება კოლეჯში საკურსო მუშაობისას, სამსახურიდან მოუწყვეტლად გამართული სემინარებისას და პერსონალთან შეხვედრების დროს.

ამ დანართში გაეცნობით რჩევებს, თუ როგორ გამოიყენოთ შემდეგი:

- ინტერაქტიული დისკი (CD-ROM) სტუდენტებთან ან მონაწილეებთან
- წიგნის ყველა თავის ბოლოში მოცემული აქტივობები
- დაკვირვებასთან დაკავშირებული შენიშვნები მთელ წიგნსა და „ა“ დანართში

ვიმედოვნებთ, რომ ამ რჩევების მეშვეობით, შეძლებთ ადრეული ასაკის პედაგოგებისთვის დახმარების გაწევას მათ მიერ ბავშვებზე დაკვირვების და დანახულის დოკუმენტირების შესწავლის პროცესში, რაც ემსახურება შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვის მიზნებს.

როგორ გამოვიყენოთ ინტერაქტიური დისკი (CD-ROM)

კონსულტანტის და კოლეჯის პედაგოგის გამოცდილებიდან ვიცით, რომ ადრეული განათლების პედაგოგებს ძალიან ეხმარება დაკვირვებისა და დოკუმენტირების პრაქტიკული რჩევები თუ სამუშაოები. ამიტომაც ამ წიგნის მეორე გამოცემის თითოეულ ეგზემპლარს მოყვება ვიდეორგოლების ინტერაქტიური დისკი. თითოეულ მკითხველს აქვს შესაძლებლობა, პრაქტიკაში თავად განახორციელოს დაკვირვება და დოკუმენტირება. თუ რომელიმე თქვენგანი ჩართულია საკურსო სამუშაოში ან მონაწილეობას იღებს პერსონალის განვითარების სესიებსა და შეხვედრებში, მას შეუძლია საკუთარი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარება.

ვიდეორგოლების მეშვეობით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით დაკვირვებისა და დოკუმენტირების პრაქტიკის მნიშვნელობაში. ჩვენ ვისწავლეთ, რომ დაკვირვების დოკუმენტირების მრავალი გზა პასუხობს კითხვებს დროის შეზღუდვების შესახებ. დავინახეთ, რომ მეთოდების მოსინჯვას სჭირდება დრო, რათა უყუროთ ბავშვს მოქმედებაში და უკეთ შეისწავლოთ შეფასების კონკრეტული ინსტრუმენტები. კურიკულუმის დაგეგმვის ღრმად გააზრებამდე და სწავლამდე, აუცილებლად უნდა გაიწრთვნათ საკუთარ დაკვირვებაზე ფოკუსირებაში და გაიწაფოთ დაკვირვების დოკუმენტირების ორგანიზებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში.

სასურველია, უპირველეს ყოვლისა, ინსტრუქტორი ან პერსონალის განვითარების ლიდერი გაეცნოს სრულად დისკზე არსებულ მასალებს და განსაზღვროს ინსტრუმენტის გამოყენების საუკეთესო გზები. არ არის აუცილებელი და არც რჩევა მოგვიცია, რომ მასწავლებლებმა მთელი დისკი ერთი შეხვედრისას სრულად ნახონ. უმჯობესია, პერსონალის განვითარების სესიისას ან ლექციის დროს ერთი ვიდეოს ნახვა, შინაარსის საფუძვლიანი განხილვა და საკვანძო საკითებზე მსჯელობა.

დისკს აქვს მახასიათებლები, რომლებიც დახმარებას უწევს მომხმარებელს უკეთ მომზადებასა და თითოეულ დაკვირვებაზე ორიენტირებაში:

- დისკი აწყობილია თავების მიხედვით. გაცნობითი შინაარსის ვიდეოს ნახვის (ან მისი გამოტოვების) შემდეგ, დააჭირეთ ეკრანის ზედა ნაწილში მოცემულ თავის ნომერს.
- თავის გახსნის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ხმოვანი შესავალი ამ თავში მოცემული საკვანძო საკითხებით. ქვეთავების ღილაკები გამოჩნდება მარცხენა მხარეს.
- ქვეთავების ღილაკები აღნიშნულია დაკვირვების პრაქტიკის და ამ საკითხებთან დაკავშირებული ვიდეორგოლების ნომრებით.
- დაკვირვების პრაქტიკაში მოცემულია იგივე მითითებები, რაც თითოეული თავის დასასრულს წიგნში. ისინი გვაწვდიან ინსტრუქციებს, როგორ ვუყუროთ ვიდეორგოლებს კონკრეტული მიზნის გათვალისწინებით. გარდა ამისა, აქ მოცემულია საორიენტაციო შეკითხვები წიგნიდან, რომლებიც დაგეხმარებათ ინდივიდუალურ რეფლექსიებსა და ჯგუფურ დისკუსიებში.

- თოთოეული ვიდეორგოლის დასრულებისას ეკრანზე გამოსახულება ჩერდება და გეძლევათ დისკუსიის დაწყების შესაძლებლობა - რის შესახებ და რას დააკვირდით ვიდეორგოლში.

ბეჭდვის ღილაკი ეკრანის მარჯვენა დაბალ კუთხეში მომხმარებელს საშუალებას აძლევს, დაბეჭდოს ტექსტი, რომელიც მოცემულია „დაკვირვების პრაქტიკის“ ეკრანებზე ამ თავში. ბეჭდვის ღილაკის გვერდზე მოცემულია რესურსების ღილაკი, რომელზე დაჭერითაც გახსნით და დაბეჭდავთ დაკვირვების ფორმებს (მოცემულია ამ წიგნის **ბ** დანართში) და სხვა რესურსებს. გარდა ამისა, **3** დანართში და დისკის (CD-ROM) რესურსების ნაწილში მოცემულია დისკის სარჩევი. სარჩევში მოცემულია ფოკუსი, რომელიც ჩვენ განვსაზღვრეთ - თითოეული დაკვირვების პრაქტიკისათვის მონაწილე ბავშვების ასაკი, აქტივობა და ვიდეორგოლის ხანგრძლივობა. გახსოვდეთ, ყოველთვის შეგიძლიათ ვიდეორგოლების სხვა მიზნებისთვის გამოყენება.

როგორ გამოვიყენოთ წიგნის თითოეული თავის ბოლოს მოცემული აქტივობები

გირჩევთ, მონაწილეებს წააკითხოთ ეს თავი ბოლოში მოცემული რომელიმე აქტივობის შესრულებამდე. ასეთი მიდგომით პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულებას შევუდგებით საბაზისო ცოდნით, ტერმინოლოგიით და პრაქტიკული რეკომენდაციებით შეიარაღებული. თითოეული თავის ბოლოს მოცემულია სამი ტიპის აქტივობა:

- დაკვირვების პრაქტიკა
- რეფლექსია
- დაკვირვების თქვენეული სტილის პოვნა

დაკვირვების პრაქტიკისთვის ჩვენ შევარჩიეთ მიზანი, რომელიც უკავშირდება ამ თავის შინაარსს. ჩვენი რჩევა იქნება, დაკვირვებისთვის გამოიყენოთ დისკზე ჩაწერილი ვიდეოები. ჩვენ აღვწერთ ბავშვზე დაკვირვების და დანახულის დოკუმენტირების პროცესს და გთავაზობთ საორიენტაციო შეკითხვებს, რომლებიც უნდა გაითვალისწინოთ დაკვირვების პროცესში. ასევე გირჩევთ, რომ ყურადღება გაამახვილოთ ჯგუფურ დისკუსიაზე. დაკვირვების პრაქტიკასთან დაკავშირებული ყველა შემოთავაზება და რეკომენდაცია მოცემულია წიგნში და დისკზე.

შეგიძლიათ თითოეული დაკვირვების პრაქტიკის მრავალი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება. გამოსცადეთ ისინი იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ხელსაყრელი იქნება თქვენი ჯგუფისთვის. თქვენ შეიძლება ურჩიოთ მონაწილეებს თითოეული ვიდეორგოლის რამდენჯერმე ნახვა. ზოგჯერ მრავალჯერ ნახვით უფრო კარგად ვიგებთ, თუ რამდენი რამის გაგება შეიძლება დაკვირვების შედეგად და ნანახის ინტერპრეტირების უფრო ღრმა ცოდნას ვიძენთ. ჩვენთვის ცნობილია, რომ რეალობაში მასწავლებლები ბავშვის მიერ განხორციელებულ ერთ *კონკრეტულ* მოქმედებას მხოლოდ ერთხელ ხედავენ, თუმცა გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ერთი ვიდეორგოლის მრავალჯერ ნახვის შედეგად ჯგუფი უფრო ღრმა დისკუსიაში ერთვება. მრავალჯერ ნახვა ეხმარება მასწავლებელს

დაკვირვებისათვის სწორი ფოკუსის დასახვაში, დოკუმენტირების სტრატეგიის უფრო ეფექტურად გამოყენებაში და გაცნობიერებაში, რომ დაკვირვება ხშირად რამდენიმე სფეროს მოიცავს და მისი სხვადასხვა ფორმით გამოყენება ბავშვისთვის უკეთესი გეგმის შედგენაში გვეხმარება.

მე-8 თავში აღმოაჩენთ, რომ დისკზე მოცემული ვიდეორგოლების უმეტესობა უკვე ნანახია წინა თავების ფარგლებში. ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, შემოგვეთავაზებინა ვიდეოების სერიები, რომლებიც შეეხება ბავშვების ერთ ჯგუფს და გვაჩვენებს მათ სრულ დღეს სკოლამდელ დაწესებულებაში. ამგვარად, მნახველებს შეუძლიათ, ივარჯიშონ ერთ ან მეტ ბავშვზე საქმის წარმოებაში, როგორც ეს რეკომენდებულია მე-8 თავში.

ვიდეოაქტივობების გარდა, თითოეული თავის ბოლოს მოცემულია ორი სხვა ტიპის აქტივობა: რეფლექსია და დაკვირვების საკუთარი მეთოდის/სტილის პოვნა (სააღრიცხვო აქტივობა). რეფლექსიის აქტივობების მიზანია, დაეხმაროს მონაწილეებს თავის შინაარსის გაგებაში, გაანალიზებასა და ბავშვებზე დაკვირვების პროცესში ამ შინაარსის გამოყენებაში. კითხვებს შეგიძლიათ წერილობით უპასუხოთ ფორმალური დავალების მსგავსად ან შეიძლება გამოიყენოთ დისკუსიის წამოსაწყებად. აქტივობების მეორე წყება - იპოვეთ დაკვირვების თქვენი მეთოდი/სტილი შექმნილია მიმდინარე ჟურნალის ფორმატში გამოსაყენებლად. ჩვენთვის ცნობილია, რომ არსებობს დაკვირვების გამოყენების მრავალი სწორი ფორმა, რომლებიც გვეხმარება ბავშვების ზრდისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში. ყველა, ვინც გამოიყენებს დაკვირვებას, საკუთარ სტილს, ორგანიზაციულ და მმართველობის ტენდენციებს და ბავშვის განვითარების შესახებ მისეულ შეხედულებებს შესძენს ამ პროცესს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვები და მათი საპასუხო პირადი ჟურნალები დაეხმარება თითოეულს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების ამოცნობაში.

წიგნსა და „ა“ დანართში მოცემული დაკვირვების ჩანაწერების გამოყენება

დაკვირვების ჩანაწერები, რომლებიც აღწერენ სხვადასხვა ქმედებებში ჩართულ ბავშვებს, მოცემულია მთელს წიგნში. მეორე გამოცემაში ჩვენ შემოგთავაზეთ დამატებითი მასალა „ა“ დანართში. გირჩევთ დაკვირვების ჩანაწერების ნებისმიერი ფორმით გამოყენებას, რათა დაეხმაროთ სტუდენტებს და მონაწილეებს ფოკუსირებული დაკვირვების თაობაზე კარგად შედგენილი დოკუმენტაციის ამოცნობაში. ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ რა ფორმით გამოვიყენოთ დაკვირვების ჩანაწერები:

- გაეცანით მათ, როგორც სხვადასხვა ასაკის ბავშვების შესახებ შედგენილი მაღალხარისხიანი დოკუმენტების ნიმუშებს.
- დაადგინეთ, ადრეული სწავლის გზამკვლევების რა მიმართულებების ამოცნობა შეიძლება ბავშვის ქმედებებში.
- აღწერილობა დააკავშირეთ განვითარების შეფასების თქვენთვის ნაცნობ ინსტრუმენტთან.

- განსაზღვრეთ, თუ რა შემდგომ ნაბიჯებს დაგეგმავთ ამ ბავშვისთვის მისი შესაძლებლობების შესახებ გაკეთებული დაკვირვების ჩანაწერების საფუძველზე.
- იფიქრეთ, თუ როგორ გამოიყენებთ დაკვირვების ჩანაწერებს ბავშვის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციისათვის ისე, რომ ერთად უფრო მეტი შეიტყოთ ბავშვის შესაძლებლობების შესახებ და ერთობლივად დასახოთ მიზნები მისთვის.

ვიმედოვნებთ, რომ ამ წიგნის და ინტერაქტიური დისკის სრულად გაცნობის შემდეგ, ადრეული ასაკის ბავშვთა განმანათლებლები შეისწავლიან ახალ მეთოდებს და დაადგენენ დაკვირვების შეფასების განხორციელების უფრო წარმატებულ და შემდგომში სამუშაო გარემოში დასანერგ გზებს. ღრმად გვწამს, რომ დაკვირვებითი შეფასების შესწავლა დაეხმარება მათ გააზრებული, თითოეული ბავშვისა და ბავშვთა ჯგუფის საჭიროებებზე ორიენტირებული კურიკულუმის შედგენაში. დაბოლოს, ვიმედოვნებთ, რომ თქვენთვის ეს წიგნი იქნება დამხმარე ინსტრუმენტი, რომელიც დაკვირვებისა და დოკუმენტირების სფეროში პროფესიულ ზრდასა და სამუშაოს ნაყოფიერად დაგეგმვაში დაგეხმარებათ.

დანართი ვ: კომპაქტ-დისკის (CD-ROM) შინაარსი

ფორმები, რომლებიც მოცემულია „ბ“ დანართში, შეგიძლიათ ამობეჭდოთ დისკიდან (CD-ROM). ქვემოთ მოცემულია ვიდეო დაკვირვების პრაქტიკული სავარჯიშოები თავების მიხედვით.

თავი 1

დაკვირვების პრაქტიკა #1:

რას ვსწავლობთ ბავშვზე დაკვირვებით

ხანგრძლივობა: 47 წამი

მიზანი: განვსაზღვროთ, რას ვსწავლობთ ბავშვზე ხანმოკლე დაკვირვებით.

რა უნდა გავაკეთოთ: ჩართეთ ვიდეორგოლი #1. ამ მოკლე ვიდეოკლიპის ყურებისას გაითვალისწინეთ, თუ რას სწავლობთ ამ ოთხნახევარი წლის გოგონას შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ეს კლიპი ძალიან მოკლეა, გირჩევთ რამდენჯერმე უყუროთ მას დასარწმუნებლად, რომ არაფერი გამოგრჩათ.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ შეიმუშავეთ ბავშვის თქვენ მიერ დაფიქსირებული შესაძლებლობების, უნარების, სოციალური ურთიერთობების, პიროვნული თვისებებისა და მოქმედებების (ქცევების) ჩამონათვალი. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ ეს კითხვები:

- გაგიკვირდათ თუ არა, რამდენი ისწავლეთ ამ ხანმოკლე დაკვირვების დროს?
- თქვენ რომ ამ ბავშვს იცნობდეთ, როგორ ფიქრობთ, სხვაგვარად დაინახავდით კონკრეტულ მოვლენებს? როგორ?
- კურიკულუმის როგორ გეგმებს შეიმუშავებდით დაკვირვების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით?

გაუზიარეთ სხვებს გოგონას შესახებ თქვენ მიერ შემუშავებული ინფორმაციის ჩამონათალი და გააცანით მოსაზრებები ზემოთ მოცემულ კითხვებზე.

დაკვირვების პრაქტიკა #2:

რისი შესწავლა შეგვიძლია ბავშვზე დაკვირვებით?

ხანგრძლივობა: 2 წუთი, 51 წამი

მიზანი: განსაზღვროთ, რისი შესწავლა არის შესაძლებელი ხანგრძლივ თამაშში ჩაბმულ ბავშვზე დაკვირვებით.

რა უნდა გავაკეთოთ: დრამატულ თამაშში ჩართული ორი წლის ასაკის ბიჭის, სამ წლინახევრის გოგოსა და მასწავლებლის ვიდეოკლიპი #2. კონცენტრირდით ორი წლის ასაკის ბიჭზე.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ყურების შემდეგ შეიმუშავეთ თქვენ მიერ დაფიქსირებული ბავშვის შესაძლებლობების, უნარების, სოციალური ურთიერთობების, პიროვნული თვისებებისა და ქცევების ჩამონათვალი. გარდა ამისა, იფიქრეთ კითხვებზე:

- გაგიკვირდათ თუ არა, რამდენი ისწავლეთ ხანგრძლივი დაკვირვების განმავლობაში?
- თქვენ რომ ამ ბავშვს იცნობდეთ, როგორ ფიქრობთ, სხვაგვარად დაინახავდით კონკრეტულ მოვლენებს? როგორ?
- კურიკულუმისთვის როგორ გეგმებს შეიმუშავებდით დაკვირვების პროცესში მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით?

გაუზიარეთ სხვებს თქვენ მიერ შემუშავებული ბიჭის შესახებ ინფორმაციის ჩამონათალი და გააცანით მოსაზრებები ზემოთ მოცემულ კითხვებზე.

თავი 2

დაკვირვების პრაქტიკა #3:

3 წლამდე ბავშვების განვითარების გზამკვლევების/სტანდარტები დაკავშირება დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან

ხანგრძლივობა: 2 წუთი, 29 წამი

მიზანი: კავშირის დანახვა ადრეული სწავლის გზამკვლევებსა და 1, 5-3 წლის ასაკის ბავშვების ნათქვამსა და ქმედებებს შორის.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ მასწავლებელთან ერთად სილაში მოთამაშე 1, 5-3 წლის ბავშვების ვიდეორგოლი #3.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ გამოიყენეთ თქვენი შტატის ადრეული განათლების გზამკვლევები - მოსაძიებლად სპეციფიკური ინდიკატორებისა, რომლებიც შეესაბამება ბავშვების თქვენ მიერ დაფიქსირებულ ნათქვამსა და ქმედებებს. თუ თქვენს შტატს არ გააჩნია ასეთი დოკუმენტი, გამოიყენეთ სხვა შტატის ადრეული განვითარების გზამკვლევები (თქვენ შეგიძლიათ მოიძიოთ ნიუ მექსიკოს ადრეული სწავლის გზამკვლევი ვებ-გვერდზე www.newmexicokides.org ან მონტანას ადრეული სწავლის გზამკვლევი ჩვილებისა და ახლადფეხადმული ბავშებისათვის ვებ-გვერდზე http://mtecp.org/pdfs/infanttoddlerelgs.pdf). არ

დაიზაროთ და დააკვირდით განვითარების სფეროებს ან განვითარების სხვადასხვა მიმართულებებს. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ ეს შეკითხვები:

- შეძელით თუ არა, დაგეკავშირებინათ თქვენ მიერ დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული მონაცემები ჩვილის/1,5-3 წლის ბავშვის ადრეული სწავლის გზამკვლევთან?
- შეძელით თუ არა, დაგეკავშირებინათ თქვენი ჩანაწერები განვითარების სფეროებსა და სხვადასხვა მიმართულებებთან? რომელი მიმართულებების იდენტიფიცირება შეძელით?

გაუზიაროთ სხვებს ჩვილის/1,5-3 წლის ბავშვის სწავლის გზამკვლევის თქვენ მიერ შედგენილი ჩამონათვალი და მოსაზრებები ზემოთ დასმულ კითხვებზე.

დაკვირვების პრაქტიკა #4:

სკოლამდელთა (3 წლიდან) სწავლისა და განვითარების გზამკვლევების/სტანდარტების დაკავშირება დაკვირვებასა და დოკუმენტირებასთან

ხანგრძლივობა: 3 წუთი, 42 წამი

მიზანი: კავშირის დანახვა სკოლამდელი ასაკის ბავშვების ნათქვამსა და ქმედებებს და ადრეული სწავლის გზამკვლავებს შორის.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #4 სკოლამდელი ასაკის ბავშვის შესახებ, რომელიც კითხულობს ნაცნობ ისტორიას ესპანურად. მათთვის, ვინც არ ფლობს ესპანურ ენას, ვიდეოს ახლავს ინგლისური სუბტიტრები.

საორიენტაციო კითხვები: ყურების შემდეგ გამოიყენეთ თქვენი შტატის სკოლამდელი ასაკის ბავშვების გზამკვლევები - მოსაძიებლად სპეციფიკური ინდიკატორებისა, რომლებიც შეესაბამება ბავშვების თქვენ მიერ დაფიქსირებულ ნათქვამსა და გაკეთებულს. არ დაიზაროთ და დააკვირდით განვითარების სფეროებს და სხვადასხვა მიმართულებებს. გარდა ამისა, გაითვალისწინეთ ეს შეკითხვები:

- შეძელით თუ არა, დაგეკავშირებინათ თქვენ მიერ დაკვირვების შედეგად დაფიქსირებული მონაცემები სკოლამდელი ასაკის ბავშვის სწავლის გზამკვლევთან?
- შეძელით თუ არა, რომ დაგეკავშირებინათ თქვენი ჩანაწერები განვითარების სფეროებსა და სხვადასხვა მიმართულებებთან? რომელი მიმართულებების იდენტიფიცირება შეძელით?

გაუზიაროთ სხვებს სკოლამდელი ასაკის ბავშვების გზამკვლევის თქვენ მიერ შედგენილი ჩამონათვალი და გააცანით საკუთარი მოსაზრებები ზემოთ დასმულ კითხვებზე.

თავი 3

დაკვირვების პრაქტიკა #5:

ეპიზოდური ჩანაწერები: ფაქტობრივი ინტერპრეტაციულის წინააღმდეგ

ხანგრძლივობა: 4 წუთი, 25 წამი

მიზანი: ფაქტების ჩაწერის შესწავლა ნაცვლად ამბებისა, რომლებზეც ზეგავლენას ახდენენ სუბიექტური შეფასება და ინტერპრეტაცია.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ დრამატულ თამაშში ჩართული სკოლამდელი ასაკის გოგონებისა და მათი მასწავლებლის ვიდეორგოლი #5. გააკეთეთ ჩანაწერები, თუ რას აკვირდებით. წერის დროს იფიქრეთ ფაქტობრივ და ინტერპრეტირებულ ეპიზოდებს შორის განსხვავებაზე. ერთ-ერთი გოგონა არის ესპანურ ენაზე მოსაუბრე. ინგლისური სუბტიტრები წარმოდგენილია.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ხილვის შემდეგ გადახედეთ თქვენს ჩანაწერებს. გადაწყვიტეთ, რომელი შენიშვნები არის ფაქტობრივი და რომელი - ინტერპრეტაციული 52-ე გვერდზე წარმოდგენილი ცხრილის ხელახლა განხილვით, სადაც საუბარია გამოსაყენებელ/არგამოსაყენებელ სიტყვებსა და ფრაზებზე (ცხრილის ნახვა შესაძლებელია დანართში B და დისკის რესურსების განყოფილებაშიც). გაგიკვირდათ შედეგი? მზად ხართ, სხვებთან ერთად განიხილოთ და თქვენს მოსაზრებებზე იმსჯელოთ ფაქტობრივ და ინტერპრეტაციულ სიტყვებსა და ფრაზებთან დაკავშირებით?

დაკვირვების პრაქტიკა #6:

„სათვალე“, რომლითაც ბავშვებს ვაკვირდებით

ხანგრძლივობა: 5 წუთი, 31 წამი

მიზანი: ეპიზოდების ჩაწერისას ფაქტისა და ინტერპრეტაციის ერთმანეთისაგან განსხვავების კიდევ ერთი ხერხის შესწავლა.

რა უნდა გავაკეთოთ: სანამ იხილავთ ვიდეორგოლს #6, გაიხსენეთ „სათვალე“, რომლითაც ბავშვს ვაკვირდებით (კომპეტენტური ნეგატიურის წინააღმდეგ). როდესაც აკვირდებით ამ ორი წლის ბიჭებს, იფიქრეთ იმ სათვალის ორი შუშის პერსპექტივიდან და გააკეთეთ ორივე მათგანის ამსახველი ჩანაწერები.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ხილვის შემდეგ ყურადღება მიაქციეთ სათვალის ორი შუშის პერსპექტივიდან დანახულ განსხვავებებს დაკვირვებისას. თქვენი აზრით, რომელი

შუშიდან უფრო იოლია ბავშვის მოქმედებებზე დაკვირვება? თქვენი შეხედულება გააზიარეთ ჯგუფში.

დაკვირვების პრაქტიკა #7:

ფაქტის/ინტერპრეტაციის ფორმის გამოყენება

ხანგრძლივობა: 2 წუთი, 51 წამი

მიზანი: ეპიზოდების ჩაწერისას ფაქტისა და ინტერპრეტაციის ერთმანეთისაგან განსხვავების კიდევ ერთი ხერხის შესწავლა.

რა უნდა გავაკეთოთ: ამ დაკვირვებისთვის თქვენ კვლავ უნდა იხილოთ ვიდეორგოლი #2 (ამისათვის შეგიძლიათ დააწკაპუნოთვიდეო-კლიპს #7). ვიდეოს ნახვამდე გამოიყენეთ ფაქტების/ინტერპრეტაციის ფორმა, რათა ჩაიწეროთ დაკვირვება (ფორმა შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ამ წიგნის დანართ B-დან ან ამობეჭდოთ დისკის რესურსების განყოფილებიდან). თქვენ, შესაძლოა, ყურადღება გაამახვილოთ ერთ-ერთ ბავშვზე ან ეცადოთ, ჩაიწეროთ, თუ რას აკეთებს თითოეული მათგანი. როდესაც ჩაიწერთ, ჩაასწორეთ თქვენი ჩანაწერები, რომ განაცალკევოთ ფაქტობრივი აღწერილობა თქვენეული ინტერპრეტაციისგან.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ ყურადღება მიაქციეთ, თუ როგორ განასხვავეთ ფაქტები თქვენი ინტერპრეტაციისაგან. დაგეხმარათ თუ არა ფორმის გამოყენება ამ პროცესში? რატომ ან რატომ არა? მზად ხართ ამ საკითხის სხვებტან ერთად განსახილველად?

თავი 4

დაკვირვების პრაქტიკა # 8:

მიმდინარე ჩანაწერი

ხანგრძლივობა: 2 წუთი, 34 წამი

მიზანი: პრაქტიკა - როგორ ჩავიწეროთ ყველაფერი რასაც აკეთებს ან ამბობს ბავშვი გარკვეული პერიოდის მანძილზე.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #8 სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე, რომლებიც იღებენ პალტოებს და ემზადებიან გარეთ გასასვლელად. ფოკუსირება მოახდინეთ სამი წლის ასაკის ლონდონზე, გოგონაზე მოკლემკლავიანი ლურჯი კაბით, რომელიც იცვამს მეწამულ ჟაკეტს. ვიდეორგოლის ყურებისას, ეცადეთ გააკეთოთ მიმდინარე ჩანაწერები - ჩაიწერეთ ყველაფერი, რასაც ლონდონი აკეთებს.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ყურების შემდეგ გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება, როდესაც თქვენ მართავთ დატვირთულ ჯგუფს? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისათვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული ზოგი მიმდინარე ჩანაწერი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #9:

შემაჯამებელი ეპიზოდი

ხანგრძლივობა: 3 წუთი, 8 წამი

მიზანი: დაკვირვების ისეთი ჩანაწერის გაკეთების პრაქტიკა, რომელიც ორ-ოთხ წინადადებაში აჯამებს, თუ რას აკეთებდა ბავშვი.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #9 სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც სენსორულ სათამაშო მაგიდასთან თამაშობენ. ჩვენ გთავაზობთ, რომ ფოკუსირება გააკეთოთ კამერასთან ახლოს მყოფ ბავშვებზე - სამი წლის ლონდონზე (მარჯვენა მხარეს) და ხუთი წლის პიტერზე (მარცხენა მხარეს). არ ჩაწეროთ თქვენი დაკვირვებები ვიდეოს ყურებისას. კლიპის დასრულების შემდეგ ჩამოწერეთ ორი ან ოთხი წინადადება, რომლიტაც შეაჯამებთ თქვენ მიერ დაფიქსირებულ ფაქტებს. აღწერეთ ფაქტები და დაივიწყეთ ინტერპრეტაციები.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ, გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება, როდესაც თქვენ მართავთ დატვირთულ ჯგუფს? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გაზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული შემაჯამებელი ჩანაწერები და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #10:

ჩამონათვალის გაკეთება

ხანგრძლივობა: 1 წუთი, 31 წამი

მიზანი: ბავშვის მოქმედებების (ჩამონათვალის სახით) ამსახველი დაკვირვების ჩანაწერების გაკეთების პრაქტიკა.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #10 და ფოკუსირება მოახდინეთ მარისელაზე, 4 წლის გოგონაზე გრძელ-მკლავიანი, გოფრირებული მაისურით დღის დასაწყისისას. კარგად დააკვირდით, რას აკეთებს და ამბობს ის. ვიდეოს ყურების დროს ან შემდეგ გააკეთეთ

ჩამონათვალი, თუ რას აკეთებდა ბავშვი. არ იფიქროთ სრულ წინადადებებზე ან აღწერით ფრაზებზე. ეცადეთ, ეფექტურად გამოიყენოთ სიტყვები. მაინც გახსოვდეთ, რომ დაწეროთ ფაქტობრივად და აღწერილობით, არა - ინტერპრეტირებულად.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეოს ნახვის შემდეგ გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება, როდესაც თქვენ მართავთ აქტივობებით დატვირთულ ჯგუფს? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული ჩამონათვალი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #11:

სწრაფი გადამოწმების სააღრიცხვო ფურცელი

ხანგრძლივობა: 4 წუთი, 34 წამი

მიზანი: დაკვირვებისა და ჩაწერის პრაქტიკა, წინასწარ ერთი უნარის განსაზღვრებით და ბავშვების მიერ ამ უნარის შესრულების შესახებ სწრაფი მონიშვნის გაკეთებით.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდრე იხილავთ ვიდეორგოლს #11 სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც იყენებენ საწერ საშუალებებს დაფაზე, ჩამოწერეთ ბავშვების სახელები (ოთხი წლის მარისელა, ხუთი წლის პეტერი, ოთხწლინახევრის მარიანა) სწრაფი მონიშვნის ჩანაწერების ცხრილში (თქვენ შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ის ამ წიგნის დანართიდან B ან ონლაინ, ფოკუსირებული დაკვირვებების ვებ-გვერდიდან www.redleafpress.org). განსაზღვრეთ, რა უნარებს აკვირდებით, რომლებიც შესაძლებელია, აღინიშნოს მოკლე ჩანაწერით ან მონიშვნით. რამდენიმე არჩევანი, რაზეც შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ, არის:

- მარჯვენა ან მარცხენა ხელით წერის უნარი
- საწერი საშუალების სათანადოდ დაჭერის უნარი
- ასოების მსგავსი ფორმების ან ამოცნობადი ასოების მოხაზვის უნარი
- მარცხნიდან მარჯვნივ წერის უნარი

უყურეთ ვიდეოს და ჩაიწერეთ შესაბამისად.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. შესაძლებელია თუ არა მისი განხორციელება, როდესაც თქვენ მართავთ დატვირთულ ჯგუფს? რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული სწრაფი მონიშვნის ტიპის ჩანაწერების ცხრილი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

დაკვირვების პრაქტიკა #12:

ბავშვთა ჯგუფზე დაკვირვებისას გაკეთებული ჩანაწერები

ხანგრძლივობა: 1 წუთი, 31 წამი

მიზანი: ბავშვთა ჯგუფის შესახებ დაკვირვებების ჩაწერის პრაქტიკა.

რა უნდა გავაკეთოთ: ვიდრე იხილავთ ვიდეორგოლს #12 სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც უსმენენ ისტორიას, განსაზღვრეთ, რა სპეციფიკური ინფორმაციის ჩაწერა გსურთ თითოეული ბავშვის შესახებ მოკლე ჩანაწერის გაკეთებით (ფოკუსირება მოახდინეთ ხუთი წლის ასაკის პიტერზე წითელ პერანგში, ოთხი წლის ასაკის მარისელაზე გოფრირებულ, გრძელმკლავიან მაისურში და სამი წლის ლონდონზე მოკლემკლავიან ლურჯ კაბაში) მოკლე ჩანაწერების აღრიცხვის ცხრილში (თქვენ შეგიძლიათ გადმოაკოპიროთ ამ წიგნის დანართიდან B ან ამობეჭდოთ დისკის რესურსების განყოფილებიდან). რამდენიმე არჩევანი, რაზეც შეგიძლიათ ფოკუსირება მოახდინოთ, არის:

- ყურადღებას აქცევს ამბავს, რომელსაც უკითხავენ
- პასუხობს მასწავლებლის შეკითხვებს
- ერთვება ამბის კითხვაში მასთან დაკავშირებული იდეებითა და შენიშვნებით

დააკვირდით კითხვის დროს და ჩაიწერეთ თითოეული ბავშვის სახელის ინიციალი ბავშვის შესახებ მოკლე ჩანაწერითურთ. არ ინერვიულოთ სრული წინადადებების ან აღწერილობითი ფრაზების შესახებ. ეცადეთ, ეფექტურად გამოიყენოთ სიტყვები. მაინც გახსოვდეთ, რომ დაწეროთ ფაქტობრივად და აღწერილობითად, არა -ინტერპრეტაციულად.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გაანალიზეთ ასეთი ტიპის დოკუმენტირების სირთულე ან სიმარტივე. რამდენად პრაქტიკულია ასეთი ჩაწერის მეთოდი თქვენი ჯგუფისთვის? თუ თქვენ ჩართული ხართ ჯგუფურ განხილვებში, გააზიარეთ ჯგუფის მიერ გაკეთებული მოკლე ჩანაწერების აღრიცხვის ცხრილი და განიხილეთ წინა შეკითხვები.

თავი 5

დაკვირვების პრაქტიკა #13:

განვითარების უნარებზე დაკვირვება

ხანგრძლივობა: 4 წუთი, 43 წამი

მიზანი: წიგნიერების ადრეული უნარების განსაზღვრა

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #13 სკოლამდელი ასაკის ბავშვთა შესახებ, რომლებიც მათთვის ნაცნობ ისტორიას თამაშობენ. ბავშვები და მასწავლებელი საუბრობენ ესპანურად. ვიდეოს ინგლისური სუბტიტრებიც აქვს. როდესაც აკვირდებით ბავშვებს, ეცადეთ, განსაზღვროთ, რა ესმით და რას აღიქვამენ ისტორიიდან. თქვენი დაკვირვების შენიშვნები უნდა პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: გაიაზრეს მათ ისტორიის ძირითადი

მონახაზი? დაიმახსოვრეს მონაწილე პირები და მათი მოქმედებები? გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტებზე ორიენტირებული და აღმწერი, არა - ინტერპრეტატორი.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ გადახედეთ ჩანაწერებს და განიხილეთ თქვენ მიერ განსაზღვრული უნარები, რომელთა დემონსტრირებასაც ახდენდნენ ბავშვები. თქვენ შეგიძლიათ დაუკავშიროთ განსაზღვრული უნარები თქვენი შტატის ადრეული სწავლის გზამკვლევებს ან განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალს, რომელიც თქვენთვის ნაცნობია. თუ ჯგუფური განხილვის მონაწილე ხართ, გაუზიარეთ ჯგუფს ზოგიერთი ეპიზოდი. განიხილეთ მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფის ჩანაწერებში. სხვა კოლეგებმა თქვენგან განსხვავებული უნარები დააფიქსირეს ბავშვების ქმედებებში? თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე?

დაკვირვების პრაქტიკა #14:

განვითარების უნარებზე დაკვირვება

ხანგრძლივობა: 3 წუთი, 55 წამი

მიზანი: ბავშვების პრობლემების გადაჭრის უნარის განსაზღვრა და მათი დაკავშირება ინფორმაციის განსხვავებულ განვითარების წყაროსთან.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #14 ოთხი წლის ბიჭების შესახებ, რომლებიც თამაშობენ ყინულითა და სხვადასხვა ხელსაწყოებით სენსორულ სათამაშო მაგიდასთან. ჩაიწერეთ, რას ხედავთ. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ პრობლემების გადაწყვეტის მათ შესაძლებლობებს. გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტებზე ორიენტირებული და აღმწერი, არა - ინტერპრეტატორი.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ნახვის შემდეგ გადახედეთ ბავშვის განვითარების შესახებ ინფორმაციის წყაროს. დააკვირდით და ჩაინიშნეთ, პრობლემების გადაწყვეტის რა უნარებს ავლენენ ბავშვები? რომელ გრაფასა თუ სვეტში ჩასვამდით მათი შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალში? თუ ჯგუფური განხილვის მონაწილე ხართ, გააზიარეთ ზოგიერთი ეპიზოდი ჯგუფში და ასახეთ ბავშვების შესაძლებლობები განვითარების ამსახველ ინდიკატორთა ჩამონათვალში. განიხილეთ მსგავსებები და განსხვავებები ჯგუფის ჩანაწერებში. სხვა კოლეგებმა თქვენგან განსხვავებული უნარები დააფიქსირეს? თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე?

თავი 6

დაკვირვების პრაქტიკა #15:

დაკვირვებისა და დოკუმენტაციის ინფორმაციის გამოყენება ოჯახთან შეხვედრის დაგეგმვისთვის

მიზანი: პრაქტიკაში გავარჯიშება - დაკვირვების დოკუმენტაციის გამოყენებით მზადება ოჯახთან შეხვედრისთვის.

რა უნდა გავაკეთოთ: ნახეთ დისკზე ჩაწერილი ნებისმიერი ვიდეოკლიპი და ჩაინიშნეთ, რას ამბობს და აკეთებს ბავშვი. გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტებზე ორიენტირებული, საჭიროა აღწერა და არა - ინტერპრეტაცია.

საორიენტაციო კითხვები: ვიდეორგოლის ნახვის შემდეგ, გადახედეთ თქვენს დოკუმენტაციას და დაფიქრდით, როგორ იქნება უკეთესი ამ ინფორმაციის ოჯახის წევრებთან წარდგენა მათთან შეხვედრის დროს. დაკვირვების რომელი კონკრეტული ნაწილების განხილვა გნებავთ ოჯახის წევრებთან ერთად? როგორ ვარაუდობთ, რა იქნება ოჯახის წევრების რეაქცია? როგორ უპასუხებთ მათ? თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ, განიხილეთ, რომელი ამბების მოყოლა იქნებოდა საუკეთესო ოჯახთან შეხვედრისას. შესაძლოა, დაგჭირდეთ ამ დისკუსიების გათამაშებაც.

თავი 7

დაკვირვების პრაქტიკა #16:

კურიკულუმის საუკეთესო მიდგომების განსაზღვრა ბავშვისთვის

ხანგრძლივობა: 2წუთი, 32 წამი

მიზანი: ბავშვის მხარდაჭერის საუკეთესო გზების განსაზღვრა.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #16 ჩვილის შესახებ, რომელიც მუშაობს თავსატეხზე მისი მასწავლებლის დახმარებით. კლიპის ყურების დროს დაწერეთ, თუ რას აკეთებს და ამბობს ბავშვი. გახსოვდეთ, რომ უნდა იყოთ ფაქტობრივი და აღმწერი, არა - ინტერპრეტატორი.

საორიენტაციო კითხვები: კლიპის ყურების შემდეგ გაიაზრეთ თქვენი ჩანაწერები - როდის იყო ბავშვი ყველაზე მეტად ჩართული? როგორ დაეხმარა ბავშვს მასწავლებლის მხარდაჭერა მოქმედების დროს? განსაზღვრეთ გზები, როგორ დაეხმარებოდით ბავშვს, რომ იყოს უფრო წარმატებული მომავალი ურთიერთობებისას. თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ,

განიხილეთ სხვა წევრების მიერ ჩამოწერილი ეპიზოდები და იმსჯელეთ, როგორ დაეხმარა ბავშვს მასწავლებელი, ჩართულიყო აქტივობაში.

დაკვირვების პრაქტიკა #17:

ბავშვის ინტერესების წახალისება და გაფართოება

ხანგრძლივობა: 3 წუთი, 15 წამი

მიზანი: გზების განსაზღვრა მასალების გამოყენებისთვის გარემოს მოსაწყობად და ბავშვებთან ურთიერთობისთვის მათი ინტერესების გასავითარებლად.

რა უნდა გავაკეთოთ: იხილეთ ვიდეორგოლი #17 სამი წლის ბავშვების შესახებ, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მასალებით „წამლების“ დასამზადებლად. კარგად დააკვირდით ყველაფერს, რითაც ბავშვები ინტერესდებიან და რისი გაკეთება შეუძლიათ. ყურადღება გაამახვილეთ გარემოზე - არის თუ არა ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით მოწყობილი და რას აკეთებენ მასწავლებლები ბავშვების სწავლისა და ინტერესების წასახალისებლად.

საორიენტაციო კითხვები: როგორ უწყობს ხელს ფიზიკური გარემო ბავშვების ინტერესების დაფიქსირებას? რა დამატებითი სტრატეგიის გამოყენება შეიძლება მათი ინტერესებისა და აღმოჩენების გასაფართოებლად? თუ ჯგუფურ განხილვაში მონაწილეობთ, განიხილეთ სხვა წევრების მიერ ჩამოწერილი ეპიზოდები და თუ როგორ დაგეგმავდით დამატებით სტრატეგიებს, რომ დაგეფიქსირებინათ ან გაეფართოებინათ ბავშვების ინტერესები.

თავი 8

დაკვირვების პრაქტიკა #18:

ბავშვზე საქმის შექმნა/წარმოება

ხანგრძლივობა:

#18ა - დღის დასაწყისი - 1 წუთი, 31წამი;

#18ბ - წიგნის დრო - 5 წუთი, 15წამი;

#18გ - დრამატული თამაში - 4 წუთი, 25წამი;

#18დ - სენსორული მაგიდა - 3 წუთი, 8წამი;

#18ე - წერა - 4 წუთი, 34წამი;

#18ვ - ქურთუკების ჩაცმა - 2 წუთი, 34წამი;

#18ზ - თამაში გარეთ - 1 წუთი, 58წამი;

მიზანი: ბავშვის შესახებს ინფორმაციის მოგროვებაში გავარჯიშება მისი განვითარების შესაფასებლად და დასაგეგმად კურიკულუმისა, რომელიც საუკეთესოდ უპასუხებს მის საჭიროებებს.

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ ვიდეორგოლებს #18.ა-18.ზ-ს ჩათვლით, სადაც ნაჩვენებია სამი ბავშვი (3 წლის ლონდონი, 4 წლის მარიცელა და 5 წლის პიტერი) სკოლამდელ დაწესებულებაში სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის დროს. დააკვირდით, თუ როგორ ასრულებენ ბავშვები სხვადასხვა მოქმედებებს და ჩაინიშნეთ მათი მოქმედებები. თქვენ შეგიძლიათ ყურადღება გაამახვილოთ მხოლოდ ერთ ბავშვზე ან წეროთ სამივეზე. დაიმახსოვრეთ, ყურადღება გაამახვილეთ ფაქტებზე, არა - აღწერილობაზე და ინტერპრეტაციებზე.

საორიენტაციო შეკითხვები: ვიდეორგოლების ნახვის შემდეგ გამოიყენეთ დაკვირვების ჩანაწერები და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს ერთ ან სამივე ბავშვთან დაკავშირებით:

- რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს ეს ბავშვი? რა ინტერესები აქვს და როგორ ავლენს მათ? რა უნარებით გამოირჩევა?
- რა იქნება შემდეგი ნაბიჯები ამ ბავშვის განვითარების პროცესში? რას ვერ აკეთებს ის ჯერ კიდევ?
- რის გაკეთებას აპირებთ ამ ბავშვთან მისი ძლიერი მხარეების გამოსავლენად და ინტერსების გასაღვივებლად ან იმაზე სამუშაოდ, რასაც იგი ჯერ კიდევ არ აკეთებს? რა სახის მასალას, აქტივობებს, მასწავლებლის/კოლეგების დახმარებას და სპეციალურ რესურსებს გამოიყენებდით?

იფიქრეთ ბავშვის მიღწევებზე, ინტერესებზე, საჭიროებებზე და მისთვის დაგეგმილ მომდევნო ნაბიჯებზე. თუ მონაწილეობთ ჯგუფურ დისკუსიაში, მონაწილეებს გაუზიარეთ თქვენი მოსაზრებები ბავშვის მიღწევების, ინტერესების და საჭიროებების შესახებ. შეადარეთ მისთვის დაგეგმილი მომდევნო ნაბიჯები ერთმანეთს.

თავი 9

დაკვირვების პრაქტიკა # 19

ბავშვებთან ერთად ზეიმობა და აწმყოში ყოფნა

ხანგრძლივობა: 2 წუთი, 30წამი.

მიზანი: ისწავლეთ ბავშვების ენთუზიაზმითა და სასიცოცხლო ენერგიით ტკბობა.

რა უნდა გავაკეთოთ: უყურეთ #19 ვიდეორგოლს, რომელიც შეიცავს სხვადასხვა აქტივობებში ჩართული ბავშვების კლიპების მონტაჟს. ნუ შეიწუხებთ თავს დაკვირვებით ან კურიკულიმის დაგეგმვაზე ფიქრით. ნუ ჩაიწერთ შენიშვნებს და გააკეთებთ რაიმე ფორმით დოკუმენტირებას. იყავით თითოეული ბავშვის გვერდით, როდესაც ის ღიად გაგიზიარებთ მის ენთუზიაზმს და ენერგიას. დააფასეთ ისინი და მათი ბავშვობით ტკბობა. იზეიმეთ და ისიამოვნეთ მათი ქმედებებით.

საორიენტაციო შეკითხვები: თუ მონაწილეობთ ჯგუფურ დისკუსიაში, წევრებს ესაუბრეთ ემოციებზე, რომლებიც დაგეუფლათ ბავშვების ყურებისას. ისაუბრეთ ბავშვებთან ერთად სიტუაციებში ყოფნის მნიშვნელობაზე და მათი ენთუზიაზმითა თუ სასიცოცხლო ენერგიის ტკბობით განცდილ მადლიერებაზე.

ფოკუსირებული დაკვირვების თემაზე მოცემული ფორმების ჩამონათვალი (CD-ROM)

- სიტყვები და ფრაზები, რომლებიც უნდა/არ უნდა გამოვიყენოთ
- ფაქტების / ინტერპრეტაციის ფორმა
- დაკვირვების ჩანაწერი ყველაზე გავრცელებული სკოლამდელი სფეროების შესახებ
- დაკვირვების ჩანაწერი
- სწრაფი გადამოწმების სააღრიცხვო ფურცელი
- მოკლე შენიშვნების სააღრიცხვო ფურცელი
- მცირე ჯგუფზე დაკვირვების ფორმა
- შეგროვებული დოკუმენტაციის აღრიცხვა
- პორტფოლიოს ნაკრების ფორმა
- ოჯახის / მასწავლებლის შემაჯამებელი ანგარიში
- სკოლამდელი ასაკის ბავშვის არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი
- ადრეული ასაკის ბავშვის არჩევანის აღრიცხვა/ჩანაწერი

გამოყენებული ლიტერატურა

Berk, Laura E., and Adam Winsler.1995. *Scaffolding Children's Learning: Vygotsky and Early Childhood Education.* Washington, DC: National Association for Education of Young Children.

Berke, Kai-Lee, Toni Bickart, and Cate Heroman. 2010. Teaching Strategies GOLD: Birth Through Kindergarten Assessment. Bethesda, MD: Teaching Strategies.

Bredekamp, Sue and Carol Copple, eds. 1997. *Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs.* Rev. ed. Washington, DC: National Association of the Education of Young Children.

Bricker, Diane. 1997. *Assessment, Evaluation and Programming System (AEPS) for Infants and Children*. Baltimore, MD: Brookes Publishing.

Carlsson-Paige, Nancy, and Diane Levin. 1987. *The War Play Dilemma: Balancing Needs and Values in the Early Childhood Classroom.* New York: Teachers College Press.

Copple, Carol, and Sue Bredekamp, eds. 2009. *Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs Serving Children from Birth through Age 8.* 3rd edition, Washington, DC: National Association for the Education of Young Children.

Council of Chief State School Officers (CCSSO). 2011. "Moving Forward with Kindergarten Readiness Assessment Efforts: A Position Paper of the Early Childhood Education State Collaborative on Assessment and Student Standards." www.ccsso.org/Documents/CCSSO_K_Assessment_Final_7_12-11.pdf

Council of Chief State School Officers Early Childhood Education Assessment Panel. 2003. "The Words We Use: A glossary of Terms for Early Childhood Standards and Assessment" www.ccsso.org

Curtis, De, and Margie Carter. 2011. *Reflecting Children's Lives: A Handbook for Planning your Child-Centered Curriculum.* 2nd ed. St. Paul, MN: Redleaf Press.

Derman-Sparks, Louise, and Julie Olsen Edwards. 2010. *Ani-bias Education for Young Children and Ourselve*s. Washington DC: National Association for the Education of Young Children.

Dichtelmiller, Margo L., Judy R. Jablon, Dorothea B. Marsden, and Samuel J. Meisels. 2004. *The Work Sampling System Developmental Guidelines*. 4th ed. Minneapolis, MN: Pearson.

Erikson, Erik. 1963. *Childhood and Society*. 2nd ed. New York: Norton.

Ginsburg, Kenneth R. 2007. "The Importance of Play in Promoting Healthy Child Development and Maintaining Strong Parent-Child Bonds." Pediatrics 119 (1): 182-91.

Gonzales-Mena, Janet, 1993. *Multiculturak Issues in Child Care*. Mountain View, CA: Mayfield.

Gronlund, Gaye. 1992. "Coping with Ninja Turtle Play in Kindergarten Classroom". *Young Children* (48) 1:21-25.

----------2006. *Make Early Learning Standards Come Alive: Connecting Your Practice and Curriculum to State Guideline.* St. Paul, MN: Redleaf Press.

----------.2010. *Developmentally Appropriate Play: Guiding Young Children to a Higher Level. St. Paul. MN:* Redleaf Press.

----------.2012. *Planning for Play, Observation, and Learning in Preschool and Kindergarten. St. Paul, MN: Redleaf Press.*

Gronlund, Gaye, and Bev Engel. 2001. Focused Portfolios: A Complete Assessment for the Young Children. St. Paul, MN: Redleaf Press.

Gronlund, Gaye, and Marlyn James. 2008. *Early Learning Standards and Staff Development*: *Best practices in the face of Change*. St. Paul, MN: Redleaf Press.

HighScope. 2003. The HighScope Child Observation Record, Ypsilanti, MI: HighScope.

Isenberg, Joan Parker, and Nancy Quisenberry. 2002. "Play: Essential for All Children. A Position Paper of the Association for Childhood Education International." www.acei.org/playpaper.htm.

Klein, Tovavh P., Daniel Wirth, and Keri Linas. 2003. "Play: Children's Context for Development." Young Children 58 (3): 38-45.Washingt on DC: NAEYC.

Loomis, Chaterine and Jane Wagner.2005. "A Different Look at Challenging Behavior." Young Children 60 (2): 94-99.

Marzano, Robert J., and John S. Kendall. 1996. *A Comprehensive Guide to Designing Standards-Based Districts, Schools, and Classrooms.* Alexandria, VA: Association for Supervision and Curriculum Development.

Meisels, Samuel J., et. Al. 2003. *The Ounce Scale.* Upper Saddle River, NJ: Pearson Education.

Montana Department of Public Health and Human Services/Early Childhood Services Bureau and the Montana Early Childhood Projetc.2004. "Montana' Early Learning Guidelines: What Children Ages 3-5 Need to Know, Understand and Be Able to Do".www.dphhs.goov/hcd/childcare/EarlyLearningGuidelines.shtmls

NAEYC (National Association for the Education of Young Children). 2009. *Developmentally Appropriate Practice in Early Childhood Programs Serving Children from Birth through Age 8.* Position Statement. Washington, DC: NAEYC.

NAEYC and NAECS (National Association for the Education of Young Children and National Association for Early Childhood Specialists in State Departments of Education). 2003. *Early Childhood Curriculum, Assessment, and Program Evaluation: Building and Effective Accountable System in Programs for Children Birth through Age 8.* www. naeyc.org/files/positions/CAPEexpand.pdf.

New Mexico Kids. 2012. "New Mexico Early Learning Guidelines: Birth Through Kindergarten." www.newmexicokids.org/content/caregivers_and_educators/resources/doc/Earlt_Learning_Guideline_Birth_thru_Kindergarten.pdf.

Paley, Vivian Gussin.1984. Boys and Girls: Superheroes in the Doll Corner. Chicago: University of Chicago Press.

Riley-Ayers, Shannon, Judi Stevenson-Garcia, Ellen Frede, and Kimberly Brenneman. 2011. The Early Learning Scale Guidebook. Carson, CA: Lakeshore Learning.

Snow, Kyle P. 2011. Developing Kindergarten Readiness and other Large-Scale Assessment Systems: Necessary Considerations in the Assessment of Young Children. Washington, DC: National Association for the Education of Young Children. www.naeyc.org/files/naeyc/file/reserach/Assessment_systems.pdf.

Wenner, Melinda. 2009. "The Serious Need for Play". Scientific American Mind. February.

Wiggins, Grant P. 1993. "Assessment, Authenticity, Context, and Validity." Phi Delta Kappan 75 (3): 200-14.